საქართველო ბექ... ო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
®
www.tbiliselebi.ge
№42(668) ... –20 ოქტომბერ ... ფასი 1,50 ლარი



გვ. 70

**სად ჰყავს ათასობით მიმდევარი ალექსანდრ არუთინოვს და რა ჭორები ააგორა მისი და ქეთა თოფურიას ერთობლივმა ფოტომ**

გვ. 74

**როგორ მიაგნო გიორგი ჯაჯანიძემ უკვდავების რეცეპტს და ვინ აუფორიაქა მას ცხოვრება**

გვ. 75

**რა დარტყმა და შოკი მიიღო ნინო თოლორდავამ პირდაპირ ეთერში და როდის გადის ის ბენვის ხიდზე**

ISSN 1987-569X
9 771987 569002



გვ. 18

**როგორ გახდა გელა პატიაშვილი საფრანგეთში ცნობილი მხატვარი და ანიმატორი**



გვ. 22

**როგორ გაიარა თორნიკე ზაბახიძემ „ცირკ დუ სოლეიში" სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება**



გვ. 50

**როგორ ებრძოდა „დოჟდ ტევეს" დახმარებით მერაბ რატიშვილის შვილი პუტინს და ვინ იღებს ჰოლივუდში ფილმს მის მიერ ციხეში დაწერილი რომანის მიხედვით**

ჟურნალ „თბილისელებთან" ერთად წიგნის ფასი
წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი
ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




მერვე ტომი

# გილოცავთ სვეტიცხოვლობას!

# მარჯანიშვილის ქუჩაზე განსხვავებული Mcdonald's-ის რესტორანი გაიხსნა

10 ოქტომბერს მარჯანიშვილის მოედანზე Mcdonald's-ის განახლებული რესტორანი გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში Mcdonald's-ის პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ და გენერალურმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართეს.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რემოდელინგის პროცესმა წარმატებით ჩაიარა და თბილისს კიდევ ერთი განსხვავებული ტიპის Mcdonald's-ის რესტორანი დაემატა.







„ჩვენ მაქსიმალურად ვზრუნავთ მომხმარებლის კმაყოფილებაზე და მიგვაჩნია, რომ ხარისხიანი პროდუქციის გარდა, მომხმარებელს სრული კმაყოფილებისთვის კომფორტული გარემო, მაღალი ხარისხის ინვენტარი, დახვეწილი დიზაინი, სიმყუდროვე და სიახლე სჭირდება. ასევე, არ გვავიწყდება სოციალური პასუხისმგებლობაც და ამიტომ, დღესვე, განახლებულ შენობაში გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ვუმასპინძლეთ, გავახარეთ საგანგებოდ მათთვის მომზადებული გასართობი პროგრამითა და გემრიელობებით," - განაცხადა Mcdonald,s-ის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ.

სამუშაო პროცესს ევროპული კომპანიები ერთობლივად უძღვებოდნენ: პროექტი და ინტერიერის დიზაინი ფრანგულ კომპანია Archange Atelier-ს ეკუთვნის; ექსტერიერისა და ინტერიერის გარდა, რესტორანში მოხდა სამზარეულო დანადგარების განახლება და აღჭურვა გერმანული კომპანია Franke-ს ტექნიკით; აღსრულების პროცესს კი ავსტრიული კომპანია Schloffer და ქართული სამშენებლო კომპანია L&A კურირებდნენ.





„შეგვიძლია ვიამაყოთ იმითაც, რომ საქართველო გათამამებულია Mcdonald's-ის ყველაზე გამორჩეული და ორიგინალური შენობებით. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და ბათუმში არსებული რესტორნები, მსოფლიოს მასშტაბით, Mcdonald's-ის 20 ყველაზე გამორჩეულ შენობას შორის არის დასახელებული," – განაცხადა Mcdonald's-ის პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ. მისივე თქმით, სამომავლოდ დაგეგმილია კიდევ 15 რესტორნის აშენება, რაც Mcdonald,s-ის საერთო ბრუნვას 100 მილიონამდე გაზრდის. „უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ახალი რესტორნის გახსნას საბურთალოს სანზონაში, გლდანში, ნაძალადევში და მარნეულში. მარნეულში Mcdonald,s-ის ობიექტის აშენება, ბათუმის მსგავსად „სოკართან" ერთად იგეგმება. აღნიშნული პროექტებით დაახლოებით 2 ათას ადამიანს დავასაქმებთ," – განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა.

ინვესტიციები და ბიუჯეტში შენატანები:

* ბიუჯეტში შენატანი Mcdonald,s-ის სისტემის მიერ: 33 749 279 ლარი.
* სულ ინვესტიეციები: 18,477,387 ლარი.
* მარჯანიშვილის რემოდელინგი - 2 053 841.99 ლარი.
* დასაქმებულთა რაოდენობა: 508 ახალგაზრდა; საშუალო ასაკი – 23 წელი.

Mcdonald's რესტორნების წამყვანი გლობალური ქსელია, მსოფლიოს 119 ქვეყანაში Mcdonald,s-ის 33 000-ზე მეტი რესტორანი ყოველდღიურად დაახლოებით 68 000 000 ადამიანს ემსახურება. საქართველოში Mcdonald's-ის პირველი რესტორანი 1999 წელს გაიხსნა და დღეს უკვე 6 ფილიალი აქვს: 4 – თბილისში, 1 ქუთაისში და 1 – ბათუმში.



# ჰ ე პ ა ლ ი ნ ა

## ჰეპალინა შეიცავს:

* Picorrhiza kurroa: ღვიძლის მეტაბოლური პროცესების გასაუმჯობესებელი, ნაღველმდენი საშუალება.
* Phyllanthus amarus: ჰეპატო-პროტექტორი. მადის მომგვრელი; იგი ახდენს უჯრედების მემბრანის სტაბილიზებას. აფერხებს მათ შემდგომ დაშლას და უჯრედებში ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების შეღწევას.
* Boerrhavaia diffusa : შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ძალების აღმდგენი.
* Piper lomgum: ანტიბაქტერიული, მადის მომგვრელი.

**ჰეპალინა** იცავს ღვიძლს ტოქსინებისა და ინფექციისგან; აღადგენს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას; აიოლებს საკვების მონელებას; იცავს ღვიძლის ქსოვილს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისგან. ცილებისა და ფოსფოლიპიდების სინთეზის სტიმულაციით პრეპარატი აჩქარებს დაზიანებული ჰეპატოციტების რეგენერაციას.



**დოზირება**: ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში: ალკოჰოლის მიღებამდე 1 საათით ადრე – ორი კაფს. დილით, უზმოზე ორი კაფს. ამცირებს ნაბახუსევის სინდრომს.




ქარხანა
ციპლა

**ჩვენებები**: პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ღვიძლის ფუნქციის დარღვევის დროს: ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკა; ღვიძლის ქრონიკული ანთებითი დაავადებები; სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ცხიმოვანი დეგენერაცია; ღვიძლის ალკოჰოლური და ტოქსიკური დაზიანებები; ღვიძლის ციროზის მკურნალობა კომბინირებულ თერაპიაში; ნაბახუსევის სინდრომი.

*უკუჩვენება არ აქვს.*

* **გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას**
* **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

აფთიაქი TITANI

ფარმაცევტული კომპანია ტიტანი

თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 231-11-32; 238-28-40; 238-88-71.




# სარჩევი

რატომ შეიქმნა კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოახდენს თუ არა ეს გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე და არის თუ არა ადეკვატური რუსეთის სიხარული ........ 6

სად ორთქლდება იტალიიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებული საწვავის ნახევარი საქართველოში ჩამოღწევამდე ........ 8

როგორ დაუჯდა გარემოს დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს 60 000 ლარი 30 000 ჰექტარზე გაშენებული ვენახის მოვლა ........ 9

რატომ შეწყდა საქართველოში დარიშხანის წარმოება, რატომ მიატოვეს ორივე საბადო და რატომ არ იყო სათანადოდ დაცული მომწამვლელი ნივთიერების ნარჩენები და მარაგები ........ 10

რის გამო უწოდებდნენ სამშობლოში ირანის ახალ პრეზიდენტ ჰასან რუჰანის „შეიხ-დიპლომატს" და რომელი შეზღუდვების მოხსნას დაჰპირდა ის ირანელებს ........ 12

როგორ გახდა გელა პატიაშვილი საფრანგეთში ცნობილი მხატვარი და ანიმატორი ........ 14

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

ინტიმური საუბრები ........ 17

რაში ვერ ჩაითრიეს ზურაბ ტყემალაძის შვილი და რაში „დაჯაბნეს" უფროსმა მრეწველებმა შვილები ........ 18

როგორ ცვლის ცოლთან შეჩვევა მამაკაცს და რატომ ეშინია ქალს ამის ........ 20

ერთსა და იმავე დღეს ნამშობიარებმა ქალებმა ერთმანეთი ერთი წლის შემდეგ იპოვეს ........ 21

რატომ აქვს მსოფლიოში ცნობილ შოუში „ვარეკაის" ქართულ ნომერს ყველაზე დიდი წარმატება და როგორ გაიარა თორნიკე ზაზაძემ „ცირკ დუ სოლეიში" სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება ........ 22

რით განსხვავდებოდა „ისპანახობა" „ყეენობისგან" და რომელ წელს აღინიშნა პირველად „თბილისობა" .... 23

როდის ახერხებს ადამიანი ცოდვების ჩადენისგან გადარჩევას და როგორ ეხმარება მას ზიარება მძიმე სნეულებების დაძლევაში ........ 24

ფეხბურთის რომელი ვარსკვლავი ფლობს ყველაზე ძვირად ღირებულ სახლს ევროპაში ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

ვისთან ჰქონდა ფარაჯანოვს სკანდალური ურთიერთობა და ვინ უკვდავყო მან ........ 30

ჩნდება თუ არა გარკვეული დროის სიახლოვის შემდეგ ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა ცხოველებსა და მათ პატრონებს შორის ........ 32

რომელი მძიმე სენისგან განიკურნა მაიკლ დუგლასი და რის გამო იხდის ხუთწლიან სასჯელს მისი შვილი – კამერონ დუგლასი ........ 34

რა შეცდომა დაუშვა სტალინის საუკეთესო მოწაფემ – ლავრენტი ბერიამ ........ 35

შეკითხვა ასტროლოგს ........ 36

როგორი ასტროლოგიური ტიპის ადამიანთან არ ღირს ახლოს ყოფნა და რატომ უნდა დაგეგმოთ შეხვედრები მთვარის ფაზის გათვალისწინებით .... 36

როგორ დავგეგმოთ ყოველი დღე დიეტის დასრულების შემდეგ ........ 47

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

ვინ და როგორ განახორციელა „საუკუნის ძარცვა" თბილისში ........ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 51

ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

რატომ შესთავაზა ახალგაზრდამ მეგობრებს ვალის გადახდის სანაცვლოდ, მშობლების დაყაჩაღება ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

სერიული მანიაკები ........ 66

როგორ აკონტროლებდა რუსი რეზიდენტი ერეკლე მეორის დიპლომატიურ მიმოწერას და საიდან დასტურდება ეს ........ 72

# რეაქცია მცოცავზე

## კონკურენციის მოკრძალებული ხიბლი

თუმცა **ოკუპაცია 5 წელზე მეტია, გრძელდება, დედაქალაქის ბიუჯეტი კი, იმ ოკუპაციიდან მოყოლებული, ფრიად მსუყედაც ფინანსდებოდა**, თბილისის **მერიის მესვეურებს მარტივმა და გენიალურმა იდეებმა ტვინი სულ ახლახან გაუნათა**.

სახელდობრ, თბილისის მერმა ინიციატივა შემოგვთავაზა და გადაწყვიტა, რომ **თბილისის მერიამ საოკუპაციო ზოლის პირას არსებული სოფლების მოსახლეობისგან ვაშლი უნდა შეიძინოს** (რომ ისინი შემოსავლების გარეშე არ დარჩნენო).



ეს ამბავი **პირველებს ბ-ნმა უგულავამ თბილისისავე გამგებლებს ახარა.**

მეორე მხრივ, **მერიისავე ცნობით, ამ თხოვნით დედაქალაქის მთავრობისთვის სოფელ აძვის მოსახლეობას მიუმართავს** და, რადგან **„ხმა ღვთისა, ხმა ერისაო“,** მათი ღაღადი იქ, ზემოთ, შეისმინეს. **მეტიც**, ბ-ნმა **უგულავამ** (თუმცაღა, დედაქალაქის ბაღები გააფასიანა) **გამგებლებს ისიც შესჩივლა, რომ საზღვრისპირა სოფლებში ბავშვები განათლებას ვერ იღებენ**, რა თქმა უნდა, უსახსრობის გამო, ამიტომაც, **პირველს მეორე ინიციატივაც მიაყოლა** და ბრძანა, რომ **ოკუპირებული სოფლების მკვიდრნი უფასოდ ისწავლიან სკოლების დაქვემდებარებაში მყოფ სახელოვნებო სკოლებში.**

ბუნებრივია, მეტად სასიხარულოა (ამალლებულს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც, ყვავისა და კაკლის პრინციპით), **თუკი დედაქალაქის მთავრობა** საზღვრისპირა მოსახლეობას შეეწევა და **მცოცავზე** (მცოცავი ოკუპაცია მაქვს მხედველობაში) **მაინც ექნება ადეკვატური რეაქცია**, თუმცა, სავარაუდოდ, **ძაღლის თავი მაინც კონკურენციის მოკრძალებულ ხიბლშია დამარხული.**

# აისიდან დაისისკენ

რაკი თვით **წვრილმანი დანაშაულისადმიც კი ტოლერანტობა** (ნულთან გატოლებას ვინ ჩიოდა) **მინუს უსასრულობისკენ იყო გადახრილი**, სტაბილურად **ვიკავებდით მოწინავე ადგილს როგორც პატიმრების ოდენობის, ისე პატიმართა სიკვდილიანობის მაჩვენებლით.**



მაგრამ, ისე მოხდა, რომ **პატიმრებიც შეგვიმცირდა (ზოგი ახალმა პარლამენტმა გამოუშვა ამნისტიით, ზოგიც – ძველმა პრეზიდენტმა შეწყალებით**) და ძველებმაც იცვალეს ფერი, სხვათა შორის, არა მხოლოდ პატიმრების მიმართულებით (შეგახსენებთ, რომ **პირველმა პირმა 2008 წლის ომის გმირებიც გაიხსენა და ავლანეთში დაჭრილებიც**, რომელთა **ვინაობა აქამომდე მკაცრად გასაიდუმლოებ-**

## როცა იგი აღარ გჭირდება

**ული იყო** ფართო და, როგორც დაინტერესებული, ისე გულგრილი **საზოგადოებისთვის**).

კერძოდ, გასულ **კვირას პრეზიდენტმა სენაკში ციხეში გარდაცვლილი 16 წლის პატიმრის ოჯახი მოინახულა**, მათ **მიუსამძიმრა** (ჰოი, საოცრება!) და, **როგორც ქვეყნის მართლაცდა ამაგდარს შეშვენის**, **მათგან დეტალური ინფორმაციაც მოისმინა**.

რადგან ვიცით, რომ **პირველი პირი უნდა იყოს, თუ მთლად „მაღალი, უხვი, მდაბალი...“ არა**, ამასთან **ოდნავ მიახლოებული**, უდავოა, ბ-ნმა **სააკაშვილმა როსტევანის ნაბაძვით იმოქმედა**, თუმცა, **რაკი მისი ქცევა საპრეზიდენტო დაისზე აისისაზე მოქცევისგან რადიკალურად განსხვავდება**, კვლავ **დასტურდება მწერლის მარად აქტუალური შეგონება**: **გამოცდილება მაშინ მოდის, როცა იგი აღარ გვჭირდება.**

# შრომაში დამალულები

## „როცა გეტყვი – „ი“, მაშინ გამოდი!“

უკვე მივეჩვიეთ, რომ **პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მთავრობას ხმალამოღებული ებრძვის** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხმალი, ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და კონკურენციას კიდევ უფრო მეტ ხიბლს ჰმატებს). სახელდობრ, გასულ კვირას ბ-ნი **ბარნოვი პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა,** რაკი **ამ უკანასკნელებმა ბრძანეს, უშიშროების საბჭოს სხდომას არ დავესწრებითო.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **უარი შემდეგნაირად გაიგო: „მთავრობის წევრებს არ აქვთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ არსებული პრობლემების გადაწყვეტაში**.“

იქვე **არც პოლიტიკური შეფასება დაგვამადლა**, რომლის **ლაიტმოტივიც ასეთია:** ბ-ნი ბარნოვისთვის გაუგებარია, რატომ აფასებენ **გაეროს ტრიბუნაზე პრეზიდენტის გამოსვლას „ბოდვა-მასკარადად**“, ხოლო, **საქმიან მიდგომად – „უსუსურ ბლუკუნს“** იმის შესახებ, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

ასეა თუ ისე, **პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ „დიდი საფრთხის წინაშე ვდგებით“** და **გულგატეხილია, რომ „მთავრობა იმალება“.** კვლავ ციტატას მოვიშველიებ: „ისინი გვემალებიან, რადგან **ჩვენ შევთავაზებთ ისეთ ხედვას, ისეთ გზას, რომლის შესრულების არც თავი, არც პასუხისმგებლობა, არც გამბედაობა და არც სინდისი ამ მთავრობას არ ჰყოფნის** (და მერე რა, რომ ხედვებისთვის ხორცშესასხმელად დრო თავზე საყრელად ჰქონდათ).

თუმცა, რაკი მისთვის **„დამალობანას“ მოტივი გაურკვეველია,** როგორც ჩანს, ყოველი შემთხვევისთვის, განმარტავს, რომ, **მთავრობას განა რინგზე, საერთო სივრცეში სათანამშრომლოდ იწვევენ.** მაგრამ, **გულდაკოდილია – „შრომაში გვემალებიანო“.**

ბუნებრივია, **ჩვენ არ ვუწყით, აუსრულდება თუ არა ბ-ნ ბარნოვს მთავრობასთან საერთო სივრცეში შერკინების სურვილი**, თუმცა, **თუ „დამალობანას“ პრინციპს გავიხსენებთ:** თუკი აქამომდე სრულიად წინა მთავრობა იმალებოდა, ვითომ, ტრადიცია რატომ არ უნდა გაგრძელდეს?! **რაც დანერგეს, იმას იმკიან,** ანუ, როცა გეტყვი – „ე“, არ გამოხვიდე!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20; 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# სხვისი ჯიბე

გასულ კვირას **ქრისტიან-დემოკრატებმა პარლამენტის მოქმედ წევრებს პარლამენტის ინიციატივა შესთავაზეს,** რაც წინა მოწვევის პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ბ-ნი ვეფხვაძის ბაგეებით გაგვიმჟღავნეს. კერძოდ, **ისინი ხალხის რჩეულთ ურჩევენ, რომ ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ დადგენილი საარსებო მინიმუმით, ანუ, 141 ლარად იცხოვრონ**. ამ შეთავაზების მოტივი კი იმის დადასტურებაა, რომ **საარსებო მინიმუმი 250 ლარამდე უნდა გაიზარდოს** (სწორედ ამას ეხება ქრისტიან-დემოკრატების საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც მათ საკანონმდებლო ორგანოს მიმართეს).

შესაბამისად, ბ-ნი **ვეფხვაძე გვპირდება, რომ, თუკი პარლამენტის წევრები შეძლებენ 141 ლარით ცხოვრებას, ისინი უკან**

## ცას – კიბე და ენას – ძვალი

**გაიხმობენ თავიანთ საკანონმდებლო ინიციატივას.**

ის, რომ **250 ჯობია 141-ს, შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია** და **არც ქრისტიან-დემოკრატების განზრახვის კეთილშობილებაში ეჭვის ხილული საფუძველი არსებობს,** რომ არა ერთი „მაგრამ:“ საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე სავსებით **გამჭვირვალეა ბ-ნი ვეფხვაძის შემოსავლები**, საიდანაც ვიგებთ, რომ **მან, როგორც მეშვიდე მოწვევის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, 2009 წელს წლიურ სადეპუტატო ხელფასად 65 676 ლარი აიღო, 2010 წელს კი – 69 732 ლარი**.

ასე რომ, როგორც ჩანს, **არა მხოლოდ ჩვენს პრეზიდენტს, მათაც გვიან ეწვია გამოცდილება,** ბუნებრივია, იმას გარდა, რომ **სხვა სხვის ჯიბეზეა ბრძენი.**

# გასამზითვებელი

## არგოთ სარგომ

მართალია, ჩემს **სოციალურსივრცელ ვირტუალურ მეგობრებს,** რომლებიც საქართველოს **პარლამენტში ეწევიან ქართველი კანონმდებლობის მძიმე, თუმცა, მსუყედ ანაზღაურებულ ჭაპანს**, შეკითხვით მივმართე, **რამდენად გამართლებული ჰგონიათ პარლამენტის რეგლამენტის ის მუხლი, რომელიც დეპუტატ მარიამ საჯაიას ერთი წლით სასწავლებლად წასვლისა და, ამის პარალელურად, საპარლამენტო ხელფას-პრივილეგიების უფლებას აძლევს,** მათ **პირში წყალი დაიგუბეს**, რაც მაფიქრებინებს, რომ ისინი **ეთანხმებიან (ეჭვი მაქვს, იმ იმედით, იქნებ ჩვენც ოდესმე ვიხეიროთო).**

ამასობაში კი, ოფიციალური ინფორმაციით, მაგალითად, **სექტემბერში სასწავლებლად ოკეანის გაღმა წასულმა ქ-ნმა საჯაიამ**, როგორც საქართველოს კანონმდებელმა, **ხელფასად 4 190 ლარი მიიღო** (სწორედ ამ თანხას იღებენ ჩვენი რიგითი რჩეულები), საიდანაც **2 000 თანამდებობრივი სარგოა**, **სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა 1 790-**ია, ხოლო **სატრანსპორტო მომსახურებისთვის დანამატი 400 ლარს შეადგენს.**

**2 000-ლარიანი თანამდებობრივი სარგოს გაცემას კიდევ გაიგებდა საქართველოს თვით ყველაზე შეჭირვებული მოქალაქე** (კანონის მოთხოვნააო), მაგრამ, აი, სრულიად გაუგებარია, **რა პრინციპით ეკუთვნის სადეპუტატო უფლებამოსილებისთვისა და ტრანსპორტირებისთვის გამოყოფილი თანხა** ამჟამად ოკეანის გაღმა მყოფს?! მაგრამ, როგორც ჩანს, **არ დაწვრილმანდნენ.**

ჰოდა, რაკი **არც წვრილმანდებიან და მათთვის უსვრია ერთად აღებულ ყველა „ავრორას“,** იქნებ, ჩვენც მოგვეჩხრიკა ჯიბეები და, **სანამ ქ-ნი საჯაია ცოდნას იღრმავებს და უშრომელ ხელფასსაც იგროვებს, მზითევი შეგვეგროვებინა**, რომ სამშობლოში დაბრუნებული **ორმაგად გაგვეხარებინა**?!

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# პატრულის არშინი

## ბიუჯეტის ტურისტები

რაკი **სტუმარი ღვთისაა, ტურისტი კი – ბიუჯეტის**, ბუნებრივია, რომ **ამ ჩვენს ქვეყანაში უცხონომრიანი ავტომანქანებიც მომრავლდნენ,** მათ შორის, **დედაქალაქშიც** (და, სულ სხვა საუბრის თემაა, რატომ დასრიალებენ თავმომწონედ ამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისნომრებიანი ავტოები).



მეორე მხრივ, **თვალშისაცემია, რომ მოძრაობის წესებსაც უხვად არღვევენ და საავარიო შემთხვევებსაც ქმნიან**, **რასაც,** ბუნებრივია, **ჩვენი საპატრულო პოლიცია „ვერ“ ამჩნევს,** თუმცა, **პირად საუბრებში განმარტავენ, რომ, ზეპირი დირექტივის თანახმად, ტურისტების ჩვენებური კანონებით შეწუხება აუკრძალეს**.

ხოლო, თუ **ჩვენივე შს მინისტრის შეგონებას გავიხსენებთ, ვინც არ დაარღვევს, არც დაჯარიმდებაო** (მოგეხსენებათ, პატრულის მიერ ექვს თვეში აკრეფილმა ჯარიმებმა ყველა რეკორდი მოხსნა) და იმასაც დავამატებთ, რომ **საქართველოს მოქალაქე პატრულთან მუდამ მტყუანია, უცხო ქვეყნის მოქალაქე – აპრიორში მართალი**, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში საამურად ცხოვრებისთვის (ჯარიმას **რომ გადაურჩე და დარღვევაც ხახვივით შეირჩინო),** სულ მცირე, **უცხო ქვეყნის მოქალაქე უნდა იყო**.

შესაბამისად, რაკი საქმეს ისეთი პირი უჩანს, **„ვინ თქვა, მოკვდა არსენაო“,** გამოდის, რომ, **„პატრულის არშინით“, თავის მოქალაქეს ართმევს, უცხოს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა**.

# ძუნწები

## ღვინო, დუდუკი და ბიუჯეტი

შესაძლოა, **იმიტომ, რომ შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და პირიქით**, შევიტყვეთ, რომ **საკრებულოს აწ უკვე ახალ უმრავლესობას რესტორანში წაუქეიფია** („მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა“). კერძოდ, ვირტუალურ სივრცეში გავრცელდა დოკუმენტი, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ **საკრებულოს აპარატს რესტორან „ნისქვილისთვის“ 7 238 ლარი გადაურიცხავს**.



იმ მარტივი მიზეზით, რომ ვირტუალურ სივრცეში ამ შეკრების ფოტოებიც გამოჩნდა, მათი მეშვეობით დგინდება, რომ **ბიუჯეტის ხარჯით გამართულ სმა-ჭამას დიდად შესარგს ესწრებოდნენ საკრებულოს პოლიტიკურად ფერნაცვალი თავმჯდომარე** ბ-ნი ხიშიაშვილი, ასევე **ფერნაცვალი** ბ-ნი **ხაჩირიშვილი** და **ალაგ-ალაგ ფერშეცვლილი** ბ-ნი **იონათამიშვილი** (ალბათ, სხვებიც, მაგრამ, მათი ვინაობა პირადად ჩემთვის უცნობია).

იმის გათვალისწინებით, რომ **უფრო ადრე მერიის თანხით დაფინანსებულ სტრიპტიზ-ბარში გართობას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია,** ბუნებრივია, **მხოლოდ „ღვინო და დუდუკი,“ ფონზე – „ღვინო, დუდუკი, ქალები“ – უდავო პროგრესია.**

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **საკრებულოს წევრებს არცთუ ურიგო ხელფასი აქვთ** (აი, იმდენი, ჩვენს პენსიონერებს თვით ყველაზე თამამ სიზმარშიც რომ არ დაესიზმრებათ წლიურ შემოსავლად) და, იმასაც დავამატებთ, რომ **ღარიბი ხალხის მდიდარ ხელისუფალს უკვე მივეჩვიეთ**, იბადება რიტორიკული კითხვა: **რატომ უჭირთ საკუთარ ჯიბეზე ხელის გაკვრა?!**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიუჯეტის დამტკიცება ვერ მოხერხდა და ამის გამო მთავრობის მუშაობა შეფერხდა. ამ ფაქტის გამო ჩვენს ჩრდილოეთით სიხარულის ზარები დაარისხეს, იმ იმედით, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ძლიერება შეირყევა. ბუნებრივია, ჩრდილოური სიხარული ნაადრევია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ოკეანის გაღმა პრობლემებია. რა ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და რა გავლენას მოახდენს იქ მიმდინარე პროცესები როგორც დანარჩენ სამყაროზე, ისე, ბუნებრივია, ჩვენზე, – ამ საკითხს სანდრო თვალჭრელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ შეიქმნა კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოახდენს თუ არა ეს გავლენას მსოფლიო ეკონომიკაზე და არის თუ არა ადეკვატური რუსეთის სიხარული



**ბარაქ ობამამ თავისი პირველივე ვადის დროს განაცხადა, რომ ამერიკის სოციალური უსაფრთხოების სისტემა იმდენად ცუდია, რომ მას ცოტა ხანში შეიძლება, მოჰყვეს სოციალური აფეთქება, სრული დეფოლტი და გაკოტრება**

**– რიტორიკული კითხვით უნდა დავიწყო: რა ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში?**

– თქვენ იცით, რომ ამერიკის პარლამენტი ორპალატიანია და შედგება კონგრესისა და სენატისგან. კონგრესში უმრავლესობა „რესპუბლიკელებს“ აქვთ, სენატში – „დემოკრატებს“. ბარაქ ობამამ თავისი პირველივე ვადის დროს განაცხადა, რომ ამერიკის სოციალური უსაფრთხოების სისტემა იმდენად ცუდია, რომ მას ცოტა ხანში შეიძლება, მოჰყვეს სოციალური აფეთქება, სრული დეფოლტი და გაკოტრება, რის ნიშნებიც შეიმჩნეოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. ბარაქ ობამას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა 100 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

**– ბანკებს რომ გამოუყვეს თანხა იპოთეკარების დასახმარებლად.**

– და ნახევარ წელიწადში მოახერხა ამ სისტემის სტაბილიზაცია, მაგრამ მეორე ვადის დროს მან გადაწყვიტა, გაეტარებინა სოციალური დაზღვევის სისტემის სრული რეფორმირება. ამას არ ეთანხმებიან „რესპუბლიკელები“, რომლებმაც ჩააგდეს ეს შესწორებები და კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ გადასცეს სენატს. სენატმა კი ჩააგდო. სენატს არ აქვს უფლება, დაამტკიცოს ის, რაზეც კონგრესმა უარი თქვა. მას შეუძლია, ის შესწორებები, რაც კონგრესში გავიდა დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს. ქვედა პალატამ ჩააგდო ობამას პროექტი, ცვლილებები შეიტანა, მაგრამ ზედა პალატამ არ დაამტკიცა და უკან დაუბრუნა. რადგან ბიუჯეტი არ დამტკიცდა, მთავრობა დაფინანსების გარეშე დარჩა და დაიწყო კრიზისი, რომელიც გამოიხატა საჯარო მოხელეების უხელფასო შვებულებაში გაშვებაში.

**– რატომ ჩააგდეს „რესპუბლიკელებმა“ ობამას პროექტი, რა იყო ასეთი მიუღებელი?**

– თქვენ იცით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური დაზღვევის სისტემას მთლიანად აკონტროლებს საპენსიო ფონდები, რომლებიც იმავდროულად ჩართულნი არიან ფულის მოგებაში. ამ ფულის მოგების ერთადერთი გზა არის საბირჟო ოპერაციები. ისინი თამაშობენ ბირჟაზე, ვაჭრობენ ნედლეულით და შეიძლება, მთელი ეს შენატანები ერთ დღეს ქარმა წაიღოს. აი, ამის წინააღმდეგ გამოდიოდა ბარაქ ობამა, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ საპენსიო ფონდებს არ აქვს უფლება, სხვისი შენატანები რისკის ქვეშ დააყენოს და ერთ დღესაც სრული დეფოლტის წინაშე აღმოჩნდეს ეს სისტემა, როგორც ეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს მოხდა. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ევროპულ სისტემას ამის უფლება არ აქვს და ბარაქ ობამას ევროპულ სისტემაზე გადასვლა უნდოდა. „რესპუბლიკელები“ თვლიან, რომ საპენსიო ფონდებს ამის უფლება უნდა ჰქონდეს. აი, ეს არის მთელი პრობლემა.

**– და რამდენ ხანს შეიძლება, გაგრძელდეს ეს ვითარება?**

– მგონია, ძალიან მალე მოგვარდება, ისინი მონახავენ საერთო ენას, იმიტომ რომ ამით ამერიკის შეერთებული შტატები ზარალდება.

**– ინფორმაცია ვრცელდება, რომ ამან უმუშევრობის დონე გაზარდა, თქვენი განმარტებით კი, ასე დრამატულადაც არ უნდა იყოს საქმე.**

– არ დარჩნენ უმუშევრად, გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, მაგრამ მაინც ყველაფერს აუნაზღაურებენ. ეს უფრო ფიარია. მართალია, არასასიამოვნო მდგომარეობაა, მაგრამ 7 წლის წინათ ასეთსავე ვითარებაში აღმოჩნდა მამა ბუში, ადრე – რეიგანი, ჯიმი კარტერი, მაგრამ ამერიკელები მაინც ყოველთვის თავის ქვეყანაზე ფიქრობენ და, რა თქმა უნდა, ამ კრიზისსაც მოაგვარებენ.

**– სანამ ისინი მოაგვარებენ ამ ლოკალურ კრიზისს, ის მსოფლიოზე მოახდენს გავლენას?**

– არ მგონია, რამე გავლენა მოახდინოს, ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდება. თუ არ მოგვარდა, დაიწყება ობამას იმპიჩმენტის პროცედურა.

**– რატომ იქაც ბიუჯეტის დამტკიცება-არდამტკიცებაზეა მიბმული მთავრობის, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის იმპიჩმენტი?**

– დეფოლტის წინაშე ვერ დააყენებს ობამა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

**– უარი რომ თქვას თავის პროექტზე?**

– ჩემი აზრით, ეს მისთვის პრინციპულია. მისი აზრით, თუ ამერიკამ ეს რეფორმები არ გაატარა, მომავალი არ აქვს და მე ვეთანხმები,

**ამერიკის პარლამენტი ორპალატიანია: კონგრესში უმრავლესობა „რესპუბლიკელებს“ აქვთ, სენატში – „დემოკრატებს“. სენატმა არ დაამტკიცა კონგრესის მიერ მიღებული ცვლილებები და ბიუჯეტის მიღება ვერ მოხერხდა**

მთლიანად სოციალურად დაუცველნი ხდებიან ამერიკის მოქალაქეები.

**– ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალიან დიდი საგარეო ვალი აქვს, უხერხული კი არის, საქართველოს მოქალაქე ვლაპარაკობდე ამას, მაგრამ ამ რეფორმის გატარების შემთხვევაში, აქვს ასეთი საგარეო ვალის პირობებში ამხელა სოციალური ტვირთის აწევის საშუალება?**

– რასაკვირველია, აქვს. ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნის ეკონომიკაზე.

**– იმიტომაც მოვიხადე ბოდიში.**

– ძალიან პარადოქსულ რამეს ვიტყვი: დეფიციტური ბიუჯეტი ძალიან კარგია ეკონომიკის განვითარებისთვის. ის ამუშავებს ძალიან საინტერესო ფინანსურ ინსტიტუტებსა და ინსტრუმენტებს, როგორიც არის ხანგრძლივი სახელმწიფო ვალდებულებები. როდესაც ქვეყნის ბიუჯეტს აკლია ფული, მთავრობა იღებს სესხს და ამ სესხის მაგივრად უშვებს პროცენტიან ფასიან ქაღალდებს. ეს ფასიანი ქაღალდები ქმნის ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარს, ხდება ამ ვალდებულებებით ვაჭრობა და ეს ამუშავებს ამ საბირჟო ინსტრუმენტებს. არადა, ჩვენ გვახსოვს, როგორ ამაყობდა სააკაშვილის მთავრობა პროფიციტული ბიუჯეტით. თუმცა ჯობია, მეტი ფული დახარჯოს, ვიდრე ბიუჯეტშია შესული. ეს აჯანსაღებს ეკონომიკას. მთავარია, ეს ვალი არ გადასცდეს რაღაც ზღვარს. ევროპული სისტემით, დასაშვებია ბიუჯეტის 3-პროცენტიანი დეფიციტი. ევროკავშირის ქვეყნები არც კი განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ ბიუჯეტი პროფიციტული იყოს და იმაზე მეტი გქონდეს, ვიდრე ხარჯავ. თანამედროვე საბანკო სისტემა მუშაობს კრედიტებზე და როდესაც მთავრობაა მევალე, ბანკისთვის ეს ძალიან კარგია, ისევე, როგორც ეკონომიკისთვის. ბანკი გასცემს 10-წლიან კრედიტს, იღებს პროცენტებს, თან გარანტირებულს, აბსოლუტურად უხიფათოს და ურისკოს.

**– ჩვენთან ბანკებს ადრეც გაუციათ ურისკო კრედიტები და ახლაც გასცეს ფონდის გარანტიით აგროკრედიტები, საიდანაც 9 პროცენტს დაფარავს ეს ფონდი.**

– 8-9 პროცენტს ფარავს ფონდი, დანარჩენს – სესხის ამღები. კრედიტის დაფარვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო. თუმცა ეს მაინც ბანკის რისკია, თუმცა ბანკი ნებისმიერ შემთხვევაში ითხოვს გარანტიას და უძრავი ქონების შემთხვევაში, 3-4-ჯერ იაფად აფასებენ.

**– როგორც ექსპერტები ამბობენ, იმდენად არაადეკვატურია იპოთეკური კრედიტისას გარანტიად ჩადებული ქონების ღირებულება, რომ ბანკები უფრო მოგებულები რჩებიან, თუ კლიენტი სესხს ვერ გაისტუმრებს და მოხდება მისი ქონების რეალიზაცია.**

– ცოტა აფერისტული მეთოდით მუშაობს ბანკები, მაგრამ არსებობს სხვა ფონდებიც. მაგალითად, თანადაფინანსების 6-მილიარდიანი ფონდი, რომელიც ბიზნესის სულ სხვა მოდელს განიხილავს. ისინი გასცემენ გარანტიას, რომ დაიფარება კრედიტი და თვითონაც იღებენ მონაწილეობას, როდესაც დაიფარება კრედიტი, თავის წილს გაჰყიდიან. შექმნიან მეორად ბაზარს. ეს ძალიან კარგი მოდელია.

**– ავუხსნათ მკითხველს უფრო დეტალურად, როგორ იმუშავებს თანადაფინანსების ფონდი?**

– ფონდი არის არამომგებიანი, ის დაფუძნებულია ბევრი კომპანიის მიერ იმისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ისინი აკეთებენ 35 პროცენტიდან 70 პროცენტამდე ინვესტიციას, დანარჩენი უნდა დაფაროს სხვა ინვესტორმა. როდესაც ასეთი ფონდი არსებობს, რისკი იმისა, რომ ინვესტიცია დაიკარგება, არის მინიმალური, იმიტომ რომ ფონდის დამფუძნებელია ბიძინა ივანიშვილი. ვთქვათ, არის ქარხნის, პორტის აშენების პროექტი. მრავალმილიარდიანი ფონდი ამაში იღე-

# ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული მკურნალის 24-წლიანი გამოცდილება, რომელიც კვლავ სასწაულებს ახდენს


თინათინ მაჩაიძე

**სახეზე შინაგანი წუხილი გეტყობათ? ჯანმრთელობამ გიღალატათ? საერთოდაც, ხელი ხომ არ ჩაიქნიეთ მომავალ ცხოვრებაზე?! მკურნალობთ და შედეგს ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეთ? მაშინ, მიიღეთ ჩვენი კეთილი რჩევა და მიაკითხეთ ოცდამეერთე საუკუნის აღიარებულ პროფესიონალ ექიმ-ბიოენერგოთერაპევტს, სახალხო მკურნალს, უძლიერეს ფსიქოანალიტიკოსს, ქალბატონ თინათინ მაჩაიძეს, რომელიც კვლავ განაგრძობს პაციენტების მიღებას. იგი მუშაობს 24-წლიანი უნიკალური, განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით და უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ, დაღლილ და უიმედო პაციენტებს. მკურნალობს ნევროზსა და ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემას. აქვე შეგახსენებთ, რომ, არ არსებობს დაავადება, რომელიც არ არის დაკავშირებული ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან.**

**მაშასადამე, ისღა დაგრჩენიათ, საკუთარ თავზე გამოსცადოთ მისი მკურნალობის უსწრაფესი შედეგი, რომელიც პირველივე დღიდან იწყება. ამას ადასტურებს განკურნებული პაციენტების უამრავი სამადლობელო წერილი.**

**თინათინ მაჩაიძის პაციენტები:**

**ნინა ინწკირველი** ***(36 წლის, პედაგოგი):*** ქალბატონ თინასთან ჩემი მეზობლის წყალობით მოვხვდი. ეს ბედის საჩუქარი იყო, რადგან, არ ვიცი, რა მეშველებოდა მისი დახმარების გარეშე. ალბათ, იქამდე მივიდოდი, რომ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი. ჩემი პრობლემა იყო მწვავე ნევროზი – აკვიატებული შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, დეპრესია... რა ვიცი, კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ნევროზის არსებობა, ჩვენი ყოველდღიურობიდან გამომდინარე, მოგეხსენებათ, არავის უკვირს, მაგრამ, საკუთარ თავზე მისი გამოცდა, მერწმუნეთ, საშინელებაა. თინა ექიმმა ამქვეყნად დამაბრუნა, რასაც სულ რამდენიმე სეანსი მოანდომა. ულრმესი მადლობა, ჩემო გადამრჩენელო!

**ნიკოლოზ გელაშვილი** ***(49 წლის, იურისტი):*** საკუთარ თავზე დიდხანს საუბრით თავს არ შეგაწყენთ, გეტყვით, რომ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოვხვდი ქალბატონ თინათინთან, სხვათა შორის, თქვენი ჟურნალის მეშვეობით. მქონდა ნერვის ანთება და რადიკულიტიც დამემატა, რასაც საშინელი ტკივილებიც ახლდა. ჯერ თავს ისევ ახალგაზრდად მივიჩნევ, მაგრამ, ტკივილებმა ყველაფრის ხალისი დამაკარგვინა და იმედი გამიქრო, თინა ექიმმა კი თავისი ჯადოსნური ხელებით და მკურნალობის მეთოდით სასწაული მოახდინა და თითქოს ხელახლა დავიბადე. გაიხარეთ, ქალბატონო თინათინ!

**ქეთევან ფირცხალავა** ***(55 წლის, დიასახლისი):*** მე ჩემმა გასაჭირმა, კუჭ-ნაწლავის და ნაღვლის ბუშტის პრობლემებმა მიმიყვანა თინა ექიმთან. უკვე წლებია, ვმკურნალობ სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ, საშველის რა მოგახსენოთ. ამდენმა დიეტამ და არასწორად დანიშნულმა უამრავმა წამალმა უარეს დღეში ჩამაგდო. ქალბატონმა თინათინმა კი შეუძლებელი შეძლო და მკურნალობის პირველივე კურსის შემდეგ თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. მადლობის მეტი რა მეთქმის!

**თამუნა ახობაძე**

**მიღება წინასწარ ჩაწერით ტელეფონებზე:**
**2-35-18-68; 599-58-69-47, 555-12-78-30, 593-38-26-13.**

ბს მონაწილეობას, ხორციელდება პროექტი, იწყებს მოგების შემოტანას. 5 წლის შემდეგ, როცა დაიფარება ეს კრედიტი, ფონდი ამ პროექტში თავის წილს, იქნება ეს 30 თუ 70 პროცენტი, ასხვისებს. მათ შორის, ასეთი მოდელიც არის: ფონდი გამოუშვებს აქციებს, რომლებსაც მოსახლეობა შეიძენს. მიღებული ფული ინვესტორების ჯიბეში არ მიდის, არამედ, რჩება ფონდის საბრუნავ საშუალებებში და იხარჯება სხვა პროექტების განხორციელებაზე. მეორე: აღმოჩნდა, რომ საქართველოში ბიზნესმენებს არ აქვთ ფული, რომ გააკეთონ პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება, იმიტომ რომ, პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, ეს ჯდება, სულ მცირე, 500 000-დან, რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარამდე. ფონდი ამასაც თავის თავზე იღებს. ძალიან მოქნილი სისტემაა. ასეთი შესაძლებლობა საქართველოს არასდროს ჰქონია თავისი დამოუკიდებლობის 22 წლის განმავლობაში.

**– მესმის, რომ ფონდში მონაწილეობას იღებენ ბიზნესმენები, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩვენი ბიზნესი, ნუ მიწყენენ, მიჩვეულია კორუფციულ გარიგებებს, არის კორუფციის საფრთხე?**

– ჩვენ საქმე არ გვექნება ჩვენს ბიზნესთან. ჯერ ერთი, ფონდი გამჭვირვალეა, მზად არის აუდიტისთვის, რომელსაც განახორციელებენ საერთაშორისო კომპანიები, შემდეგ, ვინაიდან ეს არის თანადაფინანსების და არა დაფინანსების ფონდი, არც ერთი უცხოელი ინვესტორი „შავ" გარიგებებზე არ წავა.

**– საქართველო არის იმ მასშტაბის ბაზარი, რომელიც იძლევა მილიარდობით ფულის ბრუნვის საშუალებას და კიდევ არაერთი მილიარდის მოგების მოტანას?**

– რასაკვირველია, არის. მაგალითად, თუ ჩვენ ავაშენებთ ანაკლიის პორტს, ტვირთბრუნვა იქნება, დაახლოებით, 110 მილიონი ტონა წელიწადში და ეს არ იქნება მხოლოდ საქართველოს ტვირთები. ასე რომ, ეს არის საერთაშორისო ბიზნესი. ასევე, სოფლის მეურნეობის ბიზნესი ორიენტირებული იქნება ექსპორტზე. ხალხი, რომელმაც ეს ფონდი დააარსა, ღარიბი ხალხი არ არის, მერწმუნეთ, მათ დიდი ფულის მოგება არ სჭირდებათ, არც ბიძინა ივანიშვილს, არც ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, მათ უნდათ ნორმალური ბიზნესის წარმოება, წლიური 1-2-პროცენტიანი მოგება მათთვის აბსოლუტურად ხელსაყრელია. მათ არ აქვთ გამდიდრების მიზანი, უკვე მდიდრები არიან, მათ აქვთ მიზანი, რომ ფული, რომელიც აქვთ, მოემსახუროს ბიზნესის განვითარებას და ამით დაიფაროს ოპერაციული ხარჯები, რათა ამ ფულის მოცულობა არ შემცირდეს და მიიღონ ზუსტად ისეთი მოგება, რაც დაფარავს დევალვაციას.

**– ისევ ამერიკას დავუბრუნდები: ძალიან დრამატულად აშუქებს რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ამ პროცესს.**

– ამერიკელებს რამდენიმე გამოსავალი აქვთ, მათ შორის, დაწიონ საერთაშორისო ფასები ნავთობზე. ნუ გვავიწყდება, რომ სანედლეულო ბაზარი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებში მუშაობს. მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება, მთლიანად შეცვალოს ფასები სანედლეულო ბაზებზე. მათ შორის, აშშ-ის აქვს ნავთობის მრავალასეულმილიონიანი სახელმწიფო რეზერვი. შეუძლიათ, ეს რეზერვი აამუშაონ და ფასები კატასტროფულად დავარდება, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ბუშმა. მაგრამ ამერიკელები ახლა ამას არ აკეთებენ, იმიტომ რომ სწორედ ამან გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, დღეს კი რუსეთზე ზეწოლა ხავერდოვნად სჭირდებათ. რუსეთს ცოტა თავში აუვარდა სირიასთან, საქართველოსთან მიმართებაში და ახლა დადგა დრო, როდესაც მან პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებებზე, განსაკუთრებით, სირიაში მიმდინარე პროცესების გამო და ბარაქ ობამა ნამდვილად გააკეთებს ამას, ოღონდ არა ისე სულელურად, როგორც თავის დროზე ბუშმა გააკეთა, არამედ, ხავერდოვნად და მდგრადად. რუსეთზე ზეწოლა იქნება ძალიან დიდი. იცით, არა, სირია რისთვის სჭირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს?! სირია ეწინააღმდეგება ყატარიდან გაზსადენის მშენებლობას, არ ატარებს ყატარის გაზს. ეს არის მათი ტრაგიკული შეცდომა.

**– პუტინისთვის სირიაში მშვიდობის მტრედობის გამო ნობელის მშვიდობის პრემიის მისანიჭებლად აფხაზები ძალიან აქტიურობენ.**

– აფხაზები არ წყვეტენ.

**– მესმის, მაგრამ ფრანგებმაც დაიწყეს ხელმოწერების შეგროვებაო.**

– რატომღაც, ჰგონიათ, რომ მემარცხენეები არიან პუტინის მტრები, არადა, პირიქითაა, „დემოკრატები" გაცილებით უფრო ხისტები არიან რუსეთთან მიმართებაში. თქვენ გახსოვთ, რა ხისტ პოლიტიკას ატარებდა ფრანსუა მიტერანი რუსეთთან მიმართებაში და ზუსტად ასეთივე პოლიტიკა დაიწყო ფრანსუა ორლანდმა. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთი მკვეთრად ეწინააღმდეგება რუსეთის პოზიციას სირიასთან მიმართებაში და საერთაშორისო სარბიელზე ყოველთვის რუსეთის წინააღმდეგ გამოდის, ამიტომ არ მგონია, ისე იყოს, რომ საფრანგეთი მხარს უჭერდეს რუსეთს. არსებობს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მინიშნება: ეშტონის გამოსვლა საქართველოსთან მიმართებაში და, რაც მთავარია, ამერიკის ელჩის, ნორლანდის გამოსვლა, როდესაც მან ბოდიში მოიხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მიაქცია საქართველოს სათანადო ყურადღება და ამითაა გამოწვეული მავთულხლართების გაბმა, გამოვსწორდებით და სხვანაირ პოზიციას დავიჭერთო. რუსები, რა თქმა უნდა, ჩაატარებენ სოჭის ოლიმპიადას, მაგრამ ნუ გგონიათ, რაც ხდება, ამას არ აქცევენ ყურადღებას.

**ნინო ხაჩიძე**

**მართალია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში საწვავის ფასი 20-25 თეთრით გაიაფდა, თუმცა კვლავაც უცნობია, რა პრინციპით ადგენენ ჩვენებური ნავთობიმპორტიორები ბენზინისა თუ დიზელის საცალო ფასს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ეს პროცესი სავსებით გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ამჯერად სხვა თემაზე შევჩერდებით: ექსპერტების გათვლებითა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის მიხედვით, დასტურდება, რომ საქართველოში ნავთობის კონტრაბანდა არსებობდა (არსებობს თუ არა ის 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან, მას შემდეგ შევიტყობთ, რაც „საქსტატი“ 2013 წლის მონაცემებს გამოაქვეყნებს). მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებით, იტალიის საბაჟოდან გამოთხოვილი დოკუმენტაციით, 2009 წელს საქართველოში იტალიიდან 40 მილიონ ლიტრზე მეტი ბენზინი გამოემართა, თუმცა საქართველოს შემოსავლების სამსახურის ცნობით, იქიდან ჩვენს საზღვრამდე მხოლოდ 20 მილიონამდე ლიტრმა მოაღწია. 2010 წელს 38 მილიონ ლიტრამდე ბენზინი წამოვიდა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ 20-მა მილიონმა ლიტრმა ჩამოაღწია. იგივე სურათი იყო 2011 წელსაც. ანალოგიური ვითარებაა ბულგარეთთან იმპორტირებულ საწვავთან მიმართებაშიც: ბულგარეთის საბაჟო სამსახურის მონაცემებით, 2009 წელს ბულგარეთიდან საქართველოში 210 მილიონი ლიტრი ბენზინის ექსპორტი განხორციელდა, საქართველოს შემოსავლების სამსახურის დოკუმენტაციით კი, საქართველოში 75 მილიონ ლიტრამდე ბენზინია იმპორტირებული. 2010 და 2011 წლებშიც, დაახლოებით, იგივე ხდებოდა. კიდევ რა ვერსიები ამტკიცებს საქართველოში საწვავის კონტრაბანდის არსებობის ფაქტს, – თემას ეკონომიკის ექსპერტ თემურ კოპალეიშვილთან ერთად განვიხილავთ, კონკრეტული ნავთობიმპორტიორების დასახელებისგან კი თავს შევიკავებთ.**

# სად ორთქლდება იტალიიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებული საწვავის ნახევარი საქართველოში ჩამოღწევამდე

**– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემები ბადებს ეჭვს, რომ საქართველოში საწვავის კონტრაბანდა არსებობდა?**

– არათუ ეჭვს ბადებს, ფაქტობრივი მასალაა, რომ რეალურად არის კონტრაბანდა. ამას სხვა ახსნა არ შეიძლება, ჰქონდეს.

**– შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ იქიდან კი წამოიღეს ბევრი, მაგრამ საქართველოში დარჩა ნაწილი, დანარჩენი სხვა ქვეყნებში გავიდა, ანუ საქართველომ სატრანზიტო ფუნქცია შეასრულა?**

– თუ ტვირთი ტრანზიტით გადის საქართველოში, ბულგარეთისა და იტალიის საბაჟოების დოკუმენტაციაში საბოლოო პუნქტად არ იქნება მითითებული საქართველო. თუ, მაგალითად, საწვავის ნაწილი გავიდა სომხეთში, სომხეთი უნდა ყოფილიყო მითითებული. ტრანზიტი აღირიცხება, რადგან ტრანზიტი და რეექსპორტი არ იბეგრება. სხვათა შორის, დიდი ხანია, მაქვს ეს ეჭვი. ისე მოხდა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ უცბად შეწყდა ლაპარაკი კონტრაბანდაზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მკვეთრად გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები. მანამდე კონტრაბანდას იმიტომ ვაქცევდით ყურადღებას, რომ ბიუჯეტში შემოსავლები არ გვყოფნიდა და ამის ასახსნელი ერთ-ერთი მიზეზი იყო სწორედ კონტრაბანდა, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებთან ერთად. შევარდნაძის პერიოდში, 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანის დასაწყისში ვლაპარაკობდით, რომ ორი ჯგუფის საქონელზე – ნავთობპროდუქტები, ფქვილი და ხორბალი, იყო ყველაზე მსხვილი კონტრაბანდა. მაგალითად, ხორბლის კონტრაბანდის მოცულობა ყოველდღიურად 50-ვაგონიანი ეშელონი იყო.

**– გარდა ლაპარაკისა, რით მტკიცდებოდა ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის არსებობა იმ წლებში?**

– 1990-იანი წლებში „იუსაიდის“ დაფინანსებით გვეხმარებოდა ეგრეთ წოდებული ბარენცის ჯგუფი. სწორედ ამ ჯგუფმა 1997 წელს შეისწავლა საქართველოში ფაქტობრივად მოხმარებული საწვავის, დიზელისა და ბენზინის რაოდენობა და, ასევე, სიგარეტის მოხმარება. მოვიყვან ციფრებს: 1997 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული იყო 450 000 ტონა ბენზინისა და 250 000 ტონა დიზელის იმპორტი. მაგრამ ბარენცის ჯგუფის დასკვნით და ჩვენ ვეთანხმებოდით იმ დასკვნას, ბენზინის ფაქტობრივი მოხმარება უნდა ყოფილიყო 600 000 ტონა, ხოლო დიზელის – 400 000 ტონა. ესე იგი, 150 000 ტონა ბენზინი და, დაახლოებით, ამდენივე დიზელის საწვავი შემოდიოდა კონტრაბანდულად. ამ მონაცემზე შევთანხმდით და ის სადავოდ არავის გაუხდია. გასათვალისწინებელია, რომ მაშინ საქართველოს ავტომანქანების პარკი, დაახლოებით, 300 000 ერთეული იყო.


ხორბლის კონტრაბანდის მოცულობა ყოველდღიურად 50-ვაგონიანი ეშელონი იყო

**– აქვე მოვიტან ავტოპარკის ახალ მონაცემებს: შსს-ს ცნობით, ამჟამად მანქანების ავტოპარკი 2,5-ჯერაა გაზრდილი.**

– დიახ, 2011 წლის ჩათვლით, ქვეყანაში რეგისტრირებულია 745 232 ავტოსატრანსპორტო საშუალება, 2010 წელს 693 387 იყო, 2009 წელს – 647 209. ავტოპარკის წლიური ზრდის მაჩვენებელი კი 9,6 პროცენტია. დიზელის საწვავზე, შსს-ის ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მხოლოდ 4,3 პროცენტი მუშაობს, დანარჩენები ბენზინს მოიხმარენ. ასევე, ცნობილია, რომ ავტოპარკის საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი, 328 204 ავტომანქანა, 20 წელზე მეტი ასაკისაა. ავტოპარკის 65,7 პროცენტს შეადგენს მსუბუქი ავტომანქანები, 17,5 პროცენტს – „ჯიპები,“ 9,8 პროცენტს – სატვირთო, ხოლო 6,6 პროცენტს – სამგზავრო ავტომანქანები.

**– ავტომანქანების ნაწილი გაზზე მუშაობს. ეს ფაქტი ოდნავ მაინც არ ამსუბუქებს კონტრაბანდის ვერსიას?**

– ამჟამად ქვეყანაში მოძრაობს 669 000 ავტომანქანა, რომელიც, ძირითადად, ბენზინს უნდა მოიხმარდეს. არის კიდევ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს მსჯელობაში. კერძოდ, ავტომანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა გადავიდა გაზზე და, შესაბამისად, ბენზინის მოხმარებას უნდა მოეკლო. მაგრამ, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს დავეყრდნობით, ჩვენი ავტოპარკის 17 პროცენტი მოდის „ჯიპებზე,“ რომლებიც 60-70 პროცენტით მეტ ბენზინს მოიხმარენ, ვიდრე მსუბუქი ავტომანქანები. ამდენად, ეს გაათანაბრებს იმ მანქანების რაოდენობას, რომლებიც გაზზე მუშაობენ. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის აღრიცხული გაზზე მომუშავე მანქანების რაოდენობა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არ იქნება 10 პროცენტზე მეტი. ამ 10 პროცენტს კი, მოხმარებული ბენზინის რაოდენობით, „ჯიპები“ და დიდი სამგზავრო ავტომანქანები გადაფარავენ.

**– თუ ამ 10 პროცენტს დავაკლებთ, მაინც შთამბეჭდავი ციფრი გამოდის – 600 000 ავტომანქანა, რაც 1997 წლის ავტოპარკზე 2-ჯერ მეტია.**

– დიახ და არის კიდევ ერთი ფაქტორი: 1997 წელს მოსახლეობა ძალიან გაჭირვებული იყო და ამიტომ ავტომანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაჩერებული ჰყავდათ. ყველა ვერ დადიოდა მანქანით და მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას გამოჰყავდათ. შედარებისთვის სხვა მაგალითსაც მოგიტანთ: მე მაშინ პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და ჩემი ხელფასი იყო 165 ლარი. ამჟამად დეპუტატს დანამატის გარეშე 3 000 ლარი აქვს ხელფასი. წარმოიდგინეთ, როგორი სხვაობაა. 2000 წლიდან ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობდი და ჩემს დეპარტამენტში მუშაობდა ხალხი, რომელთა ხელფასი 39 ლარი იყო; დღეს კი, მოგეხსენებათ, საჯარო სექტორშია ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხელფასი.

ასე რომ, ავტომანქანების დიდი რაოდენობა, მართლაც, გაჩერებული ჰყავდათ, მაგრამ ვიცით, რამდენ ბენზინს მოიხმარდნენ: ოფიციალურად, როგორც გითხარით, აღრიცხული იყო 450 000 ტონა ბენზინის იმპორტი და ისიც ვიცით, რომ კიდევ 150 000 ტონა უნდა ყოფილიყო ეგრეთ წოდებული „ლევად“ შემოტანილი ბენზინი. თუ ვინმე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ 1997 წელს კონტრაბანდა არ გვქონდა, ეს უბრალოდ არასერიოზული იქნება.

**– შევადაროთ საწვავის იმპორტის სხვა წლების მაჩვენებლებს.**

– „საქსტატის“ 2009 წლის მონაცემით, საქართველოში იმპორტირებული იყო 467 000 ტონა ბენზინი, მაშინ, როდესაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ავტოპარკის საშუალო წლიური ზრდა არის 9,6 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ 1997 წლის მაჩვენებელი – 450 000 ტონა – უნდა გაზრდილიყო. ეს მონაცემი საშუალებას მაძლევდა, მევარაუდა, რომ გვქონდა კონტრაბანდა, მაგრამ ამაზე არავინ არაფერს ამბობდა. გასულ წელს გამოქვეყნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევა, რომელშიც ჩანს, რომ ბულგარეთიდან წამოსულია გარკვეული რაოდენობის საწვავი, მაგრამ საქართველოში შემოსულია იმის ნახევარი; ისევე, როგორც იტალიიდან წამოსულია გარკვეული რაოდენობის საწვავი, მაგრამ აქ შემოსულია იმის ნახევარი. კვლევაში ნათქვამია, რომ ეს ტვირთები წამოღებული აქვთ ნავთობკომპანიებს, რომლებიც ხელისუფლებასთან დაახლოებულებად აღიქმებოდა. ხელისუფლებასთან დაახლოება რად უნდათ იტალიასა

გარემოს დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო შარაშიძე 1971 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ში აქვს მიღებული, კერძოდ, ეკონომიკის ფაკულტეტზე და ეკონომიკური მეცნიერების მაგისტრია. რაკი გარემოს დაცვის საიტზე არ არის განთავსებული მისი დეტალური შრომითი ბიოგრაფია, ჩვენ არ ვიცით, როგორ დახელოვნდა პროფესიით ეკონომისტი გარემოს დაცვით საკითხებში. თუმცა სამინისტროს საიტზე მითითებულია, რომ ქ-ნ შარაშიძეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს და ის სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდა (მე უფრო პროზაულად ვიტყოდი – მუშაობდა) სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. სახელდობრ, გარემოს დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეობამდე ჟენევაში გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ტრანსპორტის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის პანევროპული პროგრამის მენეჯერი იყო. აგრეთვე, საიტი გვამცნობს, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე 15-წლიანი მუშაობის განმავლობაში, ნინო შარაშიძე კოორდინაციას უწევდა რიგ საერთაშორისო გარემოსდაცვით პროცესებს საქართველოში.

უფრო დეტალურ ინფორმაციას ქ-ნი შარიშიძის საქმიანობის შესახებ გვამცნობს საჯარო სამსახურის ბიუროს საიტი. კერძოდ, აწ გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს თავისი პირველი დეკლარაცია 2005 წელს შეუვსია, როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს მონიტორინგისა და სტატისტიკის სამსახურის სამმართველოს უფროსს. ოჯახის წევრებად კი მიუთითებდა მეუღლეს, გიორგი ჟვანიას და 1994 წელს დაბადებულ ვაჟს, ბექას. იმ დროს ქ-ნი შარაშიძის ყოველთვიური ხელფასი 700 ლარს შეადგენდა.

# როგორ დაუჯდა გარემოს დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს 60 000 ლარი 30 000 ჰექტარზე გაშენებული ვენახის მოვლა

მინისტრის პირველი მოადგილს აწ პარლამენტის წევრი მეუღლე გიორგი ჟვანია 1992-1994 წლებში სტაჟიორად მუშაობდა ფიზიკის ინსტიტუტში, 1994-1996 წლებში – „აიეტი ტივის" მემონტაჟედ, 1996 წელს – გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალიტსად, 2000 წლიდან კი შპს „ბი ემ სის" დამფუძნებელია.



კერძო საკუთრებას, 2005 წლის დეკლარაციის მიხედვით, მხოლოდ ქ-ნი შარაშიძე ფლობდა: მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლს თბილისში, ზოვრეთის ქუჩაზე; მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლს ჩოხატაურის რაიონში და 1991 წელს გამოშვებულ ავტომანქანა „ვექტრას". დეკლარაციის შევსების დროს ნინო შარაშიძეს 3 000 აშშ დოლარი ჰქონდა, გიორგი ჟვანიას – 3 000 ევრო.

რიგით მეორე და ჯერჯერობით ბოლო დეკლარაცია ქ-ნმა ნინო შარაშიძემ 2012 წელს შეავსო, როგორც გარემოს დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ. საიდანაც ვიგებთ, რომ 2006 წელს მეორე ვაჟი, ზურაბი შესძენიათ. რაც შეეხება უძრავ ქონებას: კვლავ ნინო შარაშიძის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი ზოვრეთის ქუჩაზე, ასევე, მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი ჩოხატაურის რაიონში; გიორგი ჟვანიას საკუთრება კი – მიწის ნაკვეთი მანგლისში (1 645 კვ. მ ფართობის) და იქვე მშენებარე საცხოვრებელი სახლი (280 კვ. მ ფართობის); ამას გარდა, 30 000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში.

გიორგი ჟვანია შპს „ბი ემ სის" პარტნიორია და ამ საქმიანობამ 2011 წელს მას 96 400 ლარი მოუტანა. ასევე, არის შპს BOSSNER-ისა და გერმანიაში რეგისტრირებული Tibaneli GmbH-ის პარტნიორი, თუმცა ამას მისთვის არანაირი შემოსავალი არ მოუტანია. ამჟამად 2012 წლის ოქტომბრიდან საქართველოს პარლამენტის წევრია, თუმცა ქ-ნი შარაშიძის მიერ შევსებულ ქონებრივ და საფინანსო დეკლარაციაში ეს ფაქტი მითითებული არ არის.

გასულ წელს ქ-ნი შარაშიძე გაეროს გარემოს დაცვის ოფიცრად მუშაობდა და მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 55 000 შვეიცარიული ფრანკი შეადგინა (დაახლოებით, 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი).

გასულ წელს გიორგი ჟვანიას 3 800 აშშ დოლარამდე დასჯომია იპოთეკური სესხისა და საკრედიტო ბარათის მომსახურება. სხვა გასავალიც ჰქონდა: კერძოდ, 60 000 ლარი დაეხარჯა ვენახის მოვლაზე.

**ნინო ხაჩიძე**

---

და ბულგარეთში?! ხელისუფლებასთან დაახლოება სჭირდებათ საქართველოში, რომ აქ შემოტანისას მოახდინონ გავლენა საბაჟოზე და შემოიტანონ განუბაჟებელი ტვირთი გადასახადების გადახდის გარეშე.

ესე იგი, ავტოპარკი გაიზარდა თითქმის ორჯერ, მოსახლეობის ცხოვრების დონე მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებულია და, ფაქტობრივად, გაჩერებული მანქანები არ არის: მათი გაჩერების მიზეზი ის იყო, რომ პატრონებს არ ჰქონდათ ფული. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ სერიოზული კონტრაბანდაა.

მოგახსენებთ საქართველოს საბაჟოდან გამოთხოვილ ციფრებს, რომლებიც ეხება 2009-2011 წლებს, მათი მონაცემები, რატომღაც, ლიტრებშია: მაგალითად, 2009 წელს, ჩვენი საბაჟოს მონაცემებით, 467 000 ლიტრი ბენზინია შემოსული, 2010 წელს – – 436 000 ლიტრი, 2011-ში – 402 000 ლიტრი.

რა გამოდის? ქვეყნის ავტოპარკის მოცულობა იზრდება, იმპორტირებული საწვავის ოდენობა კი არათუ იგივე რჩება, მცირდება კიდეც. საბაჟო სამსახურს დიაგრამებით აქვს ეს მონაცემები გამოსახული და ჩემს სტუდენტებს ყოველთვის ვაჩვენებ, როგორც თვალსაჩინოებას.

**– ასე რატომ გარისკავდნენ?**

– დარწმუნებული იყვნენ, რომ არავინ არაფერს იტყოდა და ვერც ვერავინ ვერასდროს შეამოწმებდა. თუმცა არის მეორე მეთოდიც, რომელიც დაგვეხმარება, დავადგინოთ მაინც რამდენია ჩვენს ბაზარზე კონტრაბანდული საწვავი. ავიღოთ მანქანების რაოდენობა, ანუ 600 000. რამდენ ლიტრ ბენზინს მოიხმარს საშუალოდ თითო ავტომანქანა? თვეში 100-150 ლიტრს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი ფაქტორიც: ჩვენი ავტოპარკის ძალიან დიდ ნაწილს შეადგენს ძველი, ანუ 20 და მეტი ასაკის ავტომანქანები, რომლებიც, ბუნებრივია, მეტ ბენზინს წვავენ. დღიურად მოხმარებული ბენზინის საშუალო რაოდენობად ვიანგარიშოთ 5 ლიტრი. ავიღოთ 100 კილომეტრზე საშუალოდ 10 ლიტრი ბენზინის ხარჯი, გავამრავლოთ 365-სა და ავტომანქანების რაოდენობაზე. ეს მონაცემი კოეფიციენტით გადავიყვანე ტონაში და ასეთი გაანგარიშებით ჩვენ ყოველწლიურად ბენზინის, დაახლოებით, 900 000-ტონიანი მოხმარება უნდა გვქონდეს. ოფიციალური მონაცემებით კი, ჩვენ ამის ნახევარს მოვიხმართ. ჩემი ვარაუდით, საწვავის 40 პროცენტი მაინც კონტრაბანდაა.

რამდენიმე წლის წინათ, კერძოდ, 2005 წელს ხორბლისა და ხორბლის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციას ჰქონდა პრობლემა, რომ დიდი რაოდენობით შემოდიოდა ხორბლისა და ფქვილის კონტრაბანდა, რადგან ძალიან იაფად იყიდებოდა იმპორტირებული ფქვილი თბილისში. შეხვედრებიც კი მოეწყო პროვაიდერებთან, მაშინ ნოღაიდელი იყო პრემიერ-მინისტრი, თავდაპირველად, გორის წისქვილკომბინატში, სადაც ვუთხარი, რომ დაახლოებით, 40 პროცენტი იყო ფქვილის კონტრაბანდა. მეორე დღეს თბილისში, „მერიოტში" უნდა გამართულიყო შეხვედრა და დავპირდი, რომ მონაცემებს ვაჩვენებდი. პრეზენტაციაზე წარვადგინე მონაცემები: საქართველო წლის განმავლობაში მოიხმარდა 800 000 ტონამდე პურს, შესაბამისად, ამას სჭირდებოდა ხორბალი, საქართველო კი იმ წლებში, მაქსიმუმ, 200 000 ტონა ხორბალს აწარმოებდა, საიდანაც სასურსათო ხორბალი 80 000-100 000 ტონაზე მეტი არ იყო. ანუ ყოველწლიურად ხორბალზე გადაანგარიშებით უნდა შემოგვეტანა 600 000-დან 700 000 ტონამდე. ეს მონაცემები მივუტანე ნოღაიდელს. არც უკამათია ჩემთან, საბაჟო ორგანოებს მისცა დავალება, გამკაცრებულიყო პროცედურა, რომ გადასახადი შემოსულიყო. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა საბაჟო გადასახადები.

**– მე შევამსუბუქებ ოდნავ საწვავის სავარაუდო კონტრაბანდის მონაცემს, ვთქვათ, წლიური მაჩვენებელია 100 000 ტონა, ეს რამდენია ფულად ერთეულში, ანუ რამდენს კარგავს ბიუჯეტი?**

– ტონაზე აქციზის ღირებულებაა 250 ლარი, გავამრავლოთ 100 000-ზე, მივიღებთ 25 მილიონ ლარს, რასაც მარტო აქციზიდან ვკარგავთ. ამას დაამატეთ დღგ, დაზღვევის, ტრანსპორტირების და პლუს მოგების 15 პროცენტი.

**– თუ „საქსტატმა" 2013 წლის ბოლოს საწვავის იმპორტის იგივე მონაცემი დადო, რაც წინა წლებში იყო, ესე იგი ახალი ხელისუფლების პირობებშიც იგივე გრძელდება?**

– მებაჟეები არ გამოუცვლიათ და არც უნდა გამოცვალონ, მაგრამ ძალიან საინტერესო იქნება 2013 წლის მონაცემი. მეტიც, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბრის მონაცემიც, თუმცა შესაძლოა, მაშინ ამისთვის არ ეცალათ. მაგრამ 2013 წლის მონაცემი ბევრ საინტერესო რამეს მოჰფენს ნათელს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**თავდაპირველად, სწორედ უცხოური საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვეთ, რომ რაჭაში დარიშხანმა გაჟონა და იქ ამტყდარი განგაშის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია, რომ თითქოს საგულდაგულოდ დაცული დარიშხანის საცავი უხვი ნალექის გამო დაზიანდა, ნივთიერებამ გამოჟონა და გარემოს შეერია. პრობლემაზე ქართველებთან ერთად უცხოელი სპეციალისტები მუშაობენ, რომ დადგინდეს დაზიანების ხარისხი და არეალი. ყველასთვის ნათელია, რომ დარიშხანი საწამლავია და მისი გაჟონვა გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავს, კიდევ სად არსებობს მავნე და მომწამვლელი ნივთიერებების საცავები საქართველოს ტერიტორიაზე და რამდენად ვართ დაცული მათი გაჟონვის სარფთხისგან? – საკითხს თენგიზ სიგუა განგვიმარტავს.**

# რატომ შეწყდა საქართველოში დარიშხანის წარმოება, რატომ მიატოვეს ორივე საბადო და რატომ არ იყო სათანადოდ დაცული მომწამვლელი ნივთიერების ნარჩენები და მარაგები



**თუ დარიშხანმა გაჟონა, ის ცუდად კი არ გახდის ადამიანებს, უბრალოდ დახოცავს**

– საქართველოში დარიშხანის ორი საბადოა: ერთი – სვანეთში, მეორე – რაჭაში. მოპოვება ბოლოს მხოლოდ რაჭაში ხდებოდა, სვანეთის საბადო დაკონსერვებული იყო. იქვე, რაჭაშივე, იყო გადამამუშავებელი ქარხანა. მართალია, დარიშხანი საწამლავია, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ელექტრონული წარმოებისთვის. რაჭის ქარხანაში დამუშავების შედეგად მაღალი სისუფთავის დარიშხანს აწარმოებდნენ, რომელიც იგზავნებოდა უკრაინაში, სადაც იყენებდნენ ელექტრონულ წარმოებაში. კერძოდ, ნახევარგამტარების წარმოებაში და სხვაგანაც. ყველამ იცის, რომ დარიშხანი მომწამვლელი ნივთიერებაა, ამიტომ მასთან მუშაობისას სიფრთხილეა საჭირო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რაჭაში დარიშხანის წარმოება შეწყდა და ქარხანა დაკონსერვდა.

**– დარიშხანი ფართოდაა გავრცელებული?**

– არა.

**– აბა, მაშინ რატომ დააკონსერვეს ეს საბადო და გადამამუშავებელი ქარხანა, გაგვეგრძელებინა მოპოვება.**

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები შეწყდა. არა მარტო დარიშხანის წარმოება შეჩერდა, მაგალითად, ჩვენგან მანქანათმშენებლობის 85 პროცენტი გადიოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ურთიერთობებიც შეწყდა და აღარავის უნდოდა ჩვენი პროდუქცია: არც დაზგა და არც ამწე-ხიდი.

**– ტექნოლოგიების თვალსაზრისით, შესაძლოა, დაზგა აღარ გინდოდეს, მაგრამ დარიშხანი მაინც დარიშხანია, საკმარისია, ზესუფთა იყოს.**

– უკრაინაში შეწყდა ის წარმოება და მოთხოვნა აღარ არსებობდა. მთავარია, მოთხოვნა იყოს, თორემ ელექტროტექნიკაში ზესუფთა დარიშხანს დიდი გამოყენება აქვს.

**– ბაზარი უნდა მონახო. ჩვენს დაწამვლას, მისი გაყიდვა არ სჯობს?**

– რაჭაში ზესუფთა დარიშხანს იღებდნენ, ეს ტექნოლოგიები დანერგილი იყო და ვმუშაობდით, მაგრამ ახალი ბაზრის პოვნაზე თავი აღარავის არ შეუწუხებია. საბადო გაჩერებულია და დღეს არავის საკუთრება არ არის. მაგრამ იმ ქარხანაში იყო სპეციალური განყოფილება, სადაც ინახებოდა დარიშხანი. რამდენადაც ვიცი, ძალიან კარგად იყო შენახული, ლითონის სპეციალურ ყუთებში, მაგრამ წყალდიდობისას წყალმა შეაღწია იმ ყუთებში, გამოიტანა გარეთ დარიშხანი და ამიტომ მოიწამლა გარემო. ბოლოს და ბოლოს, უნდა თქვას გარემოს დაცვის ჩვენმა სამსახურმა, რა მასშტაბისაა მოწამვლა. ძალიან დიდი არ უნდა იყოს მასშტაბი, თორემ ხალხი მოიწამლებოდა

**მოსკოვმა უარი თქვა რადიაციული ხორცის გატანაზე, რაც გინდათ, ის უქენითო. ამიტომ სპეციალური სამარხი გაითხარა თბილისის სიახლოვეს და დღესაც იქ არის ჩამარხული ის მოწამლული ხორცი**

და ამას ვერ დამალავდნენ. თუ დარიშხანმა გაჟონა, ის ცუდად კი არ გახდის ადამიანებს, უბრალოდ დახოცავს და ეს არ დაიმალებოდა.

**– მაგრამ წყალმა ხომ შეურია გარემოს?**

– წესით, ისე უნდა იყოს დაცული, რომ ვერც წყალდიდობამ და ვერც სხვა ბუნებრივმა კატაკლიზმმა მისი გაჟონვა ვერ გამოიწვიოს. ისევე, როგორც ატომური ნარჩენებიც მომწამვლელია, მაგრამ ისე ინახავენ სამარხებში, რომ გაჟონვა გამორიცხულია. მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით რადიაციული სამარხები იყო მხოლოდ რუსეთში, კერძოდ, ურალში, ჩემი თვალით მაქვს ნანახი და ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან იქ გაჰქონდათ ნარჩენები და სარკოფაგებში მარხავდნენ.

ჩვენთანაც იყო ერთი ასეთი შემთხვევა: საბჭოთა კავშირის დროს ჩერნობილის კატასტროფის გამო ბელორუსიაში საქონელი მოიწამლა და საქართველოში შემოვიდა მოწამლული საქონლის ხორცი. აქ დადგინდა, რომ მოწამლული იყო და რამდენადაც მახსოვს, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება სვამდა საკითხს, რომ უკან გაეტანათ, მაგრამ მოსკოვმა უარი თქვა, რაც გინდათ, ის უქენითო. ამიტომ სპეციალური სამარხი გაითხარა თბილისის სიახლოვეს და დღესაც იქ არის ჩამარხული ის მოწამლული ხორცი.

**– იმედია, დარიშხანზე უკეთაა დაცული.**

– საკმაოდ კარგადაა დაცული. საქმე ის არის, რომ თვითონ რადიაციული ნარჩენი ხომ არ ყოფილა, რადიაციულ ხორცს უფრო ნაკლები დაზიანება შეუძლია, ვიდრე ატომური ელექტროსადგურის ნარჩენებს, თუმცა საშიში მაინც არის, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ღრმადაა ჩაფლული და მოთავსებულია სპეციალურ კასრებში, რომლებიც არ ატარებს რადიაციას.

**– ეს დარიშხანიც კასრებში იყო. არის თეორიული ალბათობა მაინც იმისა, რომ დარიშხანი იმ ერთი ადგილის გარდა, საიდანაც გაჟონა, სხვაგანაც იყოს დაკონსერვებული?**

– არა, სხვაგან არსად არის საქართველოში დარიშხანის საცავები, იმიტომ რომ ამ პროდუქტს აქ არ იყენებდნენ, მხოლოდ აწარმოებდნენ.

**– ეს დარიშხანი რატომ დარჩა?**

– როდესაც წარმოება შეწყდა, მოპოვებული მადნის ნაწილი დარჩა და ის დააკონსერვეს მიღებულ პროდუქციასთან ერთად, რადგან აღარ იყიდა უკრაინამ. ჩვენთან, მცხეთაში, მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს ჰქონდა საცდელი მოწყობილობა, სადაც იყენებდნენ რადიაციულ ნივთიერებებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის დაიხურა, ის ნივთიერება გაიტანეს საქართველოდან, აქ არ დამარხულა.

**– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ ადგილების კოორდინატები, სადაც რადიაციული ხორცი თუ დარიშხანი იყო შენახული, გადმოსცეს საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას თუ როგორ მივიღეთ ინფორმაცია?**

– საქართველო დათანხმდა რუსეთს და რუსეთმა გაიტანა მცხეთაში საცდელი ატომური დანადგარის ნარჩენები; რადიაციულ ხორცს რაც შეეხება: რამდენადაც ვიცი, მის გატანაზე კომუნისტების დროს ხელისუფლება იბრძოდა მოსკოვთან, მაგრამ, რადგან მოსკოვმა არ გაიტანა, ჩვენვე დავმარხეთ.

**– გარდა საცდელი ურანის ნარჩენებისა და დარიშხანისა, სხვა რამ მავნე ნივთიერება იწარმოებოდა ან იყო საქართველოში?**

– არა, დარიშხანზე მომწამვლელი ნივთიერება არც არის. ჩვენთან ყველაზე დიდი საბადო იყო მარგანეცის საბადო, მაგრამ მანგანუმი მომწამვლელი ნივთიერება არ არის. მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებებიდან საქართველოში მხოლოდ დარიშხანის საბადოა.

**– თვითონ საბადო საფრთხეს არ შეიცავს?**

– არა, საბადო საფრთხეს არ შეიცავს.

**– არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ რატომ გახდა აუცილებელი უცხოელი სპეციალისტების ჩართვა? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ კატასტროფის მასშტაბები**

## კახა ბიწაძის გახსენება



შენი წასვლიდან თითქოს მთელი საუკუნე გავიდა... დრო არ არის მკურნალი... პირიქით, კიდევ უფრო გვიმძაფრებს ტკივილსა და მონატრებას... ახლა მხოლოდ მოგონებებითღა ვცხოვრობთ... რატომ არ გვასწავლე, როგორ გაგვეძლო უშენობისთვის?!.

**უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია?**

– თავიდან, ეს ამბავი რომ გავიგე, ძალიან შევშფოთდი, ვიფიქრე, რომ ბევრი ადამიანი დაიღუპებოდა. მაგრამ შემდეგ, რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, რაჭასაც დავუკავშირდი, სიკვდილიანობა არ ყოფილა, ესე იგი, ფართო მასშტაბი არ მიუღია ამ გაჟონვას. თუ დარიშხანის საკმაო დოზა მიიღე, პირდაპირ კლავს ადამიანს, ამდენად, რაკი სიკვდილიანობის შემთხვევები არ გაზრდილა რაჭაში, ესე იგი, კატასტროფის მასშტაბი დიდი არ ყოფილა. თუმცა ის ტერიტორია, სადაც გაჟონა დარიშხანმა, რაღაც პერიოდის განმავლობაში არ უნდა გამოიყენონ მოსავლის მოსაყვანად და არც საქონელი უნდა გაუშვან საბალახოდ.

**– წყლის მოწამვლის ალბათობა არ არის?**

– საშიშია მიკრორაიონის მასშტაბით, მაგრამ იმის საშიშროება, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელდეს, არ არის.

**– ჩვენს სამხერთ კავკასიელ მეზობლებთან გამდინარ-გამომდინარე მდინარეებიც გვაქვს და საკმაოდ ახლოსაც ვართ ერთმანეთთან. სომხეთსა და აზარბაიჯანში როგორაა საქმე მომწამვლელი ნივთიერებების არსებობის მხრივ?**

– სომხეთში ყველაზე საშიშია ატომური სადგური, მაგრამ მისი უკვე გადამუშავებული ნარჩენები დღემდე რუსეთში გააქვთ, ურალის სამარხში. ჩემი ინფორმაციით, სომხეთს არანაირი მომწამვლელი ნივთიერება არ აქვს ნიადაგში. არც აზერბაიჯანს. აზერბაიჯანს აქვს ნავთობი და გაზი.

**– ჩვენ დარიშხანი გვაქვს, მათ – ნავთობი და გაზი.**

– სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს წყალი და ვერ ვიყენებთ. უამრავი სასმელი წყალი იღვრება საქართველოში. არადა მარტო აზიასა და აფრიკაში კი არა, მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში შეიქმნა სასმელი წყლის პრობლემა. ჩვენ კარგი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ, რატომღაც, შევარდნაძიდან მოყოლებული მიაგდეს ეს საქმე. ჩემს დროს დავსვით ეს საკითხი. ირაკლი ჟორდანია იყო მაშინ მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი და მასთან არაბები ჩამოვიდნენ. პირდაპირ სთხოვეს წყალი და კარგ ფულსაც იხდიდნენ. თან, ჩვეულებრივ სასმელ წყალზე იყო საუბარი, რომელიც ჩვენთან მაშინაც და ახლაც უამრავი იღვრება. მეორე მხრივ, უზარმაზარია ჩვენი მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალი. თეორიულად, 100 მილიარდი კილოვატსაათის მიღება შეგვიძლია ჰიდროენერგიით, მაგრამ, რეალურად რომ გადავიანგარიშე, 60-70 მილიონი კილოვატსაათია. დღეს ვიყენებთ 6-7-მილიონ კილოვატსაათს. მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც ჩვენს ჰიდრომშენებლებს უნდოდათ მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების აგება, მოსკოვი უარს ეუბნებოდა: ძალიან იაფად გაძლევთ ნავთობს და ის გამოიყენეთო. მართლაც, 30 მანეთს გვახდევინებდნენ ნავთობპროდუქტებში, მაგრამ ამოიწურა ის მარაგი და დღეს რომ უკვე 10-ჯერ გაიზარდა ნავთობპროდუქტების ფასი, დავრჩით ჰაერში.

**– დარიშხანის გარდა, საბჭოთა მემკვიდრეობიდან დაგვრჩა ნაღმებიც სამხედრო ნაწილებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, რამაც არა ერთი ადამიანი დაასახიჩრა და შეიწირა.**

– მაშინაც ძალიან ცუდად იქცეოდა მოსკოვი: როდესაც რუსული სამხედრო ნაწილები გადიოდა საქართველოდან, არ გვიტოვებდნენ ინფორმაციას, სად ტოვებდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებას. ამას სპეციალურად აკეთებდნენ. არც ერთ სამხედრო ნაწილს არ დაუტოვებია ინფორმაცია, სად იყო ასაფეთქებელი ნივთიერება. მხოლოდ 2-3 შემთხვევა იყო, როდესაც დაავიწყდათ ნიშნების ჩამოხსნა. საერთოდ, იმ ადგილებში, სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებებია, სპეციალური ნიშნები ჰკიდია. ყველგან მოსხნეს, რამდენიმე ადგილას დარჩათ და ამით გადარჩა იქ ხალხი აფეთქებას.

**– თქვენ არ მიმართავდით, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია?**

– როგორ არა, გვატყუებდნენ, ყველაფერი გავიტანეთო და ვალდებულებაც ჰქონდათ, ეცნობებინათ და გაეფრთხილებინეთ. ჩვენები უკვე რამდენი წელია, სწავლობენ ამ საკითხს და უკვე მთლიანად განაღმულია ასეთი ადგილები.

**– რაც უამრავი რესურსი დაჯდა, გარდა მსხვერპლისა და, სამხედრო ბაზების საკანალიზაციო სისტემებში ცემენტი ჩაასხეს.**

– დიახ, იყო ასეთი შემთხვევებით. ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს დავიწყეთ ჩვენ მათი გაყვანა. ყველაზე დიდი საწვრთნელი პოლიგონი ჰქონდათ დავით გარეჯაში – 47 000 ჰექტარზე. 1990 წლის აპრილში მე მოვაწერე ხელი მთავრობის დადგენილებას და გავყარეთ იქიდან. ჩემთან მოვარდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი პატრიკეევი და მეხვეწა, მინისტრმა სამჯერ დამირეკა და მაიძულა თქვენთან მოსვლა, გააუქმეთ ეს განკარგულებაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გავაუქმეთ.

**– გასვლისას დანაღმეს ტერიტორია თუ რა ხდებოდა?**

– მიწის ქვეშ საწყობებივით ჰქონდათ გაკეთებული სამხედრო ნაწილებში, სადაც ინახავდნენ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, რომლებიც გასვლისას უნდა გაეტანათ, მაგრამ დატოვეს.

**ნინო ხაჩიძე**

## რა ეფექტური თვისებებით გამოირჩევა ლელა გეჯაძის ნაყენი, რომელმაც ბევრ ადამიანს მოუხსნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები და რომელსაც მაღალი სასულიერო იერარქიის პირები იყენებენ

*ლელა გეჯაძის ნაყენმა არაერთ პაციენტს გადაუჭრა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომაც უწოდებენ მის ნაყენს „სასწაულმოქმედს“ პაციენტები: ტაოკლარჯეთის ეპარქიის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მამა ლუკა (კონჩაკო), სამგორის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ცოტნე, ასევე დმანისის ეპარქიის წმიდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე* ***დედა გაიანე:***

– 25 წლის განმავლობაში ვიტანჯებოდი გაუსაძლისი ტკივილებით მუცლის არეში. ვიტარებდი გამოკვლევებს როგორც საქართველოში, ასევე, უცხოეთში და, შესაბამისად ვმკურნალობდი კიდეც, მაგრამ, უშედეგოდ. გადავწყვიტე ლელას ნაყენით მკურნალობა და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: აღმიდგა გათიშული ნაღვლის ბუშტი, უკვალოდ გაქრა სახსრების ტკივილი, მომიწესრიგდა ძილი და აღარ მაქვს თავბრუხვევები.

*ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ მის ნაყენს უფრო მეტი ძალა მეტეხის ეკლესიის წინამძღვრის, მამა აკაკის (მელიქიძე) კურთხევამ მისცა, რომლის საფუძველი გახდა ეკლესიის მსახურთა, მაღალი სასულიერო იერარქიის წარმომადგენლებისა და ასევე, მრევლის განკურნების შედეგები. მისი ნაყენის მოქმედების სპექტრი ფართოა: აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, ამცირებს სისხლის პლაზმაში შაქრისა და ქოლესტერინის დონეს, ზრდის ჰემოგლობინს, იცავს ორგანიზმს ლეიკემიის განვითარებისა და სიმსივნის წარმოქმნისგან, კარგია დისბაქტერიოზების, თორმეტგოჯა ნაწლავზე წყლულის სამკურნალოდ; აწესრიგებს არტერიულ წნევას, ნერვულ სისტემას, ფილტვების მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს; ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების, მენსტრუალური ციკლის დარღვევის დროს; აადვილებს ქალთა კლიმაქსის სინდრომს; აწესრიგებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას, აღადგენს ღვიძლის ქსოვილს, მკურნალობს ქრონიკულ დაავადებებს (C ჰეპატიტი, ციროზი); წმენდს ნაღვლის ბუშტს და თირკმელებს სხვადასხვა ტიპის ნალექებისა და კენჭებისგან.*

*ქალბატონი ლელას პაციენტების მდგომარეობას თვალს ადევნებს და კვლევებს უტარებს ექიმი-რადიოლოგი* ***მარინა სახელაშვილი:***



– წლების განმავლობაში დაკვირვებამ მომცა იმის საფუძველი, რომ ხმამაღლა ვაღიარო ქალბატონი ლელა გეჯაძის ნაყენის სასწაულმოქმედება და არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებები. წლებია ვაკვირდები მის პაციენტებს, ვუტარებ კვლევებს და მიღებული შედეგით მუდამ გაოცებული ვრჩები. პაციენტ ზაზა სამარგულიანს აღენიშნებოდა მუცლის ღრუში თავისუფალი 8 ლიტრი სითხე, შეშუპებული ჰქონდა ქვედა კიდურები, ღვიძლში აღენიშნებოდა ფიბროზული უბნები და კალციფიცირებული ჩანართები, ჰაერის უკმარისობა, ძლიერი არითმია და ფილტვში კარცინომა. ქალბატონი ლელას ნაყენის მიღების შემდეგ ეტაპობრივად ალაგდა პრობლემები. ბოლოს დაშრა სითხე მუცლის ღრუში, ღვიძლზე ალაგდა ფიბროზული უბნები, ფილტვში კი გაქრა კარცინომა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ საქართველოში გაკეთებული კვლევები, არამედ, მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტალი და ორი წამყვანი კლინიკა.

**ზაზა სამარგულიანი**: მქონდა ციროზის ბოლო სტადია, ღვიძლსა და ფილტვზე ფიბროზული კვანძები, ძალიან დიდი რაოდენობით სითხე მუცელში. ამის გამო თიაქარიც კი გამისკდა. თბილისში რომ ჩამოვედი, ვერ დავდიოდი და ხელით დავყავდი სხვებს; მაწუხებდა უმადობა, ფერიც საშინელი მქონდა – მოყვითალო; სულ მეძინა. ქალბატონმა ლელამ ჩამიტარა გამოკვლევები, დამინიშნა მკურნალობის კურსი და, ასევე, დიეტა. მკურნალობის დაწყებისთანავე მომემატა ძალა, მადა, ენერგია. აქამდე თუ სხვებს დავყავდი ხელით. ამ ნაყენის მიღებიდანვე ძალიან მალე უკვე შემეძლო დღეში 7-8 კილომეტრის ფეხით გავლა. მკურნალობის მხოლოდ კურს-სნახევარი ჩავიტარე, არადა, სამი კურსი მაინც უნდა ჩამეტარებინა. მოსკოვში მოვდიოდი, საქმეები მქონდა და ვერ გადავდებდი, ამიტომ, შევწყვიტე მკურნალობა. მაგრამ, ისეთი შედეგები მქონდა – სითხეც აღარ მიდგას მუცელში, ღვიძლიც გაფართოვდა, არითმიაც მომეხსნა და, ნაღვლის ბუშტი, მანამდე, რომ მითხრეს, აუცილებლად უნდა ამოიჭრაო, ლელას ნაყენმა მთლიანად გამისუფთავა. მოსკოვში რომ ჩავიტარე გამოკვლევები, ექიმები გაოცებულები დარჩნენ – არ ელოდნენ ასეთ შედეგს. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ საქართველოში, რომ გავაგრძელო მკურნალობის კურსი და ბოლომდე მივიყვანო საქმე, რადგან, ძალიან კმაყოფილი ვარ.

***P.S. ასე რომ, ვისაც გსურთ, გამოჯანმრთელდეთ და უკეთესად იგრძნოთ თავი, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 595–26-32-17. მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.***

**ნათია უტიაშვილი**

# რის გამო უწოდებდნენ სამშობლოში ირანის ახალ პრეზიდენტ ჰასან რუჰანის „შეიხ-დიპლომატს“ და რომელი შეზღუდვების მოხსნას დაჰპირდა ის ირანელებს

***ირანელი სახელმწიფო მოღვაწე, შიიტი მოძღვარი და პოლიტიკოსი ჰასან რუჰანი 2013 წლის 15 ივნისს ოფიციალურად გამოაცხადეს ირანის რიგით მეშვიდე პრეზიდენტად. 64 წლის რუჰანიმ ქარიზმატული მაჰმუდ აჰმადინეჯადი შეცვალა დაკავებულ თანამდებობაზე და არჩევნებამდე გამოაცხადა, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, აამოქმედებდა „მოქალაქეთა უფლებების ქარტიას”, დაიწყებდა ზრუნვას ირანის ეკონომიკაზე და დაარეგულირებდა ურთიერთობებს დასავლეთთან. მის ამ ინიციატივას 18 მილიონზე მეტმა ირანელმა დაუჭირა მხარი და 2013 წლის 3 აგვისტოდან რუჰანი ოფიციალურად შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.***



**ლონდონის არაბული გამოცემა „აშარქ ალ-ავსატის” ცნობით, ჰასან რუჰანის უფროსმა ვაჟმა 1992 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მას შემდეგ, რაც მამამისი ირანის სულიერ მამას, აიათოლა ჰომენეის შეეკრა**

* ჰასან რუჰანი დაიბადა 1948 წლის 12 ნოემბერს, სორხეში, სემნამის პროვინციაში, რელიგიურ ოჯახში. მამამისს, ჰაჯ ასადოლა ფერეიდუნის, სანელებლების მაღაზია ჰქონდა სორხეში. მას ჰყავდა მეუღლე – საკინე პეივანდი, ორი ქალიშვილი, ჰასანი და ერთი აყვანილი ვაჟი. ასადოლა პოლიტიკურად აქტიური მოქალაქე იყო – იგი მონაწილეობდა შაჰის, მოჰამედ რეზა ფაჰლავის წინააღმდეგ გამართულ აქციებში და პირველად 1962 წელს დააპატიმრეს, სულ კი, ირანის 1979 წლის რევოლუციამდე, ის 20-ჯერ იყო დაკავებული. საინტერესოა, რომ ჰასან რუჰანის ნამდვილი გვარია ფერეიდუნი, რაც სპარსულ მითოლოგიაში „მეფეს“ ნიშნავს, თუმცა, მოგვიანებით მან აიღო გვარი რუჰანი, რაც ირანულად სასულიეროს, სულიერს ნიშნავს. უცნობია, თუ როდის შეიცვალა რუჰანიმ გვარი ოფიციალურად, 1981 წლის მეჯლისის არჩევნების დროს იგი ოფიციალურ წყაროებში ჰასან ფერეიდუნი რუჰანით იყო მოხსენიებული, ხოლო საპრეზიდენტო კანდიდატად უკვე ჰასან რუჰანით დარეგისტრირდა.

* რუჰანიმ რელიგიური განათლების მიღება 1960 წელს დაიწყო სემნამის სემინარიაში, შემდგომ კი სწავლა ქომის სემინარიაში განაგრძო. 1969 წელს ჰასან რუჰანი თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და იურიდიული განათლება მიიღო. 1973 წელს მან ქალაქ ნიშაპურში სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა. ირანში მიღებულ განათლებასთან ერთად, ჰასან რუჰანის დამთავრებული აქვს გლაზგოს კალედონიის უნივერსიტეტი შოტლანდიაში, სადაც კონსტიტუციური სამართლის ფაკულტეტზე სწავლობდა. ჰასან რუჰანი პოლიგლოტია – იგი თავისუფლად საუბრობს სპარსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და არაბულ ენებზე.

* ჰასან რუჰანი ადრეულ ასაკში ჩაერთო ირანულ პოლიტიკაში. ის აიათოლა რუჰოლა ჰომენეის იდეებს იზიარებდა, 1965 წლიდან ირანის ტერიტორიაზე მოგზაურობდა და შაჰის საწინააღმდეგო გამოსვლებზე სიტყვით გამოდიოდა. ჰომენეის რჩევით, ჰასან რუჰანის გარკვეული დროით მოუხდა ირანის დატოვება, რადგან ცნობილი იყო, რომ შაჰის უშიშროების სამსახური მისი ლიკვიდაციის გეგმას ამუშავებდა. იმ პერიოდში ჰასან რუჰანიმ პირველმა მოიხსენია აიათოლა ჰომენეი იმამის სახელით.

* 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ ჰასან რუჰანი აქტიურად ჩაერთო ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან დაიწყო მუშაობა პარლამენტში, სადაც თავდაცვის საკითხებს კურირებდა. ირან-ერაყის ომის პერიოდში რუჰანი თავდაცვის უმაღლესი საბჭოს წევრი და სამხედრო-საჰაერო ჯარების ხელმძღვანელი იყო. 1989 წელს რუჰანის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა შესთავაზეს, თუმცა მან უარი განაცხადა და განაგრძობდა მუშაობას საჰაერო ძალებში. 1992-2000 წლებში რუჰანის მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1989-2005 წლებში კი იგი ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს პირველი მდივანი გახლდათ. რუჰანი მაჰმუდ აჰმადინეჯადის წინამორბედების, პრეზიდენტების – ჰაშემი-რაფსანჯანისა და ჰატამის მრჩეველი იყო ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში. 1992 წელს რუჰანი ირანის სტრატეგიული კვლევების ცენტრის პრეზიდენტი გახდა და მისი ხელმძღვანელობით 700-მდე სტრატეგიული კვლევა ჩატარდა პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობების საკითხებში. ჰასან რუჰანი ერთადერთია ირანის სასულიერო პირებიდან, რომელიც მონაწილეობდა მოლაპარაკებებში დასავლეთთან ირანის ბირთვული პროგრამის საკითხებზე და ამის გამო მას სამშობლოში „შეიხ-დიპლომატი” უწოდეს.

* ჰასან რუჰანის შესახებ რამდენიმე სკანდალური ცნობაც მოიპოვება. ცნობილია, რომ ის იყო იმ კომიტეტის წევრი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ბუენოს-აირესში, ებრაელთა ცენტრში ტერაქტის მოწყობაზე 1994 წელს და მაშინ ტერაქტს 85 ადამიანი ემსხვერპლა. არგენტინელი სამართალდამცავების განცხადებით, ტერაქტის ორგანიზატორი იყო ჰასან რუჰანი. ირანიდან გაქცეული ყოფილი სამხედრო მზვერავის, აბოლგასემა მესბანის თქმით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ტერაქტის დაგეგმვაში მონაწილეობდა და სანქცია ტერაქტზე ჯერ კიდევ 1993 წელს იყო გაცემული. 2013 წლის მაისში არგენტინაში მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად, ირანი ბრალდებულია სახელმწიფო ტერორიზმში.

* ლონდონის არაბული გამოცემა „აშარქ ალ-ავსატის” ცნობით, ჰასან რუჰანის უფროსმა ვაჟმა 1992 წელს, მას შემდეგ, რაც მამამისი ირანის სულიერ მამას, აიათოლა ჰომენეის შეეკრა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. რუჰანის ვაჟმა წერილი დატოვა, რომელშიც ეწერა: „მე მძულს შენი ტყუილი, კორუმპირებულობა, შენი ორმაგი ცხოვრება და ორპირობა. გული მერევა, როდესაც ვხედავ, როგორ კოცნი ხელზე აიათოლას”. საინტერესოა, რომ გაზეთში დაბეჭდილ ამ ცნობამდე ჰასან რუჰანის უფროსი ვაჟის სიკვდილის მიზეზი ოფიციალურად უცნობი იყო და ეს საქმე დღემდე ბურუსით არის მოცული.

* ჰასან რუჰანი 1969 წლიდან არის დაქორწინებული საჰედე რუჰანიზე. ქორწინების მომენტში ჰასანი 20 წლის იყო, ხოლო საჰედე – 14 წლის. წყვილს ხუთი შვილი ჰყავდა, რომელთაგან უფროსი ვაჟი საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა. ოჯახი ჯამარანში, თეირანის შემოგარენში ცხოვრობს.

* ირანის ახალმა პრეზიდენტმა, დასავლეთში ლიბერალური შეხედულებებით ცნობილმა ჰასან რუჰანიმ, განაცხადა, რომ ჰოლოკოსტი კაცობრიობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო და დაგმო ნაცისტური გერმანიის ქმედებები ებრაელების წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ რუჰანის წინამორბედი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ჰოლოკოსტის არსებობას უარყოფდა და ებრაელების დევნას ამართლებდა.

* პირველად 1979 წლიდან, შედგა ირანისა და ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პირებს შორის სატელეფონო საუბარი. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაადასტურა, რომ ჰქონდა 15-წუთიანი საუბარი ირანელ კოლეგასთან და მათ პრობლემების გადაწყვეტის გზებზე ისაუბრეს. საგულისხმოა, რომ უკანასკნელი 34 წლის განმავლობაში ეს იყო პირდაპირი მოლაპარაკებების პირველი შემთხვევა მას შემდეგ, რაც ირანსა და ამერიკას შორის დიპლომატიური კავშირი გაწყდა თეირანში ამერიკის საელჩოზე ტერორისტული შეტევის და ტყვეთა აყვანის გამო.

* პოლიტიკური საქმიანობის მიუხედავად, ჰასან რუჰანის რჩება დრო სამეცნიერო საქმიანობისთვის. მისი ხელმძღვანელობით ირანში პერიოდულად გამოიცემა სამი სამეცნიერო გამოცემა: „სტრატეგია”, „საერთაშორისო ურთიერთობები” და „საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილვა თეირანში”. ჰასან რუჰანი 100-მდე წიგნის, მონოგრაფიისა და სტატიის ავტორია არაბულ და ინგლისურ ენებზე.

* ირანის ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰასან რუჰანი ცენზურის მოხსნის მომხრეა. ცნობილია, რომ ის რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე” და „ტვიტერში”. სულ ირანში 5 ათასამდე ვებ-საიტია დაბლოკილი, მათ შორის – სოციალური ქსელები. რამდენიმე ხნის წინ კი საინტერესო მიმოწერა შედგა „ტვიტერის” ავტორის, ჯეკ დორსისა და ჰასან რუჰანის შორის. ჯეკ დორსიმ მისწერა რუჰანის: „საღამო მშვიდობისა, ბატონო პრეზიდენტო! მაინტერესებს, აქვთ თუ არა წვდომა ირანელებს თქვენს გვერდთან „ტვიტერში”, რაზეც რუჰანიმ მალევე უპასუხა: „საღამო მშვიდობისა, ჯეკ! როგორც განვაცხადე, ჩემი მიზანია, რომ ჩემს ხალხს ჰქონდეს წვდომა ინფორმაციის მიღებისა მთელ მსოფლიოში, რადგან, ეს არის მათი უფლება”. ირანელი ინტერნეტ-მომხმარებლების თქმით, მას შემდეგ, რაც ჰასან რუჰანი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ინტერნეტის სიჩქარემ საგრძნობლად მოიმატა და, ასევე, მოიხსნა რამდენიმე შეზღუდვა, თუმცა, ცენზურის საბოლოო მოხსნა მის უფლებებში არ შედის, ინტერნეტ-ცენზურის მომხრე და აპოლოგეტი ირანის სულიერი მამა, აიათოლა ჰომენეი გახლავთ.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**ინსულტი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლაა, რომელიც ვლინდება მრავალფეროვანი ნევროლოგიური სიმპტომატიკით და საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას სტაციონარის პირობებში.**

**როგორ უნდა გავიგოთ და მივხვდეთ ინსულტის ნიშნებს, ამ საკითხზე „გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკის“ გენერალური დირექტორი, ქალაქ თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, საქართველოს პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგთა ასოციაციის, ქალაქ თბილისის ყიფშიძის სახელობის ნევროლოგთა ასოციაციის თანადამფუძნებელი – ნოდარ კაკაბაძე გვესაუბრება.**

# დრო – ეს ტვინია

**– ბატონო ნოდარ, გამოყოფენ რამდენიმე სახის ინსულტს. იშემიური ინსულტი, ანუ თავის ტვინის ინფარქტი, ხშირად უვითარდებათ როგორც სამოც წლამდე, ისე ხანდაზმულ ასაკში. რაში მდგომარეობს დაავადების თერაპია?**

– მწვავე ინსულტის მკურნალობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დროის ფაქტორს, ვინაიდან ინსულტის დებიუტიდან 3-4 საათის შემდეგ, ტვინის დაზიანებულ უბანში ვითარდება შეუქცევადი ცვლილებები. ამდენად, დროის ამ შუალედში უნდა მოესწროს ავადმყოფის ტრანსპორტირება სტაციონარში, სათანადო კვლევების ჩატარება და ადეკვატური მკურნალობის დაწყება. ამისთვის აუცილებელია ინსულტის საწინააღმდეგო ცენტრების ქსელის ფუნქციონირება (ყველა აუცილებელი ტექნოლოგიითა და ადამიანური რესურსებით). მეორე მხრივ, პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის შესაბამისი ტრენირება. ასევე, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება – სავარაუდო ინსულტის ნიშნების ამოსაცნობად და სწორი მენეჯმენტის დასაწყებად. მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას, მივაღწიოთ სათაურში მოაზრებულ შედეგს – გადავარჩინოთ ტვინის მაქსიმალურად შესაძლებელი ჯანმრთელი მდგომარეობა.



**– რა სიმპტომების გაჩენისას უნდა მივიტანოთ ეჭვი ინსულტის დაწყებაზე და რა მოვიმოქმედოთ?**

– სავარაუდო ინსულტზე მიუთითებს სხეულის რომელიმე ნაწილის დაბუჟება, ან ძალის დაქვეითება რომელიმე კიდურში (კიდურის ნაწილში), ან მეტყველების გაძნელება, ან მეტყველების გაგების გაძნელება, ან მხედველობის უეცარი დაქვეითება, ან ამ სიმპტომთა სხვადასხვა კომბინაცია. ამ სიმპტომების დაფიქსირების წუთიდან, ჯერ ავადმყოფმა და მისმა პატრონებმა, ხოლო შემდეგ გამოძახებულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა უნდა იზრუნონ, რომ პაციენტი მაქსიმალურად სწრაფად მოხვდეს სპეციალიზებულ კლინიკაში და ზემოთ დასახელებული თერაპიული ფანჯრის (3-4 საათი) დახურვამდე დაიწყოს მისი ადეკვატური მკურნალობა.



ჩვენი კლინიკა 24-საათიანი მზადყოფნის რეჟიმში მოემსახურება აღნიშნულ კონტინგენტს. უზრუნველყოფს აუცილებელ კვლევას (მრავალშრიანი სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფია, ცერებრული სისხლძარღვების დოპლეროგრაფია, ელექტრო ენცეფალოგრაფია, ყველა საჭირო ლაბორატორიული კვლევა) და ადეკვატურ თერაპიას. საჭირო შემთხვევაში, ასევე, 24-საათიანი რეჟიმით უზრუნველყოფილია ნეიროქირურგიული, ანგიოქირურგიული, ზოგადქირურგიული, ტრავმატოლოგიური სამსახურები.



მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფია

**– ასეთი მძიმე დიაგნოზის მქონე ავადმყოფებისთვის სახელმწიფო დაზღვევა თუ მოქმედებს?**

– სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები თითქმის სრულად (90-100 პროცენტი) ფარავს მწვავე ინსულტის მკურნალობას.

*„გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკის“ მისამართია: წინანდლის №9 (ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ცენტრალური მიმღების შენობა, IV სართული). ტელ.: 2-77-02-92.*

**ნანიკო ითაშვილი**

**6 ოქტომბერს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის – გელა პატიაშვილის პერსონალური გამოფენა მოეწყო. გამოფენას „პირამიდები“ ეწოდება – ზღვარი რეალურსა და არარეალურს შორის გეომეტრიული ფორმები, ზღვარი წონასწორობასა და არაწონასწორობას შორის, რომელზეც ხელოვნება ხშირად დადის – ეს იყო გამოფენის მთავარი თემა და პათოსი.**

# როგორ გახდა გელა პატიაშვილი საფრანგეთში ცნობილი მხატვარი და ანიმატორი

**– ბატონო გელა, რატომ გადაწყვიტეთ, რომ მხატვარი გამხდარიყავით, ოჯახური ტრადიციის გამო ხომ არა?**

– ოჯახში ხატვის ტრადიცია არ გვქონდა. მე მუსიკის გარემოცვაში გავიზარდე. დედაჩემი ფორტეპიანოზე უკრავდა, ბებიაჩემი კი კონსერვატორიის ბუღალტერი იყო. უბრალოდ, გამიმართლა იმაში, რომ ჩემი მეზობლები იყვნენ ძალიან კარგი მხატვრები. როგორც ასეთი, ხატვის სკოლა არ დამიმთავრებია, სხვა „სკოლა“ დავამთავრე – მათთან სახელოსნოში ყოფნის უფლება. უფროსი ასაკიდან შურა ბანძელაძე იყო კარგი აბსტრაქციონისტი, რომელთანაც ხშირად ვიყავი ხოლმე სახელოსნოში; შემდეგ, რა თქმა უნდა, ლუკა ლასარეიშვილი, რომელმაც დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. გამოფენების გასაკეთებლად მე დავყავდი ხოლმე, როგორც ასისტენტი. კიდევ, მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნო იყო თანამედროვე ხელოვნებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ოლეგ ტიმჩენკო, ნიკო ცეცხლაძე, მამუკა ჯაფარიძე, კოკა რამიშვილი და სხვა ახალგაზრდა მხატვრები მუშაობდნენ და მათთან ერთად ჩამოვაყალიბე ჩემი ხედვა და ანბანი. იმ ეპოქაში საზოგადოება ძალიან კონსერვატიული იყო და ხელოვნების ისტორია სალვადორ დალიმდე მთავრდებოდა, რადგან, სიურეალიზმი და ექსპრესიონიზმი ძალიან რთული ასახსნელი იყო, დადაიზმზე საერთოდ აღარ მაქვს ლაპარაკი.

**– არ გითხოვიათ მშობლებისთვის, სამხატვრო-სახელოვნებო სკოლაში შეეყვანეთ?**

– არა, იმიტომ, რომ ძალიან ჯიუტი ვიყავი და ახლაც ვარ. მიმაჩნია, რომ, შეიძლება, თვითონ რაღაც გააკეთო და გამოხატო ის იმპულსი, რომელიც გაქვს. თანაც, ჩვენი ეპოქა იძლევა საშუალებას, მხატვარს არ ჰქონდეს აკადემიური განათლება. მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია, მაგრამ, შესაძლებელია.

**– ჰო, მაგრამ, ხელოვანები ხშირად ჩივიან, რომ აკადემიური განათლება ერთგვარ ჩარჩოში აქცევს მათ ხელოვნებას და შტამპს იძლევა.**

– რა თქმა უნდა, შტამპს იძლევა. მე მყავს ბევრი მეგობარი, რომლებმაც დაამთავრეს სამხატვრო აკადემია და, როდესაც მოდიან ჩემთან და ხედავენ, როგორ ადვილად შემიძლია, იდეიდან გადავიდე შესრულებაზე, ამის შურთ, იმიტომ რომ ბარიერი არ მაქვს და ეს ბარიერები ზუსტად აკადემიურ განათლებასთანაა დაკავშირებული. როცა რამე იდეა გაქვს, ჯერ უნდა გააკეთო ესკიზი, მერე უნდა გაადიდო და ტილოზე გაანაწილო. მე ეს ეტაპები აბსოლუტურად არ მაქვს დაცული, პირდაპირ მიზანთან მივდივარ, მოკლე გზით და, სიმართლე რომ ითქვას, თანამედროვე ხელოვნება მხოლოდ ხატვა არ არის, ეს უფრო ხედვაა, რომელიც არ ექცევა არც ხატვის და არც სხვა ვიზუალური ტექნიკის ჩარჩოებში.

**– რა პროტესტი გქონდათ საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა წყობის მიმართ? თქვენ თქვით, რომ თანამედროვე ხელოვნება გაუგებარი იყო იმ საზოგადოებისთვის.**

– საერთოდ, იმ ეპოქისთვის იყო გაუგებარი, მაგრამ, ჩვენ გაგვიმართლა ამ მხრივ. კარგად ვიცოდით, რომ ცვლილებები უნდა მომხდარიყო, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ოღონდ, როგორ და რა ფორმით – ეს იყო გადასაწყვეტი, მე ამ შემთხვევაში კულტურულ რევოლუციას ვგულისხმობ და არა პოლიტიკურ მოძრაობასა და ცვლილებებს, თუმცა, ეს ორი დაკავშირებულია ერთმანეთთან, მით უმეტეს, ტოტალიტარულ ქვეყნებში, სადაც კულტურა თითქმის მთლიანადაა სისტემას დაქვემდებარებული. მე, რასაც ჰქვია, კულტურული შოკი განვიცადე აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმთან შეხებისას – ჯექსონ პოლოკი, რობერტ მაზერუელი, არშილ გორკი, მარკ როდკო, ჯასპერ ჯონსის დარაუშენბერგი რომ ვნახე, სრული შოკი მქონდა, მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა. კიდევ ერთხელ მინდა ალექსანდრე ბანძელაძე დავასახელო – იგი კარგი მაგალითია იმისა, როგორ



**„პირამიდების“ კონცეფციაში აღვნიშნე კიდეც, რომ წონასწორობაში მყოფი საზოგადოება შეიძლება გამოიყვანო წონასწორობიდან, თუკი შეგიძლია იმის წინასწარ გათვლა, რა შედეგებს მიიღებ. ჩვენ ეს ვერ გავთვალეთ. ყველას აღმოაჩნდა თავისი სიმართლე და, სიმართლე ხომ ერთი არ არის, ბევრია**

შეიძლება მხატვარმა ფიგურაციულობისა და აბსტრაქციის ზღვარზე იმოძრაო.

**– თქვენ პოლიტიკურ პროცესებში არ ერეოდით?**

– არ ვერეოდი, მაგრამ, ჩემს აზრს არასდროს ვმალავდი. მაშინ, როცა ვამბობდი, რომ ეს სისტემა მოძველებულია და კარგს არაფერს არ ქმნის, ალბათ, რაღაც წილად ვცდებოდი, იმიტომ რომ, ის პატარა თავისუფლება, რაც ჩვენ გვქონდა, დღევანდელ და მაშინდელ ეპოქებს ძალიან განასხვავებს. ჩვენი თაობა უფრო თავისუფალი იყო არჩევანში, საკუთარი აზრების გამოხატვაში, ოღონდ, არაოფიციალურ სივრცეში.



**– როგორ აღმოჩნდით „ლიტერატურულ საქართველოში“?**

– ჩემი მეგობრის, დათო ჩიხლაძის წყალობით. მთხოვა, რომ რეპორტაჟი გამეკეთებინა. მე ერთი პერიოდი მოსკოვში ვმუშაობდი, ვწერდი მხატვრებზე და იმ დროის საინტერესო და საოცარ ხალხზე. ხან თბილისში ვიყავი ხოლმე და ხან – მოსკოვში. „ლიტერატურული საქართველოდან“ ჩემი წამოსვლის მიზეზი იყო ერთი სტატია, რომელიც რუს მხატვარს ეძღვნებოდა, ჩრდილოეთიდან იყო ჩამოსული, ხატავდა ირმებს, იარანგებს, თოვლს... მაშინ ძალიან უხეში ფორმით ამიხსნეს, ჩვენ რუსები არ გვიყვარსო. მე ავუხსენი, რომ რუსებზეც ვწერდი, ამერიკელებზეც, ევროპელებზეც და ფრენსის ბეკონზეც. დღემდე თვალწინ მიდგას ის საშინელი სცენა და ისევ იმ უსამართლობას განვიცდი, რაც საქართველოში ულტრანაციონალისტური განწყობების აყვავების ხანამ მოიტანა. საერთოდ კი, ეს განწყობები არ იყო მხოლოდ ანტირუსული, უფრო ანტიმონდიალური იყო, ქართული გენეტიკის კულტზე აგებული. საზოგადოება დღემდე ვერ გაერკვა, რა უნდა. ჩემი გამოფენის – „პირამიდების“ კონცეფციაში აღვნიშნე კიდეც, რომ წონასწორობაში მყოფი საზოგადოება შეიძლება გამოიყვანო წონასწორობიდან, თუკი შეგიძლია იმის წინასწარ გათვლა, რა შედეგებს მიიღებ. ჩვენ ეს ვერ გავთვალეთ. ყველას აღმოაჩნდა თავისი სიმართლე და, სიმართლე ხომ ერთი არ არის, ბევრია და, ჭეშმარიტებაც, რომელიც ყველასთვის ცნობილი გახდა, ჭეშმარიტება აღარ არის.

ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ლაღი და ამაყი ხალხი, როგორიც ქართველები ვართ, პატრიოტების ჩამოყალიბებაში ძალიან სუსტები აღმოვჩნდით. ჩემს ბავშვობაში, გოგოლის ქუჩაზე რამდენიმე ენა მესმოდა: რუსული, სომხური, ბერძნული, პოლონური... ერთ დღეს კი ამ ხალხმა ბარგი შეკრა და წავიდა. უცხო სხეულად ჩაითვალა ის, რაც აქამდე საქართველოს ნაწილი იყო. წავიდა, ასევე, ის, ვინც ყველაფერ ამას არ დაეთანხმა. ამ პროცესებმა ბევრი ძალიან ნიჭიერი ადამიანი დააკარგვინა საქართველოს და ისინი მზამზარეული სახით მიიღეს უცხო ქვეყნებმა.

**– პარიზში როგორ მოხვდით?**

– შემთხვევით. მოსკოვიდან წავედი. მოსკოვში სახელოსნო მქონდა – მაშინ მულტიეთნიკური და მულტიკულტურული იყო ეს ქალაქი. სხვათა შორის, მათი მხრიდან აგრესია არასდროს დამინახავს შემხვედრი მიმართულებით. 50 მხატვარი ცხოვრობდა „ფურმანკაზე“, იმ შენობაში, სადაც მე ვიყავი. გამოფენით წავედი პარიზში და დავრჩი ორი კვირით.

**– მოსკოვში რა გამოფინეთ?**

– მოსკოვში ოც წელიწადზე მეტია, არ მქონია გამოფენა. სულ რაღაც ერთი თვის წინ, შალვა ხახანაშვილმა „არტ მოსკვაზე“ წარადგინა ჩემი ორი ნამუშევარი და, რა საინტერესოა, რომ, ვინც ჩემს ნამუშევრებს იცნობდა 25 წლის წინ, ახლაც იცნეს, რაც ძალიან მახარებს. მაშინ შავ-თეთრში ვმუშაობდი – შავ-თეთრი ჩემთვის უკომპრომისობის, ლაკონურობის და ასკეტურობის ნიშანია.

რაც ჩემს „ძაღლის პორტრეტებს“ შეეხება, ამ ბოლო დროს ჩემს წრეში სალაპარაკო თემად იქცა. დაიწყო იმით, რომ ორი-სამი წლის წინ ერთი ძაღლი დავხატე, მას მეორე მოყვა, მერე მესამე, ახლა კი, ერთი თვე არ გავა, რომ რომელიმე ძაღლის პატრონმა არ დამირეკოს და თავისი ძაღლის პორტრეტი არ შემიკვეთოს. ამ შემთხვევაში, სულ სხვა სამყაროსთან გვაქვს საქმე. ვიტყოდი, რომ ხატვა აქ ლიტერატურის ზღვარზეა. ორი დღის წინ კოტე ყუბანეიშვილმა წამიყვანა შინ – აუცილებლად ჩემი ძაღლი უნდა დახატოო, მერე კი დაამატა – ამით მთელ ვალსაც გაისტუმრებო ***(იცინის).*** ჩემზე უფროს თაობას ეკუთვნის კოტე და ამ „ვალებში“ ის დამოკიდებულება იგულისხმა, რომელიც უფროს თაობას უმცროსის აღიარების მიმართ შეიძლება გააჩნდეს. მან, თავის დროზე, ირაკლი ჩარკვიანთან და ჩემს ახლო მეგობართან, პაატა ქურდაძესთან ერთად, „რეაქტიული კლუბი“ შექმნა, რამაც დიდი როლი ითამაშა ახალი ლიტერატურული ხედვისა და ფორმის ჩამოყალიბებაში.

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# შვეიცარიული „F.Hoffmann-La Roche"-სა და ქართული „ჯი-ემ-პის" ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც C ჰეპატიტის მკურნალობის ღირებულებას მნიშვნელოვნად შეამცირებს

*შვეიცარიული კომპანია F.Hoffmann-La Roche-სა და პსპ-ს ჯგუფის წევრ „ჯი-ემ-პის" შორის პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც „F.Hoffmann La Roche"-ს მიერ შვეიცარიაში დამზადებული C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალება – პეგინტერფერონის აქტიური მოქმედი ნივთიერება, წარმოების ბოლო ეტაპს ქართულ ფარმაცევტულ საწარმო „ჯი-ემ-პიში" გაივლის.*

*„შვეიცარიელებმა არჩევანი ქართულ საწარმო „ჯი-ემ-პიზე" ხარისხის არაერთი საკონტროლო აუდიტის შედეგად გააკეთეს. შვეიცარიელმა აუდიტორებმა საფუძვლიანად შეამოწმეს „ჯი-ემ-პიში" მიმდინარე წარმოების ყველა ეტაპი, ხარისხის კონტროლის მექანიზმები, რის საფუძველზეც გადაწყდა „F.Hoffmann - La Roche"-სა და პსპ-ს ჯგუფის წევრ „ჯი-ემ-პის" შორის პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმება. შედეგად, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური პრეპარატი პეგინტერფერონი წარმოების ბოლო ეტაპს „ჯი-ემ-პიში" გაივლის და საბოლოო სახეს მიიღებს ადგილობრივი პროდუქტის სახით.*

*სადღეისოდ, C ჰეპატიტი მედიცინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით 170 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. C ჰეპატიტის გავრცელება საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 6,7%-ია.*

*C ჰეპატიტის მართვის საერთაშორისო სტანდარტად აღიარებულია ეგრეთ წოდებული პეგილირებული ინტერფერონებისა და რიბავირინის კომბინაცია. C ჰეპატიტის მკურნალობა საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული და დღემდე ბევრისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. პრეპარატის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გადაწყდა, შვეიცარიული პეგილირებული ინტერფერონის წარმოების დასკვნითი ეტაპი საქართველოში გადმოტანილიყო, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მკურნალობის ღირებულებას.*

*შვეიცარიელი მწარმოებლებისა და ხარისხზე ორიენტირებული ქართული ფარმაცევტული წარმოების ფლაგმანის, „ჯი-ემ-პის" პარტნიორობა იმის საწინდარია, რომ საქართველოში იწარმოება თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მედიკამენტები, რაც უფრო ხელმისაწვდომს გახდის ქართველი მომხმარებლისთვის C ჰეპატიტის სამკურნალო თანამედროვე პრეპარატს და აუცილებლად აისახება ქართველი პაციენტების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე.*




**გიორგი ანთაძე** *(„ჯი-ემ-პის" გენერალური დირექტორი):*

„ეს არის პირველი პრეცედენტი, როცა საერთაშორისო კომპანიამ ქართული საწარმო აირჩია პარტნიორად, რაც იმის დასტურია, რომ „ჯი-ემ-პის" საწარმო სრულად აკმაყოფილებს წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენი კომპანიის განვითარების პრიორიტეტი ექსპორტის ზრდაა. 2018 წლისთვის ვგეგმავთ, ეტაპობრივად გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა 100 მილიონ დოლარამდე; იგეგმება, ასევე, „ჯი-ემ-პისა" და F.Hoffmann-La Roche"-ს ერთობლივი პროდუქტის ექსპორტირებაც.

„ჯი-ემ-პი" პსპ-ს ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია; ეს ახალი წამოწყება კი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და ქართველი მომხმარებლისთვის თანამედროვე მედიკამენტების გაცილებით დაბალ ფასად მიწოდებას უზრუნველყოფს; ამასთან, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.




**სოფი ლორია**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა კატეგორიის დავები თუ საკითხებია, საქართველოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სასამართლოების განსახილველი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის; საქმეებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ; უდავო წარმოების საქმეებს; რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან მსჯავრდებუ-



ლი პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებს; შვილად აყვანის საქმეებს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გავრცელების საქმეებს; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურთან არსებული სამედიცინო მედიაციის სამსახურის (შემდგომ - სამედიცინო მედიაციის სამსახური) მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საქმეებს.

**კითხვა**: **მაინტერესებს და გთხოვთ, მაცნობოთ, სამოქალაქო საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება თუ არა ეხებოდეს და იყოს სავალდებულო შესასრულებლად სახელმწიფო ორგანოს ან მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირისთვის?**

**პასუხი**: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისთვის და ისინი უპირობოდ უნდა შესრულდეს.

**კითხვა**: **მაქვს სარჩელი შეტანილი სასამართლოში, იმავე საკითხზე სარჩელით სხვა სასამართლოს მიმართა მოპასუხემ ჩემს საქმეში. გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ ერთი და იგივე დავაზე საქმეები განიხილოს სხვადასხვა სასამართლომ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ. ამასთანავე, მხარეებს არ ერთმევათ უფლება, გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა.

**კითხვა**: **მაინტერესებს და გთხოვთ, განმიმარტოთ, იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე მოპასუხეა და მათი მისამართები სხვადასხვა რაიონშია, სად და რომელ სასამართლოში ხდება სამოქალაქო სარჩელის შეტანა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ, სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა კრიტერიუმის მიხედვით და რომელ სასამართლოში უნდა შევიტანო სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სამოქალაქო სარჩელი?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

**კითხვა**: **ადამიანს, რომელმაც დიდი ოდენობით ზიანი მომაყენა, საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ერიცხება ქონება. ამასთან, აუცილებელია სარჩელში მივუთითო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი, სხვა შემთხვევაში სარჩელს არ იღებს სასამართლო. როგორ მოვიქცე და სად შევიტანო სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მოპასუხის ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით. ხოლო, თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამ შემთხვევაში, თქვენ სარჩელი უნდა წარადგინოთ მოპასუხის ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით და სარჩელის წარდგენის ამგვარ წესს ეწოდება ქონებრივი განსჯადობა.

# როგორ გახდა გელა პატიაშვილი საფრანგეთში ცნობილი მხატვარი და ანიმატორი

(მე-14 გვერდიდან)

– **ბანალური თემაა, მაგრამ, ხელოვანებს ხშირად აქვთ ეგზისტენციური პრობლემები. იყო ეს ერთ-ერთი პრობლემა, რის გამოც საქართველოდან წახვედით?**

– ალბათ, იყო, მაგრამ, უფრო იმიტომ წავედი, რომ, ის საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობდი, ჩემს კითხვებზე პასუხებს ვერ იძლეოდა.

– **ესე იგი, შინაგანად მაინც ევროპელი ხართ.**

– დიახ და ამას განსაკუთრებით მაშინ მივხვდი, როცა ამერიკაში ვიცხოვრე ექვსი თვე და ერთ-ერთი ფილმის მხატვრულ დირექტორად ვიმუშავე. ფრანგები შეკითხვაზე – „გიყვართ თუ არა ამერიკა“, არასდროს ამბობენ „კის“ ან „არას;“ მათი პასუხია – „ჩვენ, ევროპელები ვართ.“ ეს ორი აბსოლუტურად სხვადასხვა ცივილიზაციაა, საფრანგეთში ძალიან აფასებენ ტრადიციებს. სხვა დემოკრატიული კულტურაა, ლონდონისგან და რომისგან განსხვავებით. პარიზში სოციალური სფერო არ განსაზღვრავს შენს წრეს, თუმცა, სნობიზმი ფრანგებისა და ინგლისელების მოგონილია, რომ საკუთარი პრიორიტეტი დაემტკიცებინათ.

– **თქვენ აღნიშნეთ, რომ ათი წელი მუშაობდით საფრანგეთში ანიმაციაში. რითია ანიმაცია მხატვრისთვის საინტერესო?**

– ეს ჩემი ამერიკისშემდგომი გამოცდილება იყო. ძალიან კარგ სტუდიაში ამიყვანეს სტაჟიორად, მერე გავხდი დეკორატორი და, ბოლოს – მხატვრული დირექტორი. სახიფათოა ერთგვარად: ყველანაირ სტილს ფლობ და ვეღარ იგებ, შენი სტილი რომელია. როგორც წესი, მულტიპლიკაციაში რჩებიან 40-45 წლამდე, მერე გადადიან საავტორო ფილმებზე. ახლა დიდი ნაწილი კომპიუტერით კეთდება, მანამდეც კი გუაშით ვხატავდით. ათი წელი ანიმაციის მძიმე ინდუსტრიაში ვიყავი და, რომ გადავაბათ, ერთი წელი შეიძლება ვუყუროთ განუწყვეტლად. მართალია, მიაჩნდათ, რომ ანიმაციური სერიალები დაბალი ხარისხისაა, მაგრამ, რეალურად ასე არ არის. ჩვენ შევქმენით ძალიან გახმაურებული მულტსერიალი „ოლივერ ტვისტი“; შევქმენით მისი ფრანგული, ინგლისური, იტალიური და გერმანული ვერსიები. მერე აღმოვაჩინე, რომ, თურმე, ამ სერიალებს ქართველი მაყურებელიც იცნობს. 13-წუთიანი 132 ეპიზოდი დავასრულეთ და სამი სეზონი შევქმენით. იყო, ასევე, „პრინცესა სისი“, „რომის შვილები“, „მადლოქი“, „ზან-ზანი“, რომლის მუსიკაც პოპმა შექმნა.

– **ადამიანების პორტრეტების ხატვაზე რას იტყვით?**

– არსებობს აზრი, რომ პორტრეტსა და ნატურმორტში ახალს ვერაფერს იტყვი. რამდენიმე წლის წინ მე მოდიდან გადასული ეს ორი ჟანრი (პორტრეტი და ნატურმორტი) გავაერთიანე და საკმაოდ საინტერესო შედეგი მივიღე, მაგალითად, მამაკაცი, რომელსაც ქუდი დაჭრილი ციტრუსებით აქვს მოფენილი; ქალბატონი, რომელსაც ქუდის მაგივრად თავზე რვაფეხა ადევს. კიდევ ერთი ნამუშევრების სერია მქონდა – „სედუქციის სცენები“, რომელშიც, იმ სერიოზულ გამომეტყველებასთან ერთად, რომელიც ჩემს პერსონაჟებს გააჩნიათ, მათ, ასევე, კომიკური და გროტესკული იერიც აქვთ.

**ქეთი დიდებულიძე**

# ინტიმური საუბრები

### თურმე რუსეთში უფროსი ძმა მყოლია

რამდენიმე თვის წინ, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ მამაჩემი პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) როცა სწავლობდა, ჰყავდა შეყვარებული, რომლის ცოლად შერთვასაც კი აპირებდა, მაგრამ, ბებიაჩემმა და ბაბუაჩემმა რუსი რძალი არ ისურვეს, მით უმეტეს, რომ ის გოგო ლენინგრადელი კი არ იყო, რომელიღაც შორი რაიონიდან ჩასულა იქ სასწავლებლად. მამას ინსტიტუტი რომ დაუმთავრებია, საქართველოში დაბრუნებულა, ის გოგო კი – თავის მშობლიურ მხარეში. მას შემდეგ მათ ერთმანეთთან კავშირი აღარ ჰქონიათ. ამ ზაფხულის დასაწყისში კი კომპიუტერში წავიკითხე ინფორმაცია, რომ ვიღაც 24 წლის ბორისი ეძებს ქართველ მამას და ასახელებს მამაჩემის სახელს, გვარს და სხვა მონაცემებს, თან, სურათიც აქვს დადებული – მამაჩემი და ბორისის დედა ერთად არიან გადაღებული. ეს ყველაფერი მამას დედაჩემის ჩუმად ვუთხარი – არ მინდოდა, განერვიულებულიყო. მამამაც დაურეკა იმ ბორისს და საბოლოოდ დაადგინეს, რომ მამა-შვილი არიან. სულ მოკლე ხანში ბორისი ჩვენთან ჩამოსვლას აპირებს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიხარია, რომ ძმა მეყოლება (მამაჩემზე აღარაფერს ვამბობ), მაგრამ, დედას როგორ ვუთხრა ეს ყველაფერი, წარმოდგენა არ მაქვს. მამა თვითონ ვერ ეუბნება და მთხოვა, ამ საქმეში დავხმარებოდი კი შევპირდი, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ ვბედავ და არ ვიცი, როგორ მოვახერხო ისე, რომ დედას ქალური თავმოყვარეობა არ შეელახოს. ცოტა ფიცხი ადამიანია და, შეიძლება, მამას არ აპატიოს ასეთი რამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მის გაცნობამდე მოხდა.

**მაკო, 22 წლის.**



### ჩემი ძმა შეყვარებულის დედამ დაიწუნა

წელს ჩემი ძმა თსუ-ს სტუდენტი გახდა, თანაც, სრული დაფინანსება მიიღო. ეს ყველაფერი კი იმიტომ გააკეთა (ანუ, იმიტომ ჩააბარა უმაღლესში), რომ თავისი ყოფილი შეყვარებულის დედისთვის დაემტკიცებინა, რომ მის შვილზე ნაკლები არ არის. საქმე ისაა, რომ ჩვენი ოჯახი რაიონში ცხოვრობს. რაიონში ცხოვრობს ნათიას ოჯახიც, მაგრამ დედამისს ქალაქელობაზე აქვს პრეტენზია, რადგან, ნათიამ რომელიღაც ქე-კლასის ინსტიტუტში ჩააბარა და სიძედ თბილისელი და უმაღლესდამთავრებული ბიჭი უნდოდა, ჩემს ძმას კი სკოლის შემდეგ არსად ჩაუბარებია. მამაჩემს მოზრდილი მიწის ნაკვეთი ჰქონდა და ჩემმა ძმამ საკმაოდ სერიოზული ფერმა გააკეთა. მერე რამდენიმე მეგობარიც დაასაქმა და ისეააწყო ბიზნესი, მთელი რაიონი მასზე ლაპარაკობდა. ნათიას დედამ კი ითაკილა – უდიპლომო და სოფლელი ბიჭი ჩემს შვილს არ შეჰფერის. მერე სად გამოვყო თავი და სად ვთქვა, ჩემს სიძეს მხოლოდ სკოლა აქვს დამთავრებულიო. რაც მთავარია, ნათიაც დედამისმა გადაიყვანა თავის ჭკუაზე და ჩემს ძმას უთხრა, არ შემეფერებიო. ამიტომაც ჩააბარა ჩემმა ძმამ უმაღლესში. როცა გაიგეს, რომ ჩემი ძმა თსუ-ს სტუდენტი გახდა, მას მერე აღარ იციან, როგორ შემოუძვრნენ და როგორ მოულბონ გული თემოს, მაგრამ, აღარაფერი გამოუვათ. ჩემს ძმას ისე გაუტყდა გული, ნათიასკენ გახედვაც აღარ უნდა. როცა საჭირო იქნება, ერთ პატარა ბინას თბილისშიც იყიდის, ისე კარგად აქვს მეურნეობის საქმე აწყობილი და მერე ნახონ ნათიამ და დედამისმა, შურისგან და ბოღმისგან თვალები რომ გადმოუცვივდებათ. მაგათმა მზემ, ბევრს იპოვიან ჩემი ძმისნაირ წესიერ, მშრომელ და ჭკვიან ბიჭს.

**მარინა, 25 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ლუდი „მთიელისა“ და „შავფაროსნების“ ერთობლივი კლიპის პრემიერა

***7 ოქტომბერს, ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში, ლუდი „მთიელისა" და „შავფაროსნების" ერთობლივი სარეკლამო რგოლის პრემიერა გაიმართა. სარეკლამო რგოლის გაშვებამდე, სპეციალურად დამსწრე საზოგადოებისთვის, წარმოდგენილი იყო, „შავფაროსნების" შთამბეჭდავი ორთაბრძოლა. საღამო ასევე, გაალამაზა „ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის" მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა.***




**თორნიკე ნიკოლაიშვილი** ***(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი):*** ლუდი „მთიელი" როგორც ბრენდი, ემსახურება ქართული ტრადიციების აღორძინებას. ეს არის შენარჩუნებული მემკვიდრეობა. თავის დროზე ჩვენ მოვიძიეთ მთაში ლუდის ხარშვის რეცეპტები და მოვახდინეთ მისი ინდუსტრიალიზაცია. „შავფაროსნებმა" კი მოიძიეს ქართული საბრძოლო ილეთები, რომელიც აღორძინეს და მიიტანეს მომხმარებლამდე. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პირველი ერთობლივი პროექტია, რომელიც დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეგობრობის დასაწყისია. სამომავლოდ კი იმედი მაქვს, ლუდი „მთიელი" და „შავფაროსნები" არაერთ ერთობლივ საინტერესო პროექტს განახორციელებენ.





**აკა მელიქიძე** ***(პროდიუსერი, სტუდია Cor-production):*** უპირველესად, მთელი ჩვენი კომპანიის სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო ლუდ „მთიელს" და „შავფაროსნებს," რომლებმაც მართლაც რომ სისხლი დაღვარეს გადასაღებ მოედანზე. ჩვენ ძალიან დიდი შრომა და ენერგია ჩავდეთ იმისთვის, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნება გადმოგვეცა ახალი ხედვით, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდით. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ „შავფაროსნებს," რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი მემკვიდრეობა შევინარჩუნოთ. სარეკლამო რგოლზე ძალიან დიდი შრომა დაიხარჯა, გამოვიყენეთ თითქმის ყველა არსებული ტექნიკური საშუალება, რაც კი ამიერკავკასიაში არსებობს. იმედია, ეს რგოლი ყველას მოეწონება.



„შავფაროსნები" მიზნად ისახავენ, მთლიანად ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და მასში გაერთიანებული საბრძოლო სახეობების, საქართველოში საბრძოლო კულტურის, უძველესი საბრძოლო ტრადიციების შესწავლას, აღდგენას და სისტემატიზაციას. ასევე, მის გაცოცხლებას და კულტურის საკმაოდ მიმქრალი ინფორმაციის აქტუალიზაციას და მიწოდებას ქართული საზოგადოებისთვის.

ყოველივეს გათვალისწინებით ლუდი „მთიელი," „შავფაროსნების" პარტნიორი სიამაყით გახდა და თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა სარეკლამო რგოლი, რომელიც ფართო საზოგადოებასაც იმ აღტკინებას აჩვენებს, რომლითაც წარსულში ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ.

**მარიკა ხიდურელი**

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძე ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატია, მაგრამ პოლიტიკურ სკანდალებში, რაც დედაქალაქის პოლიტიკურ ეპიცენტრს ბოლო პერიოდში ნამდვილად არ აკლია, თითქმის არასდროს ხვდება. მრეწველთა ცნობილი ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის უმცროს შვილს პოლიტიკურ პერიპეტიებში გზამკვლევად მამის გამოცდილება და მისგან მემკვიდრეობით მიღებული „ესტაფეტა" შველის. როგორ მოხვდა ის ქართულ პოლიტიკაში და რის ნოსტალგიას ვერ ელევა ის, ამის შესახებ თავად გიორგი ტყემალაძე გიამბობთ.**

# რაში ვერ ჩაითრიეს ზურაბ ტყემალაძის შვილი და რაში „დაჯაბნეს" უფროსმა მრეწველებმა შვილები

**– გიორგი, როგორ მოხვდით პოლიტიკაში, სად და როგორ გაიხსნა თქვენი „შრომის წიგნაკი?"**

– როდესაც პოლიტიკოსის ოჯახში იზრდები, ინტერესი პოლიტიკის მიმართ ბუნებრივად ჩნდება. თუმცა, მე ამ სფეროს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მქონია. არც მიფიქრია და ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე პოლიტიკას დავუკავშირებდი ცხოვრებას. ჩვენ ზედმეტად პოლიტიზირებულ ქვეყნაში ვცხოვრობთ, თორემ საკრებულო თითქმის არსად არაა პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი. შესაბამისად, დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი იმ საქმეს, რაც თვითმმართველობის და საკრებულოს მთავარი ფუნქციაა. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ისე დალაგდება ეს ქვეყანა, საკრებულოს საქმიანობა ასეთი დიდი დოზით არ იქნება გადაკვეთილი პოლიტიკასთან. როდესაც პროფესიული არჩევანი გავაკეთე, სულ სხვა გეგმები მქონდა. როგორც კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე კერძო კომპანიებში, მათ შორის იყო ცნობილი ქართულ-ამერიკული საწარმო, სადაც ოთხი წელი ვიმუშავე.



**უნდა მიმელო გადაწყვეტილება, წავსულიყავი ამერიკაში და გავყოლოდი ჩოგბურთს, მაგრამ ვერ მოვწყდი აქაურობას**

ტექნოლოგიც ვიყავი ერთხანს, მერე მენეჯერის პოზიციაზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წელი გავატარე კერძო სექტორში. 2003 წელს პირველად მოვხვდი სახელმწიფო სამსახურში. მუშაობა დავიწყე მთავრობის კანცელარიაში, ვმუშაობდი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეკონომიკის განყოფილებაში, საიდანაც გადავედი ეკონომიკის სამინისტროში. ეს იყო ძალიან საინტერესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, მაშინ შეიქმნა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც დღესაც ძალიან წარმატებულად მუშაობს. მე ჯერ გახლდით ამ სააგენტოს დირექტორის მოადგილე, შემდეგ კი – დირექტორი. 2006 და 2010 წლებში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს არჩევნებში და გავხდი საკრებულოს წევრი.

**– ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი ხართ, მაგრამ არასდროს მოხვედრილხართ ხმაურიანი ამბების ეპიცენტრში, მით უფრო, რომ სკანდალები არც ერთ საკრებულოს არ აკლდა. როგორ მოახერხეთ ეს?**

– ისეთი მშვიდი ხასიათი მაქვს, ჩემი აყოლიება და სკანდალებში ჩათრევა, არაა იოლი საქმე, ნაკლებად კონფლიქტური ვარ. ალბათ, ესეც არის მიზეზი იმისა, არ მოვხვდე ხმაურიანი ამბების ეპიცენტრებში. მე არასდროს მქონია აფიშირებისა და პოპულარობის სურვილი. ამ წლებში ძალიან ბევრ კონკრეტულ საქმეში ვიყავი ჩართული, ყოველთვის ვახერხებდი ჩუმად მეკეთებინა ჩემი საქმე, თუმცა რამდენჯერმე ვერც მწვავე დაპირისპირებას ავარიდე თავი. ასეთებიც იყო, თუმცა მე მაინც ვცდილობ, ხმაურსა და სკანდალს მაქსიმალურად ავარიდო თავი.

**– ალბათ, პოლიტიკაში გამოცდილი მამის რჩევა-დარიგებები გადგებათ, გასწავლათ ხეზე ასვლის წესები?**

– მამას, რა თქმა უნდა, დიდი როლი მიუძღვის ამაში, მისმა პოლიტიკურმა კარიერამ ჩემს თვალწინ გაიარა. მამას თავადაც ასეთი იმიჯი ჰქონდა და აქვს პოლიტიკაში, ხმაურიანი და სკანდალური არასდროს ყოფილა. მამის გამოცდილება მეც ბევრს მაძლევს და ეს ბუნებრივიცაა, როცა შვილს მამის განვლილი გზის ესა თუ ის ეტაპი ძალიან ბევრს გასწავლის. ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვუზიარებთ აზრს. მისი რჩევა ყველაზე კომპეტენტური და საიმედოა ჩემთვის, მისი გამოცდილებაც ბევრ რთულ პერიოდში დამხმარებია. ადამიანმა ეს რესურსი რომ არ გამოიყენოს, ალბათ, ნორმალური არ უნდა იყოს.

**– გარდა პოლიტიკური ესტაფეტისა, მამის ფაქტორი, ალბათ, ბევრჯერ იყო თქვენთვის გადამწყვეტი.**

– ჩვენ გვქონდა და გვაქვს ტრადიციული, ქართული ოჯახი. მამა არ ყოფილა მკაცრი არც ჩემთან და არც ჩემს უფროს ძმასთან, უფრო ლიბერალი იყო. ზომაზე მეტად არასდროს ჩარეულა შვილების ცხოვრებაში. მას ყოველთვის დატვირთული რეჟიმი ჰქონდა, შესაბამისად, ჩემი და ჩემი ძმის განათლება და ბევრი სხვა საოჯახო საზრუნავი, როგორც ხდება ხოლმე, დედას ჰქონდა თავის თავზე აღებული. იმას, რომ ცნობილი და წარმატებული მამის შვილი ხარ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი დადებითი მომენტი ახლავს. ბიზნესში იყო თუ პოლიტიკაში, მისი სახელი ყოველთვის კარგად მხვდებოდა წინ. თუმცა, ეს ძალიან ბევრ პასუხისმგებლობასაც გაკისრებს ადამიანს. ბევრჯერ ვყოფილვარ ისეთ სიტუაციაში, როცა აუცილებლად უნდა მოექცე ჩარჩოებში, თავს არ მისცე იმის უფლება, რისიც თავისუფლად შეიძლება, მისცეს ახალგაზრდა კაცმა საკუთარ თავს. თვითონ მამას არასდროს დაუწესებია ჩვენთვის აკრძალვები და შეზღუდვები, ეს ყველაფერი თავისთავად, ბუნებრივად ხდებოდა.

**– მისგან ბიზნესის ნიჭიც გამოგყვათ ძმებს?**

– მე ამ მხრივ ვერ აღმოვჩნდი მარჯვე, უფრო ჩემი ძმა აღმოჩნდა აქტიური, შესაბამისად, ის აგრძელებს იმ საქმეებს, რასაც მამა უძღვებოდა. ხასიათით ვგავარ მამაჩემს. ვართ იმერლები, მაგრამ ბევრს უთქვამს ხუმრობით, შენ რანაირი იმერელი ხარ, ისეთი მშვიდი ხასიათი გაქვს, უფრო წაურაჭველებო ***(იცინის).*** არ მიყვარს ფიქრის გარეშე, ნაუცბათევი გადაწყვეტილებების მიღება, მამაჩემიც ასეთია. ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ბოლო პერიოდში ხშირად არის ქუთაისში, მეტ დროს იქ ატარებს. მაგრამ, როცა თბილისშია, ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთ სახლში.

**– ჩინოვნიკურმა საქმიანობამ როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება?**

– მე საკმაოდ დიდ დროს ვატარებ საკრებულოში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, რაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გავხდი. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ბევრი წავიდა აქედან პარლამენტში. ეს თანამდებობა იყო ვაკანტური მაშინდელი ოპოზიციისთვის და დავთანხმდი შემოთავაზებაზე, რომელიც მე მივიღე. დაახლოებით სამი თვეა, რაც უმრავლესობაში ვარ, ეს გარკვეულწილად აორმაგებს დატვირთვას, პასუხისმგებლობას. სამსახური უკვე ბევრს ითხოვს ჩემგან, შესაბამისად, მთელი დრო აკლდება ჩემს ოჯახს – მეუღლეს და სამ შვილს. შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ვიყავი ჩართული ოჯახის ამბებში, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია. ასეთი სამსახური მთლიანად ცვლის ცხოვრების რეჟიმს, ყოფილი ჩოგბურთელი ვარ, ძალიან მიყვარდა და მიყვარს ჩოგბურთი, სადაც შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევით მოვხვდი. ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდი, სულ ფეხბურთზე ვოცნებობდი, ვერ წარმომედგინა, რომ ფეხბურთის გარდა სხვა სპორტზე ვივლიდი. ერთ დღეს, მამას მეგობარი შემთხვევით გახდა ჩემი სპორტული მონაცემების თვითმხილველი, რომელმაც სპორტის ის სახეობა მირჩია, სადაც მისი შვილი დადიოდა. ასე მოვხვდი ჩოგბურთში, მქონდა პროფესიონალური წარმატებებიც, მაგრამ მერე თბილისში ყველაფერი ისე აირია, არავის ეცალა სპორტისთვის. მე უნდა მიმელო გადაწყვეტილება, წავსულიყავი ამერიკაში და გავყოლოდი ჩოგბურთს, ან აქ გამეგრძელებინა სწავლა. მე ვერ მოვწყდი აქაურობას და ასე ჩამოვშორდი სპორტულ კარიერას. დღეს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ, ყველაზე მეტად ესეც მაწუხებს, რომ დროის დეფიციტის გამო ჩოგბურთისთვისაც ვერ ვიცლი. ჩემი შვილი ვარჯიშობს პროფესიონალურ ჩოგბურთში. როცა ის მიმყავს კორტზე იმ ნოსტალგიას ვიქარვებ, რაც მუდმივად მაქვს. ყოველი ჩემი მისვლა კორტებზე ჩემთვის ბავშვობაში დაბრუნებაა.

**– მოწოდებით თქვენც მრეწველი ხართ?**

– კი, რა თქმა უნდა, მრეწველი ვარ, როგორც მოწოდებით, ასევე პოლიტიკური ორიენტაციით. მჯერა იდეის, რომ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. პარტიაში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდაა, მენტალურად ბევრი გვაქვს საერთო უფროს თაობასთან და მიგვაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი უპირველესი თემაა დღესაც ჩვენი ქვეყნისთვის.

**– მრეწველთა ახალი თაობაც, ძველი თაობის მსგავსად, მარჯვენი ხართ ნადირობასა და მსგავს ამბებში?**

– მართალია, არ აღმომაჩნდა ღვინის ბიზნესთან დაკავშირებული ნიჭი – მე და ღვინო ვმეგობრობთ სუფრასთან. სტუმართმოყვარე ოჯახში ვარ გაზრდილი, ჩვენთან სტუმრის კულტი განსაკუთრებული იყო. ეს მე და ჩემს ძმასაც ტრადიციულად მოგვყვება. მრეწველთა შვილებს ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ჩვენ თითქმის ერთად ვართ გაზრდილები, ბევრი კარგი მოგონება გვაკავშირებს ერთმანეთთან. მართალია, ისე ვერ ვნადირობთ, როგორც უფროსები. რამდენჯერმე მოვხვდი სანადიროდ, მაგრამ ვერ გამოვიჩინე თავი და ხელი ჩავიქნიე, თუმცა დარწმუნებული ვარ, ესეც რომ ძალიან მოვინდომოთ, ალბათ გამოგვივა. ჯერ კიდევ არაა გვიან.

**თამუნა ნიჟარაძე**

გაციების
პირველივე
ნიშნებისას

მიიღეთ
ტაიქოლდი

კაფსულისა და
ცხელი ჩაის
ფორმით

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# როგორ ცვლის ცოლთან შეჩვევა მამაკაცს და რატომ ეშინია ქალს ამის

**ნებისმიერი ქალისთვის ნაცნობია სიტუაცია, როცა იდეალური მამაკაცი, რომელიც უყვარდა და რომელზე ფიქრშიც ღამეებს ათენებდა, ოჯახში სრულიად აუტანლად იქცევა და უკვალოდ ქრება ის ღირსებები, რითაც ურთიერთობის დასაწყისში მოიხიბლა. რა ხდება? ნუთუ მამაკაცები ისეთი ნიჭიერები არიან, რომ პირველ ეტაპზე კარგად თამაშობენ, რომ მერე, როცა ქალს თავისად დაიგულებენ, თავიანთი ჭეშმარიტი სახე გამოაჩინონ?! პრობლემა ასე მარტივად ნამდვილად არ დგას. ჯერ ერთი, მამაკაცები საკმაოდ უნიჭო მოთამაშეები არიან; მეორეც – ქალებსაც არანაკლები წვლილი მიუძღვით ოჯახში ურთიერთობების გაფუჭებაში და ხშირად ამას ისე აკეთებენ, ვერც ამჩნევენ, მერე კი პანიკაში ვარდებიან. თუ სიყვარული ცოცხლობს, ყველაფერი თქვენს ხელშია, მთავარია, სწორად ჩაწვდეთ პრობლემის არსს და გააცნობიეროთ, როგორი ქმედება იქნება ეფექტური.**



**ლენა** *(45 წლის):* რაც წლები გემატება, მით უკეთ ხვდები, რამხელა ფასეულობაა ოჯახი და როგორი მნიშვნელოვანია მისი სრულფასოვნად შენარჩუნება. სამწუხაროდ, ქალების უმრავლესობა ოჯახის შექმნის შემდეგ დინებას ნებდება და აღარ ცდილობს, ურთიერთობა პოზიტიურ ტონუსში ამყოფოს.

**– პოზიტიურ ტონუსში ყოფნაში რას გულისხმობთ?**

– შეიძლება, იფიქროთ, რომ ოჯახური ურთიერთობა ისეთი რუტინული და დამღლელია, საშუალებას აღარ გიტოვებს, იფიქრო რომანტიკულ „გადახვევებზე“, იყო მუდმივად ახლის ძიებაში... მაგრამ, ამის გაკეთება, უბრალოდ, აუცილებელია, მით უფრო, როცა ოჯახური თანაცხოვრების ოცწლიანი სტაჟი გაქვს. ძალიან კარგი ქმარი მყავს. უკვე ამდენი წელია, მხარდამხარ მოვდივართ ერთად. პრობლემები როგორ არ გვქონია, მაგრამ, მის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. არც ყურადღება მომკლებია და არც იმის დარდი მქონია, ქმარს მოვბეზრდი-მეთქი.

**– ახლა დარდობთ ამაზე?**

– ახლა იმაზე ვდარდობ, რომ ჩემი წინდაუხედაობით რაღაც გავაფუჭე. ურთიერთობას ძალიან უნდა მოფრთხილება და ეს, ძირითადად, ქალების გასაკეთებელია. ისედაც ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ – ზოგადად ხომ ასეა? გვინდა თუ არ გვინდა, უამრავ მოვალეობასა და საქმეს ვიკიდებთ მხრებზე, რადგან, მამაკაცებს რომ ვუყუროთ და ველოდოთ, არაფერი გამოვა და ისევ ჩვენ დავზარალდებით. პრობლემა, რომელიც შემექმნა, ჩემმა უმოქმედობამ გამოიწვია, მერე კი ისეთ დროს ავტეხე პანიკა, როცა არ უნდა ამეტეხა. მანამდე უნდა მოვქცეულიყავი ჭკვიანურად. რას მივაღწიე უაზრო ნერვიულობით? არაფერს. მხოლოდ საკუთარ თავს ვავნე. ფიზიკურადაც აისახა ჩემზე სტრესი და მორალურადაც დავძაბე ოჯახში სიტუაცია. ერთ დღეს ჩემმა დაქალმა მითხრა: სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარ. რა ხდება შენს პირადშიო?! მაშინ მივხვდი, რომ ჩუმად ველარ ვიქნებოდი, ეს ბოლო წვეთი იყო ჩემი მოთმინების ფიალაში. მანამდე მძიმე პერიოდი მქონდა – ვატყობდი, ჩემი ქმარი ძალიან შეიცვალა და ამის გამო ვნერვიულობდი, თუმცა, ვერაფერს ვამბობდი.

**– როგორ შეიცვალა?**

– ყოველთვის სრული თანხმობა გვქონდა. ერთმანეთთან იმაზე მეტად ახლოს ვიყავით, ვიდრე ჩვეულებრივი ცოლ-ქმარი. უერთმანეთოდ არც ერთი გადაწყვეტილება არ მიგვიღია და არც მარტო წავსულვართ სადმე. წარმოგიდგენიათ? ოცი წლის განმავლობაში უიქენდიც კი არ გაგვიტარებია ცალ-ცალკე. მეგობრები დამცინოდნენ: რა იყო, რითი ვერ მოისიყვარულე შენი ქმარი, ჩვენთან ერთად გასართობად რომ არ დადიხარო. კი არ ვთამაშობდი „მაგარ ცოლს“, მართლა არ მიხაროდა სადმე მარტო წასვლა. საღამოობით ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით, ერთმანეთს დღის ამბებს ვუყვებოდით... საყიდლებზეც ყოველთვის ერთად დავდიოდით; ბავშვივით უხაროდა ერთად სადმე წასვლა და, უცებ, ეს ჩემი კომუნიკაბელური, ყურადღებიანი ქმარი ერთბაშად გადასხვაფერდა – თითქოს გამოცვალეს. ბუნებრივია, ოცი წელი საკმაოდ დიდი დროა, რომ ადამიანს მობეზრებამდე შეეჩვიო, მაგრამ ჩვენთვის უცხო იყო ასეთი რამ. უეცრად აღმოვჩნდი ფაქტის წინაშე, რომ ქმარი სრულ იგნორირებას მიკეთებდა – შეიკეტებოდა ოთახში და საერთოდ არ შემოდიოდა კონტაქტში. ღამეები აღარ მეძინა. ვერც ვერაფერს ვეკითხებოდი და ვასკდებოდი გულს...

**– არ ჯობდა, გეკითხათ? ალბათ, გუნებაში შექმენით ისტორია ღალატზე.**

– დიახ. ვაღიარებ, რომ, ამხელა გამოცდილების მქონე ქალი ძალიან უგუნური აღმოვჩნდი. ვითომ ოც წელიწადში რაღაც უნდა მესწავლა, მაგრამ, ეს დროზე არ ყოფილა დამოკიდებული. ურთიერთობის ხელოვნება აბსოლუტურად სხვა რაღაცაა და, სამწუხაროდ, ამას არავინ გვასწავლის. მეგობრებიც კი არ არიან კომპეტენტურები... ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ჩემი ქმარი ინტიმურ საკითხშიც შეიცვალა. არანაირი ურთიერთობა. საერთოდ გაიტანა თავისი ლოგინი და დივანზე იძინებდა. ლამის გავგიჟდი. აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა. როგორც ყველა ქალი, მეც ემოციას აჰყევი და გადავირიე.

**– იფიქრეთ, რომ სხვა ქალი ჰყავდა და თქვენ აღარ უნდოდით?**

– სხვა რა უნდა მეფიქრა?! ბუნებრივია, გამიჩნდა ეს ეჭვი და, არავინ თქვას, რომ სხვა ქალი გლობალიზაციაზე დაიწყებდა ფიქრს.

**– გლობალური პრობლემები არა, მაგრამ, არ გიფიქრიათ, რომ, იქნებ სამსახურში ჰქონდა რთული სიტუაცია?**

– ვიფიქრე მაგაზეც, მაგრამ, მე მისი სამსახურის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი და, არ ხდებოდა იქ რაღაც ისეთი, რასაც შეეძლო, ჩემი ქმარი ამ მდგომარეობამდე მიეყვანა. ვერაფრით მივხვდებოდი იმას, რომ უცებ ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრდებოდა და ერთფეროვნება ამ ზომამდე დაღლიდა.

**– თქვენ თქვით, რომ მეუღლესთან სრულ თანხმობაში ცხოვრობდით. გქონდათ შანსი, პირდაპირ დალაპარაკებოდით? თუ გქონდათ, რატომ არ გამოიყენეთ?**

– არ ვიცი. ალბათ, დავიბენი. გაუცხოება უცებ მოხდა. ეს რომ ნელ-ნელა განვითარებულიყო, უფრო მობილიზებული შევხვდებოდი. დავიწყე სტანდარტულად, ბანალურად მოქცევა – მობილურში, ჯიბეებში დავიწყე ქექვა კომპრომატების საპოვნელად. მისი ღალატის დამადასტურებელ ფაქტებს ვეძებდი. თუმცა, ვიცოდი, რომ ეს ყველაზე დამამცირებელი საქციელია და საშინლად განვიცდიდი, ამას რომ ვაკეთებდი. მერე გამახსენდა, რა ემართებათ კაცებს, „საშუალო ასაკის“ კრიზისი რომ ეწყებათ და, მოკლედ, დავსვი დიაგნოზი: სიყვარული! ერთი პერიოდი იმასაც ვფიქრობდი, ვინმე ჰყავს და წასვლა უნდა, ნეტავი, მითხრას და წავიდეს-მეთქი, ამდენ ნერვიულობას მაინც გადავრჩები-მეთქი. დაქალმა მირჩია, მიდი, აეჭვიანე: კარგად ჩაიცვი, გამომწვევად; სალონში წადი, ღამის ძვირფასი საცვლებიც იყიდე და, ნახე, რა მოხდებაო.

**– რა უნდა მომხდარიყო. რას ელოდით?**

– რეაქციას უნდა დავკვირვებოდი. სხვათა შორის, ასეც მოვიქეცი და ჩემმა ქმარმა პირველად მომაქცია ყურადღება სამთვიანი სრული იგნორირების შემდეგ, მაგრამ, ეს ის არ იყო, რაც მინდოდა – შემომხედა არა აღფრთოვანებულმა, არამედ, გაკვირვებულმა და, გაღიზიანებით მკითხა – რას დამსგავსებიხარო. გული მომიკვდა. მერე სამზარეულოში გავიდა და დავრჩი უარესად აღელვებული და დამცირებული. მაშინვე გამოვიცვალე ტანსაცმელი და ავტირდი, თუმცა, ჩემი ქმრისთვის ეს არ დამინახვებია. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ჩამიქნევია ხელი და ახალი სიურპრიზი შევთავაზე ქმარს – ვახშამი სანთლების შუქზე... ვარდებიც კი ვიყიდე და ამ ვარდებმა ლამის დამღუპა. ჩემმა ქმარმა აბსოლუტურად უკუღმა გაიგო ყველაფერი და ისე გადაირია...

**– რატომ?**

– იეჭვიანა – შენ ვილაც გყავსო. იმისთვის გაშალე ასეთი სუფრა და იმისთვის კოხტავდებიო. ვითომ ჩემს მოსახიბლავად ცდილობ, სინამდვილეში კი მატყუებ, საყვარელი გყავსო. ლამის შოკი მივიღე. ყველაფერს წარმომვიდგენდი, ამის გარდა... უფრო ველოდი, რომ მეტყოდა: ტყუილად წვალობ, მე შენ აღარ მიყვარხარ და სხვასთან მივდივარო; მან კი უცებ მახალა: დაჯექი და მოყევი, რა ხდებაო... წარმოგიდგენიათ?! იქით მთხოვა სიტ-

**ცუდ დროს ავტეხე პანიკა, მანამდე უნდა მემოქმედა ჭკვიანურად. რას მივაღწიე უაზრო ნერვიულობით? მხოლოდ საკუთარ თავს ვავნე**

# ერთსა და იმავე დღეს ნამშობიარებმა ქალებმა ერთმანეთი ერთი წლის შემდეგ იპოვეს

*32 წლის ნათია ნიკოლოზიშვილი ეძებდა 31 წლის ნინო მაჭარაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ 31 წლის ნინო მაჭარაშვილს (თუ არ ვცდები, მეუღლის გვარი ლოთიშვილია). მე და ნინომ ერთმანეთი შალვა ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში გავიცანით, ორივეს ერთ დღეს მოგვიწია მშობიარობა და ისე დავახლოვდით, რომ იქ ყოფნის დროს უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. ნინოს შეეძინა გოგონა და სახელად მარიამი დაარქვა; მე კი ვაჟი მეყოლა – ნიკუშა. უკვე ერთი წელია გასული მას შემდეგ, რაც ნინო ბოლოს ვნახე და ძალიან მინდა მისი პოვნა. სამწუხაროდ, მისი ფოტო არ გამაჩნია და ჩემს სურათსაც ვერ გიგზავნით (რადგან, სოფელში ვარ და ინტერნეტკაფეს საშუალებაც არ მაქვს). ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი მეგობარი.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია დაბეჭდილი იყო რუბრიკა „დაკარგულების“ ამა წლის 9 სექტემბრის ნომერში. დაკარგული ნინო მაჭარაშვილი ნაპოვნია, მეგობრების ერთმანეთთან კავშირი აღდგენილია და ახლო მომავალში ისინი ერთმანეთთან შეხვედრასაც აპირებენ. ფოტოებზე კი, როგორც მკითხველი თავადაც მიხვდება, ნინოსა და ნათიას დამეგობრების მიზეზი, ანუ, მათი შვილები არიან.

**ინტერვიუ ნათია ნიკოლოზიშვილთან**

**– ნათია, როგორი იყო შენი რეაქცია, როცა გაიგე, რომ მეგობარი ნაპოვნია და შენს ზარს ელოდება?**

– ნინოს პოვნა ძალიან გამიხარდა და დიდი მადლობელი ვარ თქვენი და იმ ქალბატონის, რომელიც თქვენს სტატიას გამოეხმაურა (საუბარია ნინო მაჭარაშვილის დეიდაზე). როგორც უკვე გითხარით, ნინოს პოვნა მართლაც მინდოდა. მე მას ყველანაირად ვეძებდი, მაგრამ, მასთან დაკავშირება ვერ შევძელი. მე და ნინომ ერთ დღეს ვიმშობიარეთ, ერთი და იგივე პრობლემები გვქონდა, ანუ, ორივემ საკეისრო კვეთა გავიკეთეთ. სულ მაინტერესებდა, როგორი გახდა ნინოს შვილი – მარიამი. ის ამჟამად, ჩემი შვილივით, 1 წლის და 2 თვისაა, მე კი ის შვიდი დღის მყავს ნანახი. ჩემი სურვილი ახდა და ნინოს ტელეფონითაც ვესაუბრე. ახლო მომავალში კი ჩვენ ერთმანეთთან შეხვედრასაც ვგეგმავთ.

**– დარწმუნებული ვარ, თქვენს შეხვედრას მთავარი გმირებიც დაესწრებიან...**

– დიახ, მარიამი და ნიკუშა აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს. ისინი ერთსა და იმავე დღეს დაიბადნენ და მთელი ერთი კვირა სამშობიაროში ერთ ოთახში გაატარეს. დიდი სურვილი მაქვს, რომ მომავალში მათაც იმეგობრონ.



**– ნინოს მხრიდან რა იყო იმის მიზეზი, რომ ამდენი ხანი ერთმანეთს არ დაკავშირებიხართ?**

– აღმოჩნდა, რომ ნინომაც ტელეფონის გამო დაკარგა ჩემი ნომერი და ამიტომ ვერ მიკავშირდებოდა. ბარათი გამოცვალა, თუ სწორად მახსოვს მიზეზი... უბრალოდ, ისე გაგვიხარდა ორივეს ერთმანეთის პოვნა, რომ დაკარგვის მიზეზებს დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევდით. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი ერთმანეთის შვილების მოკითხვით დაიწყო. ნიკუშაც და მარიამიც უკვე დადიან, არადა, თითქოს გუშინ იყო, რომ გამოგვწერეს *(იცინის).*

**– ნინო თუ გეძებდა?**

– მან ხომ არ იცოდა, რომ მე ტელეფონის ბარათი გამოვცვალე და, თურმე, სულ ელოდებოდა ჩემს ზარს. სოციალურ ქსელებშიც არასაკმარისად ვერკვევი, თორემ, იქაც ვიპოვიდი. თავადაც იგივე პრობლემა ჰქონია, მაგრამ, ამჟამად ყველაფერი რიგზეა და, ახლა ერთი სული გვაქვს, ერთმანეთს შევხვდეთ.

**ინტერვიუ ნინო მაჭარაშვილთან**

**– ნინო, შენ რა რეაქცია გქონდა, როცა გაიგე, რომ გეძებენ?**

– დეიდამ დამირეკა და მითხრა, მგონი, შენ გეძებენო. გამიკვირდა და იმ დღესვე წავიკითხე თქვენი სტატია. გამიხარდა, რადგან, ნათიას ნახვა და პოვნა მეც მინდოდა. მარიამს რომ ვუყურებ, როგორ უცებ გაიზარდა, სულ მაინტერესებდა ნიკუშა როგორი გახდა. ნათიას ყველაფერში ვეთანხმები – მართლა დასანანი იქნებოდა ჩვენი მეგობრობის დაკარგვა. ყველა ქალისთვის მნიშვნელოვან პერიოდში გავიცანით და გავუგეთ ერთმანეთს. მართლაც კარგი იდეაა, რომ ნიკუშა და მარიამი ერთმანეთს იცნობდნენ. იმედია, ისინი გააგრძელებენ ჩვენს მეგობრობას. გაიზრდებიან და იტყვიან: ჩვენმა დედებმა ერთად იმშობიარეს და ერთმანეთი არ დაკარგეს, ჩვენ კი ერთმანეთს სამშობიარო სახლიდან ვიცნობთო (იცინის).

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

უაციაში გარკვევა. ვნანობ, რომ მე არ დავასწარი და ისეთი მოქმედებები განვახორციელე, რამაც უკუშედეგი მომიტანა. ყვავილები იმან გიყიდაო. მიყვიროდა. საკუთარი თავი შემეცოდა. რა თქმა უნდა, ავტირდი, მერე კი დავიწყე იმის მტკიცება, რომ მიყვარს და მასზე ძვირფასი არავინ მყავს; როგორ განვიცდიდი, რომ აღარ მეკარებოდა... გაშტერებული მიყურებდა! ვუთხარი, შენ მე, როგორც ქალი, აღარ გაინტერესებ. კარგი იქნებოდა, მართლა საყვარელი გამეჩინა, ის მომეფერებოდა და მაგრძნობინებდა, რომ ქალი ვარ-მეთქი. მე საკუთარ თავთან მინდოდა მარტო დარჩენა,

**ძალიან უგუნური აღმოვჩნდი ამხელა გამოცდილების ქალი. წესით, ოც წელიწადში რაღაც მაინც უნდა მესწავლა, მაგრამ, ამაზე არ ყოფილა ეს ყველაფერი დამოკიდებული**

შენ კი რა სისულელე გიფიქრიაო. მინდოდა, მომენატრებოდი და ცოტა ხნით იმიტომაც მოგერიდეო, – მიპასუხა.

**– უთხარით, რომ მასში მომხდარმა ცვლილებებმა შეგაშფოთათ?**

– რა თქმა უნდა. დავჯექი და დაწვრილებით მოვუყევი, როგორი იყო და როგორი გახდა. სხვათა შორის, გაუკვირდა. მერე კი მითხრა, ამ ხნის განმავლობაში მეც ბევრს ვფიქრობდი. შევეჩვიე ჩვენს ყოველდღიურობას და ეს მაწუხებდა. ვცდილობდი, არ დავმსგავსებოდი იმ კაცებს, გარეთ რომ ეძებენ გასართობს და გულის გადასაყოლებელს. ამ ტიპის ადამიანი რომ არ ვარ, ოცი წლის განმავლობაში ვერ გამიცანიო? ან, რას იტანჯებოდი და რაღაც თეორიებს აგებდი, დამელაპარაკებოდიო.

**– ხედავთ? საუბარი ყოფილა გამოსავალი.**

– არა, არ არის ასე. მე ვერ მივხვდებოდი, რა ხდებოდა სინამდვილეში. რომ ეთქვა, საკუთარ თავთან მომინდა განმარტოებაო, რბილად რომ ვთქვათ, არ დავუჯერებდი, მაინც ეჭვი გამიჩნდებოდა. ქმრის უჩვეულო და უცნაური საქციელი ნებისმიერ ქალს უჩენს იმ სახის ეჭვებს, როგორც მე გამიჩნდა.

**– ანუ, მამაკაცებს, შეიძლება, სულაც არ ჰქონდეთ „ცუდი ზრახვები,“ ისე შეიცვალონ?**

– დიახ, სწორედ ამის თქმა მინდა. შეუძლებელია, ისე იცნობდე ადამიანს, თუნდაც ქმარს, რომ მისი უმნიშვნელო ცვლილების ჭეშმარიტ მიზეზს ჩასწვდე. შეჩვევაც ძალიან ცუდი რამეა. მე მაშინ კი არ უნდა ავმოძრავებულიყავი, როცა „ტრუსის სუნი“ მეცა, არამედ, გაცილებით ადრე.

**– რატომ, თქვენს ქმარს ხომ არ უფიქრია ღალატზე?**

– უბრალოდ, გამიმართლა. ზოგადად, ხასიათში არა აქვს ღალატი, მაგრამ, არავინ იცის, რა მოხდებოდა, საცდური რომ ჰქონოდა ახლოს.

**– არ უნდა შეეჩვიო ქმარს?**

– მეტისმეტი შეჩვევა არ არის საჭირო, სიტუაციასაც მეტისმეტად არ უნდა შეაჩვიო, მით უფრო, თუ სამსახურიც რუტინული აქვს. კაცები ბავშვებივით არიან და ამაში გათხოვებიდან ოცი წლის შემდაგ დავრწმუნდი.

**დალი მიქელაძე.**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ყველა ქალს უხარია ქმრის კარიერული წინსვლა, მე კი ეს წამებად მექცა – რაც ცოტა „ზევით წაიწია,“ ისეთი აუტანელი გახდა, მასთან ცხოვრება თითქმის შეუძლებელია: ხან წუწუნებს – სამსახურში ძალიან ვიღლებიო; ხან დამცინის – შენ რაზე უნდა გელაპარაკო, ვერაფერს მიაღწიე ცხოვრებაშიო... ოჯახში ქმარი მინდა მყავდეს და არა ცინიკოსი შეფი. როგორ მოვიქცე?!**

**გამოხმაურება**: აუცილებელია, დაეხმაროთ ქმარს, შეხედოს საკუთარ თავს გვერდიდან, ანუ, სხვისი თვალით და დაინახოს თავისი შეცდომებიც და ღირსებებიც. ამის გაკეთება ადვილი არ არის, მაგრამ, უნდა მოახერხოთ. საყვედურები და ჩხუბი აქ არ გამოგადგებათ. აგრძნობინეთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია მისი კარიერა, მაგრამ, ხართ მისი პარტნიორი და არა ხელქვეითი. მას აუცილებლად სჭირდება ოჯახის თანადგომა. უბრალოდ, მიახვედრეთ, რომ ეს ასეა.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**თორნიკე ზაბახიძე პირველია, ვინც 2008 წელს მსოფლიოში ცნობილ შოუ – „ვარეკაიში”, რომელშიც 2002 წლიდან სამი ქართველი ცეკვავდა, ძველი თაობის წარმომადგენელი – თემურ ქორიძე შეცვალა. ამისთვის მას სერიოზული ქასთინგის გავლა მოუწია, რომელშიც ბევრი ქართველი მოცეკვავე იღებდა მონაწილეობას. საბოლოო ჯამში, „ვარეკაიმ“ სწორედ მასზე გააკეთა არჩევანი და თორნიკე უკვე მეხუთე წელია, რაც ამ საოცარი შოუს უცვლელი წევრია. ის დანარჩენ ქართველებთან ერთად მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე, ძალიან ბევრ ქვეყანაში ქართული კულტურის, ტრადიციების, ისტორიის პოპულარიზაციას ეწევა. მათი დახმარებით, ძალიან ბევრ ქვეყანაში გაისმა ქართული სიტყვები, აფრიალდა ქართული დროშა, დაიწერა ქართველების, საქართველოს შესახებ, გადაიცა ტელევიზიით და რაც მთავარია, მაყურებელმა, ქართველი მოცეკვავეების პროფესიონალური შესრულებით, არაერთი ქართული საცეკვაო ნომერი იხილა.**

# რატომ აქვს მსოფლიოში ცნობილ შოუში „ვარეკაის“ ქართულ ნომერს ყველაზე დიდი წარმატება და როგორ გაიარა თორნიკე ზაბახიძემ „ცირკ დუ სოლეიში“ სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება

**თორნიკე ზაბახიძე:** ქალაქ რუსთავიდან ვარ. 6 წლისამ დავიწყე ცეკვა. 17 წლის „ერისიონში“ მივედი, 4 წელი იქ ვცეკვავდი. შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ვიყავი თურქეთში, ვმუშაობდი შოუში Night of the Sultans. 4 ქართველი ბიჭი ვცეკვავდით ამ შოუში ქართულ ცეკვებს. ის პანდორას ლეგენდას ეძღვნებოდა და ჩვენ ვიყავით კეთილი ანგელოზების მცველები. ამის მერე ისევ საქართველოში დავბრუნდი, ანსამბლ „რუსთავში“ ვცეკვავდი დაახლოებით წელიწად-ნახევრის განმავლობაში და შემდეგ გადავედი „ცირკ დუ სოლეიში“, სადაც დღემდე ვმუშაობ. ყოველთვის მქონდა ოცნებად, რომ უფრო მეტისთვის მიმეღწია. ქართველი მოცეკვავისთვის, ალბათ ბოლო წერტილი ამ ცირკში მოხვედრაა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ცირკია და თან, ქართული ცეკვისთვის ამაზე უკეთესი შოუ, ალბათ, არ არსებობს.

– **როგორ ვიცი, „ცირკ დუ სოლეის“ შოუ – „ვარეკაიში“ ჯერ კიდევ წლების წინ, სამი ქართველი ცეკვავდა. შენ ხარ პირველი, რომელმაც თემურ ქორიძე შეცვალა.**

– მათ შესახებ ბევრი რამ ვიცოდი. დადგა დრო, როცა ძველი არტისტები ახლებით უნდა ჩაენაცლებინათ, ამიტომ ქართველ მოცეკვავეებზე გამოცხადდა ქასთინგი. ზოგადად პროცესი საკმაოდ დიდი და რთული იყო. ამხელა კომპანიაა, ამხელა შოუა და შესაბამისად იქ მოხვედრის მსურველი ძალიან ბევრი იყო. მათი მხრიდან ასეთი შემოთავაზება გაკეთდა: უნდა გადაგეღო ვიდეო, ანუ რა შეგიძლია, შემდეგ უნდა გაგეგზავნა და თუ მოეწონებოდათ, მერე აგიყვანდნენ. ძალიან ბევრმა გააგზავნა ვიდეო, პირადად მე, ნანახი მაქვს 25, რომელიც მაშინ გააგზავნეს მოცეკვავეებმა, მათ შორის მეც. იქ პროფესიონალები არიან, ხვდებიან, ვის რა შეუძლია. ასე ამარჩიეს მე, მომივიდა მიწვევა და 2008 წლის ნოემბერში ჩავფრინდი კანადაში. ბაზაზე ქართველი არავინ დამხვედრია. ბიჭები იმ დროს შოუში იყვნენ, ამიტომ მთელი თვე-ნახევარი მარტო ვიყავი. სანამ შოუში გადახვალ, მანამდე გამზადებენ ყველანაირად, შემდეგ ხდება შენი პრეზენტაცია – პატარა ნომერი უნდა გააკეთო და აჩვენო – ეს მათი ტრადიციაა. როგორც აღვნიშნე, თავიდან ყველა არტისტი კანადაში ხვდება ბაზაზე, სადაც ცირკს აქვს მთელი კომპლექსი – სასტუმროები, მოკლედ ყველაფერი – ქალაქივით არის. როგორც ჩვენ ვიცით, კანადის ბიუჯეტი „ცირკ დუ სოლეის“ შოუებიდან შემოსული თანხით ივსება, შესაბამისად, ძალიან დიდი ხელშეწყობა გვაქვს. რაც შეეხება ჩემს პირველ ჩასვლას, ყველა არტისტი გადის ფიზიკურ შემოწმებას. რა თქმა უნდა, მეც გავიარე. ამას მოჰყვა ფსიქოლოგიური შემოწმება და მერე გამიშვეს ვარჯიშზე. როგორც კი გადავლახე ყველანაირი ბარიერი, გავიარე სხვადასხვა პროცედურა, ხელი მომაწერინეს კონტრაქტზე.



**თავიდან გამოვდივართ პრეზენტაციაზე, შემდეგ გვაქვს ჩვენი ნომერი და პირველ განყოფილებას ვხურავთ – ამოფრქვეულ ვულკანს ვარეგულირებთ**

– **როგორია კონტრაქტის ვადები?**

– ერთწლიანია და ყოველი წლის ბოლოს ხდება კონტრაქტის განახლება. ყურადღებას აქცევენ: რა გააკეთე ამ ერთი წლის განმავლობაში, როგორ მუშაობდი, ტრავმები მიიღე თუ არა. მოკლედ, შენი ერთწლიანი ნამუშევარი ფასდება და თუ შეესაბამები იმ კრიტერიუმებს, რასაც ითხოვენ: ფიზიკურად, მორალურად, ყველანაირად, შემდეგ გიგრძელებენ კონტრაქტს. ჩათვალე, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც პირველად ჩასვლისას. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

ჩვენ – სამი ქართველი, ტყის მცველები ვართ და ყველაზე ძლიერი ხასიათი გვაქვს. თავიდან გამოვდივართ პრეზენტაციაზე, შემდეგ გვაქვს ჩვენი ნომერი და პირველ განყოფილებას ვხურავთ. „ვარეკაიში“ სამი ძირითადი ნომერია, რომელსაც ყველგან დიდი მოწონება აქვს. ერთი არის ქართული ცეკვა. ძირითადი დატვირთვა ამ სამ ნომერზე მოდის და რაც მთავარია, ყველაზე ეფექტური და ცეცხლოვანი ნომრებია, ამიტომაც მოსწონს მაყურებელს.

– **თქვენს ნომერში, ალბათ, შეგაქვთ ცვლილებები, რომ უფრო საინტერესო იყოს.**

– რა თქმა უნდა, შეგვაქვს: ტრიუკებსაც ვცვლით, გამოსვლას... ნახაზი ერთი და იგივეა, რადგან, შოუს კრიტერიუმში უნდა ჯდებოდეს. ყველა გასტროლზე სიახლეები გვაქვს – მოცეკვავეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი და მეტი გინდა, მაყურებელსაც უნდა სიახლე. ხშირად გვაქვს სარეკლამო გასვლები, მაგალითად, როდესაც სხვა ქვეყანაში ან კონტინენტზე მივემგზავრებით, შოუდან იღებენ სხვადასხვა ნომრებს, აკეთებენ სარეკლამო ბლოკს და წინასწარ უშვებენ – ასეთ დროს, ჩვენ, ქართველები ყოველთვის იქ ვართ, სადაც სხვები. ამ ყველაფრის შემდეგ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ჟურნალისტი ინტერესდება და ჩვენც ყოველთვის ვამბობთ: საიდან ვართ, ქართველები რომ ვართ. ვუყვებით ქართულ კულტურაზე, ტრადიციებზე, საიდან წამოვიდა ქართული ცეკვა, რომ ხმალი და ფარი ერის სიძლიერის სიმბოლოა, როგორ ვიგერიებდით მტერს... ყველა ქვეყანაში, კონტინენტზე ვცდილობთ, ხალხს მაქსიმალურად მივაწოდოთ საქართველოს, ქართული კულტურის, ტრადიციების შესახებ სწორი ინფორმაცია.

– **ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ. ვისი შექმნილია თქვენი საცეკვაო ფორმები?**

– იაპონელი დიზაინერის, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი კოსტიუმები ახლოს ყოფილიყო ქართულ ფორმასთან. რა თქმა უნდა, ანალოგიურის გადატანა არ შეიძლებოდა, რადგან ქართული კოსტიუმი არ ჯდება შოუს კრიტერიუმებში, მაგრამ მაქსიმალურად მიახლოებულია.

– **დიდი ხანია, ვიცი, ამ შოუს და მისი ქართველი მოცეკვავეების შესახებ. არაერთხელ ვცადე ძველი თაობის მოცეკვავეებისგან ინტერვიუს აღება, მაგრამ, როგორც ვიცი, აქამდე ეს აკრძალული იყო. მიხარია, რომ დღეს საშუალება მომეცა, ჩვენი მკითხველისთვის გამეცნო თქვენი თავი.**

– დღეს რომ ინტერვიუს გაძლევთ, ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენეთ ჩვენი მედია-მენეჯერი, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენს საქმიანობაზე უნდა იცოდნენ საქართველოში, ამაში ცუდი არაფერია. არაფერი არ გვეკრძალება, გარდა იმისა, რომ არ შეგვიძლია სხვა კომპანიაში მუშაობა. სხვა მხრივ, ყველანაირი ხელშეწყობა, თავისუფლება, კომფორტი გვაქვს იმისთვის, რომ ყოველდღიურად მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ და ჩვენი საქმე ბოლომდე, პროფესიონალურად ვაკეთოთ. ფულადი პრემიები გვაქვს, საჩუქრებს გვირიგებენ – ცდილობენ წაგვახალისონ. ისე იქცევიან, რომ მხოლოდ შენი საქმე აკეთო და სხვა რამეზე არ იფიქრო.

– **ძალიან ბევრი გასტორილი გაქვთ, რომელიმეს ხომ არ გამოყოფ?**

– დაძაბულობის მხრივ, გამოვყოფდი 2009 წლის მოსკოვის გასტროლს, როდესაც 2008 წლის ომის შემდეგ ჩავედით რუსეთში. რა თქმა უნდა, არ არის ჩვენი კომპანია ქართული, მაგრამ შოუში ქართული ნომერია. ამიტომ, დიდი პასუხისმგებლობა გვქონდა ქართველების წინაშე და, რაც მთავარია, მორალურად ძალიან მძიმედ ვიყავით. იქაც იყვნენ ჟურნალისტები და ჟარგონით, რომ ვთქვა: ყველგან „სუფთა ქართულს ვაწვებოდით“. გაგიჟებულები იყვნენ: ქართული ცეკვა ამ ცირკში როგორ მოხვდაო, რადგან სულ სალტოები, აკრობატული ნომრებია. ცირკის დირექტორსაც ძალიან მოსწონს ქართული ნომრები. 2002 წელს რომ დაიწყეს ამ შოუს გაკეთება, მაშინვე მიიწვიეს ქართველები. 27 ოქტომბერს საიუბილეო თარიღია – მე-4000 წარმოდგენას ვატარებთ და არც ერთი წარმოდგენა არ ყოფილა ქართული ნომრის გარეშე. ყოველ ორშაბათს ვისვენებთ, სამაგიეროდ, 6 დღე ვმუშაობთ. ქალაქების მიხედვით დგება პროგრამა, ხან 6 დღეში 8 შოუ გვაქვს, ხან – 9, ხან – 10. სულ დატვირთულები ვართ, მოძრაობაში... შოუში დაახლოებით 300 კაცი მაინც ვართ და ყველანი ერთად გადავაადგილდებით. ხვიჩას ორივე შვილი აქ ჰყავდა. არტისტების დიდ ნაწილს შვილები ჰყავთ, და სკოლა სჭირდებათ. მათგან შორს რომ არ იყვნენ, დირექციას ცირკში ჩამოჰყავს მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს ისე ასწავლიან, როგორც ეს სკოლაში ხდება.

– **„ცირკ დუ სოლეის“ სხვადასხვა შოუ მონაწილეობს „ოსკარის“, „ემის“, „გრემის“ დაჯილდოების ცერმონიალებში. თქვენც თუ მიგიღიათ მონაწილეობა?**

– „ვარეკაის“ თავისი გეგმა აქვს, წელიწადში 300 შოუ გვაქვს და ვერსად ვერ წავალთ. ასეა სხვა შოუებიც. ამიტომაც, ასეთი ღონისძიებისთვის ყველა შოუდან სხვადასხვა ნომერს იღებენ, ეძებენ სხვა პროფესიონალებს და მათი მონაწილეობით, უკვე ფეშენ-ელემენტებით, დგამენ ნომრებს. სანამ ცირკში დავიწყებდი მუშაობას, კონტრაქტი მომივიდოდა, მიმიწვიეს მაკაოში – აზიაში ყველაზე დიდი სასტუმროს გახსნაზე. 2007 წელს კი გერმანიაში „ჯენერალ მოტორსის“ საერთაშორისო გამოფენაში მივიღე მონაწილეობა.

**ნათია უტიაშვილი**

# რით განსხვავდებოდა „ისპანახობა" „ყეენობისგან" და რომელ წელს აღინიშნა პირველად „თბილისობა"

*„თბილისობა" საბჭოური ფესვების მქონე დღესასწაულია, რომელსაც სათავე 1979 წლის შემოდგომაზე ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით დაედო და, მას შემდეგ, ფაქტობრივად, ერთადერთ საქალაქო დღესასწაულად იქცა, რომლის აღნიშვნას თბილისის ხელისუფლება დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გასაბჭოებამდე თბილისში საერთო სახალხო დღესასწაულად „ყეენობა" ითვლებოდა, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს და, ძველი ფოტოების დახმარებით, შესაძლებელია, პარალელები გავავლოთ თანამედროვე „თბილისობასთან".*

## „ყეენობა"

„ყეენობა" იყო მასობრივი, გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა. „ყეენობა" გარეგნულად


„ყეენობა" ტფილისში, გოლოვინის გამზირზე (1880-იანი წლები)

ევროპულ კარნავალს და, ნაწილობრივად, მასკარადს ჰგავდა. გაზეთი „კვალი" აღწერს „ყეენობის" სურათს, რომელიც გენერალ ერმოლოვის დროს ჩატარებულა: „მაშინ, ის იყო, სოლოლაკის მხარე შენდებოდა. მთავარმართებლის გარშემო იბადებოდა ახალი უბანი ევროპულ ხუროთმოძღვრების გეგმაზედ. დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეები, მთელი ტფილისის ქალაქი: ავლაბარი, ნარიყალა და ჩუღურეთი, ყეენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად: ერთი იყო ისანი და მეორე – ნარიყალა. ნარიყალას ემხრობოდნენ ვერის მხრის მცხოვრებნი, ახალი სოლოლაკის უბანიც ამათკენ იყო. ისნის მხარეს შეადგენდა: ავლაბარი, ჩუღურეთი და გარეთუბანი, ანუ, კუკიის მხარე. ნარიყალის მცხოვრებნი იყვნენ: მუხრან-ბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი და ერისთავი. ისნის მხარეზედ იყვნენ: კახეთის მებატონეები – ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე და სხვები. ერმოლოვს ნარიყალელების მხარე ეჭირა. ყეენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და შემოსეოდა ქალაქს, დაეპყრა დილით მთელი ქალაქი და გზების გზაჯვარედინზე ჩაეყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამვლელ-გამომვლელებისთვის ხარჯი გამოერთმიათ. ამ დროს ნარიყალის მომხრენიც საიდუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს. ტფილისის ქალაქის დუქნები დაიკეტა და მცხოვრებნი ნახევარი ყეენისკენ იყვნენ, ნახევარი – სოლოლაკის ხევში დაიმალა. ყეენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მაღლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურ ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია: მისი მოხელენი იჭერდნენ გამვლელ-გამომვლელებს და მიჰყავდათ ყეენთან თაყვანის საცემლად. ამ სახით განაგრძო ყეენმა თავისი უფლება მთელ ტფილისს ქალაქზედ შუადღემდის. ნაშუადღევს ყეენს მოახსენეს, რომ ქვეყანა აჯანყდაო, რომ ერი განუდგა მას და ქართველები სოლოლაკის მაღლობს გადმოდგებაო. მაშინვე ყეენი გაემგზავრა საომრად, მაგრამ, უკვე გვიან იყო: ყეენი საქართველოს ჯარებს ტყვედ ჩაუვარდა ხელში".


„ისპანახობა" 1894 წელს, ილია ჭავჭავაძესთან ერთად


„ისპანახობის" მონაწილენი

როგორც ვხედავთ, „ყეენობა" თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. მთავრობას აჯანყების გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაკიმასხარული ყეენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა და, ამიტომ, ომის მისტიფიკაცია აკრძალა. ამის შემდეგ „ყეენობას" უბრალო პროცესიებისა და ცეკვა-თამაშის ხასიათი მიეცა. გაზეთი „ივერია" გადმოგვცემს, რომ 1888 წელს, „ზოგიერთი უბნის ყეენი სამსახურიდან გამოგდებულ „პიანიცა კაპიტნების" მუნდირში იყვნენ ჩაცმული; ზოგს მურის მაგიერ ხელთქმნილი ნიღაბი ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული".


„თბილისობა" საბჭოთა დროს


მარგარეტ ტეტჩერი „თბილისობაზე"

„ყეენობა" იმართებოდა დიდმარხვის პირველ დღეს, ეგრეთ წოდებულ „შავორშაბათს". გიორგი წერეთლის აზრით, „ყეენობა" მურვანყრუს შემოსევიდან იყო შემოღებული; „ივერია" მეჩვიდმეტე საუკუნეს აკუთვნებს; „კავკაზი" – შაჰ-აბასის ხანას, ალექსანდრე ხახანაშვილი კი „ყეენობას" წარმართული დროების ნაშთს უწოდებს. „ყეენობის" ზეიმის დასასრული ასეთი იყო: ნაშუადღევს წაიყვანდნენ ყეენს და პირდაპირ მტკვარში გადაისვრიდნენ, ისეთ ადგილას, რომ არ დამხრჩვალიყო. მერე, ხარჯდადებულ მოქალაქეთაგან მოგროვილი ფულით, „ყეენობის" მონაწილენი ყიდულობდნენ ხორაგს და მთელი ერთი კვირის განმავლობაში დაუსრულებელი ქეიფი ჰქონდათ ორთაჭალაში, მტკვრის პირას, ვერის ბაღებსა და დიდუბეში. ერთ-ერთი გრანდიოზული „ყეენობა" მოწყობილი იყო გრიგოლ ორბელიანის გეგმითა და ხარჯით, მისი მთავარმართებლობის თანამდებობის აღსრულების დროს, ხოლო, უკანასკნელი „ყეენობა" მოწყობილ იქნა ჩვენი ცნობილი პოეტის გრიგოლ აბაშიძის უშუალო მონაწილეობით.

როდესაც 1880 წელს მთავრობამ „ყეენობა" აკრძალა, ქართველი ხალხის მიერ ჩამოყალიბდა გართობა, სახელად „ისპანახობა". ეს იყო სახეშეცვლილი ფორმა, რომელსაც შემონახული ჰქონდა „ყეენობის" ბოლო ნაწილი – ქეიფი. ამიტომაც, მას სხვაგვარად „ყეენობის კუდი" უწოდეს. სახელი „ისპანახი" იმიტომ დაარქვეს, რომ საქეიფო სუფრაზე მხოლოდ სამარხვო საჭმელი იყო. „ისპანახობის" აუცილებელი წესი იყო ქაღალდის გვირგვინების, ჩაჩების ტარება და ტანზე პამპულას ტანისამოსის ჩაცმა. 1894

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

„აღსარების თქმა ნიშნავს სიღრმემდე გახსნას, მთელი სულის გადმოღვრას. რასაკვირველია, ამის ბოლომდე აღსრულება არავის ძალუძს, რამეთუ, თითოეულ სიღრმეს ახალი და ახალი სიღრმეების გახსნა მოჰყვება. მაგრამ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია – ჩვენი გაგების, შემეცნების ფარგლებში, რაც შეიძლება ღრმად ჩავიხედოთ საკუთარი ცხოვრების წიაღში და, რაც შეიძლება მართლად, ძრწოლით ან მადლიერებით გავხსნათ ეს სიღრმეები ღვთის წინაშე,“ – ამბობს მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი. აღსარებისა და ზიარების საიდუმლოს შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):

# როდის ახერხებს ადამიანი ცოდვების ჩადენისგან გადარჩევას და როგორ ეხმარება მას ზიარება მძიმე სნეულებების დაძლევაში



განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვობაში, სიჭაბუკეში ჩადენილი ცოდვები... ბევრი იხსენებს მას, მაგრამ, ერიდება, მოძღვართან აღიაროს

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანს თავისი მისტიკური, ინტიმური კავშირი აქვს ღმერთთან და ამ კავშირში აუცილებლად მონაწილეობენ მოძღვარი და თავად უფალი. ბევრს ჰგონია, რომ მძიმე ცოდვის მონანიებას გარკვეული წლები სჭირდება და ეს ასეც არის რჯულის კანონით. მაგრამ, რჯულის კანონში რომ წერია, გარკვეული ცოდვის მოსანანიებლად რამდენიმე წელია საჭიროო, დღეს ადამიანი რამდენიმე წელი რომ არ ეზიაროს, ის საერთოდ აღარ მოვა ეკლესიაში. მთავარია, იგრძნოს საკუთარი დანაშაული, საკუთარი ცოდვიდან გამომდინარე წამოუვიდეს ცრემლები და, როცა აღიარებს, შენდობის ლოცვას მიიღებს მოძღვრისგან უფლის წინაშე, ის უნდა გამოვიდეს ბედნიერი და ახსოვდეს, რომ თვითონაც შექმნას სინანულის ღირსი ნაყოფი. რომ გამოვა ეკლესიიდან, დაუბრუნდება ერის ცხოვრებას, უნდა გაიღოს მოწყალება, დაეხმაროს გაჭირვებულს. თუ მატერიალურად არ შეუძლია, მაშინ მეზობელს, ახლობელს სახლი დაულაგოს, კერძი მოუმზადოს, ბოროტებას ნუ ჩაიდენს და იყოს მშვიდი, გაწონასწორებული.

**– ამის გაკეთება დღეს განსაკუთრებულად რთულია. ხშირად ჩვენი ეკლესიური ცხოვრება ეკლესიის ზღურბლს მიღმა მთავრდება.**

– მართალია. ხშირად ადამიანებს ცოდვების აღიარება კი არ უნდათ, არამედ, ჩვენი გამოცდა, ჩვენი ცოდნის გადამოწმება აინტერესებთ. როდესაც მოვინანიებთ ცოდვებს ეკლესიაში, უნდა შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების წესი. არადა, პირიქით ხდება – ძალიან ბევრზე უთქვამთ: რა აზრი აქვს მის სიარულს ეკლესიაში, როდესაც ის ახალ-ახალ ცოდვებს სჩადის და ამბობს: არა უშავს, მივალ ჩემს მამაოსთან, კეთილია და მომიტევებსო... ეს არის ფარისევლური, საშინელი მდგომარეობა. სულიერი ზრდის პირველი ფორმულა მამებისგან არის ხშირი აღსარება და ზიარება. თუ ქრისტიანი მზად არის ამისთვის, მას არა მხოლოდ ყოველკვირა, კვირაში რამდენჯერმეც შეუძლია ზიარების მიღება. თუმცა, როგორც იოანე ოქროპირი ბრძანებს: მთავარი ის კი არ არის, რამდენჯერ ეზიარები, არამედ, როგორ ეზიარები. ნუ გათამამდებიან ისინი, ვისაც ყოველკვირა უშვებენ ზიარებაზე. ქრისტიანი აუცილებლად უნდა მივიდეს ეკლესიაში, შეინახოს მარხვა, წაიკითხოს ლოცვები, გაუჩნდეს სინანული. მესამე და აღმატებული – ეს არის მოძღვართან საკუთარი ცოდვების პირადად აღიარება და ის შემდეგ წაუკითხავს მას შენდობის ლოცვას. უფალმა ყველაფერი იცის, მაგრამ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რადგან, როგორც წმიდა წერილში წერია, ვინც აღიარებს ცოდვებს არა ბაგეებით, არამედ სულითა და გულით, მას მიეტევება. ყველაზე ნათელი შედეგი იმისა, მართლა მოგვეტევა თუ არა ცოდვები, ვართ თუ არა სინანულში, არის ის, რომ, როდესაც ქრისტიანი საალმსარებლოდან გამოდის, მას იმავე ცოდვების ჩადენას სიკვდილი უნდა ერჩიოს. თორემ, ხშირად, საკმარისია, ადამიანმა მოინანიოს ცოდვები, მიიღოს წმიდა ზიარება, მაგრამ არ გავა რამდენიმე წუთი, რომ ის ისევ იმავე და უფრო მეტ ცოდვას სჩადის. მონანიების მთავარი ფაქტორი არის ის, რასაც მაცხოვარი ეუბნება შეცოდებულ ადამიანს: „წადი და ნუღარ შესცოდავ”.

**– რა უნდა გავითვალისწინოთ აღსარების თქმისას? ხშირად უჭირთ ხოლმე დავიწყებული, განსაკუთრებით კი – ახლგაზრდობაში ჩადენილი ცოდვების აღიარება.**

> **ყველაზე ნათელი შედეგი იმისა, მართლა მოგვეტევა თუ არა ცოდვები, ვართ თუ არა სინანულში, არის ის, რომ, როდესაც ადამიანი საალმსარებლოდან გამოდის, მას იმავე ცოდვების ჩადენას სიკვდილი უნდა ერჩიოს**

– ადამიანი არასრულყოფილი არსებაა და მას არ შეუძლია სრულყოფილი არათუ აღსარება, არამედ, არანაირი საქმიანობა. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია ლოცვაში და, როდესაც ქრისტიანი აღსარებას ამთავრებს, მოძღვარმაც და თავადაც, იციან, რომ მისი აღსარება არასრულყოფილი იყო, ამიტომ, რაც არ გახსენებია მას, რაც უნებლიეთ ჩაუდენია, ამას მოძღვარი საკუთარ თავზე იღებს და ევედრება უფალს: „მიუტევე ცოდვანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი”. მთავარია, ადამიანმა ყველაფერი გულით გაიხსენოს და გულთამხილველი ღმერთი ყველაფერს მიუტევებს. კარგია, თუ დავიწყებული ცოდვები გაგვახსენდება და მათ აღსარებაში ვიტყვით. განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვობასა და სიჭაბუკეში ჩადენილი ცოდვები... ბევრი იხსენებს მას, მაგრამ, ერიდება, მოძღვართან აღიაროს. თუ გახსოვს და არ ამბობ, ეს ნიშნავს, რომ ამპარტავანი ხარ და, ამპარტავნებიდან გამომდინარე, გერიდება მოძღვართან მისი წარმოთქმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოძღვარიც ადამიანია და ის იცნობს ყველანაირ ადამიანურ სისუსტეს, ისიც იყო ახალგაზრდა და მასაც ჰქონდა ჭაბუკური ცოდვები, რომლებიც მოინანია. ბევრი ცოდვის ჩადენას მიჩვეულები, როდესაც გადავეჩვევით ცოდვების ჩადენას, მხოლოდ მაშინ გვექნება ჭეშმარიტი აღსარება. აღსარება არსებობს მოგონილი და გულიდან გამომდინარე. ბევრი მოდის და ვერ გაუგია, რა თქვას აღსარებაში, ან, იცის, რა უნდა თქვას, მაგრამ, შეგნებულად არ ამბობს, ანუ, მას არ ესმის სინანულის საიდუმლოს მნიშვნელობა. როცა ქრისტიანი მოდის ეკლესიაში, რომ თქვას აღსარება და სინანულის საიდუმლოში მიიღოს მონაწილეობა, უნდა ახსოვდეს, რომ იქ უხილავად მყოფობს მაცხოვარი, იქ არის დაბრძანებული ხატი, ჯვარი, სახარება და ჩვენ ადამიანებს შევახსენებთ, რომ ისინი აღსარებაზე მიდიან არა მხოლოდ მოძღვართან, არამედ, უფლის წინაშე, რომელმაც ყველაფერი იცის, რომელიც ყველგან მყოფია, ამიტომ, რაღაცის დამალვას და ართქმას არ აქვს აზრი.

**– ზიარება ყველაზე დიდი წყალობაა უფლის მხრიდან, თუმცა, ადამიანები ხშირად თავად, პიროვნული გადაწყვეტილებით ამბობენ უარს ამ საიდუმლოში მონაწილეობაზე. ეს რამდენად სწორია?**

– საეკლესიო ლოცვის თანახმად, ქრისტიანი ეზიარება საკურნებლად სულისა და ხორცისა: მის ცოდვებს ზიარების ცეცხლი წვავს, სხეული კი იკურნება მასში დაბუდებული მრავალი სენისგან და, თუ ღმრთის განგებით, საჭიროა, რომ კაცმა სულიერი და ფიზიკური ტანჯვა დაითმინოს, ზიარება მას სნეულების გმირულად გადატანის ძალას ანიჭებს და ეხმარება. ზიარება ღმერთის მოწყალების უდიდესი გამოვლინებაა. ჩვენ, ადამიანები კი, ღმერთის წინაშე ყველანი ცოდვილები ვართ და ყველა ჩვენგანს სჭირდება შეწყალება. იყო  წმიდა საიდუმლოთა ღირსი – ეს იმას ნიშნავს, საკუთარ უღირსებას ხედავდე. ზიარებისას მთავარი სინანულია. ადამიანის წმიდა ძღვენისგან განყენება შეუნანებელი ცოდვის მიმართ გამოყენებული ერთ-ერთი უკიდურესი საშუალებაა, რომლითაც ეკლესია მის გულში სინანულის გაღვივებას ცდილობს. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა ცოდვის დროებით განყენება ზიარებისგან და მისი ეპიტიმიით დასჯა, მაგრამ, კაცმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რისთვის დაისაჯა, რას ითხოვენ მისგან და რა უნდა გამოასწოროს. ზიარების შემწეობის გარეშე ადამიანი იოლად მიიდრიკება ცოდვისკენ, ცოდვა კი სულის სიკვდილია. ევქარისტია ორი ნაწილისგან შედგება: პურისა და ღვინის გადაქცევა უფლის ხორცად და სისხლად და ამ წმიდა ძღვენის ზიარება. სწორედ ამიტომაც ეწოდება მას საიდუმლო, უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი. ამ საიდუმლოში ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეწოდება ზეციური პური და სასმელი სიცოცხლისა, უსისხლო მსხვერპლი. ეს უდიდესი საიდუმლო ქრისტემ მანამდე აღუთქვა ადამიანებს, სანამ პირველად აღასრულებდა მას საიდუმლო სერობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ვინც გულწრფელად, სათნოებით, უფლის მცნებების დაცვით ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ექნება საუკუნო ცხოვრება და ბოლო ჟამს აღდგება დიდების სასუფევლისთვის.

**ნათია უტიაშვილი**

# კეთალონის გველები

კეთალონის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ მარკოპულოსთან ახლოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების პატარა ეკლესია დგას. აქ უკვე დიდი ხანია, რაც ყოველწლიურად, მიძინების დღესასწაულის დროს, უჩვეულო რამ ხდება: ფერისცვალების დღესასწაულის შემდეგ ეკლესიის შიგნით და გარეთ გველები ჩნდებიან. ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გველებს ეძახიან.

გველების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და მიძინების წინ ირგვლივ ყველაფერს ავსებს. იმ დღეებში მარკოპულოს მცხოვრებნი ხევით მიდიან, რომლის კალთაზეც მდებარეობს ეკლესია და გზადაგზა გველებს აგროვებენ, რათა ისინი ღვთისმშობელს მიჰგვარონ. არავინ იცის, საიდან ჩნდებიან გველები და დღესასწაულის შემდეგ სად ქრებიან ისინი – დღემდე ეს ყველასთვის დიდ საიდუმლოს წარმოადგენს.

მწუხრის ლოცვისას გველები თავისუფლად დახოხავენ ადამიანებს შორის, სტასიდებზე, ანალოღიაზე და შიშს არავისში იწვევენ.

– თუკი გველი უბეში ჩაგიძვრათ, – აფრთხილებენ მცხოვრებნი მომლოცველებსა და ტურისტებს, – ნუ შეგეშინდებათ! ყოვლადწმიდა დედოფლის, ღვთისმშობლის მადლით, გველები არაფერს დაგიშავებენ. აიყვანეთ ხელში და ისინი კნუტივით გაგილოკავენ თითებს.

მართლაც, ღვთისმსახურების დროს დაუჯერებელი ამბები ხდება: გველები სამაჯურებივით ეხვევიან მორწმუნეთა ხელებს; დახოხავენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატზე და ჯვარცმაზე; გველი, შესაძლოა, სახარებაზეც კი აცოცდეს, ლიტურგიაზე სახარების კითხვის დროს. ისინი, როგორც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები, ქრისტიანებთან ერთად დღესასწაულობენ, რითაც ცდილობენ, ყველას მოაგონონ სამოთხის ბაღი, სადაც პირველქმნილი ადამიანები ცხოველებთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ გველებიც მიდიან.

გერმანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს გველები, მაგრამ, რომელიმე ცნობილ სახეობას ვერ მიაკუთვნეს. ისინი რუხი ფერის და ნატიფი აღნაგობის არიან. სიგრძით ერთ მეტრს არ აღემატებიან, ხოლო პერანგი ხავერდოვანი აქვთ. მათ თავზე ჯვარია გამოსახული, ისევე, როგორც ენის წვერზე.

თუკი რომელიმე წელს გველები არ ჩნდებიან, ეს ყოველთვის ცუდი ნიშანია. ასე იყო 1940 და 1953 წლებში, როცა კუნძულზე ძლიერი მიწისძვრები მოხდა.

## უკრძალველი საუბარი

ერთხელ პუშკინი და გრაფი ლანსკი რელიგიის შესახებ ცინიკურად საუბრობდნენ. მოულოდნელად ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც პუშკინს ლანსკის ნაცნობი ეგონა, ლანსკის კი – პუშკინის. იგი მათთან ერთად დაჯდა, საუბარი გააბა და ერთ წამში დაუპირისპირა მათ რელიგიის სასარგებლო მოსაზრებები. მათ არ იცოდნენ, რა ეთქვათ და დუმდნენ, როგორც გაკიცხული ბავშვები. ბოლოს სტუმარს განუცხადეს, რომ სრულებით შეიცვალეს შეხედულება. მაშინ ის ადგა, გამოემშვიდობა მათ და გავიდა.

გარკვეული ხნის განმავლობაში პუშკინი და ლანსკი გონს ვერ მოდიოდნენ და დუმდნენ, ხოლო, როდესაც გამოერკვნენ, აღმოჩნდა, რომ იდუმალი სტუმარი არც ერთი მათგანის ნაცნობი არ იყო. უხმეს მსახურებს, რომლებმაც ერთხმად განაცხადეს, რომ მათ ოთახში არავინ შესულა. ამ ამბის შემდეგ ორივე ბევრად უფრო სიფრთხილით ეკიდებოდა რელიგიის შესახებ საუბარს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ჩემმა წინაპარმა ჩაიდინა თვითმკვლელობა. გთხოვთ მითხრათ, გადადის თუ არა ეს ცოდვა მის შთამომავლებზე?**

**პასუხი:** ეს ცოდვა შთამომავლებზე არ გადადის, მაგრამ, თქვენი სულის ცხონებისთვის აუცილებელია, იცხოვროთ ქრისტიანული ლოცვით, მარხვით, ზიარებითა და წმინდა ცხოვრებით.

**კითხვა: ჩემს ახლობელს ბიოდენების დიდი რაოდენობა აქვს, რომლითაც უანგაროდ კურნავდა ახლობლებს, თუმცა, მოძღვარმა აუკრძალა ეს საქმიანობა. რატომ არის ბიოდენებით მკურნალობა ცოდვა?**

**პასუხი:** მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა წმინდა და ღირს მამათაგან კურნება მათი სიტყვითა და შეხებით, მაგრამ, მათ ეს უნარი და კურნების ნება ეძლეოდათ მრავალწლიანი ლოცვის, მარხვისა და მღვდელმსახურების შედეგად. ბიოდენების მფლობელებმა კი თავი უნდა შეიკავონ სხვების განკურნებისგან, რადგან, არავინ უწყის, ეს ძალა საიდან მომდინარეობს – იქნებ, ეშმაკისგან?!



**კითხვა: მინდა, ჩემი ოჯახის წევრები დავიცვა ავი თვალისა და ბოროტებისგან. არსებობს თუ არა საამისოდ რაიმე თილისმა და შელოცვები?**

**პასუხი:** ეკლესია არ ცნობს არც თილისმებს და არც მაგიურ შელოცვებს. მხოლოდ საღვთო მადლს, რომელიც ლოცვითა და ზიარებით გვეძლევა, შეუძლია, დაიცვას ადამიანი ბოროტი ძალისგან.

**კითხვა: როგორ მოვიქცე, როდესაც ახლობლები ჩემს კეთილ რჩევებს არ ითვალისწინებენ და მცდარ გზას ადგებიან, არასწორ გადაწყვეტილებას იღებენ?**

**პასუხი:** არ უნდა გაბრაზდეთ და არ ეჩხუბოთ ახლობლებს, თუკი თქვენს კეთილ რჩევას არ გაითვალისწინებენ. გაიხსენეთ, თქვენც ხომ ეურჩებით უფალს და ის არ გსჯით?! მოთმინებით აღიჭურვეთ, ადრე თუ გვიან, ყოველი ადამიანი თვითონ მიხვდება თავისი გადაწყვეტილების სიმცდარეს.

# პატერიკები

### „როდესაც ფულს გაძლევენ, აიღე, მაგრამ...“

მეუფე ნექტარიოსი (ნექტარიოს ეგინელი, ალექსანდრიის ეკლესიის წმიდანი; (1846-1920 წლები) ერთხელ პანაშვიდზე მიიწვიეს. მან თან წაიყვანა დიაკონი პროკოფი, რომელიც შემდეგ იდრის მიტროპოლიტი გახდა. დიაკონმა წესის აგებისთვის ფული აღებაზე უარი განაცხადა. მაშინ მეუფემ ასე მიმართა: „როდესაც ფულს გაძლევენ, აიღე, მაგრამ, თუ არ გაძლევენ, ნუ მოითხოვ“:

### „ფული უნდა გაიცეს – უფალი შეგვეწევა“

ერთხელ სემინარიაში მეუფესთან ერთი გაჭირვებული ადამიანი მივიდა და უთხრა: 25 დრაქმა მმართებს და დრო იწურებაო.

– კოსტას, – დაუძახა მეუფე ნექტარიოსმა სემინარიის მოლარეს, – ფული გვჭირდება.

კოსტასმა არაფერი უპასუხა, რადგან, მათ მხოლოდ 25 დრაქმა ჰქონდათ, თვე კი მხოლოდ ახალი დაწყებული იყო. თუკი მთელ თანხას მისცემდნენ, სემინარია სრულიად უფულოდ რჩებოდა.

კოსტას, – გაიმეორა მეუფემ, – მიეცი, გეთაყვა, 25 დრაქმა ამ კაცს...

– თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, – შეეპასუხა მოლარე, – მე არ მაქვს... თვე მხოლოდ ახლა დაიწყო და, შეუძლებელია...

– არა, ფული უნდა გაიცეს, – გაიმეორა მეუფემ, – უფალი შეგვეწევა.

მაშინ კოსტასმა მთელი ფული გადასცა ამ ადამიანს. ზუსტად ერთი საათის შემდეგ მთავარეპისკოპოსის კანცელარიიდან სემინარიაში გაისმა ზარი და მიიღეს მითითება, რომ მეუფე ნექტარიოსს მდიდარი წყვილის ქორწინებაზე (ჯვრისწერაზე) სემინარიის გუნდი უნდა წაეყვანა. ჯვრისწერის შემდეგ მათ სათითაოდ დაურიგეს კონვერტები. სემინარიაში დაბრუნებულებმა აღმოაჩინეს, რომ ეპისკოპოსის კონვერტში 100 დრაქმა იდო, ყოველ მგალობელს კი 20-20 დრაქმა ერგო.

– აიღე ეს ყველაფერი, კოსტას! – უთხრა მეუფემ მოლარეს, – ხედავ, ჩვენ მხოლოდ 25 დრაქმა გავიღეთ, 180 კი მივიღეთ. დაიხსომე ეს მომავლისთვის.

### „საჭიროა სულიერი თვალი და მოსიყვარულე გული, რომ ადამიანთა გასაჭირი დავინახოთ“

ერთ ადამიანს გამოცხადება ჰქონდა და ამ დროს მას მოესმა ხმა უფლისა: „მე მოვალ შენთან“. მან დაიწყო მზადება ღვთის შესახვედრად: დაასუფთავა სახლი, მოამზადა სუფრა... როდესაც ამ სამზადისში იყო, მასთან მათხოვარი მივიდა და დახმარება სთხოვა. მან კი მიუგო: ახლა შენთვის არა მცალია, უფალს ველოდები, სხვა დროს მოდიო. შემდეგ სხვა გაჭირვებული მოვიდა და ისიც ისევე გაისტუმრა. შემდეგ გზად უპატრონო, ობოლი ბავშვი შეხვდა და მასაც არაფერი მისცა, დაჯდა სახლში და უფალს დაელოდა. გავიდა დღეები, უფალი კი არ ჩანდა. ამის შემდეგ ლოცვითა და ცრემლით შეჰღაღადა შემოქმედს: „ხომ დამპირდი, რომ მოხვიდოდი ჩემთან, რატომ არ მობრძანდი?“ და მას მოესმა ხმა: „მე სამჯერ მოვედი შენთან და სამივეჯერ უარით გამომისტუმრე“. სწორედ ამიტომ არის საჭირო, გვქონდეს სულიერი თვალი, მოსიყვარულე გული, რომ ადამიანთა გასაჭირი დავინახოთ.

**უწმიდესისა და უნეტარესის,**
**ილია მეორის ქადაგებიდან.**
**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ფეხბურთის რომელი ვარსკვლავი ფლობს ყველაზე ძვირად ღირებულ სახლს ევროპაში

*ევროპაში მოთამაშე ტოპ-ფეხბურთელებს მდიდრული სახლები ან სასახლეები აქვთ. მათი შემოსავლებისა და ვარსკვლავური სტატუსის გათვალისწინებით, ფეშენებელური და მდიდრული საცხოვრებელი ფართის ქონა აუცილებელიც კი არის. გთავაზობთ ევროპელი ვარსკვლავების ყველაზე ძვირად ღირებული სახლების ტოპ-ათეულს.*

**კაკა („მილანი") – 3 მილიონი დოლარი**

სახლი მადრიდში კაკამ 2009 წელს შეიძინა, როდესაც „მილანიდან" „რეალში" გადავიდა. სახლი მადრიდის პრესტიჟულ უბანში – პოზუელოში მდებარეობს. კაკას მეზობლები კი კრიშტიანუ რონალდუ, ქარიმ ბენზემა, იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი და ანხელ დი მარია არიან,



მათ შორის რონალდუ, ფაქტობრივად, კაკას კარის მეზობელია – მათი სახლები სულ რაღაც 400 მეტრით არის ერთმანეთთან დაშორებული. ესპანური პრესის ცნობით, მას შემდეგ, რაც დატოვა „რეალი" და „მილანში" დაბრუნდა, კაკამ სახლის გაქირავება გადაწყვიტა, კერძოდ, თვეში 12 ათას ევროდ ის „რეალის" ახალწვეულს, უელსელ გარეთ ბეილს მიაქირავა. ცნობისთვის, ბეილის წლიური ხელფასი „რეალში" 6 მილიონი ევროა.

**ანდრეს ინიესტა („ბარსელონა") – 4,6 მილიონი დოლარი**

„ბარსელონისა" და ესპანეთის ნაკრების ლიდერისთვის ეს სახლი 2005 წელს აშენდა. მას ხუთი საძინებელი და პატარა სალოცავი აქვს,



ფასადს კი ამშვენებს წარწერა – „ინიესტა", რომლის გარშემო ფეხბურთელის სანომრე ნიშანი – რვიანია გამოსახული. სახლის ინტერიერში მთლიანად ჭარბობს „ბარსელონის" საკლუბო ფერები. ინიესტას აუზის ფსკერზეც კი „ბარსელონის" ლოგოტიპია დატანილი. სახლი სოფელ ფუენტეალბილიეში მდებარეობს, იქ, სადაც ინიესტა დაიბადა და გაიზარდა.

**ლიონელ მესი („ბარსელონა") – 5 მილიონი დოლარი**

ცნობილია, რომ მსოფლიოს ოთხგზის საუკეთესო ფეხბურთელს, არგენტინელ ლიონელ მესის, არ უყვარს პირად ცხოვრებაზე საუბარი, ამიტომ, მისი სახლის შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი. მესის სახლში სპა-სალონი, მინი-კინოთეატრი და დახურული მინი-სტადიონიც კი არის.



**მარიო ბალოტელი („მილანი") – 5 მილიონი დოლარი**

მარიოს სახლი მანჩესტერის გარეუბანში მდებარეობს. ის მან ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტიში" თამაშის დროს შეიძინა, რომლის რიგებსაც „სუპერმარიო" 2010-2013 წლებში იცავდა. „მილანში" გადასვლის შემდეგ, მარიო, კაკას მსგავსად, სახლს აქირავებს, ოღონდ, თვეში 13 ათას გირვანქა სტერლინგად.



**კრიშტიანუ რონალდუ („რეალი") – 6 მილიონი ევრო**

„მანჩესტერში" თამაშის პერიოდში კრიშტიანუ რონალდუმ, თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა მანჩესტერთან ახლოს, ჩეშირის საგრაფოში შეიძინა ფეშენებელური სახლი. ამჟამად „რეალში" მოთამაშე რონალდუს სახლი გასაყიდად აქვს გატანილი.

**ფრანკ ლამპარდი („ჩელსი") – 7 მილიონი დოლარი**

„ჩელსის" ლიდერის საცხოვრებელი სახლის ფართობი 1 800 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ორსართულიანი სახლში 9 საძინებელი, 12 საპირფარეშო-აბაზანა, დახურული აუზი და ნავის სადგომია. სახლს ეკუთვნის 3 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია სახლი სტუმრებისთვის, დიდი აუზი, ჩოგბურთის კორტი და გოლფის სათამაშო მოედანი.



**ჯონ ტერი („ჩელსი") – 7,5 მილიონი დოლარი**

ლონდონის „ჩელსის" კაპიტანმა და ინგლისის ნაკრების ექსფეხბურთელმა, ჯონ ტერიმ, თავისი მომავალი სახლის ფოტო სამშენებლო კომპანიის სარეკლამო ბროშურაზე ნახა და მაშინვე დაინტერესდა შენობით, რომელიც ლონდონისგან მოშორებით, საუთჰემპტონში იყო აშენებული. ტერიმ ზუსტად ისეთივე სახლის მშენებლობა დაუკვეთა იმავე კომპანიას, ოღონდ, ამჯერად – ლონდონში. ტერიმ სპეციალურად მშენებლობისთვის შეიძინა 4,5 ჰექტარი მიწის ფართობი და მერიისგან მშენებლობაზე დასტური მიიღო. ამჟამად ჯონ ტერის ოჯახი ცხოვრობს ფეშენებელურ სახლში, რომელიც ლონდონის ცენტრიდან 30 კილომეტრით არის დაშორებული. სახლში 10 საძინებელი, მიწისქვეშა აკვარიუმი, 100-მეტრიანი აუზი, 10 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოფარეხი, საცეკვაო დარბაზი და 34 ადამიანზე გათვლილი კინოთეატრია.

**დიდიე დროგბა („გალათასარაი") – 14,5 მილიონი დოლარი**

ყველაზე ძვირად ღირებული სახლების სამეულს ხსნის „გალათასარაის" 35 წლის ივუარელი ფორვარდის, აფრიკის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელისა და „ჩელსის" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელის დიდიე დროგბას ფეშენებელური სასახლე, რომელიც დროგბამ 2007 წელს რუსი ოლიგარქის, იური შეფლერისგან შეიძინა (რომლის საკუთრებაა არაყი „სტოლიჩნაია"). დროგბას სახლში შვიდი საძინებელი, 8 აბაზანა, 2 სამზარეულო, ორანჟერეა, აუზების კომპლექსი, სავარჯიშო დარბაზი, საუნა და სოლარიუმია; ასევე, სახლს აქვს 10 ავტომობილზე გათვლილი ფარეხი და მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი ოთახები. ცალკე ოთახი დათმობილი აქვს დროგბას ჯილდოებსა და პრიზებს. საგულისხმოა, რომ დროგბას მეზობელია როკ-ენ-როლის ვარსკვლავი – კლიფ რიჩარდი.



**უეინ რუნი („მანჩესტერი") – 17,8 მილიონი დოლარი**

„მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავის, უეინ რუნის სახლი ორ ნაწილად იყოფა: „მამაკაცებისთვის" და „ქალებისთვის". დიზაინი მთლიანად უეინსა და მის მეუღლეს, კოლინს ეკუთვნით. ქალებისთვის განკუთვნილი ნაწილი მთლიანად ვარდისფერშია გადაწყვეტილი; ერთ-ერთ ოთახს ამშვენებს ტყავის დივანი, რომელიც სვაროვსკის თვლებით არის მორთული, თითო თვალის ფასი კი 10 ათასი გირვანქაა. სახლის სტუმრების თქმით, მთლიანი სანტექნიკა, მათ შორის, უნიტაზებიც კი, ოქროთია მოპირკეთებული. სახლს ამშვენებს ქანდაკებებიანი ბაღი, მცირე ზომის სტადიონი და უზარმაზარი ავტოფარეხი. რუნის სახლი ჩეშირის საგრაფოში მდებარეობს. მისი მეზობლები არიან რობინ ვან პერსი და რიო ფერდინანდი.

**დევიდ ბექჰემი (დაასრულა კარიერა) – 20 მილიონი დოლარი**

ყველაზე ძვირად ღირებულ სასახლედ ფეხბურთელების საცხოვრებლებს შორის დასახელებულია „ბექჰინგემ პალასი" – დევიდ და ვიქტორიას სასახლე, რომელიც წყვილმა 1999 წელს, დაქორწინებიდან რამდენიმე თვეში შეიძინა. მაშინ სასახლის ყიდვა ცოლ-ქმარს 4 მილიონი დოლარი დაუჯდა, დღევანდელი მონაცემებით კი სახლის ფასი 20 მილიონ დოლარს შეადგენს. ბექჰემების სასახლე 1930-იან წლებში აშენდა გეორგიანული არქიტექტურით. ის 7 ჰექტარ მიწის ფართობზეა გაშენებული და ჰართფორდშირის საგრაფოში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ სასახლის დაცვას უზრუნველყოფენ დიდი ბრიტანეთის სპეციალური დანიშნულების ჯარების ყოფილი სამხედროები.

**უშანგი რუხაძე**

## პარაგვაის თილისმა დაკარგა

პარაგვაის საფეხბურთო ნაკრებს მძიმე დრო უდგას. გუნდმა დაკარგა შანსი, რომ მონაწილეობა მიეღო 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდება. წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად კი, პარაგვაელი ლამაზმანის ლარისა



რიკელმეს განცხადება მიიჩნევა. მან განაცხადა, რომ დაიღალა და ეჭვიანი ბოიფრენდის გამო, აქტიურად აღარ დაუჭერს მხარს საყვარელ ნაკრებს. რიკელმე იმით იყო ცნობილი, რომ 2010 წელს პარაგვაის ნაკრების თილისმად მოინათლა და პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქომაგად დასახელდა. როგორც ჩანს, უკანასკნელად ლარისა რიკელმემ კომპანია „ჰოთ ფლაუერსისთვის" გაიხადა და სავარაუდოდ, ლარისას სექსუალურ სხეულს 2014 წლის მუნდიალის დროს მისი თაყვანისმცემლები ვეღარ იხილავენ.

## კრიშტიანუ რონალდუს და ამღერდა

მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს დას, კატია ავეიროს ძმის მსგავსად, პოპულარობა მოუნდა და მუსიკალურ სამყაროში დამკვიდრებას აპირებს. კატიამ პირინეის ნახევარკუნძულზე პოპულარულ ჯგუფ „ვაილდბოიზთან" ერთად ჩაწერა ალბომი, რომელსაც ესპანურად „Boom Ser Parar" ეწოდება და მასზე საუკეთესო ესპანელი პროდიუსერები მუშაობდნენ. „თუკი ჩემი ძმის ყველა თაყვანისმცემელი შეიძენს ჩემს ალბომს, ვფიქრობ, პოპულარული გავხდები," - ასეთი კომენტარი გააკეთა ალბომის პრეზენტაციაზე კრიშტიანუ რონალდუს დამ.

## ფილმი კასპაროვზე

ჰოლივუდური სტუდია „დისნეი" ახლო მომავალში ლეგენდარული მოჭადრაკის, გარი კასპაროვის შესახებ სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას დაიწყებს. ფილმი მეთიუ ჩერმანის პიესა „მანქანის" მიხედვით იქნება გადაღებული და ჯერჯერობით უცნობია, ფილმის რეჟისორის და მთავარი როლის შემსრულებლის ვინაობა. პიესაში აღწერილია გარი კასპაროვის და IBM-ის კომპიუტერის პაექრობის შესახებ. ეს იყო პირველი შეხვედრა საჭადრაკო დაფაზე, როდესაც ერთმანეთს ადამიანი და ხელოვნური ინტელექტი დაუპირისპირდა და პირველი შეხვედრა 1996 წელს კასპაროვმა მოიგო. 1997 წლის მაისში კომპიუტერმა მოიგო და ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონი კასპაროვის პირველი მარცხი.



## ნოვაკ ჯოკოვიჩი ქორწინდება

მსოფლიოს პირველი ჩოგანი მამაკაცებს შორის, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი ქორწინდება. მისი რჩეული ელენა რისტიჩია, რომელსაც ის რამდენიმე წელია, ხვდება. „გაიცანით ჩემი საცოლე და მომავალი მეუღლე. ბედნიერი ვარ და მადლობელი მილოცვებისთვის," – დაწერა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე ჯოკოვიჩმა და ელენას ფოტოსურათი დაურთო. ევროპული ტაბლოიდების ცნობით, „დიდი სლემის" ტურნირების ექვსგზის გამარჯვებულმა ჯოკოვიჩმა რვაწლიანი რომანის დაკანონება და დაოჯახება გადაწყვიტა.

## უსეინ ბოლტი ოქტობერფესტისთვის მზადაა

იამაიკელი სპრინტერი, რეკორდსმენი და პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანი უსეინ ბოლტი გერმანულ კულტურასთან გაცნობას აგრძელებს და ამჯერად მიუნჰენში ტრადიციულ ლუდის ფესტივალზე – „ოქტობერფესტზე" ჩავიდა. ბოლტმა ბავარიულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა იპოზიორა ფოტოგრაფების წინაშე და შესაბამისი ფოტო განათავსა „ტვიტერზე" ტექსტით: „თუკი მიუნჰენში ხარ, უნდა ალლო აულო აქაურ კულტურას. ოქტობერფესტზე მოვდივარ".

## შვეიცარიაში კომუნიზმი დადგება

შვეიცარიაში ჩატარდება რეფერენდუმი სახელმწიფოს შემოსავლების განაწილებაზე: საინიციატივო ჯგუფმა შეძლო, შეეკრიბა ხელმოწერები იმ ინიციატივის მხარდასაჭერად, რომ ყოველ ზრდასრულ შვეიცარიელს უფლება უნდა ჰქონდეს „ძირითად შემოსავალზე", არც მეტი, არც ნაკლები, 2 800 დოლარი თვეში.

რომ ეზეიმათ 100 ათასი ხელმოწერის შეკრება, რომელიც აუცილებელია პეტიციის გამოსატანად საყოველთაო ხმის მიცემაზე, რეფერენდუმის ორგანიზატორებმა პარლამენტის შენობასთან ქალაქ ბერნში მიიყვანეს სატვირთო მანქანა, რომელშიც იყო 8 მილიონი 5-ცენტიანი მონეტა (ქვეყანაში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით) და მიმოაბნიეს ისინი მოედანზე.

რეფერენდუმის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ახალი კანონების მიღების ასეთი მეთოდი შვეიცარიისთვის ჩვეულებრივია – ყოველწლიურად რამდენიმე რეფერენდუმი ტარდება. სექტემბრის ბოლოს, მაგალითად, შვეიცარიელებმა ხმა მისცეს გაწვევითი არმიის შენარჩუნებაზე. მნიშვნელოვანი რეზონანსი ჰქონდა გაზაფხულზე მოწონებულ ინიციატივას – მკაცრად შეიზღუდოს ტოპ-მენეჯერების ხელფასები. კარსაა მომდგარი უკვე შემდგომი ინიციატივა: 24 ნოემბერს ქვეყანა გადაწყვეტს, შესაძლოა თუ არა, კომპანიის ხელმძღვანელის ყოველთვიური ხელფასი აჭარბებდეს ყველაზე დაბალანაზღაურებადი თანამშრომლის წლიურ ხელფასს. კიდევ ერთი ინიციატივა ეხება საპენსიო უზრუნველყოფის ოპტიმიზაციას: რათა დაზოგონ თანხები საცხოვრებელსა და სამედიცინო მომსახურებაზე, ღარიბ პენსიონერებს წინადადებას მისცემენ, იცხოვრონ ზღვის ნაპირას, მაროკოში.

კანონპროექტი „ძირითად შემოსავალზე" ითვალისწინებს, რომ ყოველი ზრდასრული შვეიცარიელი სახელმწიფოსგან უვადო მატერიალურ დახმარებას – 2 500 შვეიცარიულ ფრანკს (2 800 დოლარს) მიიღებს, რათა უზრუნველყონ „მოქალაქეთა ფინანსური უსაფრთხოება".

## „რეალითი შოუს" გამარჯვებული კოსმოსში იმოგზაურებს

ამერიკულმა ტელეარხი NBC ახალ რეალითი შოუს იწყებს, რომლის გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს „საგზურს" კოსმოსურ ხომალდზე, რომელიც ბრიტანელი მილიარდერის, რიჩარდ ბრენსონის კომპანიამ შექმნა. რა იქნება ტელეშოუში, ჯერჯერობით არ სახელდება.

ტელეშოუ „კოსმოსური რბოლის" პროდიუსერი ბრიტანელი მარკ ბერნეტი იქნება, რომელმაც ერთბაშად რამდენიმე პოპულარული გასართობი პროექტით გაითქვა სახელი: „შეძლო გადარჩენა", „ხმა"...

„ვცდილობ, განვახორციელო ჩემი ოცნება: ტელეშოუს დახმარებით, ჩვეულებრივ ამერიკელს უნიკალური მოგზაურობის შესაძლებლობა მივცეთ. Virgin Galactic – ეს კოსმოსური ტურიზმის მომავალია".

2011 წლის ოქტომბერში Virgin Galactic-მა ამერიკის შტატ ნიუმექსიკოში გახსნა მსოფლიოში პირველი კერძო კოსმოდრომი. შემდეგი წლიდან აქ კომერციული ფრენები იგეგმება. ტურისტები გამოცდიან უწონადობას და დედამიწის დანახვას 100 კილომეტრი სიმაღლიდან შეძლებენ. ორსაათიანი ფრენის ღირებულება 250 ათას დოლარს შეადგენს. კოსმოფრენის ბორტზე ორი პილოტი და ექვსი მგზავრი იქნება. ამგვარად, კოსმოსში მოხვედრის სურვილი უკვე 600-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა, მათ შორის არიან მსახიობები – ტომ ჰენკსი და ანჯელინა ჯოლი.

## ყველაზე ძვირად ღირებული ყელსაბამი

სინგაპურში მიმდინარეობს საიუველირო ბაზრობა, რომლის მთავარი მშვენება გახდება ყველაზე ძვირად ღირებული საქონელი – ბრილიანტის ყელსაბამი, რომლის ღირებულება 55 მილიონი დოლარია. კოლიე მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულად არის აღიარებული და გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

„შეუდარებელი" Mouawad-ის საიუველირო სახლის ოსტატებმა შექმნეს. მას ამშვენებს ვარდისფერი ოქროთი „შემოსილი" სხვადასხვაწახნაგოვანი 90 თეთრი ბრილიანტი და ერთი უზარმაზარი ყვითელი ბრილიანტი, რომლის წონა 407,48 კარატია. ყელსაბამში სულ 637 კარატის ძვირფასი ქვებია ჩართული.

ყვითელი ბრილიანტი, რომელსაც „მსოფლიოს უმსხვილეს, შინაგანად წუნდაუდებელ ბრილიანტს" უწოდებენ, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 30 წლის წინ შემთხვევით აღმოაჩინეს.

55 მილიონი დოლარის ღირებულების ყელსაბამით უკვე დაინტერესდა ორი მყიდველი... აზიიდან.



### უშაქრო მაწონი, იოგურტი და კეფირი ორგანიზმს წმენდს

როცა ორგანიზმში წიდები გროვდება, ადამიანი სწრაფად იღლება, აწუხებს უძილობა, თავის ტკივილი, უმადობა და ასე შემდეგ. ამ დროს ეცადეთ, არ მიიღოთ საკვები საღამოს 7 საათის შემდეგ. თუ ძალიან მოგშივდათ, მიირთვით 1 ჩაის ჭიქა მაწონი შაქრის გარეშე – ის ორგანიზმიდან წიდებს გამოდევნის. ამ მხრივ კარგია კეფირიც. სვით, ასევე, ბევრი სითხე. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, ნასადილევს კი, 1 საათის შემდეგ, კვლავ 1 ჭიქა წყალი დააყოლეთ.

ორგანიზმის გასაწმენდად კარგია მწვანე ჩაიც. ის აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ნაწლავის ნორმალურ მუშაობას უწყობს ხელს.

გვირილისა და პიტნის სამკურნალო ჩაი არა მარტო ამშვიდებს ნერვებს, არამედ, კარგია კუჭ-ნაწლავის მუშაობისთვისაც.

ხილი კარგია ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად, რადგან ის შეიცავს უჯრედისსა და პექტინებს; სადილობამდე ნახევარი საათით ადრე მიირთვით 1 ცალი ვაშლი – ეს დადებითად იმოქმედებს თქვენს ორგანიზმზე.

უშაქრო იოგურტი ორგანიზმს ეხმარება მავნე ნივთიერებებისა და ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. ასევე, კარგია სუფთა ჰაერზე ფეხით სეირნობა და ზომიერი ვარჯიშების ჩატარება.

### სისხლნაკლებობისა და ათეროსკლეროზის დროს ავოკადო მიირთვით

ავოკადო დაკარგული ძალების აღდგენას უწყობს ხელს. ის იმდენ ვიტამინსა და მინერალურ ნივთიერებას შეიცავს, რომ, შეუძლია, ადამიანის საკვებიც კი შეცვალოს. კერძოდ, ავოკადო შეიცავს $B_1$, $B_2$, C, PP, K და P ვიტამინებს; კალციუმს, კალიუმს, ფოსფორსა და რკინას. ასევე, ძალიან კალორიულია – 100 გრამში 218 კილოკალორიაა. ასე რომ, კალორიულობის თვალსაზრისით, ავოკადო, შეიძლება, ხილის მეფედ ჩაითვალოს – მისი ენერგეტიკული ღირებულება უცხიმო ხორცს ორჯერ აღემატება. სისხლნაკლებობის, ათეროსკლეროზისა და გასტრიტის დროს ეს ხილი მართლაც რომ მისწრებაა; ასევე, ორგანიზმის ძლიერ აღმგზნებ საშუალებადაც ითვლება და, ხშირად, ამის გამო ერიდებიან მის ჭამას. თუმცა, მისი ზომიერი რაოდენობით მიღება ძალიან სასარგებლოა. ავოკადო, აგრეთვე, მდიდარია ზეთითაც. ის, ზეთისხილის მსგავსად, 30 პროცენტამდე ზეთს შეიცავს და ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელ პროდუქტად მოიაზრება.

### შარდსასქესო ორგანოებისა და თირკმელების დაავადების საწინააღმდეგოდ ხახვი უებარი წამალია

დაახლოებით 70 გრამი ხახვი მთლიანად აკმაყოფილებს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილებას ასკორბინის მჟავაზე. C ვიტამინის ასეთი წყარო განსაკუთრებით ცივ ამინდშია აუცილებელი. მინერალური მარილები, რომლებსაც ხახვი შეიცავს, წყალმარილოვან ცვლას უწყობს ხელს. ამიტომ, ხახვი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა.

თუ სურდო შეგეყარათ, გახეხეთ ორი თავი ხახვი. გახეხვის დროს არ დახუჭოთ თვალები, რადგან, ამ დროს გამოიყოფა დიდი რაოდენობით ფიტონციდები. თუ ახალმომზადებული ხახვის ფაფის არომატს შეისუნთქავთ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში, ჩათვალეთ, რომ გამოჯანმრთელდით.

კარგია ინჰალაციაც, კერძოდ: 4 სადილის კოვზ გვირილას დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და ადუღეთ ხუთი წუთის განმავლობაში. შემდეგ გაწურეთ და ცხელ ნაყენში ჩაუმატეთ ორი სადილის კოვზი ხახვისა და ლიმონის ქერქის ნახევარი. ეს ყველაფერი ჩაასხით ქვაბში, დაჯექით, სახე ქვაბისკენ დახარეთ, გადაიფარეთ თავზე პირსახოცი და შეისუნთქეთ ქვაბიდან ამოსული ორთქლი. გვირილის ეთერზეთი და ხახვის სამკურნალო ფიტონციდები ისუნთქეთ 10-15 წუთის განმავლობაში.

თუ თირკმელებისა და შარდსასქესო ორგანოების დაავადება გაწუხებთ, პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ ხახვის, ნიახურის ძირებისა და ლიმონის წვენის თანაბარი რაოდენობის ნარევი; 50 გრამი გახეხილი ნარევი ჩაყარეთ ნახევარ ჭიქა თბილ წყალში, კარგად გააზავეთ და ჭამამდე 15 წუთით ადრე დალიეთ. მკურნალობის კურსი 3 კვირაა.

ათეროსკლეროზის და ჰიპერტონიის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, სასურველია, მიიღოთ შემდეგი ნარევი:

100 მილილიტრ ხახვის წვენს დაუმატეთ 30 სადილის კოვზი თაფლი და 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი. ნარევი კარგად გააზავეთ და შეინახეთ მაცივარში მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით. გახსენით 1 ჩაის კოვზი ნაყენი ნახევარ ჭიქა თბილ წყალში და სვით დღეში ორჯერ, ჭამის წინ, დაახლოებით ოთხი კვირის განმავლობაში.

### ბოსტნეულის წვენები კოლიტსა და მსხვილი ნაწლავის ანთებას შველის

ბოსტნეულის წვენების რეგულარულად მიღება სრულად კურნავს კოლიტსა და მსხვილი ნაწლავის ანთებით დაავადებებს. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ ნახევარი ლიტრი ახლად გამოწურული სტაფილოს წვენი ან წვენების ნაკრები, კერძოდ: 300 მილილიტრი გრამი სტაფილოს, 100 მილილიტრი წითელი ბოლოკისა და 100 მილილიტრი კიტრის წვენი. დაავადებისგან განკურნების უებარი საშუალებაა, ასევე, თაფლი: 1 სადილის კოვზი თაფლი გახსენით 1 ჩაის ჭიქა გადადუღებულ და გაციებულ წყალში და დალიეთ ჭამის წინ (დღეში უნდა მიიღოთ 3 ჩაის ჭიქა). მკურნალობის კურსი ერთი თვეა.

ამ დროს უებარია ხალხურ მედიცინაში აპრობირებული ნაყენები. კერძოდ:

*2 სადილის კოვზ ჟოლოს გამხმარ ფოთოლს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ნახევარი ჭიქა, ჭამამდე, დღეში ოთხჯერ;

*ერთმანეთში აურიეთ გვირილის ყვავილები, სალბი და ასისთავა. 3 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ ნახევარი საათით. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ყოველ ორ საათში ერთხელ, 1 ჩაის კოვზი, ორი თვის განმავლობაში.

*1 სადილის კოვზ გამხმარ კრაზანას დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და დაახლოებით, 15-20 წუთით გააჩერეთ წყლის ორთქლზე. შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, დღეში 5-ჯერ.

*2 სადილის კოვზი მოცვის გამხმარი ნაყოფი ჩაყარეთ 2 ჩაის ჭიქა წყალში და ადუღეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ ჩაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა წითელი ღვინო, ადუღეთ ათი წუთი დაბალ ცეცხლზე, გააცივეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ.

*10 გრამ მატიტელას გამხმარ ძირებს დაასხით 1 ლიტრი წითელი ღვინო და ხარშეთ 10 წუთი. ნახარში მიიღეთ დღეში ოთხჯერ. ერთი კურსი 2 კვირა გრძელდება, შემდეგ კი ნახარშს დაუმატეთ 100 გრამი დანაყილი ნიორი და მიიღეთ ისევ 2 კვირის განმავლობაში.

### ფსორიაზის დროს აუცილებელია დიეტის დაცვა

კანი დაკავშირებულია მთელ ორგანიზმთან და, ზოგადად, მის ცხოველმოქმედებასთან. ამიტომ, მისი გარეგნული ცვლილება, არცთუ იშვიათად, შინაგანი დაავადების მანიშნებელია. კანის დაავადებამ, შეიძლება ავადმყოფობის საერთო მდგომარეობაზეც იმოქმედოს და ნერვულ სისტემაზეც. ნერვულ დაავადებებს და ფსიქიკურ ტრავმებს ყველაზე ხშირად თან სდევს ფსორიაზი.

ფსორიაზი კანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა. ამ დროს კანზე წარმოიქმნება სხვადასხვა სახის გამონაყარი. ზოგჯერ მისი მწვავე, უეცარი დასაწყისი ძლიერ სტრესს უკავშირდება. ცნობილია, რომ ფსორიაზის წარმოშობა და რეციდივები ხშირად გამოწვეულია ნერვულ-ფსიქიკური ტრავმებით, გონებრივი დაძაბვით, ძლიერი შიშით და ასე შემდეგ. დაძაბული ცხოვრების რიტმი და მძიმე სოციალური პირობები საგრძნობ გავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე. ხშირია ნევროზები და ფობიები, რომლებიც ნევროზს სდევს თან. უეცარი ფსიქიკური ტრავმა, ძლიერი შიში ნერვულ სისტემასა და ფსიქიკას დიდ დარტყმას აყენებს,

რასაც თან სდევს კანის ცვლილებები, თმის ცვენა, გამონაყარი და საბოლოოდ ყალიბდება ფსორიაზი.

ფსორიაზის დროს აუცილებელია დიეტის დაცვა, რადგან, ეს აწესრიგებს ნივთიერების ცვლას. კვების რაციონი უნდა გაამდიდროთ ცილებითა და ნახშირწყლებით, ცხიმები კი უნდა შეამციროთ. ჭამეთ ბევრი ვაშლი და საზამთრო, ასევე, სვით მათი წვენები. ბოსტნეულიდან კი მიირთვით კარტოფილი. რაციონში ჩართეთ მოხარშული ზღვის პროდუქტები. სასარგებლოა წყალში მოხარშული შვრიის ფაფა.

თუ ფსორიაზი გაწუხებთ, ნუ მიეძალებით ტკბილეულს, ცხიმიან, მწარე და მჟავე საკვებს; უპირატესობა მიანიჭეთ ბუნებრივ და ვიტამინებით მდიდარ საკვებს. თავი აარიდეთ სტრესს, ნერვულ და ფსიქიკურ გადაძაბვას. უარი თქვით სიგარეტსა და ალკოჰოლზე. დაიცავით დღის რეჟიმი, გაიკაჟეთ ორგანიზმი, ივარჯიშეთ და ბევრი ისეირნეთ ფეხით სუფთა ჰაერზე.

### როგორ დავიამოთ სახსრების პოდაგრული ტკივილები

პოდაგრის განვითარებას ხშირად ისეთი პროდუქტების რეგულარულ მიღებას უკავშირებენ, როგორებიცაა: წითელი ღვინო, შამპანური; პურინებით მდიდარი საკვები: ხორცი, თევზი, ღვიძლი, მჟაუნა, ისპანახი, ბოლოკი, ბარდა, ლობიო, შოკოლადი, ყავა. მაგრამ, მისი წარმოქმნის მიზეზი მხოლოდ საკვები როდია. პოდაგრა სისტემური დაავადებაა და მისი მთავარი გამოვლინებაა ქრონიკული ართრიტი, ანუ, სახსრების ანთება, რაც ნებისმიერ სახსარს აზიანებს. გამწვავების პერიოდებში სახსრებში ტკივილი მწვავდება, კანი წითლდება. პოდაგრის განვითარების მიზეზია, ასევე, პურინული ცვლის დარღვევა, რის შედეგადაც სისხლის შრატში მატულობს შარდმჟავის დონე, ხოლო მისი მარილების კრისტალები ლაგდება ხრტილებში, სასახსრე ჩანთებში, მყესებში, თირკმლებში. ორგანიზმიდან შარდმჟავის გამოსვლას აფერხებს მძიმე ტრავმები, ფიზიკური გადაძაბვა, ზოგიერთი მედიკამენტი. ამიტომ, პოდაგრის კომპლექსურ მკურნალობაში იყენებენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან შარდმჟავის გამოდევნას.

პოდაგრით დაავადებულმა აუცილებლად უნდა შეზღუდოს პურინებით მდიდარი პროდუქტების მიღება. აკრძალულია ალკოჰოლური სასმელებიც, მიღებაც, რადგან ის აფერხებს შარდმჟავის თირკმლით გამოყოფას. კარგია რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ფაფეული, მოხარშული ბოსტნეული, სტაფილო, ხილი, ბრინჯი, შაქარი, თეთრი პური; ასევე, საჭიროა სითხის მიღება, მაგალითად, გაზგასული მინერალური წყალი დიდი რაოდენობით.

ფეხისა და ხელის სახსრების პოდაგრული ტკივილის დროს სასარგებლოა მცენარეული აბაზანების მიღება ძილის წინ, ყოველდღე. პროცედურა გრძელდება ნახევარი საათის განმავლობაში, წყლის ტემპერატურა კი 38 გრადუსი უნდა იყოს. კერძოდ:

* 100 გრამ სალბის ფოთლებს დაასხით 5 ლიტრი მდუღარე წყალი და 10 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. შემდეგ გააგრილეთ და გაიკეთეთ აბაზანა.

* 100 გრამ გვირილის ყვავილს შეურიეთ 200 გრამი სუფრის მარილი და დაასხით 10 ლიტრი მდუღარე წყალი. 38 გრადუსამდე რომ გაგრილდება, გაიკეთეთ აბაზანა. ეს აბაზანა განსაკუთრებით ეფექტურია, როცა პოდაგრული სახსარი შეშუპებული და მტკივნეულია.

ასევე, სასარგებლოა მცენარეული ნაყენების მიღება, რადგან მას შარდმჟავა და მარილები გამოაქვს ორგანიზმიდან:

* 30 გრამ შავი მოცხარის ფოთლებს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და ნახევარი საათი გააჩერეთ. მიიღეთ ნახევარი ჭიქა, დღეში ოთხჯერ.

* 1 სადილის კოვზ თირკმლის ჩაის დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთი. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ, ჭამის წინ.

* 10 გრამ დიდგულას დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნახევარი საათი. მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში ხუთჯერ.

თუ სახსრებში ტკივილი მოგემატათ, დაიდეთ მასზე კომბოსტოს ფურცლები – ის ტკივილს შეგიმსუბუქებთ.



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 8 თვის ორსული, გამიჩნდა სტრიები. უსაფრთხოა თუ არა ორსულობის დროს „მუმიოს" გამოყენება?**

**პასუხი:** არ გირჩევთ. გამოიყენეთ პრეგნაქეას მალამო.

**კითხვა: ტერფის სოკოს შემთხვევაში როგორია ფეხსაცმელების სტერილიზაციის წესი?**

**პასუხი:** ფეხსაცმლისა და წინდების დეზინფექცია შეგიძლიათ 40-პროცენტიანი ძმრის ან 1 პროცენტი ქლორჰექსიდინის ბიგლუკონატის საშუალებით. ამ ხსნარებში დასველებული დოლბანდით გამოასუფთავეთ ფეხსაცმელი და შიგნითაც დატოვეთ, ჩააწყვეთ პოლიეთილენის პარკში და გააჩერეთ 24 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაანიავეთ სუნის გაქრობამდე.

**კითხვა: ვარ 22 წლის. ფეხის დიდ თითთან მეზრდება ძვალი, თან უკვე მაწუხებს ტკივილები. ვისვამ იოდს, მაგრამ, შედეგი მცირეა, მაინტერესებს რით ვუშველო? ოპერაცია რომ გავიკეთო, აღარ გამომეზრდება?**

**პასუხი:** დიაგნოზის დასადგენად უნდა მიმართოთ ორთოპედს ან ტერფების სპეციალისტს. საფიქრებელია ტერფის პათოლოგია. ალბათ, საჭირო გახდება ლაბაშების (სუპინატორების) გამოყენება. არსებობს მკურნალობის ქირურგიული მეთოდიც.

**კითხვა: როგორ უნდა მოვამზადო ქონდრის ნახარში ხველებისთვის? დაფქული უმჯობესია თუ დაუფქავი? ხმელი თუ ნედლი?**

**პასუხი:** ნაყენისთვის გამოიყენეთ ხმელი ქონდარი: 1 ჩაის კოვზ ბალახს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით თავდახურული 10-15 წუთის განმავლობაში, შემდეგ დაატკბეთ თაფლით და დალიეთ ცხელი, ჩაის მაგივრად.

**კითხვა: რამდენია ჰემოგლობინის ნორმა ქალებში? რა სახით უნდა მივიღოთ ხორცი და რისი ხორცი ჯობია?**

**პასუხი:** ქალებში ჰემოგლობინის ნორმალური მაჩვენებელია 12,0-16,0. მისი მომატების მიზნით, უმჯობესია მიირთვათ საქონლის ახალი (გაუყინავი) მოხარშული ხორცი, ან, ჯანმრთელი ცხოველის ღვიძლი (საქონლის და ღორის).

**კითხვა: ორსულობის დასაწყისში თუ ხდება ტემპერატურის აწევა? სულ იცის თუ ხანდახან?**

**პასუხი:** ორსულობამ სიცხეები არ „იცის". უნდა გაარკვიოთ ტემპერატურის აწევის მიზეზი.

**კითხვა: ამბობენ, იოდის ნაკლებობა ხელს უწყობს სისხლის შესქელებასა და თრომბის წარმოქმნასო. ეს მართალია?**

**პასუხი:** დიახ, არსებობს მონაცემები, რომ იოდი ხელს უწყობს სისხლის შედედებასა და თრომბის წარმოქმნას.

**კითხვა: ვარ 25 წლის, გათხოვილი. რა შეიძლება იყოს სქესობრივი აქტის შემდეგ სისხლიანი გამონადენის მიზეზი?**

**პასუხი:** სისხლდენა სქესობრივი აქტის შემდეგ სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადების ერთ-ერთი სიმპტომია. დროულად მიმართეთ გინეკოლოგს. აუცილებელია ვაგინალური ექოსკოპია, საშოს დათვალიერება სარკეებით, PAP-ტესტი, კოლპოსკოპია.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# ვისთან ჰქონდა ფარაჯანოვს სკანდალური ურთიერთობა და ვინ უკვდავყო მან

***ყველამ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავდა სერგო ფარაჯანოვისთვის თბილისი.„ციხიდან რომ გამოვიდა, არც მოსკოვმა, არც უკრაინამ და არც სომხეთმა არ მიიღო. მაშინ რეზო ჩხეიძე მივიდა შევარდნაძესთან და სთხოვა, ფარაჯანოვისთვის უფლება მიეცა, ფილმი გადაეღო. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ის მიიღო, მაგრამ, რადგან, პირობითი ჰქონდა მისჯილი, ოფიციალურად უფლება არ ჰქონდა ფილმის რეჟისორი ყოფილიყო. ამიტომ, „სურამის ციხე" რომ გამოვიდა ეკრანებზე, ტიტრებში რეჟისორად დოდო აბაშიძე ეწერა," – გვითხრა ხელოვნებათმცოდნე მანანა ჭყონიამ. დღეს სწორედ ქალბატონი მანანას და ბატონი სერგოს ურთიერთობაზე გიამბობთ, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, მის ცხოვრებას დიდი კვალი დააჩნია. მისთვის ის ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვისაც ფარაჯანოვი ბოლომდე ენდობოდა.***



**მინდოდა დედობა და გავხდი დედა. ცოლის ფუნქციაში ხიბლს ვერ ვხედავდი. ვერც ერთმა კაცმა ვერ გადამაწყვეტინა, ცოლობის სურვილი გამჩენოდა**

**მანანა ჭყონია:** ფარაჯანოვი გავიცანი მეგობრებისგან, ახალი გამოსული იყო ციხიდან. მაშინ 25 წლის გახლდით. მე და ჩემი მეგობარი ერთად ვიყავით, ვსაუბრობდით. დაურეკა ქმარმა – ახლა მანქანას გამოგიგზავნით და ამა და ამ რესტორანში მოდით, მე და სერგო ფარაჯანოვი ვიქნებით მარტოო. რომ შევედი და დავინახე, დავიბენი. არ გასულა ხანი, ამ ადამიანმა ჩემი მისამართით დაიწყო კომპლიმენტები – ეს რა საოცრებაა... ასეთი ქალები კიდევ თუ არსებობდნენ საქართველოში ვერ წარმოვიდგენდიო... ამ დროს ძალიან ჩვეულებრივად მიმაჩნდა თავი, ბევრად ლამაზი მეგობრებიც მყავდა. ვიფიქრე, ნასვამია და იმიტომ იქცევა ასე, ან შეამჩნია, რომ დამორცხვებული ვარ და უნდა, თავისუფლად ვიგრძნო თავი-მეთქი. რა აღარ ვიფიქრე. მოკლედ, არ ჩერდება. მიტრიალდება, ხან ჩემს მეგობარს ეკითხება, რატომ ადრე არ ვიცნობდიო, ხან კი მის მეუღლეს ელაპარაკება რაღაცას... მოსაღამოვდა. ჯერ მე მომიყვანეს სახლში მანქანით, მერე სერგო მიაცილეს. გზაში ჩემი მეგობრებისთვის უთქვამს – ეს გოგო ხვალ ჩემთან მოიყვანეთო. მეორე დღეს დამირეკეს და მთხოვეს წამოდიო. არ წავედი. რამდენიმე თვე არ მივდიოდი. მერე, გამომიგზავნა ბუკლეტი, წმინდა მარკოზის ტაძრის რეპროდუქციებით. მაქსიმალურად ვცდილობდი, თავი ამერიდებინა და არც არავისთვის მითქვამს, რომ ფარაჯანოვი გავიცანი. ჩემი მეგობრის ქმარს აბარებდა, მოვიდესო.

**– მე არ ვიცი, თქვენი და ფარაჯანოვის ურთიერთობის ისტორიას ვინ როგორ გაიგებს, როცა ამას წაიკითხავენ, მაგრამ ერთი კი ვიცი, სერგო ფარაჯანოვი, რომ სახლში ვინმეს დაპატიჟებდა, თუნდაც მანდილოსანს, ეს ბევრს ნიშნავდა.**



– რა თქმა უნდა, ჩემთვის ის იყო ძალიან დიდი შემოქმედი და არასდროს დამიშვია, რომ შეიძლებოდა, მასთან ოდესმე შეხვედრის საშუალება მქონოდა. ძალიან მოკრძალებული ვიყავი ჩემს ასაკთან შედარებით, საკუთარი თავის წარმოჩენაზე არასოდეს მიზრუნია. მაგრამ, ამ კაცმა მართლა იმდენი გააკეთა ჩემთვის, რომ მთელ ჩემს ცხოვრებას დააჩნია კვალი. მასზე ლეგენდებიც მქონდა გაგონილი და საშინელი სიბინძურეებიც. რომ გითხრათ, ეს სიბინძურე დავიწყებული მქონდა-მეთქი – არა, მაგრამ არ მაინტერესებდა მისი არაფერი, მისი შემოქმედებითი მხარის გარდა. ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, შემდეგ, როდესაც დავახლოვდით, მიყვებოდა თავის ცოლზე – თუ როგორ უყვარდა, რომ მისი ცხოვრების ერთადერთი ქალი იყო. ასევე, შვილზე, რომლის ბედიც ძალიან აწუხებდა და ვერაფერს აკეთებდა მისი მომავლისთვის. მიყვებოდა იმ ტკივილზე, რასაც ადამიანები აყენებდნენ თავიანთი შურითა და უმადურობით. რამდენჯერ უტირია კიდეც, მაგრამ გეფიცებით, ისე წავიდა ეს კაცი ჩემი ცხოვრებიდან, მისგან არ მიგრძნია, რომ ჩემში ქალი აინტერესებდა. ჩემს ნათესავებს, ნაცნობებს დღემდე ჰგონიათ, რომ მისი საყვარელი ვიყავი. როდესაც მითვლიდა მასთან სახლში მივსულიყავი, თავს ვარიდებდი, ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდოდა ჩემი ნახვა ასე ძალიან. აღმოჩნდა, რომ ამ კაცმა დაინახა ჩემში ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი ნიჭი. ეს თვისებები მისთვის ახლობელი და გასაგები იყო. ერთ დილასაც მირეკავენ და მეუბნებიან: სერგოსთან ხარ დაპატიჟებული, ბელა ახმადულინას დაბადების დღეა. ქმართან ერთად არის ჩამოსული და შენზე მთხოვა აუცილებლად მომიყვანეო. რომ არ წამოხვიდე, შეუძლებელია, დაგვკარგავსო. წავედი. მე, პატარა გოგო ჯინსებში, კედებში შევდივარ და უცებ, ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. მეგონა, მარტო თვითონ, ბელა ახმადულინა და მისი ქმარი იქნებოდნენ და უცებ მხვდება მთელი 70-იანი წლების ქართული ხელოვნების უფროსი თაობა, ელიტა – ელდარ და გიორგი შენგელაიები, რეზო ჭეიშვილი, დიმიტრი ერისთავი... წარმოიდგინეთ, რა პატარად ვიგრძენი თავი და თან რა ბედნიერად. ბატონმა სერგომ მათ გააცნო ჩემი თავი – ეს ის მანანა ჭყონიაა მე რომ გიყვებოდითო. ყველამ შესვა ჩემი სადღეგრძელო, მათ შორის ბელა ახმადულინამაც და წაიკითხა თავისი ერთ-ერთი არაჩვეულებრივი ლექსი, რომელზეც ემოცია ვერ შევიკავე და ცრემლები წამომივიდა. წამოსვლისას სერგომ გამიმიტანა ხატი – ეს შენ ჩემგან სახსოვრად, ძალიან ძვირფასია. ხელოვნებათმცოდნე ხარ და თვითონაც მიხვდები რას წარმოადგენსო. ეს იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ხატი. ამ დროს მოგვიახლოვდა ერთი პიროვნება (გვარს არ დავასახელებ, საკმაოდ ცნობილია) და ეუბნება: ეს ხატი ხომ მე გთხოვე და შენ ამას აძლევო? კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. შენ მითხარი მინდაო, თორემ მე არაფერსაც არ შეგპირებივარო – მიუგო ბატონმა სერგომ. მოვიდა და ხელიდან მართმევს, რა თქმა უნდა, არ მივეცი, იმიტომ რომ ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი საჩუქარი იყო ჩემთვის ფარაჯანოვისგან, რაზეც უარს ვერ ვეტყოდი. ამ დღის მერე ძალიან გააქტიურდა. მიგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს, მეპატიჟებოდა თავისთან. არც საჩუქრებს ვიღებდი და არც მივდიოდი. მომდიოდა ხმები, ფარაჯანოვი გეძებსო. მე, რა თქმა უნდა, ვიმალებოდი. გულახდილად გითხრათ, მრცხვენოდა, მეგონა, დამცინოდა. ახლაღა ვხვდები, თურმე როგორ შურდათ მისი. ერთხელ უბნის ინსპექტორი გამომიგზავნა. ვერ გავიაზრე, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან უბნის ინსპექტორს. ფარაჯანოვმა მთხოვა, ეს კონვერტი თქვენთვის გადმომეცა და მეთქვა – საღამოს ლუბიმოვის თეატრი მყავს და წვეულებაზე ვეპატიჟებიო. კონვერტში ჩადებული იყო თავისი ხელით გაკეთებული კოლაჟი. არც ეს მივიღე და უკან გავატანე. ასეთი მოსაწვევი დღეს იყიდება, ფონდს სთავაზობენ და ჩვენ ფული არ გვაქვს, რომ შევიძინოთ. ერთხელ, ბრილიანტის კოლიე გამომიგზავნა და რა თქმა უნდა, ყველაფერი უკან გავატანე. იმ პერიოდში რატომღაც მოვწონდი ჩემზე უფროსებს, უმეტესად რეჟისორებს, რაც ძალიან მაღიზიანებდა. თუმცა, მაინც არ დამიშვია, რომ ფარაჯანოვი ჩემით, როგორც ქალით შეიძლებოდა, ყოფილიყო დაინტერესებული. შეყვარებული ვიყავი. მე ჩემი გატაცებები, სხვა ინტერესები მქონდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელი, მე ისევ ვიმალებოდი. სპექტაკლზე ან სადმე ღონისძიებაზე რომ დავინახავდი, ვიპარებოდი. მერე მამა გარდამეცვალა. ეს დიდი დარტყმა იყო ჩემთვის. მოხდა ისე, რომ იმ დროისთვის არასტანდარტული, თამამი ნაბიჯი გადავდგი – გავაჩინე შვილი. მქონდა საკმაოდ გახმაურებული ურთიერთობა ადამიანთან – მაშინ მეგონა, რომ მიყვარდა. ყოველთვის, როცა კი გათხოვებაზე მიდგებოდა საქმე, რაღაც მაკავებდა, პირველი მე ვწყვეტდი ამ ურთიერთბას. თუმცა, ვცდილობდი, კაცისთვის თავმოყვარეობა არ შემელახა, ამიტომ თავს მიტოვებული ქალის პოზიციაში ვიტოვებდი. ზოგი ამას არ მპატიობდა და ამ ჩემს საქციელს სათავისოდ იყენებდა. მე კი, როგორც ჩანს, არ ვიყავი მოწოდებული ცოლობისთვის. სხვანაირი კაცების გარემოცვაში გავიზარდე, ყოველთვის ბევრს ვითხოვდი მათგან (მატერიალურზე არ არის საუბარი) და ამას რომ ვერ ვიღებდი, ურთიერთობას მომენტალურად ვწყვეტდი. არ მინდოდა, ვიღაცისთვის მონაპოვარი ვყოფილიყავი. მოკლედ, არ შემხვდა ისეთი კაცი, ვინც ჩემზე ძლიერი იქნებოდა, უფრო თავდაჯერებული და ამ ნაბიჯს გადამადგმევინებდა, ან იმდენად დიდი არჩევანი მქონდა, გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა. როგორც მინდოდა, ისე ვიცხოვრე. მინდოდა დედობა და გავხდი დედა, ცოლის ფუნქციაში კი ხიბლს ვერ ვხედავდი. როგორც ჩანს, აქამდე უნდა მოვსულიყავი. გაცილებით მნიშვნელოვანი საქმისთვის ვდებდი თურმე ჩემს ცხოვრებას, რომელმაც ქმარიც შემიცვალა, საყვარელიც მეგობარიც და ყველაფერი. ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული გამოგონება მაქვს მედიცინაში და ბვერი წელი მოვანდომე ამ საქმეს, ბევრიც გადავიტანე ამის გამო. ალბათ, ეს ძიება უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ვიდრე სიყვარული. ხატვაშიც წარმატებებს მივაღწიე. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრება შედგა და ამაში უდიდესი წვლილი სერგო ფარაჯანოვს მიუძღვის.



**– როდესაც გაიგო, რომ შვილი შეგეძინათ, როგორი რეაქცია ჰქონდა?**

– ერთხელ სახლში ვბრუნდები და მეუბნებიან – მუზეუმიდან დარეკეს ფარაჯანოვი გეძებს, კინოსტუდიის ტელეფონის ნომერი დატოვა და სასწრაფოდ დაუკავშირდიო. დავრეკე. გაბრაზებული ტონით მეუბნება – დღეს ჩემთან გამოდიო. მივედი, დამიწყო ლანძღვა – შენ არც კი გრცხვენია, რა გჭირდა სამაგისო, ვისთან დაიჭირე საქმე... თურმე, მისულა მუზეუმში, ვუკითხივარ. მანანა აქ აღარ მუშაობს და რა გნებავდათო. ფილმს ვიღებ და მინდა, მივიწვიო. ამ დროს გამოსულა ვიღაც და ეუბნება – იცით რა, მანანა ჭყონია არ გამოგადგებათ, მაგან უკანონო

შვილი გააჩინა. ჩვენ აქ კარგი გოგოები გვყავს და იმათ გაგაცნობთო. ძალიან გავბრაზდი და შემომელანძღა ის შენი მუზეუმის ხალხიო. მე ვუთხარი: გოგო რომ მინდოდეს, ქუჩაშიც ვნახავდი, მე სწორედ მას ვეძებო. ახლა, სადაც არ



უნდა დაიმალო, იცოდე, ყველგან მოგაგნებო. მან არ იცოდა, ეს რატომ გავაკეთე. იფიქრა, რაღაც ურთიერთობა მქონდა კაცთან, რომელმაც მიმატოვა და ამაზე გაგიგჟდა. ისიც კი გაურკვევია ვინ იყო და სახლში მისდგომია. მათ დღემდე ჰგონიათ, რომ მე მივუგზავნე. „დურა ტი, კეკელკა ტბილისკაია. კაკ ტი მაგლა პოლუბიც ჩელავეკა, უ კატოროვა ნა როიალე ხრუსტალნიე ვაზი სტოიატ. ანეკოგდა ტი ნე ზნალა ტვოიუ ცენუ." მეც გავბრაზდი – კი მაგრამ, თქვენ რა უფლება გქონდათ, რომ მიხვედითმეთქი. მაინტერესებდა, შენი ღირსი მაინც თუ იყოო, მიპასუხა. მერე მითხრა: შენ ჯერაც ვერ ხვდები, რა ნიჭი და შესაძლებლობებია შენში. ახლა არაფერზე არ იფიქრო, შეეცადე, მაქსიმალურად ამოქაჩო შენი თავი. რისი საშუალებაც გაქვს, ყველაფერი გააკეთე. ბავშვს მამა არ ჰყავს და ძალიან ბევრი რამ სჭირდება. როცა მქონდა საშუალება და ამ ნივთებსა და ფულს ვარიგებდი, შენ მაშინ გარბოდი და იმალეობოდიო. ფილმის გადაღება რომ დავიწყე და რეკვიზიტი დამჭირდა, ჩემი ნაჩუქარი ნივთები მომაქირავეს. გეხმარა ჭკუა და წაგელო, უფასოდ მაინც მათხოვებდი ან გაყიდდი და ბავშვს მოახმარდიო. მერე მთხოვა, ბავშვი მომიყვანე, მაჩვენეო. ბავშვს რომ დაინახავდა, აივანზე გადმოდგებოდა და მთელ კოტე მესხის შესახვევს ესმოდა – ჩემი შვილიშვილი მოჰყავთო

იურა მეჩითოვი გამომიგზავნა, ბავშვს სურათები გადაუღო. ბატონმა სერგომ ჩემი შვილის ფოტოების კუთხე გააკეთა ცალკე და ვინც მიდიოდა, ყველას აჩვენებდა – ეს ჩემი შვილიშვილიაო. ერთ დღეს მოიყვანა მართლმადიდებელი მღვდელი და თავისი სახლის აივანზე მოანათვლინა ჩემი შვილი.

**– იცით, რა მაინტერესებს. აი, რომ გითხრათ, როცა მქონდა საშუალება და ამ ნივთებსა და ფულებს ვარიგებდი, შენ მაშინ გარბოდი და იმალებოდიო. მართლაც, რატომ იმალებოდით და უბრუნებდით უკან ყველაფერს? ანტიკვარული ავეჯი, ბრილიანტის კოლიე... გქონოდათ მისგან სახსოვრად...**

– რატომ? ესე იგი, რა გამოდიოდა, რომ ამ კაცს ჩემთან ურთიერთობის ყიდვა უნდოდა?! კი ბატონო, მანამდე მაჩუქა უძვირფასესი ხატი და მივიღე, მაგრამ რატომ უნდა მიმეღო ვიღაც სამოცი წლის უცხო კაცისგან ძვირფასი ნივთები, თანაც მე არაფერი მაკლდა. ხალხს გაგონილი რომ არ ჰქონდა, მაშინ ჩამომდიოდა საფრანგეთიდან ძვირფასი ნივთები და არაფერი მიკვირდა. ბაბუაჩემი პარიზში ცხოვრობდა, პირველი თაობის ემიგრანტი იყო, რომელიც ამჟამად ლევილშია დაკრძალული

**– რას გიყვებოდათ თავის ცხოვრებაზე?**

– ისეთი რაღაცეები აქვს მოყოლილი, უბრალოდ, ვერ მივცემ თავს იმის უფლებას, ამაზე ვილაპარაკო. ძალიან გულნატკენი წავიდა. ახლა ვხვდები, ეს რა დიდი ტკივილი ყოფილა, როცა თვითონ გამოვცადე.



**– თქვენ დააარსეთ მისი სახელობის ფონდი და ბრონეულის პრიზი, რომელიც ფარაჯანოვის ფილმებში, როგორც სიმბოლო, ყველგან ჩანს. მე ვიცი, რომ ფონდთან დაკავშირებით პატარა პრობლემები გქონდათ, რატომ?**

– მინდოდა, ამ კაცის წინაშე ჩემი ვალი მომეხადა, მისი სახელი თბილისთან დამეკავშირებინა, ვინაიდან თბილისი ძალიან უყვარდა. რომ გარდაიცვალა, რამდენიმე თვეში გამოფენაც მივუძღვენი. ზოგიერთებმა ჩათვალეს, რომ ფონდი დიდი ფულის საკეთებელი ყოფილა და მომაწებეს ახალი იარლიყი – თურმე, ფარაჯანოვის ფონდი იმიტომ დავაარსე, რომ ფული მეკეთებინმა. ერთი კაპიკი არავისთვის მითხოვია. ყველა პრიზი ჩემი ხარჯით მაქვს გაკეთებული. წლები დასჭირდა მიმხვდარიყვნენ, რომ ფულს კი არ ვაკეთებდი, არამედ სახელი შემოვუნახე თბილისს. სერგოს სახელით ვერ ვისპეკულიანტებდი. რამდენიმე წლის წინ კულტურის სამინისტროს რომ შევთავაზე თანამშრომლობა, ასეთი რამ მითხრეს: ეს მინისტრს არ გააგონო, ბიოლოგიური ზიზღი აქვს ზოგადად სომხებისა და გეების მიმართო. ეს თემა კიდევ, მისი ორიენტაციის შესახებ, ძალიან სადავოა.

ერთხელ ჩემი ნათესავი მირეკავს და მეუბნება: შენ ხომ არ გადარეულხარ, გავიგე, ფარაჯანოვს მიჰყვება ცოლადო. საიდან მოგაქვთ, ხალხო, ეს ჭორები-მეთქი. რა ჭორი, თვითონ უთქვამს – ცოლად მანანა ჭყონიას ვირთავ და მთელ ჩემს ქონებას მის ბავშვს ვუტოვებო. გავმწარდი და მივუვარდი. ძლივს ხალხი ცოტა მიწყნარდა, საჭორაო ობიექტი აღარ ვარ და რატომ მივრცელებთ ამ ჭორებს-მეთქი, ვეჩხუბე. სანამ რამეს მეტყოდა, თვალები ცრემლებით აევსო. „კეკელკა ტი ტბილსკაია, ნეჩეგო ტი ნე პონიმაეშ". მე მარტო ის ვთქვი, რომ ბავშვს მამა არ ჰყავს და მინდა, ჩემი ქონება დავუტოვო-მეთქი. კი მაგრამ, თქვენ ხომ გყავთ შვილი, ჩემს შვილს რატომ უნდა დაუტოვოთ-მეთქი. თურმე მართლა უთქვამს და რომ გარდაიცვალა ეს მერე გავიგე მისი მეგობრისგან. მანანა ერთადერთი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში, ვინც ჩემთან გამორჩენის მიზნით არ ურთიერთობდაო. ამაში ბევრჯერ გამოვცადე, ერთადერთი, იმის იმედი მაქვს. ამას ყველაფერს, რასაც ვტოვებ და ჩემს სახელს თბილისს შეუნარჩუნებს. ამიტომ მინდოდა, ამისთვის ოფიციალური სახე მიმეცაო.

**– თქვენს ემიგრანტ ბაბუაზეც მინდა გკითხოთ. გავიგე, სალვადორ დალის ახლოს იცნობდაო. მოგვიყევით.**

– ბაბუაჩემი – სანდრო ჭყონია, როგორც უკვე ვთქვი, პარიზში ცხოვრობდა. ცოლ-შვილის წაყვანა ვერ მოასწრო. გაუგია, რომ მამაჩემი ომში იბრძოდა და ტყვეებს შორის დაუწყია ძებნა. რომ ვერ იპოვა, პარიზში ვინმე არჩილ ჭყონია უშვილებია. როგორც მიამბეს, ბაბუა ძალიან შეძლებული კაცი იყო და შვილობილისთვის განათლება მიუცია, გზაზე დაუყენებია. ბოლოს პარიზის სახლი დაუტოვებია, თვითონ კი მოხუცთა პანსიონში წასულა. ეს ისტორია მისმა მეგობარმა ვალიკო წილოსანმა მიამბო. ბაბუა ერთადერთი ქართველი იყო, რომელიც სალვადორ დალის და მის ცოლს – გალას ახლოს იცნობდა და მათთან მეგობრობდა. არჩილს სწორედ მის ოჯახში გაუცნია მხატვრის მეუღლის, გალას მეგობარი – ელენ რუბინშტეინი. ძალიან შეუხედავი ქალი ყოფილა, მაგრამ შეჰყვარებია და ცოლად შეურთავს, თუმცა მერე გაშორებია. დალის ბაბუასთვის უჩუქებია თავისი ნახატი, რომელიც თავშესაფარში წასვლამდე არჩილისთვის დაუტოვებია, რომ არ დაკარგულიყო. ახლა არავინ იცის ის ნახატი სად არის. არჩილ ჭყონია შემდგომ ამერიკაში წასულა და იქ გარდაცვლილა.

**ეკა პატარაია**

# რით განსხვავდებოდა „ისპანახობა" „ყეენობისგან" და რომელ წელს აღინიშნა პირველად „თბილისობა"

**(23-ე გვერდიდან)**

წელს „ისპანახობაში" მონაწილეობა ილია ჭავჭავაძესაც მიუღია.

## „თბილისობა"

პირველი „თბილისობა" 1979 წლის 28 ოქტომბერს აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი პირის, ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით. ტრადიციულად, „თბილისობა" ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას იმართებოდა, თუმცა, უკანასკნელ ხანებში თარიღი შეიცვალა და დღესასწაულმა ოქტომბრის დასაწყისში გადმოიწია. საბჭოთა დროს „თბილისობაზე" ეწყობოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება: მტკვარზე ტივით სეირნობა, ფაეტონებით გასეირნება თბილისის ძველ უბნებში, გამორჩეული ადამიანებისთვის საპატიო თბილისელის წოდების მინიჭება, სახალხო სეირნობანი და ქეიფები. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, პირველ წლებში, „თბილისობის" აღნიშვნა არ იყო აქტუალური, თუმცა, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ამ დღესასწაულის გამართვა კვლავ აღდგა. ბოლო წლებში „თბილისობა" „ისპანახობას" უფრო წააგავს, რადგან, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სახალხო ქეიფებზე, ქუჩებში გაშლილ სუფრებსა და უზარმაზარ საწნახელში პოლიტიკოსების მიერ ღვინის დაწურვაზე. მრავალსაუკუნოვანი ქალაქის ტრადიციებთან თანამედროვე „თბილისობას," სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ აკავშირებს. თბილისის მეხოტბე იოსებ გრიშაშვილი „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" წერდა: „ტფილისი თანდათან ჰკარგავს თავის ძველ სახეს" და ეს სიტყვები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ერთი საუკუნის წინ.





„თბილისობა" 1980-იან წლებში



„მფრინავი" კინტოები „თბილისობაზე", (რიყე, 1980-იანი წლები)

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: იოსებ გრიშაშვილი, „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა."**

**ცხოველებს ტელეპათიის თანდაყოლილი უნარი აქვთ, რომლის საშუალებითაც ადამიანის აზრებს იგებენ. როგორც დღევანდელი ჩვენი რესპონდენტი, ბატონი გიორგი ამბობს, მათ მომავლის მინიშნებაც შეუძლიათ. ზოგი ფიქრობს, რომ ცხოველები, უბრალოდ, გარემო ფაქტორების ცვლილებას აღიქვამენ ჩვენზე უკეთ და ადამიანებზე გაცილებით მეტად მგრძნობიარეები არიან მოვლენების მიმართ. რეალურია თუ არა ეს მოსაზრება და მართლა აქვს თუ არა ცხოველს მომავლის განჭვრეტისა და ამის ქმედებით გადმოცემის უნარი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ჩნდება თუ არა გარკვეული დროის სიახლოვის შემდეგ ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა ცხოველებსა და მათ პატრონებს შორის



**– ბატონო გიორგი, რამდენად რეალურია მოსაზრება, თითქოს ცხოველებს შესწევთ უნარი, დაინახონ მომავალი, იგრძნონ მოსალოდნელი ფაქტები და ისინი ადამიანებს თავისებურად მიანიშნონ?**

– ცხოველებს რომ ადამიანებზე მეტად შეუძლიათ მომავლის დანახვა, წინათგრძნობა და გარემო ფაქტორებზე რეაგირება, ამას უამრავი ფაქტი მოწმობს. ჩვენ გარემო ფაქტორების ცვლილებების აღქმა არ შეგვიძლია და ამიტომ ცხოველების მოქმედება ზებუნებრივად და სასწაულებრივად გვეჩვენება. ამ საკითხთან დაკავშირებით, უკვე წლებია, გრძელდება მსოფლიოს მეცნიერებსა და ეზოთერიკოსთა შორის დავა. ასევე, ეს დავა მიმდინარეობს ცხოველთა პატრონებსა და სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს შორის. შესაბამისი კვლევებიც ჩატარდა. თავადაც ბევრი კვლევა-დაკვირვება მიწარმოებია და, ამიტომ, გამაჩნია გარკვეული მოსაზრებაც ამ საკითხთან დაკავშირებით. ბავშვობიდან მიყვარდა ცხოველები და ყოველთვის მყავდა სახლში. მათთან ერთად ვთამაშობდი, ვსეირნობდი, მეძინა, ერთი სიტყვით, ხშირი კონტაქტი მქონდა. სწორედ ამიტომ დავიწყე მათზე დაკვირვება უკვე წლებია და ბევრი საინტერესო აღმოჩენაც გავაკეთე. რასაკვირველია, ჩემს დასკვნებს ბევრი არ გაიზიარებს, მაგრამ, ბევრიც დაფიქრდება და თავად მიხვდება, რომ მართალს ვამბობ.

**– რა დასკვნები გააკეთეთ ამ წლების განმავლობაში ცხოველებზე დაკვირვების შედეგად?**

– ჩემი დაკვირვებით, ცხოველებს აქვთ ის უნარი, რომელიც ერთ დროს ადამიანებსაც ჰქონდათ და შემდეგ თანდათან დაკარგეს. იმ დასკვნამდეც კი მივედი, რომ ცხოველებს სრულიად აუხსნელი მგრძნობელობა თუ გონიერება გააჩნიათ. ეს ყოველივე კი სამ კატეგორიად დავყავი: ტელეპათია, მიმართულების გამოცნობის უნარი და წინათგრძნობა. ზოგიერთ ცხოველს, შესაძლოა, პატრონთან ფსიქოლოგიურად ძლიერი და მჭიდრო კავშირი ჰქონდეს და სწორედ ამით იგებს, როდის ბრუნდება მისი მზრუნველი პატრონი სახლში. ეს ტელეპათიურად ხდება.

**– რაც შეეხება მიმართულების გამოცნობის უნარს?**

– რაც შეეხება მიმართულების გამოცნობის უნარს, ძაღლსა და მტრედს ორგანიზმში თითქოს კომპასი აქვთ ჩამონტაჟებული. ისინი შორს წასვლის შემდეგაც იოლად აგნებენ სახლს. ერთ ჩემს მეზობელს ძაღლი ჰყავდა. შემომჩივლა – გაავდა, უცხოებს ერჩის, თან ბევრს ჭამს, ველარ ვუვლით და უნდა მოვიშორო თავიდანო. წაიყვანა მანქანით ქალაქგარეთ და იქ დატოვა. არ გავიდა ერთი კვირა და ძაღლმა პატრონის კართან ატეხა ყეფა. მერე მიყვებოდა ჩემი მეზობელი, გადავირიე კაცი, ვერ ვხვდები, როგორ მოაგნო სახლს ასე შორი მანძილიდანო. იგივე დაემართა ჩემს ნათესავს კატაზე: წაიყვანა სახლიდან შორს და მანქანიდან ჩამოსვა, ის კი ორ დღეში უკან მოუბრუნდა. რაც შეეხება მათ წინათგრძნობას, ზოგიერთი ცხოველი ან ფრინველი წინასწარ გრძნობს მიწისძვრას ან სხვა მოვლენებს.

**– ცხოველები მართლა უსიტყვოდ იგებენ პატრონის ფიქრებსა და აზრებს? ბევრისგან გამიგია, ეს მათ შორის არსებული ტელეპათიური კავშირის ან გარკვეული დროის სიახლოვის შემდეგ ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობის ბრალიაო. საინტერესოა, ეს როგორ ხდება?**

– როგორც გითხარით, ცხოველებსა და მათ პატრონებს შორის ძლიერი ფსიქოლოგიური კავშირია და ტელეპათიის უნარიც აქედან წარმოიშობა. ალბათ, თქვენც გაგიგიათ ბევრი ისტორია ცხოველების პატრონებისგან, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მათი ოთხფეხა მეგობრები უსიტყვოდ იგებენ პატრონის ფიქრებს. ერთი ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, ვერ ვიგებ, როგორ გრძნობს ჩემი ძაღლი, როდის ვაპირებ სუფთა ჰაერზე მის გასეირნებას. უკვე ერთი წელია, მყავს და საკმარისია, მისი გასეირნება გავიფიქრო, მაშინვე ცქმუტვას იწყებს, ადგილზე ხტის, ყეფს და თვალებში მიყურებსო. ისიც მითხრა, ეს რომ შევამჩნიე, პირველად გამიკვირდა და ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ვიფიქრე, შეიძლება, თვალებით გრძნობსო. მერე მთხოვა, იქნებ დამეხმარო და გამარკვიო, რა ხდებაო. რომ ვუთხარი, თქვენ შორის ტელეპათიური

> **ცხოველებს სრულიად აუხსნელი მგრძნობელობა და გონიერება გააჩნიათ, კერძოდ, ტელეპათია, მიმართულების გამოცნობის უნარი და წინათგრძნობა**

კავშირია-მეთქი, გაეცინა და არ დამიჯერა. მე უბრალო დამთხვევას მივაწერო, – მითხრა. ავდექი და ექსპერიმენტი შევთავაზე. თვალებით კონტაქტი რომ გამომერიცხა, ძაღლი ბაღში დავატოვებინე დაბმული და სახლის ფანჯრები დავახურინე. ძაღლი მშვიდად იჯდა და უყურებდა ქუჩაში გამვლელ-გამომვლელებს. როგორც კი ვუთხარი ჩემს მეგობარს, აბა, გაიფიქრე, რომ უნდა წაიყვანო სასეირნოდ-მეთქი, იმწუთას ატეხა ძაღლმა ყეფა და ადგილზე ცქმუტვა. გადაირია ჩემი მეგობარი, მითხრა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდიო. დღესაც ხუმრობს, ძაღლის თანდასწრებით სიტყვა ველარ უნდა ვთქვა და ველარაფერი გავიფიქრო, ჩემს აზრებს კითხულობს, დავიღუპე კაციო *(იცინის).*

**– გამიგია, რომ წინათგრძნობა, ცხოველებს შორის, ყველაზე მეტად კატებს აქვთ განვითარებული. ამაზე რას იტყვით?**

– რამდენიმე წლის წინ თავად მყავდა კატა სახლში და, რომ ვაკვირდებოდი მის საქციელს, ვგიჟდებოდი, ისეთი ჭკვიანი, მგრძნობიარე და გულთმისანი იყო. ყოველთვის ზუსტად გრძნობდა, როდის უნდა მოსულიყო სტუმარი, როდის დაერეკა ტელეფონს ან როდის უნდა შევეჩერებინე კარში, რომ ხიფათი ამეცილებინა თავიდან.

**– ამას როგორ ხვდებოდა?**

– სანამ ჩემი ცოლი დარეკავდა სამსახურიდან, წუთით ადრე გრძნობდა ზარს. მივიდოდა ტელეფონის მაგიდასთან და იქ იწყებდა წრიალს. სახლში მის მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე კი ჯდებოდა, ჯიუტად გასცქეროდა კარს და ასე ელოდებოდა. მისი ეს საქციელი კარგა ხნის შემდეგ შევნიშნე და უფრო აქტიურად დავუწყე თვალყურის დევნება. წლების წინ, მიწისძვრა რომ იყო, დაახლოებით ნახევარი საათით ადრე, გადარეულივით დაიწყო სირბილი სახლში, ჩვენც აგრესიულად შემოგვჩხაოდა. ასე რომ, ეჭვი არ მეპარება კატების წინათგრძნობაში.

**– მიწისძვრის მოახლოებას მხოლოდ კატები გრძნობენ წინასწარ?**

– ზოგიერთ ცხოველს აქვს უნარი, იგრძნოს, თუ როდის მოხდება ის. მიწისძვრამდე ცოტა ხნით ადრე, ვირთაგვები, გველები, ცხენები და ფერმის ცხოველები მშობლიური ადგილებიდან გარბიან, ჩიტები კი დიდ გუნდებად იკვრებიან და ისე დაფრინავენ ზეცაში. ასე რომ, ისინი უცნაურად მაშინ იქცევიან, როცა რაიმე უნდა მოხდეს და, თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, როდის გელით საფრთხე და თავსაც ადვილად დაიცავთ.

**– ისიც ამოვიკითხე ერთ წიგნში, რომ ფრინველები გადაფრენის დროს ინსტინქტს იშველიებენ, ცხოველები კი სუნით იკვლევენ იმ გზას, სადაც საფრთხე არ ემუქრებათ.**

– მართალია. ფრინველების ერთი და იმავე მარშრუტით გადაადგილებას ინსტინქტს უწოდებენ და, შესაძლოა, ისინი გზას დედამიწის მაგნიტური ველით, მზით, მთვარითა და ვარსკვლავების განლაგებით იკვლევენ, მაგრამ, ჯერ კიდევ ვერავინ ახსნა, როგორ აგნებს დაკარგული ცხოველი სახლს. ჩემი აზრით, ეს მიწიდან აღებული სუნით ხდება, მაგრამ, ამის დადასტურება ძნელია. სხვათა შორის, ცხოველები პატრონის მოსალოდნელ ავადმყოფობასაც გრძნობენ. ყველაზე უკეთ კი გრძნობენ, თუ როდის ეწყება პატრონს ეპილეფსიური შეტევა. ამის უნარი ყველაზე მეტად ძაღლებს, კატებსა და კურდღლებს აქვთ. დაკვირვებებით აღმოჩნდა, რომ ეს ცხოველები კარგად ხვდებიან, როდის უქვეითდება სისხლში შაქრის დონე დიაბეტით დაავადებულ პატრონს. ასევე, დიაგნოზის დასმამდე გაცილებით ადრე იგებენ პატრონის ორგანიზმში სიმსივნის არსებობას, და ასეთ დაავადებულებს ისინი ერიდებიან, ახლოს არ ეკარებიან და ცდილობენ მათგან შორს იყვნენ.

**ნონა დათეშიძე**

## ანტიგმირი!

მამაკაცები გმირები არ არიან; არც თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდების სიჭარბეა... მაგრამ, კიდევ არსებობენ ანტიგმირები – მაგალითად, ისეთები, რომლებიც ვერაფრით ეგუებიან ქალის საზოგადოებას – უბრალოდ, ვერ იტანენ და მორჩა!

მამაკაცს, შეიძლება, ახასიათებდეს დესპოტიზმი – მიდრეკილი იყოს ტირანიისკენ. ამ ტიპის მამაკაცების უმრავლესობა თავის ხასიათს ხშირად ერთბაშად არ ავლენს, ანუ, „ფუთავს“ მას მანამდე, სანამ სასურველ ქალთან მიზანს მიაღწევს. დიდი ყურადღება და დაკვირვებაა საჭირო, რომ ასეთ „რაინდში“ ანტიგმირი ამოიცნო.

ანტიგმირია ძუნწი, შურიანი და ბოღმა მამაკაცი – ის, ვისაც არ უხარია პარტნიორის წარმატება და წინსვლა, ყველა საშუალებით ბლოკავს მას და ხდის საკუთარ თავზე ფინანსურად დამოკიდებულს.

უცნაურია, მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენი ქალბატონებისგან განსხვავებით, ევროპელი ქალები ანტიგმირად მიიჩნევენ კაცს, რომელსაც უნარი არ შესწევს, სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება; არ შეუძლია ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფა და ფულთან სწორი ურთიერთობა. ასევე, ურთიერთობაზე უარს ეუბნებიან უნებისყოფო და მატყუარა მამაკაცებს.

***P. S. საინტერესოა, ქართველ ქალებს რატომ გვაქვს ნაკლები მოთხოვნები და რატომ ვართ უფრო შემწყნარებლები ანტიგმირების მიმართ?!***

## სიყვარულის ასაკი

სიყვარულს არა აქვს ასაკი, არა აქვს ეროვნება, საზღვრები და ჩარჩოები... სიყვარული მოდის თავისით, მაგრამ, მიდის ჩვენი ხელშეწყობით. სამწუხაროა, თუმცა, ფაქტია, რომ „განეიტრალებაში“ მას ყოველთვის თავად „ვეხმარებით“.

რამდენი წლისას უნდა შეგიყვარდეს, რომ გრძნობა სტაბილური იყოს?! სასაცილო შეკითხვაა. სრული უგუნურებაა, ამტკიცო ის, რასაც „მტკიცებითი ფორმა“ საერთოდ არ გააჩნია.

არავითარი მოდელი და სტერეოტიპი, ვმოქმედებთ მხოლოდ გრძნობის კარნახით! – შეყვარებულები სწორედ ასე იქცევიან. მთავარია არა სხვისი აზრი, არამედ ის, თუ რას გრძნობთ თავად. მოერიდეთ ზედმეტ, უსარგებლო განცდებსა და ემოციებს. არანაირი ჩარჩოები და სტერეოტიპები – ნუ აჰყვებით მათ. სიყვარული დროში გამოიცდება – აი, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება. საერთოდ არაფერ შუაშია მამაკაცის ასაკი, როცა საუბარია ერთგულებაზე. ის ან არის ერთგული, ან – არა. ეს მისი ხასიათის თვისებაა, რომელსაც ნებისმიერ ასაკში გამოავლენს. უბრალოდ, მას უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა უყვარდეთ და პატივს გცემდეთ. მისთვის უნდა იყოთ ქალი და არა დედა ან დაიკო. დააკვირდით, გაიცანით და მერე გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცეთ, თუკი ერთბაშად და ბრმად არ შეგიყვარდებათ. ჰარმონია სიყვარულსა და ურთიერთობაში ნებისმიერ ასაკშია შესაძლებელი, თუკი თქვენ ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი.

## ჭეშმარიტება დეტალებშია

არიან ქალები, რომლებიც ყოველთვის ახერხებენ, დარჩნენ მომხიბვლელნი და მამაკაცებისთვის სასურველნი. მარტო სილამაზით ფონს ვერავინ გავა, თუკი არ ჩასწვდება მთავარს – ჭეშმარიტებას, რომელიც დეტალებშია.

* ნუ ინატრებთ მშვიდ ცხოვრებას. უბრალოდ, ყოველთვის უყურეთ ბედისწერას თვალებში და მიიღეთ რეალობა ისეთი, როგორიც არის. არ დაუხუჭოთ თვალი საკუთარ შეცდომებსაც.

* ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მამაკაცები ნაძირლები და უსინდისოები არიან, თუმცა, საკმარისია, ამ „ნაძირალამ“ მათი შემცვლელი იპოვოს, რომ ყველაფერი იცვლება.

* წლები მოთმინებას გვასწავლის: რაც უფრო ნაკლები დრო გვრჩება სიყვარულისთვის, მით უკეთ გვესმის მისი ფასი.

* ჩადენილი შეცდომების გამო სინანული ნორმალურია, თუმცა, შეიძლება, ინანოთ იმაზეც, რაც არ ჩაგიდენიათ.

* არასოდეს არავისთან ამტკიცოთ, რომ რაღაცას არ გააკეთებთ. ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი მოსალოდნელია.

* ნებისმიერ ქალს უხდება „სტერვას“ როლი. მთავარია, ის საჭირო დროს და, რაც მთავარია, კარგად ითამაშო.

* სიყვარული ძალიან უცნაური რამაა: შეიძლება, ცოლად გაჰყვე კაცს, რომელსაც, სხვა შემთხვევაში, სახლში სადილზეც კი არ დაპატიჟებდით.

* ქალი აუცილებლად იბატონებს ყველაზე – საკუთარ ასაკზეც კი, თუკი უკუაგდებს შიშს, აღიჭურვება ირონიით და ისწავლის, როგორ არ უნდა ინერვიულოს იმაზე, რაზე ნერვიულობაც არ ღირს.

* თუ ჯერაც ბავშვივით გწყინთ, თუ ისევ გახარებთ წვრილმანი საჩუქრები და ყვავილები, ნუ შეშფოთდებით. 50 წლის ასაკში მაინც აუცილებლად გაიზრდებით. დაგვიანებული არ არის.

## ზღაპრული ფინალი

„ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად... ერთ დღეს დაიხოცნენ...“ ერთი შეხედვით, სანატრელი ფინალია, მაგრამ, მხოლოდ ერთი შეხედვით. ყველა ზღაპრის დასასრული რომ რეალობად იქცეს, ცხოვრება ძალიან უინტერესო გახდებოდა. თუმცა, ზღაპრებშიც კი, გმირები სერიოზულ ძალისხმევას ხარჯავენ, რომ სასურველ მიზანს მიაღწიონ. არაფერია განსაკუთრებული იმაში, რომ საყვარელი ადამიანის გვერდით გინდოდეს მთელი ცხოვრების გატარება, მაგრამ, სურვილი ერთია, მზაობა – მეორე!

სიყვარულისა და ლტოლვის, ასევე, ურთიერთპატივისცემის შენარჩუნებას ყოველდღიური შრომა და ძალისხმევა სჭირდება, თანაც, ორივე პარტნიორის მხრიდან. მთავარია, შენი მეორე ნახევარი ზუსტად ისე მიიღო, როგორც შენი საკუთარი ნაწილი.

პირადი მაგალითი წახალისების საუკეთესო საშუალებაა, ამიტომ, თქვენი პარტნიორის „აღზრდაც“ ამით დაიწყეთ – ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო.

ოჯახური ტრადიციები სერიოზული ფასეულობა და განძია. ჯერ თქვენ უნდა ისწავლოთ ამის დანახვა და გაფრთხილება და მერე ასწავლოთ პარტნიორს. ზღაპრული ფინალი არ არის ბუნებრივი, მას ასეთს ქმნიან... ანუ, ცოტა ძალისხმევა და მეტი სიყვარული და სურვილი... იყავით საკუთარი ცხოვრების რეჟისორი და, მაშინ, ფინალსაც მხოლოდ თქვენ დაწერთ!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# რომელი მძიმე სენისგან განიკურნა მაიკლ დუგლასი და რის გამო იხდის ხუთწლიან სასჯელს მისი შვილი – კამერონ დუგლასი

*აგვისტოს ბოლოს გავრცელდა ცნობა, რომ 69 წლის მაიკლ დუგლასი და 43 წლის კეტრინ ზეტა-ჯონსი, 13-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, განქორწინებაზე დაფიქრდნენ. წყვილმა დაახლოებით თვენახევარი იცხოვრა ცალ-ცალკე და, საბოლოოდ, მათ გადაწყვიტეს, რომ განქორწინება ერთი წლით გადაიწევა და ისინი შეეცდებიან, შეინარჩუნონ ოჯახი. დუგლასის შესაძლო განქორწინების ცნობა შოკის მომგვრელი იყო კინემატოგრაფის მოყვარულთათვის, რადგან, მისი ოჯახი სამაგალითოდ ითვლება ჰოლივუდში, ხოლო თავად მაიკლ დუგლასი სიცოცხლეშივე დაასახელეს ჰოლივუდის ცოცხალ ლეგენდად.*



მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის საერთო ქონება 300 მილიონ დოლარად არის შეფასებული

* მაიკლ კირკ დუგლასი დაიბადა 1944 წლის 25 სექტემბერს, ნიუ-ბრანსუიქში, ნიუ-ჯერსის შტატი. მამამისი ლეგენდარული მსახიობი, სპარტაკის როლის შემსრულებელი კირკ დუგლასია, ხოლო დედა – მსახიობი დიანა ლავ დილი. მაიკლის მშობლები 1951 წელს დაშორდნენ ერთმანეთს და მაიკლი დიდ დროს ატარებდა დედასთან, თუმცა, ოცნებობდა, მამის პროფესიას გაჰყოლოდა. მაიკლი კონექტიკუტის შტატში იზრდებოდა, დედასთან და მამინაცვალთან ერთად და მამას მხოლოდ ტელევიზორში ან კინოთეატრის დიდ ეკრანზე ხედავდა.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "განცხადებული სასწაულები" **11.25, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი" 13.30** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "შორეულთა სიახლოვე" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -"ჩვენებურები" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში" 20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ **"სერენადა" 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თვენი"- წმინდა ევდემოზ კათოლიკოსი **23.25** "ზღვარზე" გად. I **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"თხუნელა"**.

## პარასკევი 18 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" **10.15** საბ/მხ/ფ **"იქ სადაც მონსტრები ცხოვრობენ" 12.40** მხ/ფ **"სუპერმენის დაბრუნება" 15.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა" 19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **19.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **21.00** პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები (პ/ე) **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.45** მხ/ფ **"სირიანა"** (ჯ.კლუნი) **00.20** მხ/ფ **"კიბორჩხალა სადილზე"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 11.25, 12.05** სერ. **"ცივი გული" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**06.10.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ.**"ჩვენი ამბავი" 01.00** მხ/ფ **"კასანდრას ოცნება"** (კ.ფარელი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ძალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"

16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი.

7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ. 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა. 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "რთული გზა"**. 12.30 ჩემი ქორწილი. 13.20 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.). 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური ამბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 მხ/ფ "**თხუნელა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მოკ/ფ "**სერენადა**" 11.05 "თვენი"- წმინდა ევდემოზ კათოლიკოსი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**როცა აყვავდა ნუში**" 13.25 ქართული მულტფილმი 13.50 დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი - ბიძინა კვერნაძე (სიღნაღი) 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ხევისბერი გოჩა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ "**პეიტარი**" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**".

## შაბათი 19 ოქტომბერი

08.00 ან/ფ "დათვი იოგი" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბ.ან/სერ "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მომაბე" 12.30 კონცერტი: "გეორგიკა" "ადიო" "შინი" 14.10 ფილმი ნოსტალგია: "**ბუში**" (ს.მარსო) 16.30 ქართ. მხ/ფ "**ხარება და გოგია**" 18.00 "ეტალონი" 18.55 "გურმანია" 19.30 დ/ფ "ისპაჰანის სამეფო მეჩეთი" 20.50 "სოციალური თოქ შოუ" (პ/ე) 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ "**მიცემული სიტყვა**" 01.00 დ/ფ "ეფლი".

08.00 ან/ფ ავატარი" 09.00 მხ/ფ "**ძმა დათუნია-2**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" 10 სერ. 13.00 სერ."**ჰანა მონტანა**" 14.30 ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 კაცების შოუ 00.00 სერ."**კამორას კლანი**" 01.00 მხ/ფ "**ოქროს ყვავილის წყევლა**" (ლ.გონგი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". გ/ჩ 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერი 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი.

7.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 ფარული კამერა. 8.00 მულტფილმი ტრონი. 9.30 **სერიალი "ასი"** (გამ.). 10.30 გადაცემა "პულსი". 11.00 **სერიალი "ასი"** (გამ.). 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00 **სერიალი "სკანდალი"**. 0.00 ჩემი ქორწილი (გამ). 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ხევისბერი გოჩა" 13.30 სათავეებთან 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05 ოპერა "**სევილიელი დალაქი**" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 "თვენი" - წმინდა მოციქული თომა 22.35 დოკ/ფ "კარიბჭე" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "**ანა და მეფე**" I ნაწ.

## კვირა 20 ოქტომბერი

08.00 საბ/ფ "მელნის გული" 10.00 "ეტალონი" 10.55 საბ. ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მომაბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – სამეფო თეატრის სპექტაკლი: "**აქ ამ სავანეში**" 15.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 16.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 **ფეხბურთი** საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**"/თბილისი/ – "ჭიათურა" /საჩხერე/ (პ/ტრ) 20.30 "პროფესია რეპორტიორი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 მხ/ფ "**სიცრუის ერთობლიობა**" (რ.ქროუ) 00.00 მხ/ფ "**დაუპატიჟებელი სტუმრები**".

08.00 ან/ფ ავატარი" 09.00 მხ/ფ "**პრინცესას დღიურები 2**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 13.00 სერ."**ჰანა მონტანა**" 14.30 ქ.მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 16.20 რომ გადახვალ, გააჩერე (გ/ჩ) 17.40 იმედის გმირები 18.00, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (10.10.13 გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 00.00 სერ."**კამორას კლანი**" 01.00 მხ/ფ "**აუხდენელი ოცნებები**" (ნ.უოთსი) 02.50 მხ/ფ "**აგვისტო**" (ჯ.ჰარტნეტი) (ტიტ.).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 შერეკილები. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. "**ნათია და ნათია**" 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ.

7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი). 7.40 ფარული კამერა. 8.00 მულტფილმი ტრონი. 9.30, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"**. 10.30 გადაცემა "პულსი". 11.00 **სერიალი "ასი"** (გამ). 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.00 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00 **სერიალი "სკანდალი"**. 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.00 დოკ/ფ "საქართველოს მფარველი ანგელოზები" 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სადვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.45 მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "**ანა და მეფე**" II ნაწ.

### ვერძი



სამსახურეობრივ საქმიანობაში გამოიყენეთ არაორდინარული გზები და მეთოდები. კარგია კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი ხალხის გაცნობა, უცხოელებთან კონტაქტი, მოლაპარაკებები და გადაადგილებები. არ არის გამორიცხული მოგზაურობის დროს სასიყვარულო ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი.

### კურო



ეცადეთ ერთდროულად რამდენიმე საქმე არ აკეთოთ. კარგია იმიჯის შეცვლა. სტაბილური სასიყვარულო ურთიერთობისთვის, აუცილებელია მოთოკოთ თქვენი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ცვლილებებია მოსალოდნელი საქმიან პარტნიორებთან.

### ტყუპები



სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსების მიმართ. ახალი საქმე მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. ხშირად დაეკითხეთ რჩევა გამოცდილ ადამიანებს. საყვარელ ადამიანთან კი იყავით მეტად დამთმობი. სასურველია, შეამციროთ გადაადგილებების რაოდენობა.

### კირჩხიბი



ხშირი კონტაქტებით ბევრ თანამოაზრეს გაიჩენთ. კარგი დროა სამსახურის შესაცვლელად. საყვარელ ადამიანთან ნუ მოთოკავთ ემოციებს და დელიკატურად გამოთქვით პრეტენზიები. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და აღიდგინოთ ძალები.

### ლომი



მოიმატებს საზოგადოებრივი სამუშაო და გახშირდება შეხვედრების რაოდენობა. შემართებით შეუდექით გეგმების განხორციელებას. ადვილად შეძლებთ გარშემომყოფების მოხიბვლას. გაუმჯობესდება ფინანსური და სოციალური მდგომარეობაც.

### ქალწული



მოზღვავებული ენერგია დაგეხმარებათ, ადვილად დაამყაროთ ახალი კავშირები. კარგია სწავლის გაღრმავება. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში დაამყაროთ სასურველი კავშირები პროფესიულ სფეროში, რაც დამატებით მოგებას მოგიტანთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს.

### სასწორი



გაიზრდება თქვენი იღბლიანობა ფინანსურ ოპერაციებთან მიმართებაში. შეამცირეთ გადაადგილებების რაოდენობა. ეცადეთ, ოჯახში არ იყოთ მომთხოვნი და პრეტენზიული. საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში.

### მორიელი



გაძლიერებული ენერგობალანსით ადვილად შეძლებთ პრობლემების დაძლევას. დასახეთ გეგმები და კარგად გააანალიზეთ ირგვლივ მიმდინარე პროცესები. სიყვარულში მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები. მოერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებს.

### მშვილდოსანი



იყავით ტაქტიანი და დიპლომატიური საყვარელი ადამიანის გვერდით. მეტი ყურადღება გმართებთ ასევე, ახლად გაცნობილების მიმართ, რათა ღალატის მსხვერპლი არ გახდეთ. საქმეში მეტად დაიტვირთებით და გადაიღლებით. დიდი შანსია, ახალი რომანის წამოწყების.

### თხის რქა



შეიგრძნობთ სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას და მოგინდებათ ლიდერის პოზიციის დაკავება. ახალი ნაცნობობა, არ არის გამორიცხული, ახალი სასიყვარულო რომანით დასრულდეს. ეს ხანგრძლივი, მომგებიანი და ემოციური კავშირი იქნება. ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ.

### მერწყული



ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნუ მიენდობით უცხო ადამიანებს. ნუ გამოიყენებთ ინფორმაციას გადამოწმების გარეშე. კარგად ჩაივლის იურიდიული საქმიანობა. თავისუფალი დრო კი უმჯობესია, სახლში გაატაროთ და დასვენებას დაუთმოთ.

### თევზები



გაუმჯობესდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა და ამაღლდება შრომისუნარიანობა. პრაქტიკული აზროვნება დაგეხმარებათ საქმეებში წარმატების მიღწევით. კარგია გადაადგილებები, ახალი კავშირების დამყარება და საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირება. საყვარელ ადამიანთან განშორება კი დროებითი აღმოჩნდება.

**ახალმთვარეობა – 3 ნოემბერი, 12 სთ: 47 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

საქმეში გამოიყენეთ ნოვატორული მეთოდები. დაწყებული საქმე კი ბოლომდე მიიყვანეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს და ტრადიციებს, ასევე, საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, წითელი, ვარდისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სახლის მშენებლობა, რემონტი, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება სისხლძარღვები, თვალები, ფეხის კუნთები, ჯირკვლები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

საქმეში დააკვირდით დეტალებს. ნუ დაარღვევთ წესებს და კანონებს. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფარულ სასიყვარულო კავშირებს. კარგია კაპიტალდაბანდება, იურისტებთან კონტაქტი. სუსტდება ლიმფური და ნერვული სისტემა, ტერფები, კანი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ აზრები და ემოციები. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს და გარიგებებს. მოიმატებს ღალატისა და მოტყუების ალბათობა. ატარეთ ფირუზისფერი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ალექსანდრიტი, გიშერი, მარგალიტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. იმოქმედეთ აუჩქარებლად და გამოიჩინეთ თავდაჭერის უნარი. კარგია იურიდიული საქმიანობა, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.*

### ხუთშაბათი

გააანალიზეთ ცხოვრება, რჩევები დაეკითხეთ მშობლებს. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძოწი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. კარგია ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ყურები, თვალები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ სულსწრაფობა, ეგოიზმი, ემოციები და აგრესია. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას. კარგია მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება თავი, კბილები, ყურები, სისხლძარღვები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთავრეობაა და მთვარის დაბნელება. ასევე, მძიმე კოსმიური ენერგიების დღეა, რომელიც მეტად განაპირობებს: კონფლიქტებს, აგრესიას, დეპრესიის გამოვლენას, ცდუნებებს, შეცდომებს, ტრავმებს, ავარიებს, ჯანმრთელობის გაუარესებას. იყავით ფრთხილი. გამოიჩინეთ თავდაჭერა. ატარეთ ლიმონისფერი, ცისფერი, მწვანე, ლურჯი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, გიშერი, ყვითელი იასპი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.*

### კვირა

მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ გზებზე მოძრაობისას. მოერიდეთ ვალის აღებას და დაპირებების გაცემას, ასევე, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს და სარისკო მოქმედებას. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, გიშერი, ონიქსი ან ქრიზოპრაზი. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ახალი ნაცნობობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**მალაციძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მალასი**.

1726 წელს იორდანე ბებეშიძის მიერ ელიზბარ მამასახლისიშვილისთვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ზურაბ **მალაციძე.**

1721 წელს მანუჩარ გლურჯიძის მიერ ზაზა მოურავისშვილისთვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში, სოფელ ხანდაკურში, მოიხსენიება ვინმე **მალაციძე**.

საქართველოში 510 **მალაციძე** ცხოვრობს: თბილისში – 194, გორში – 161, კასპში – 155.

**ტიკურიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ტიკარა, ტიკა.**

გადმოცემის მიხედვით, **ტიკურიშვილები** ადრე ძეყორაშვილები იყვნენ. ამ გვარიდან წარმოიშვა: ბეკარაშვილი, მახარაშვილი, ხრიკული.

1873 წლის აღწერით, სოფელ გელეთეთში, ანტონ ყორღანაშვილის დროებით ვალდებულ გლეხებად მოიხსენიებიან ზურაბ, ანდრე და გაბრიელ **ტიკურიშვილები**.

ამავე ძირისაა გვარები: **ტიკაშვილი, ტიკაძე, ტიკარიძე, ტიკიშვილი, ტიკურაშვილი.**

საქართველოში 104 **ტიკურიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 36, თეთრი წყაროში – 34, რუსთავში – 23. არიან სხვაგანაც.

**დავითულიანი**

ილია მაისურაძის წიგნში „ქართული გვარსახელები" საუბარია სვანეთში წარმოშობილი **დავითულიანების** შესახებ. მკვლევარი წერს, რომ ერთი ფუძისაა გვარები: **დავითაძე, დავითაშვილი, დავითაია, დავითულიანი, დავითიანი და დავითური.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გვარს საფუძვლად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი დავითი, რომელიც ძველებრაული წარმოშობისაა. ქართულად კი „საყვარელს," „წინამძღოლს" ნიშნავს.

დავითულიანებში არსებობს გადმოცემა, რომ მათი გვარი დავით ულუს უკავშირდება, თუმცა, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.

**დავითულიანი** წარმოშობილია **დავითის** მოფერებითი ფორმიდან – **დავითულა.**

1527-1558 წლებში, როინ და გოშფარ ჯავახიშვილების გაყრის დროს, **დავითულიანი** მამულით გოშფარს ერგო.

**დავითულიანი** ბართლომე მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა ტკოცაში. იყო სახასო მსახური. ჰქონდა ერთი კომლი და ჰყავდა ხუთი მოლაშქრე ვაჟი. ის მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის **დავთარში.**

საქართველოში 1 201 **დავითულიანი** ცხოვრობს: თბილისში – 297, ქუთაისში– 222, ცაგერში – 198. არიან სხვაგანაც.

**მირზიაშვილი-მირზაშვილი**

გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელისგან **მირზა**, ხოლო თვით სახელი **მირზა** არაბულ-სპარსული სიტყვიდან – **ამირზადე** – „ამირის შვილი". ამირა შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ჩინგიზ ხანის შვილის, თემურის შვილებმა მიიღეს წოდება **ამირ (ემირ) ზადე**. აქედან თავ-ბოლოს მოკვეცით მიღებულია **მირზა**, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკუთარ სახელად.

„ასანბეგიშვილი თაყა პაპუნა გოშსტაშაბიშვილს სოფელ ტბისში აძლევს **მირზიაშვილს**, მისი მამულითა და სასახლით" (ყმა-მამულის გაცვლილობის წიგნი ასანბეგიშვილებისა პაპუნა გოსტაშაბიშვილებისადმი, 1671 წელი).

**„მირზიაშვილის** ნაქონი ვენახი ტბისში თაყა ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს".

საქართველოში 201 **მირზიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 84, დუშეთში – 78, მცხეთაში – 2; არიან სხვაგანაც.

544 **მირზაშვილი**.

**ლუქუნიძე**

გვარის ფუძე, სავარაუდოდ, არის საკუთარი სახელი **ლუკა, ლუკიანე**, რაც ლათინურად „მანათობელს", „ბრწყინვალეს" ნიშნავს. მომდინარეობს სიტყვისგან **ლუქსი** – „სინათლე". მასვე უკავშირდება ფრანგულის გზით გავრცელებული სიტყვა **ლუქსი**, რომელიც აღნიშნავს სასტუმროს საუკეთესო ნომერს. ასევე, სავარაუდოდ, ამ გვარის თავდაპირველი ძირი იყო **ლუხუმი, ლუხუმა.**




1700 წელს მოხსენიებულია „პაპუნა სადუნიშვილი-**ლუქუნის** ძეს ეწერათ სამასპინძლო".

საქართველოში 125 **ლუქუნიძე** ცხოვრობს: ქარელში – 91, ბორჯომში – 7, თბილისში – 2. არიან სხვაგანაც.

**საკაშვილი**

**საკაშვილის** გვარის მქონეთა შორის არიან როგორც ქართველები, ისე ოსები. ქვემო ქართლის სოფელ კუმისში (დღევანდელი გარდაბნის რაიონში) მოიხსენიებიან **საკაშვილები**. ცხინვალის მიდამოებში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ჩანაწერებით, სუფიქსი შვილის ნაცვლად, ზოგიერთები ჩაწერეს **საკაევიებად. საკ** ფუძითაა გვარები: **საკანიანი, საკიანი, საკოიანი**; არსებობს, ასევე, ებრაული სახელიდან **ისაკ** (ძველ ებრაულად – „მოცინარი"). ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, პატრიარქ აბრაამის ცოლს, სარას, რომელსაც დიდხანს არ ჰყავდა შვილი, უკვე მოხუცებულობის ჟამს უწინასწარმეტყველეს, რომ ვაჟი გაუჩნდებოდა. მან არ დაიჯერა ეს და გაეცინა. შემდეგ კი, როცა წინასწარმეტყველება აუხდა, ვაჟს **ისაკი** დაარქვა. აქედანაა გვარები: **ესაკია, ისაკაძე, საკაშვილი, საკიშვილი, საკაძე...**

**ისაკ**-იდანაა სომხური გვარებიც: **საკიანი, საკოვი; საკაშვილების** გვარს ატარებენ, ასევე, **საკაშვილები** და **საკოვები**.

საქართველოში 107 **საკაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 42, კასპში – 25, გორში – 14. არიან სხვაგანაც.

**ურიგაშვილი**

ქართულ გვარში – **ურიგაშვილი** ფუძედ გამოყენებულია ქართველური საკუთარი სახელი **ურიგა**.

საკუთარი სახელი **ურიგა** გვხვდება, გვარში **ურიგაშვილი** (ილია მაისურაძე, „ქართული გვარ-სახელები"). ასევე, ზმნებში: **არიგებს, დაურიგა...**

საქართველოში 173 **ურიგაშვილი** ცხოვრობს: გორში – 114, თბილისში – 49, ადიგენში – 5. არიან სხვაგანაც.

**სალამაძე**

გვარის ფუძეა სიტყვა **სალამა**. ამავე ძირისაა გვარი **სალამაშვილი.**

**სალამაშვილები**, როგორც სახაზინო გლეხები, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსების მიერ ჩატარებულ აღწერაში მოხვდნენ. სუფიქსი **შვილი** ჩამოაცილეს და **ოვი** დაურთეს. ასე გაჩნდა ახალი გვარი – **სალამოვი.** დაბეჯითებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ **სალამოვები სალამაშვილები** არიან.

**სალამაძე** უძველესი გვარ-სახელია. მისი ადრინდელი ფორმა **სალამოსძე** იყო.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გვარის ფუძეა სიტყვა სალამი. სავარაუდოდ, საკუთარი სახელი სალამა მომდინარეობს **სოლომონიდან.**

საქართველში 67 **სალამაძე** ცხოვრობს. თბილისში 41, გორში 24, ახალგორში 2.

156 **სალამაშვილი**: კასპში – 102, თბილისში – 31, გორში – 9. არიან სხვაგანაც.

**ქვლივიძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ქველია.**

**ქვლივისძე** მათე მოხსენიებულია 1494 წელს ქვათახევის სიგელში.

**ქვლივიძეები** იყვნენ აზნაურები.

**„ქვლივიძე** ბასილა, ნაცვალი, მოწმე იესე ჯაფარიძის მიერ თბილელის, საგინაშვილისთვის მიცემულ კავთისხევში მიწის ნასყიდობის წიგნისა" (1649 წელი).

1674 წელს მოხსენიებულია **ქვლივიძე** ბასილა.

საქართველოში 739 **ქვლივიძე** ცხოვრობს. თბილისში – 349, საგარეჯოში – 306, გურჯაანში – 21. არიან სხვაგანაც.

**ბაღდუაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბაღდუა.**

**ბაღდუაშვილები** სოფელ მუხათში მოიხსენიებიან. მათ მიწის გაყოფის დროს ჩხუბი მოსვლიათ. სიგელი შედგენილია ბაგრატიონ-მუხრანელის მითითებით, ხელს აწერენ არტემა და მელქო **ბაღდუაშვილები**. აქვე მოიხსენიებიან დროებით ვალდებული გლეხები – **ბაღდურაშვილები.**

საქართველოში 34 **ბაღდუაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 7, თეთრი წყაროში – 5. არიან სხვაგანაც.

**გორაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გორა**.

1721 წელს ასურეთში მოხსენიებულია იასე სოლოღაშვილის ყმა – ბასილა **გორაშვილი**.

სამწუხაროდ, ამ გვარის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაციაა და მიმდინარეობს კვლევა.

საქართველოში 84 **გორაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 25, დედოფლისწყაროში – 17, საგარეჯოში – 12. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# როგორ დავგეგმოთ ყოველი დღე დიეტის დასრულების შემდეგ

*თუ თქვენ დაიწყეთ დიეტის დაცვა და ჭარბი წონა „დათმობაზე“ წავიდა, დაიხმარეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული 5 აუცილებლად გასათვალისწინებელი რჩევა და ოთხ კურდღელს დაიჭერთ ერთად: მიხვალთ სასურველ წონამდე, დიეტის დასრულების შემდეგ აღარ მოიმატებთ, რაც ყველაზე მთავარია, გაიმყარებთ ჯანმრთელობას და, რაც არანაკლებ მთავარია – იქნებით მუდამ ახალგაზრდა, მომხიბვლელი და ენერგიული.*



**რჩევა პირველი**: მეტი იმოძრავეთ!

ჭარბი წონის დასამარცხებლად არც ერთი დიეტა არ გამოგადგებათ ისე, როგორც აქტიური მოძრაობა. არ გაქვთ სპორტდარბაზში ან ფიტნესკლუბში სიარულის დრო და საშუალება? მაშინ, წესად შემოიღეთ, შეძლებისდაგვარად, არ ისარგებლოთ ლიფტით; ტრანსპორტით სარგებლობისას დანიშნულების ადგილამდე ერთი გაჩერებით ადრე ჩამოდით და დარჩენილი მანძილი ფეხით გაიარეთ, სამსახურში კი პერიოდულად გაიარეთ დერეფანში ან მსუბუქად წაივარჯიშეთ. არაჩვეულებრივი შედეგი აქვს დილის და საღამოს მოციონებს.

**რჩევა მეორე**: უფრო მეტი უჯრედისი!

უჯრედისის შემცველ პროდუქტებს მინიმუმ ორი უპირატესობა აქვს: მათი გადამუშავება დიდხანს მიმდინარეობს, რაც უზრუნველყოფს დანაყრების ხანგრძლივად შეგრძნებას (ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ არ გადამუშავდება) და ავსებს კუჭს.

დიდი რაოდენობით უჯრედებს შეიცავს: მარცვლეული, პარკოსნები, მწვანილი, ქატო, ბოსტნეული და განსაკუთრებით – გაღივებული მარცვლეული, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ის უქმნის ნაწლავების სასარგებლო მიკროფლორას საკვებ გარემოს.

**რჩევა მესამე**: ყოველდღე მიირთვით ბოსტნეული!

ბოსტნეულს ყველაზე ნაკლები ენერგეტიკული ღირებულება აქვს: 100 გრამში – მხოლოდ 10-დან 35 კილოკალორიამდე.

მიირთვით სხვადასხვა ფერის და ძირხვენებიანი ბოსტნეულის 5 ულუფა დღეში. რაც უფრო მრავალფეროვანია პალიტრა, მით მეტ ვიტამინსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას მიიღებს თქვენი ორგანიზმი.

ბოსტნეულს აქვს უნიკალური თვისება – ის, შეგიძლიათ, დაუმატოთ და შეუხამოთ ნებისმიერ კერძს.

თუ მრავალფეროვან სუფრასთან გიწევთ ყოფნა, დაიწყეთ ბოსტნეულით და შემდეგ გადადით ხორციან ან უფრო მსუყე სხვა კერძებზე. თუ ასე მოიქცევით, ჯერ ერთი, ბოსტნეულის ჭამის შემდეგ მსუყე კერძებისთვის კუჭში ნაკლები ადგილი დარჩება და, გარდა ამისა, კერძების ასეთი თანმიმდევრობით მირთმევა გაუადვილებს კუჭ-ნაწლავს მათ სათანადოდ მონელებას.

**რჩევა მეოთხე**: არ დაგავიწყდეთ პრობიოტიკები!

„პრობიოტიკები დადებითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე“, – ამტკიცებენ ინგლისელი მეცნიერები. მათ დაადგინეს, რომ, იმათ ორგანიზმში, ვინც ყოველდღე მიირთმევს იოგურტის ან კეფირის (ჩვენს შემთხვევაში მაწონი უმჯობესია) ერთ პატარა ქილას, უფრო სრულყოფილად ხდება ცხიმების დაშლა. ამიტომ, არამარტო დიეტის დროს, აუცილებლად შეიტანეთ თქვენს ყოველდღიურ მენიუში თუნდაც 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი (იოგურტი ან კეფირი).

**რჩევა მეხუთე**: ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავს!

დიეტის ერთ-ერთი უსიამოვნო შედეგია კუჭ-ნაწლავის ნორმალური, რეგულარული მოქმედების დარღვევა, უფრო ზუსტად კი – შეკრულობა. ამიტომ, თქვენს ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად ჩართეთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ამ პრობლემის წარმოშობას შეუშლის ხელს, მაგალითად, ცოცხალი ბოსტნეულის ზეთმოსხმული სალათები. ასევე, შეკრულობის დროს, ყოველ დილით, უზმოზე და საღამოს, დაძინებამდე 2 საათით ადრე, დალიეთ ბორჯომში გახსნილი მაწონი (პროპორციით: ნახევარი – ნახევარზე); გარდა ამისა, კუჭ-ნაწლავის მოქმედება არ შეგეზღუდებათ, თუ დილაობით, უზმოზე, დალევთ 1 ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთს. ყოველ შემთხვევაში, მაქსიმალურად შეიკავეთ თავი მედიკამენტებისგან. მაგრამ, თუ მაინც მოგიწევთ რომელიმე პრეპარატის დალევა, ექიმის რჩევის გარეშე ამას ნუ გააკეთებთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **რას ნიშნავს კანის ფოტოდაბერება და რა ემართება ამ დროს კანს?**

**პასუხი**: ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით კანის ნაადრევ დაბერებას დერმატოლოგები ფოტოდაბერებას უწოდებენ. ამ დროს კანი ხდება მშრალი და მოშვებული, რადგან, არ იღებს საკვები ნივთიერებების საჭირო რაოდენობას. პრობლემა წარმოიშობა იმის გამო, რომ ულტრაიისფერი სხივებით მიღებული დამწვრობის დროს მისი ზედა ფენა სქელდება და საკვებ ნივთიერებებს აღარ ატარებს ღრმა ფენებში; ამიტომ, ასეთ დროს, როგორი კარგი კრემიც არ უნდა გამოიყენოთ, სასურველ შედეგს ვეღარ მიიღებთ.

**კითხვა**: **უკვე რამდენიმე თვეა, დილით რომ ვდგები, თვალების ქვეშ სილურჯეს ვამჩნევ. ექიმთან ვიყავი, მაგრამ, არაფერი ორგანული არ მჭირს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ძალიან ხშირად თვალების ქვეშ სილურჯე გამოწვეულია არასაკმარისი ძილის გამო, მით უფრო, თუ ეს სისტემატურად ხდება. თუ ღამით მშვიდად და საკმაო ხანგრძლივობით არ გძინავთ (7-8 საათი), დღის განმავლობაში რომც დაიძინოთ (თუნდაც 2-3 საათი), თქვენს პრობლემას სრულყოფილად მაინც ვერ უშველით, რადგან, კანის უჯრედების სრულად აღდგენა ხდება მხოლოდ ღამის ძილის დროს. როგორც ჩანს, თქვენ დღისით ძალიან იღლებით, ღამით კი ცუდად ან ცოტა ხანს გძინავთ და კანს არ ჰყოფნის დრო უჯრედების აღსადგენად. მოიგვარეთ ღამის ძილი და მოკლე ხანში პრობლემა მოგვარდება.

**კითხვა**: **ყოველთვის ვყიდულობ მხოლოდ მაღალი ხარისხის კოსმეტიკას და სახლიდან არ გავდივარ ყველა სათანადო კრემის წასმის გარეშე, მაგრამ, ჩემი სახის კანი მაინც არ გამოიყურება ისე, როგორც მე მინდა. რას მირჩევთ?**

**პასუხი**: სახის კანის მოვლა მხოლოდ დილაობით საკმარისი არ არის. თუ თქვენ ღამით ისე წვებით დასაძინებლად, რომ არ იხსნით მაკიაჟს, არ იწმენდთ სახეს და არ ისვამთ მატონიზებელ და მკვებავ საშუალებებს, ვერანაირი მაღალი ხარისხის კოსმეტიკა ვერ გიშველით.

**კითხვა**: **მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე საშუალება ნაოჭების სამუდამოდ გასაქრობად (მაგალითად, ბოტოქსი, ექსპრეს-პროცედურები სალონში და სხვა)?**



**პასუხი**: ნაოჭების სამუდამოდ გაქრობა შეუძლებელია. ისე უნდა მოუაროთ კანს, რომ ნაოჭები შეძლებისდაგვარად გვიან გაჩნდეს. რაც შეეხება ბოტოქსს, ის ქმნის ნაოჭების გაქრობის ილუზიას 4-5 თვის, სალონში ჩატარებული ექსპრეს-პროცედურა კი – მხოლოდ ერთი საღამოს განმავლობაში.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ვინ და როგორ განახორციელა „საუკუნის ძარცვა“ თბილისში

1988 წლის 15 დეკემბერს, საშინელი მიწისძვრისგან განადგურებულ სომხეთის ქალაქ სპიტაკში, ავსტრიელმა მაშველებმა ერთ-ერთი დანგრეული სახლის სარდაფში რკინის ყუთი იპოვეს, რომელიც უჟანგავი ფოლადისგან იყო დამზადებული. ის საიმედოდ იყო ჩაკეტილი, სახელურები ჰქონდა და 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა, კორპუსზე კი საბჭოთა კავშირის ღერბი ჰქონდა ამოტვიფრული და რუსულად ეწერა: „საბჭოთა კავშირის ცენტრალური ბანკი“. მაშველებს ყუთის გახსნა არც კი უცდიათ, აღმოჩენის შესახებ მაშინვე მილიციას აცნობეს. ერთი საათის შემდეგ, აღმოჩენის ადგილი მილიციის სპეცქვედანაყოფმა ალყაში მოაქცია – მილიციის თანამშრომლები სხვა ყუთებსაც ეძებდნენ...

**88 წლის ვარდანიანი ყოჩაღად გამოიყურებოდა, მაღაზიაშიც მარტო დადიოდა და მეზობლებს დომინოსა და ნარდს ეთამაშებოდა**

### ძვირფასი ყუთი

ღერბიანი ყუთი იმავე დღეს სომხეთის დედაქალაქში, ერევანში წაიღეს საგანგებო დაცვის თანხლებით. სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში ყუთი გახსნეს და გაოგნდნენ – იქ 50 ცალი 2-2-კილოგრამიანი ოქროს ზოდი ეწყო, რომლებზეც რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივი იყო ამოტვიფრული და წვრილი შრიფტით ჰქონდა დაშტამპული: „რუსეთის საიმპერიო ბანკი, 1911 წელი“.

სომეხმა ძალოვნებმა სპიტაკური აღმოჩენის შესახებ მოსკოვს აცნობეს. სამიოდე საათის შემდეგ კი ერევანში ხუთკაციანი სპეცჯგუფი ჩაფრინდა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი მერაბ გოგოლაძე ხელმძღვანელობდა. სპეცჯგუფი, საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებისგან შედგებოდა და ისინი შუაღამეს მივიდნენ სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც მათ ადგილობრივი მაღალჩინოსნები ელოდნენ. მერაბი თავშეკავებულად მიესალმა მასპინძლებს და საქმიანად ჰკითხა:

– შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ წაგვიყვანოთ სპიტაკში, რომ შემთხვევის ადგილი დავათვალიეროთ?

– რა თქმა უნდა, მანქანა გელოდებათ, – საქმიანადვე მიუგო მერაბს პოლკოვნიკმა არმენ ხითარიანმა და მოსკოველ სტუმრებს წინ გაუძღვა.

მერაბ გოგოლაძე საბჭოთა უშიშროების ერთ-ერთ საუკეთესო მაძებრად ითვლებოდა. მოსკოველ სტუმრებს ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული და, სპიტაკში რომ ჩავიდნენ, მათ მოსკოვიდან წამოღებული პროჟექტორებით, შემთხვევის ადგილი გაანათეს და მოკვლევა ჩაატარეს, შემდეგ კი ავსტრიელი მაშველები და მილიციელები დაკითხეს. შუადღე მოტანებული იყო, ერევანში რომ დაბრუნდნენ. ყუთის აღმოჩენის გარდა, მერაბ გოგოლაძისთვის ყველაზე ფასეული ის იყო, რომ მან იმ დანგრეული სახლის პატრონის ვინაობა შეიტყო, სადაც ოქროს ზოდებით სავსე ყუთი იპოვეს. სახლის პატრონს ედუარდ ვარდანიანი ერქვა და, როგორც მისმა ცოცხლად გადარჩენილმა მეზობლებმა განაცხადეს, ის ორმოცდაათიოდე წლის, საშუალო სიმაღლის, საკმაოდ სიმპათიური გარეგნობის, ცალთვალა მამაკაცი იყო. მეზობლებისავე თქმით, ედიკ ვარდანიანი მარტოხელა გახლდათ და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. მას „რაფის“ მიკროავტობუსი ჰყავდა და კერძო გადაზიდვებითა და მგზავრების გადაყვანით იყო დაკავებული.

– ძალიან მწირი ინფორმაციაა, თუმცა, ხელჩასაჭიდი მაინც გვაქვს და, რაც მთავარია, „რაფის“ ნომერიც ვიცით, – უთხრა ხელქვეითებს მერაბ გოგოლაძემ, როდესაც ისინი ერევანში დაბრუნდნენ.

„კაგებეს“ სპეცჯგუფი კიდევ ერთი დღე დარჩა ერევანში, 17 დეკემბერს კი ისინი სპეციალური რეისით მოსკოვში დაბრუნდნენ და საბჭოთა კავშირის დედაქალაქში 100 კილოგრამი ოქროთი სავსე ყუთი წაიღეს, რომელიც ცენტრალურ ბანკს ჩააბარეს.

### საუკუნის ძარცვა

მერაბ გოგოლაძისა და მისი ხელქვეითების ასეთი ოპერატიული ვიზიტი სომხეთში იმით იყო გამოწვეული, რომ სწორედ მერაბი იძიებდა ეგრეთ წოდებული „საუკუნის ძარცვის“ საქმეს, რომელიც 1985 წლის თებერვალში განხორციელდა, დიდი იდუმალებით იყო მოცული და ამ საქმეს „გრიფი – საიდუმლო“ ედო.

1985 წლის 10 თებერვალს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საიდუმლო დირექტივის საფუძველზე, თბილისის ცენტრალური ბანკიდან მოსკოვში 10 ყუთი (500 ცალი 2-2-კილოგრამიანი ოქრო) და 300 ცალი ბრილიანტისა და ლალის თვალი უნდა გადაეტანათ. ზემოაღნიშნული ძვირფასეულობის იმდროინდელი ღირებულება 450 მილიონი მანეთი იყო, შავ ბაზარზე კი მას სამჯერ მეტი ფასი ედო და მილიარდ დოლარს აჭარბებდა.



ზემოაღნიშნული საგანძური თბილისში 1941 წლის ზაფხულში ჩამოიტანეს მოსკოვიდან, რაც ფაშისტების საბჭოთა კავშირზე თავდასხმით იყო გამოწვეული, ანუ, ძვირფასეულობა გადამალვის მიზნით ჩამოიტანეს საქართველოს დედაქალაქში. შემდგომი 44 წლის განმავლობაში საგანძურს არავინ შეხებია, ოქროსა და ძვირფასი თვლების მოსკოვში დაბრუნება მხოლოდ მაშინ მოისურვეს ცენტრალურ ხელისუფლებაში, როდესაც ქვეყნის პირველი პირი მიხეილ გორბაჩოვი გახდა, „პერესტროიკა“ დაიწყო და საბჭოთა ქვეყნის მონოლითურ ფუნდამენტს ბზარი გაუჩნდა.

ოქროს ტრანსპორტირება ღრმად გასაიდუმლოებული იყო და მის შესახებ სულ ათმა კაცმა იცოდა. ესენი იყვნენ: მოსკოვიდან საგანგებოდ გამოგზავნილი ოპერები (6 კაცი), ცენტრალური ბანკის მთავარი ბუღალტერი და თბილისის ბანკის 3 თანამშრომელი, მათ შორის – 44 წლის ნოდარ იოსელიანი, რომელსაც პირადად ებარა მოსკოვში გასაგზავნი უძვირფასესი ტვირთი და ბოლომდე თან უნდა ხლებოდა მას, ბანკის თბილისის საცავიდან მოსკოვის საცავში მიეტანა და მხოლოდ ამის მერე ჩაითვლებოდა მისი მისია დასრულებული. 10 თებერვალს, დილის 10 საათსა და 45 წუთზე, 10 ყუთი ოქრო და მცირე ზომის ძვირფასი თვლებით სავსე ერთი ყუთი დაჯავშნილი მიკროავტობუსით სამგორის სარკინიგზო სადგურის ერთ-ერთ ჩიხში მიიტანეს, სადაც საფოსტო ვაგონში ჩატვირთეს, ვაგონი კი თბილისი-მოსკოვის მატარებელს ჩაუბეს და მოსკოვში გაამგზავრეს. თუმცა, ადლერში ჩასული ვაგონის შესამოწმებლად სპეციალური ბრიგადა რომ მივიდა, ვაგონში 9 გაკოჭილი ადამიანი დახვდა, რომლებსაც პირები ჩვრებით ჰქონდათ გამოტენილი. ძვირფასეულობით სავსე ყუთები კი არსად ჩანდა და ნოდარ იოსელიანიც გამქრალიყო. საფოსტო ვაგონი სასწრაფოდ მოხსნეს შემადგენლობიდან და ჩიხში დააყენეს, ხოლო სამ საათში ადლერში „კაგებეს“ სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ჩაფრინდა მერაბ გოგოლაძის ხელმძღვანელობით. მოკვლევამ და საქმის ინტენსიურმა გამოძიებამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, დადგინდა მხოლოდ ის, რომ ძვირფასი ტვირთის გამცილებელი 9 ადამიანი ჯერ დააძინეს და შემდეგ გაკოჭეს, მაგრამ, როგორ მოახერხეს ეს და სად გააქრეს ძვირფასეულობა, გამოძიებისთვის უცნობი დარჩა. გამოცხადდა ძებნა ნოდარ იოსელიანზე, საოცარი კი ის იყო, რომ კადრების განყოფილებასა და საპასპორტო მაგიდაზე – ასე უწოდებდნენ მაშინ პასპორტების გამცემ უწყებას – მისი არც ერთი სურათი არ აღმოჩნდა. გოგოლაძემ არქივში იოსელიანის ერთადერთი სურათი აღმოაჩინა, რომელზეც ძებნილი 16 წლის იყო და დიდად ვერ დაეხმარებოდა გამოძიებას. მიუხედავად იმისა, რომ გამქრალი ტვირთის მოსაძებნად საუკეთესო ძალები იყო მობილიზებული, ვერც ძვირფასეულობა იპოვეს და ვერც ნოდარ იოსელიანის კვალს მიაგნეს. ტვირთის გამცილებელი 9 ადამიანი კი სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით გაასამართლეს და, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი ხანგრძლივ პატიმრობას არ ითვალისწინებდა, მათ სხვა მუხლებიც მიუყენეს და 12-12 წლით გამოამწყვდიეს ციხეში.

### ფანტომი

მიუხედავად იმისა, რომ „საუკუნის ძარცვა“ ძალიან სუფთად იყო განხორციელებული და ფაქტობრივი ხელჩასაჭიდი არ არსებობდა, მერაბ გოგოლაძე წამითაც არ მოდუნებულა და ჯიუტად განაგრძობდა ამ საქმის გახსნის გზების ძიებას. მან საგულდაგულოდ შეისწავლა გაუჩინარებული ნოდარ იოსელიანის ბიოგრაფია, მაგრამ ვერც იქ აღმოაჩინა რაიმე ხელჩასაჭიდი, რაც მას დაეხმარებოდა.

ნოდარ იოსელიანი 1940 წელს იყო დაბადებული 8 წლის ასაკში მას მშობლები ავტოკატასტროფაში დაეღუპა. მას ახლო ნათესავები არ გააჩნდა და, ამიტომ, რვა წელი ბავშვთა სახლში იზრდებოდა, შემდეგ კი რუსეთში გაემგზავრა. თბილისში 1964 წელს, ანუ, 24 წლისა დაბრუნდა და საბანკო სისტემაში დაიწყო მუშაობა. მას ცოლ-შვილი არ ჰყავდა და ცხოვრ-

ობდა პლეხანოვის გამზირზე, ოროთახიან ბინაში. როგორც სამეზობლოში, ასევე სამსახურში, მასზე მხოლოდ კარგს ამბობდნენ და უკონფლიქტო, კარჩაკეტილ, მაგრამ კეთილშობილ პიროვნებად ახასიათებდნენ. „კაგებეს“ გამოცდილი გამომძიებელი გაოცებული იყო, რომ გაუჩინარებული იოსელიანის მხოლოდ ერთი ფოტოსურათი არსებობდა, ისიც, 16 წლის ასაკში გადაღებული.

– ნამდვილი ფანტომია, – იმეორებდა გოგოლაძე, როდესაც იოსელიანზე ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, – ორმაგ, შეიძლება, სამმაგ ცხოვრებასაც კი ეწეოდა და ამ ყველაფერს ისე ოსტატურად ნიღბავდა, რომ არანაირ კვალს არ ტოვებდა.

ამგვარად, 1985 წლის თებერვლიდან, ანუ, იმ დღიდან, მოყოლებული, როდესაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა გაუჩინარებული ძვირფასი ტვირთის გამო, 1988 წლის 15 დეკემბრამდე – იმ დღემდე, როცა სპიტაკის ნანგრევებში გატაცებული ოქროს ნაწილი აღმოაჩინეს, მერაბს სჯეროდა, რომ, ადრე თუ გვიან, ფანტომის კვალს მაინც მიაგნებდა.

### ავლაბრელი „ძიძა“

მოსკოვში დაბრუნებულ გოგოლაძეს, რატომღაც, გვარი ვარდანიანი აეკვიატა. „ვარდანიანი, ვარდანიანი“, – იმეორებდა გუნებაში და უცებ რაღაც გაახსენდა: ხელქვეითს 1985 წელს ჩატარებული მოკვლევის მასალები მოატანინა, ყურადღებით გადაათვალიერა და ჯგუფის წევრებს უთხრა:

– ვართან ვარდანიანი იოსელიანის ზედამხედველი იყო ბავშვთა სახლში და როდესაც მის ბიოგრაფიას ვიკვლევდით, ამ კაცის სახელიც მაშინ ამოტივტივდა. ის 1900 წელსაა დაბადებული. თუ ისევ ცოცხალია, მაშინ, 88 წლისაა და, სავარაუდოდ, კვლავ ავლაბარში ცხოვრობს. ვფიქრობ, მის სახლს ოცდაოთხსაათიანი თვალთვალი უნდა დავუწესოთ. გამორიცხული არაა, ამ გაწელილი საქმის ფინალს მივადგეთ. ერთი სიტყვით, ხვალვე თბილისში უნდა გავემგზავროთ.

**1 ტონა ოქრო და 300 ცალი ძვირფასი თვალი სპეცმატარებლიდან უკვალოდ გაქრა**

ვართან ვარდანიანი ცოცხალი აღმოჩნდა და ის ავლაბარში მარტოდმარტო ცხოვრობდა. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა, მაღაზიაშიც თვითონ დადიოდა, ჩიბუხსაც აბოლებდა და მეზობლებთან ერთად დომინოსა და ნარდსაც ხშირად თამაშობდა. „კაგებეს“ ცენტრალური აპარატისა და საქართველოს შესაბამისი სტრუქტურის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ ვართან ვარდანიანის სახლს, პარალელურად კი მერაბ გოგოლაძე მის ბიოგრაფიას სწავლობდა, რომელმაც დაადგინა, რომ ვარდანიანს 1947 წელს 7 წლის ვაჟი, ედუარდი, ტიფით გარდაეცვალა.

– აი, ახლა კი ყველაფერი ნათელია, – თქვა გოგოლაძემ, – ნოდარ იოსელიანს ორი პასპორტი ჰქონდა და ერთ-ერთი სწორედ ედუარდ ვარდანიანის სახელზეა გაცემული. როგორც ჩანს, მოხუცი საკუთარი შვილივით ზრდიდა უდედმამო ნოდარს, თან, სხვა მიზნებიც ჰქონდა. მაგრამ, ამ მიზნების შესახებ ზუსტად მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, როცა იოსელიანს შევიპრყობთ.

„კაგებეს“, რა თქმა უნდა, შეეძლო 88 წლის ვარდანიანის დაკავება და დაკითხვა, მაგრამ მათ ჯერ მოცდა არჩიეს, თუმცა, როდესაც ყველა იმედი გადაეწურათ, უშიშროების თანამშრომლები არალეგალურად შევიდნენ ვარდანიანის სახლში და საიდუმლო გვირაბი აღმოაჩინეს, რომელიც სომხურ სასაფლაოსთან გადიოდა.

– ჰმ, კვლავ გავბითურდით, – თავი გააქნია გოგოლაძემ და ხელქვეითებს უთხრა: აშკარაა, რომ იოსელიანი ამ სახლში ცხოვრობდა და საიდუმლო გვირაბით სარგებლობდა. მან იცოდა, რომ თვალყურს ვადევნებდით. სავარაუდოდ, ნაძარცვი ნივთები აქ ჰქონდა დამალული და ფარულად გაიტანა.

უშიშროებამ ვართან ვარდანიანი დააპატიმრა და სასამართლომ მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა, შინაპატიმრობაში დატოვეს. ვარდანიანმა გოგოლაძეს უამბო, რომ ნოდარს ის დიდი ფულის „მოსატეხად“ ამზადებდა, „საუკუნის ძარცვა“ კი სრულიად შემთხვევით, დაუგეგმავად განახორციელა მხოლოდ და მხოლოდ ნოდარმა.

### გამქრალი განძი

1990 წლის 2 მაისს მოსკოვში „კაგებეს“ ოპერჯგუფმა 54 წლის სემიონ სემიონოვი დააპატიმრა, რომელზეც თვალთვალი იყო დაწესებული. დაკითხვაზე სიმიონოვმა აღიარა, რომ სწორედ მან ჩაატანინა ქალაქ სპიტაკში ნოდარ იოსელიანს 10 ცალი ხის ყუთი, რაშიც გასამრჯელოდ 1 000 მანეთი მიიღო. სემიონოვზე „კაგებე“ მას მერე გავიდა, რაც ერთმა ავლაბრელმა გაიხსენა იმ „რაფის“ ნომერი, რომელმაც ერთხელ ვართან ვარდანიანს მოაკითხა. სემიონოვი მოსკოველი იყო და შორეულ რეისებს ასრულებდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

– ყუთებში რა ელაგა, ჩემი საქმე არ იყო, – თქვა სემიონოვმა, – მაგრამ, რომ მცოდნოდა, რომ იქ ნაძარცვი ოქრო იყო დამალული, რა თქმა უნდა, განვაცხადებდი.

სემიონოვს 8 წელი მიუსაჯეს და ციხეში გამოამწყვდიეს. იოსელიან-ვარდანიანის კვალი კი, რომელიც ცალთვალას თამაშობდა და სპიტაკში სომხად აცხადებდა თავს, კვლავ დაიკარგა.

1985 წელს გაუჩინარებული ძვირფასი ტვირთის ძარცვაზე აღძრული საქმე დღემდე არაა დახურული. 2000 წელს „ეფესბეს“ გამომძიებლები თბილისში იმყოფებოდნენ და მორიგი მოკვლევა ჩაატარეს, თუმცა, კვლავ უშედეგოდ.

1 ტონა ოქროსა და 300 ცალი ძვირფასი თვლის საქმე ჯერაც არაა გახსნილი და, თუ იოსელიან-ვარდანიანი ცოცხალია, სავარაუდოდ, ის რომელიმე უცხოურ სახელმწიფოში ცხოვრობს ინკოგნიტოდ და უზრუნველყოფილად.

***P.S. ვართან ვარდანიანი 1997 წელს, 97 წლის ასაკში გარდაიცვალა. მერაბ გოგოლაძე კი მოსკოვში ცხოვრობს და კერძო სამძებრო ბიურო აქვს.***

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 14 ოქტომბერი

1793 – რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე წარდგა საფრანგეთის დედოფალი მარია ანტუანეტა. რომელიც ორი დღის შემდეგ დასაჯეს, როგორც კონტრრევოლუციის, შეთქმულებისა და ინტერვენციის სულისჩამდგმელი და ხელისშემწყობი.

1947 – ამერიკელმა მფრინავმა, კაპიტანმა ჩარლზ (ჩაკ) იეგერმა პირველმა გადალახა ბგერითი სიჩქარე თვითმფრინავ „X-1-ით.“

### 15 ოქტომბერი

1666 – ინგლისის მეფემ, ჩარლზ მეორემ, შემოიღო ახალი მოდა – პირველმა ჩაიცვა ჟილეტი.

1917 – დახვრიტეს მატა ჰარი – ყველაზე ცნობილი ქალი-ჯაშუში. სიკვდილის წინ მან უარი თქვა თვალების ახვევაზე და ჯალათებს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

### 16 ოქტომბერი

1847 – პირველად გამოიცა შარლოტა ბრონტეს რომანი „ჯეინ ეარი“, რომელსაც მწერალმა ფსევდონიმი – კარერ ბელი – მოაწერა.

1946 – სისრულეში მოიყვანეს ნიურნბერგის პროცესზე მიღებული გადაწყვეტილებები – ჩამოახრჩეს 10 ნაცისტი მეთაური.

1964 – ჩინეთში გამოსცადეს პირველი ბირთვული იარაღი. გადაწყვეტილება საკუთარი ბირთვული არსენალის შექმნის თაობაზე ჩინელებმა 1955 წელს მიიღეს.

1978 – კარდინალი კაროლ ვოიტილია აირჩიეს რომის პაპად. მან სახელად იოანე პავლე მეორე დაირქვა. 1542 წლიდან ეს იყო პირველი არაიტალიელი პაპი.

### 17 ოქტომბერი

1855 – ინგლისელმა ჰენრი ბესემერმა დააპატენტა ფოლადის წარმოების საკუთარი ტექნოლოგია.

1902 – დეტროიტში გამოუშვეს „კადილაკის“ ტიპის პირველი ავტომანქანა.

1931 – ალ-კაპონეს სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1933 – ალბერტ აინშტაინი ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც ლტოლვილი.

1962 – ჯგუფ „ბითლზის“ პირველი გამოჩენა ტელეეკრანებზე.

### 18 ოქტომბერი

1867 – ალასკა რუსეთის მფლობელობიდან გამოვიდა და გადაეცა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

1941 – იაპონიაში დააპატიმრეს საბჭოთა მზვერავი რიჰარდ ზორგე.

### 19 ოქტომბერი

1860 – გერმანიაში დაარსდა პირველი ქარხანა, რომელიც აწარმოებდა შიდაწვის ძრავებს.

1911 – დაიწყო რუალ ამუნდსენის მოგზაურობა სამხრეთ პოლუსის დასაპყრობად.

1919 – გაზეთ „პრავდაში“ პირველად გამოქვეყნდა ფურმანოვის მოთხრობა ჩაპაევზე.

1944 – მარლონ ბრანდოს დებიუტი სცენაზე.

### 20 ოქტომბერი

1818 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა დაადგინეს კანადის საზღვრები.

1953 – გამოვიდა რეი ბრედბერის ანტიუტოპია – „451 გრადუსი ფარენგეიტით“.

1968 – არისტოტელე ონასისისა და ჟაკლინ კენედის ქორწილი.

**მერაბ რატიშვილის გარკვეულ პოლიტიკურ პირებთან მეგობრობამ, პოლიტიკურ წრეებში აქტივობამ გამოიწვია წინა ხელისუფლების მკვეთრად გამოხატული, უარყოფითი განწყობა მის მიმართ, რასაც უმალ უკანონო დაპატიმრება მოჰყვა. მერაბ რატიშვილმა ხუთი წელი და სამი თვე გაატარა ციხეში სრულიად უკანონოდ, რასაც ადასტურებს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ომბუდსმენი და თვით პარლამენტმა აღიარა პოლიტპატიმრად.**

# როგორ ებრძოდა „დოქდ ტევეს“ დახმარებით მერაბ რატიშვილის შვილი პუტინს და ვინ იღებს ჰოლივუდში ფილმს, მის მიერ ციხეში დაწერილი რომანის მიხედვით

**მერაბ რატიშვილი**: ჩემს მიმართ წინა ხელისუფლების ანტიპათია ერთ დღეში არ დაწყებულა. ახალგაზრდა ვიყავი, როცა მოსკოვში წავედი სასწავლებლად. 9 აპრილის პერიოდში დავბრუნდი საქართველოში და მივხდი, რომ ის ინფორმაციული ულუფები, რომელსაც მოსკოვში გვაწვდიდნენ, აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო რეალობას. როდესაც მოსკოვში დავბრუნდი, იმ დღესვე დავტოვე პარტია და სახელმწიფო სამსახური. ამის შემდეგ დავიწყე მოღვაწეობა ბიზნესში, სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ერთ-ერთი მთავარი სექტორი ენერგეტიკა იყო. 1992 წლის მარტში საქართველოს ეკონომიკის აბსოლუტური პარალიზება მოხდა – არ იყო დენი, არ იშოვებოდა საწვავი, გაჩერებული იყო ყველანაირი მოძრაობა, არ მუშაობდა სასწრაფო და სახანძრო დახმარებები. ნავთობის იმპორტი შეწყდა, რადგან დავტოვეთ საბჭოთა სივრცე და რუსეთისთვის უკვე საექსპორტო ქვეყანად ვიქეცით. საქართველოდან დამირეკეს და დახმარება მთხოვეს, ჩამოვფრინდი 1992 წლის მარტის მეორე ნახევარში. რა თქმა უნდა, მომიწია შევარდნაძესთან, სიგუასთან და კიტოვანთან შეხვედრა.

**– როგორ გაიხსენებდით მათთან შეხვედრას?**

– დაახლოებით ღამის პირველი საათი იყო, როდესაც აეროპორტიდან მათთან შესახვედრად წამიყვანეს. პირდაპირ მითხრეს, რომ ნავთობი უნდა შემომეტანა, თუმცა ქვეყანას ფული არ ჰქონდა ნავთობის საყიდლად. იქვე დავაწერინე მთავრობის დადგენილება და წერილი, რომლითაც უნდა მიემართათ რუსეთის მთავრობისთვის. 45 დღეში შემოვიდა პირველი ტანკერი ბათუმში. ეს იყო მთელი ომი და უამრავი თავგადასავალი, რომ ამისთვის მიმეღწია. სამი თვის განმავლობაში 11 გემი შემოვიდა ბათუმში. საკუთარი პასუხისმგებლობით ავიღე კრედიტები, რათა დამეფინანსებინა ნავთობის მოწოდება საქართველოში. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ქალაქში გაჩნდა საცობები, თვითმფრინავებმა დაიბრუნეს ფუნქცია, ყველაფერი დალაგდა და იფიქრეს, რაღაში გვჭირდება მერაბ რატიშვილიო. ნავთობკომპანიებს გადასახადი შეუწყვიტეს. კისერზე უზარმაზარი ვალი დამედო. მოვახერხე ამ სიტუაციიდან გამოსვლა, თუმცა მეორე წელს, ისევ მომიწია დახმარება. როდესაც მთხოვეს, უარი ვერ ვუთხარი, რადგან აფხაზეთში ომი გრძელდებოდა. ვერც ამჯერად ვისწავლე ჭკუა და იგივე ისტორია განმეორდა, მაგრამ რა მექნა...



**სააპელაციო სასამართლოზე შემოვატანინე გოლფის ბურთი და მოსამართლეებს მივმართე – თუ დარბაზში მყოფი რომელიმე ადამიანი ასი მცდელობიდან ერთხელ მაინც დაარტყამს ბურთს, მაშინ კიდევ ცხრა წელი დამიმატეთ-მეთქი**

**– ახალი მთავრობისთვისაც, ასე ვთქვათ, „პერსონა ნონ გრატა“ გახდით.**

– ფაქტობრივად ასეა. ჩემი მოღვაწეობა და დამოუკიდებლობა თავიდანვე ბევრ სახელმწიფო მოხელეს და პოლიტიკოსს აღიზიანებდა, მრავალ პრობლემას მიქმნიდნენ. ღია საჯარო ღონისძიებებში არასდროს მიმიღია მონაწილეობა. მიმაჩნდა, რომ რადგან ორმაგი მოქალაქე ვარ, პოლიტიკაში არ უნდა ჩავრეულიყავი. თუმცა, დამეთანხმებით, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მაქვს უფლება ჩემი აზრი და წუხილი გამოვთქვა ამა თუ იმ საკითხზე. რა თქმა უნდა, ეს მთავრობას არ მოსწონდა. სააკაშვილის მთავრობას კი ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ იარაღის ჟღარუნი და მტრის ხატის შექმნა იქამდე მიგვიყვანდა, რომ ერთ დღესაც ეს მტერი გაიღვიძებდა და სერიოზულ ზიანს მოგვაყენებდა.

**– ღიად თუ დაუპირისპირდით მათ?**

–დაწერილი მქონდა კონცეფცია, როგორ შეიძლებოდა სიტუაციის დაბალანსება. დიპლომატიურ კორპუსთან ამაზე ხშირად ვმსჯელობდი და სხვათა შორის, მეთანხმებოდნენ. სწორედ ევროპელი დიპლომატების მეშვეობით ვცდილობდი, მიმეტანა ოპოზიციამდე ჩემი ხედვა, თუ როგორ უნდა გაერთიანებულიყო ოპოზიცია. 2007 წელს ჩავატარეთ კონფერენცია „სეპარატიზმი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის უმაღლესი ფორმა“. ჩვენ გვჭირდებოდა დიალოგი უშუალოდ ოსებთან და აფხაზებთან და არა შუამავლებთან. სწორედ ეს იყო ამ კონფერენციის კონტექსტი. ამ კონფერენციის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოვექეცი, ვგულისხმობ იმას, რომ დაიწყეს ჩემი თვალთვალი, მოსმენა. სამმა სხვადასხვა ადამიანმა, ისევ და ისევ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა, გამაფრთხილეს, რომ ჩემს დაპატიმრებას აპირებდნენ. ოქტომბერში მეუღლე გავაფრთხილე, შეიძლება დამაპატიმრონ და არ ინერვიულო-მეთქი.

**– მეუღლეს არ გაუკვირდა?**

– რა თქმა უნდა, ძალიან დაიბნა, ვერ მიხვდა, რის გამო მაპატიმრებდნენ. მითხრა, წადიო, მაგრამ უარი ვთქვი წასვლაზე. რომ წავსულიყავი, მართლაც მივცემდი სათქმელს, რაღაცა უკანონობას სჩადიოდა და ამიტომაც გაიქცაო. ვანო მერაბიშვილს შევუთვალე შემხვედროდა, შეხვედრის მაგივრად, სწორედ იმ დღეს ამიყვანეს. ქიაჩელის ქუჩა მთლიანად გადაკეტეს, დაახლოებით ათი კაცი რკინის ხელკეტებით თავს დაესხა ჩემს მანქანას. როცა ხელბორკილები დამადეს, ნემსი გამიკეთეს. ქუჩაში ჩემი ჩხრეკის შემდეგ, ჩემს სახლში შეცვივდნენ. სწორედ იქ ჩადეს ჩემს პიჯაკში ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ოცი წუთით ადრე ჩემმა მეუღლემ გააუთოა და გარდერობის კარზე ჩამოკიდა.

**– რამდენი წელი მოგისაჯეს?**

– ცხრა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებას მუდმივად ვასაჩივრებდით სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის ევროპაში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა ის პროკურორები და მოსამართლეები ისევ აგრძელებენ საქმიანობას თანამდებობებზე, ზოგი დააწინაურეს კიდეც. ერთ ასეთ ფაქტს მოგიყვებით: სააპელაციო სასამართლოზე შემოვატანინე გოლფის ბურთი და მოსამართლეებს მივმართე – თუ დარბაზში მყოფი რომელიმე ადამიანი (არადა იმ დღეს მართლაც ბევრნი იყვნენ), ასი მცდელობიდან ერთხელ მაინც დაარტყამს ბურთს, მაშინ კიდევ ცხრა წელი დამიმატეთ, სხვა შემთხვევაში, აბსურდამდე ნუ მივალთ-მეთქი. წარმოუდგენელია, გოლფის ასოციაციის პრეზიდენტი, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი იყოს ნარკოტიკებზე დამოკიდებული. გოლფი ეს რეფლექტორული სპორტია. შეუძლებელია, ნარკოტიკებს მოიხმარდე და გოლფს თამაშობდე-მეთქი.

**– როგორ გაიხსენებთ ციხეში გატარებულ წლებს?**

– ადაპტირება ყველგან სჭირდება ადამიანს, თუნდაც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდეს საცხოვრებლად. ახლა წარმოიდგინეთ, როგორი რთულია ციხესთან შეგუება, მით უმეტეს, ჩემს ასაკში. იმ პერიოდში დაიწყო ოპოზიციის ლიდერებზე ვიდეოკადრების გავრცელება, სადაც მათ რუსეთთან კავშირში სდებდნენ ბრალს. უნდოდათ, ამ მიმართულებით მათთვის ყალბი ჩვენება მიმეცა. მეთქვა, რომ თავად ჯაშუში ვარ და მათაც მე ვმართავ. თუმცა, როცა ეს არ გამოუვიდათ, საშინლად გაღიზიანდნენ. მთელი ეროვნული საბჭოს დაპატიმრების გეგმა ეშლებოდათ. ორთაჭალის ციხეში რომ მიმიყვანეს, 95-ე საკანში, პრაქტიკულად, ფეხით შემტენეს. ჩემი ადგილი აღარ იყო, რადგან 22 ნარზე 109-ე კაცი ვიყავი. გაუსაძლისი პირობები იყო. დასადგომი ადგილიც კი არ იყო, არა თუ დასაჯდომი. ფეხი რომ დაგცდენოდა და კედელს მიყუდებოდი, რაიმე ავადმყოფობა გარანტირებული გქონდა. ყველანაირი მწერი, თვალით უნახავი კანის დაავადებები იყო საკანში. ტუბერკულოზით, C ჰეპატიტით დაავადებული ხალხით იყო სავსე იქაურობა – ყველანი ერთად იყვნენ და ერთად ეძინათ. ოთხი ცვლა იყო დასაძინებლად. ზოგს შეუძლია, ხმაურსა და ბოლში დაძინება, მაგრამ ყველას ხომ არა. თან ნემსი მქონდა გაკეთებული... ლამის ინსულტი დამემართა მეორედ. თუმცა, ადამიანურობა, კარგი ურთიერთობები ყველგან დამხვდა. მოვახერხე ისე, რომ ამ სიტუაციაშიც შევქმენი გასაძლისი პირობები. მაგრამ, ესეც პირობითია, ტარაკნები პირდაპირ ჩაიში ცვიოდა. ვაა, ძმა მოვიდაო, იტყოდნენ და დალევდნენ. სანამ მიმიყვანდნენ, ორი ადამიანი იმ საკანში უჰაერობით იყო გარდაცვლილი. ასე დაიწყო ჩემი ციხის ეპოპეა, თერთმეტი საკანი გამომიცვალეს ხუთ თვეში. რომელ საკანშიც შევდიოდი უკვე აღარ მიწევდა რაღაცეების ახსნა და მოყოლა. ციხის ფოსტა მუშაობდა და ყველაფერი იცოდნენ ჩემ შესახებ. 7 ნოემბრის შემდეგ გაძლიერდა ჩემზე ზეწოლა და დაიწყო გაუთავებელი დაკითხვები, მრავალი მცდელობა ჰქონდათ, სხვადასხვა ხერხით ჩემზე ზემოქმედება მოეხდინათ. ერთ-ერთი დაკითხვის დროს, ციხის უფროსი რომ შემოვა ოთახში და ყავას შემოგთავაზებს, იქ რაღაც კარგად ვერ არის. რა თქმა უნდა, ჩემს ყავაში ის ნივთიერება იყო გაზავებული, რომლის ზემოქმედების ქვეშ ყველაფერზე თანხმობას აცხადებ. ყავა რომ თავისი ხელით შემომიტანა, ვკითხე, შაქრიანია თუ უშაქრო-მეთქი. შაქრიანიო, მითხრა, მე უშაქროს ვსვამ, ეს თქვენ დალიეთ-მეთქი. კონტრდაზვერვის ასები და დირექტორი შეცბნენ და რა თქმა უნდა, ის ყავა არავის დაულევია. 2007 წლის 8 ნოემბერს შემოცვივდნენ და დაიწყეს წინა დღეს მომხდარი ამბების ჩემზე გადმობრალება. თითქოს მე მიმიძღვოდა წვლილი იმაში, რაც მათ ჩაიდინეს. როდესაც მუქარით ვერაფერს მიაღწიეს, შემდეგ გადავიდნენ მოსყიდვაზე, გოლფის მოედანს აგიშენებთ, რა გინდა, ნებისმიერ თანამდებობას დაადე ხელი, ოღონდ ეროვნული საბჭოს ლიდერები დაგვაჭერინეო და... 19 ნოემბრის შემდეგ, თავი დამანებეს. შემდეგ გლდანის ციხეში პირველი ეტაპით გადამიყვანეს. წინააღმდეგობას რომ ვუწევდი, ერთ დღეს გაითამაშეს, ვითომ საკანი დაშალეს და ამიტომ, ისევ ორთაჭალის ძველ ციხეში დამაბრუნეს. გლდანის ციხეში ძალიან ბევრი საინტერესო რამ ხდებოდა, უამრავი რაღაც ვისწავლე. სხვათა შორის, ამ ციხეს ცხვრების საპარსი

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მსურს, შევიძინო „ნისან ალტიმა". გთხოვთ, ამიწეროთ მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, საწვავის ხარჯი, გამძლეობა და, რაც მთავარია, როგორ შეეგუება ის ჩვენი გზების პირობებს. ასევე, მაინტერესებს, რა ღირს „ნისან ალტიმას" ახალი და მეორადი მოდელები?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, „ნისან ალტიმას" უკვე მესამე თაობის მოდელს გულისხმობთ, რომელიც 2002 წლიდან გამოდის. ეს გახლავთ საშუალო კლასის „სედანი", რომელიც სახელდება „ჰონდა აკორდის", „ტოიოტა ქამრისა" და „პასატის" კონკურენტად. „ალტიმა" საკმაოდ კარგი ავტომობილია, რომლის წარმოება ამერიკაში მხოლოდ ამერიკის ბაზრისთვის ხდება. თუმცა, აქვე დავძენ, რომ მისი შეძენა ჩვენს პირობებშიც გამართლებულია. მისი ტექნიკური მახასიათებლებია: არსებობს „ალტიმას" 2 ტიპის ძრავა: 2,5 ლიტრი – ოთხცილინდრიანი და 3,5-ლიტრი – ექვსცილინდრიანი. გადაცემათა კოლოფი როგორც მექანიკური, ასევე, ავტომატური. ორივე ძრავა საკმაოდ მძლავრი და განსაკუთრებით ეკონომიურია. 2.5-ლიტრიანის წვა ქალაქის პირობებში 10-11 ლიტრია, 3,5-ლიტრიანისა კი – 12-13-ლიტრი. „ნისანი" 92-ოქტანიან ბენზინზე მუშაობს, რაც ძალიან დიდი პლუსია ეკონიმიის მიზნით, რადგან, ამ ოქტანობის საწვავი ყველაზე იაფი ღირს ქართულ ბაზარზე. ეს მოდელები კარგი გამძლეობით ხასიათდება და უსაფრთხოებაც მაღალ დონეზეა. ყველა კომპლექტაციაში წარმოდგენილია თანამედროვე მართვის უსაფრთხოების ელექტრონული სისტემები როგორიცაა „აბეესი", მოცურების საწინააღმდეგო და სხვა. სულ ახალი, 2009 წლის მოდელის ფასი მერყეობს 19-26 ათასი დოლარის ფარგლებში (კომპლექტაციის მიხედვით), ხოლო ნახმარის (2002-2008) შეძენა შეგიძლიათ 8-17 ათასი დოლარის ფარგლებში.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*

**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო". როგორ შეიძლება გამოსწორდეს ავტომატურ კოლოფთან დაკავშირებული პრობლემები?**

**პასუხი:** გააჩნია, კონკრეტულად რა პრობლემები აქვს კოლოფს. აჩვენეთ ხელოსანს და ის გეტყვით. თუმცა, აქვე დავძენ, რომ „მონდეოს" გადაცემათა ავტომატური კოლოფი საკმაოდ სუსტი აქვს და ხშირად გამოდის მწყობრიდან. ძირითადად, მისი რემონტი საკმაოდ ძვირი ჯდება, რის გამოც მძღოლები, ხშირ შემთხვევაში, მასზე მექანიკურ კოლოფებს აყენებენ, ანუ, საერთოდ ცვლიან.

**კითხვა: რომელია ყველაზე მაგარი ამერიკული მანქანა? და რამდენად კარგია ამერიკული მანქანა საქართველოს პირობებში?**

**პასუხი:** ეს არის „კადილაკი", რომელიც ამერიკის სიამაყეა. მაგრამ, საქართველოსთვის ის დიდად საიმედო არ არის. რაც შეეხება იაპონურ მანქანებს, მათ ქარხნიდანვე აქვთ ისეთი ტუნინგური დეტალები, რომელთა გაკეთებისთვისაც უკვე მზა ევროპულ მანქანებს ძალიან ბევრ ფულს ახარჯავენ, მაგალითად: ძარაზე სპოილერი; შასის, ანუ, ტრანსმისიის დამუშავება. თან ეს ხდება ნებისმიერ რიგით ანუ, ჩვეულებრივ მანქანაზე.

**კითხვა: ჩემი ავტომობილი ძალიან ხშირად ითხოვს ზეთის დამატებას. მითხრეს, რომ ზეთს ჭამს. ეს ჩემი პირველი ავტომობილია და მექანიკურ ამბებში ჯერ ვერ ვერკვევი. იქნებ ამიხსნათ, რას ნიშნავს ზეთის ჭამა, რა ხდება ამ დროს ავტომობილში და რამდენად საშიშია ეს?**

**პასუხი:** არ ვიცი რამდენად მნიშვნელოვანია სისტემის მუშაობის, ძრავაში მოქმედი მექნიკის აღწერა, რადგან, ამის ცოდნა, შესაძლოა, არც არაფერში დაგჭირდეთ, მაგრამ, ზოგადად, მაინც გეტყვით, რა პრინციპით მუშაობს და აქვე გირჩევთ: ავტომობილი ახალია, ძველი თუ მეორადი, ჭამს ზეთს თუ არა, მის ძრავაში ზეთი ყოველ გავლილ 5-6 ათას კილომეტრზე უნდა გამოიცვალოს. რაც შეეხება მექანიზმს, ძრავაში მუშაობს დგუში, რომელზეც არის „კოლიცოები". სწორედ მათ ამოაქვთ ზეთი ცილინდრში და მათ შეზეთვას ახდენენ. როდესაც ის „კოლიცო" დამჯდარია, ამოწურული აქვს რესურსი და ცილინდრსა და დგუშს შორის ღარი რჩება, ის ზეთი ამოდის და ფეთქების დროს საწვავთან ერთად იწვება. თავიდან ეს ღარი, შესაძლოა, თვალისთვის შეუმჩნეველიც იყოს, მაგრამ, ზეთის მალე დაკლებასთან ერთად, მიხვდებით, რომ ძრავაში პრობლემაა. მაგალითად, „ჟიგულების" ძრავას ჰქონდა 150-ათასიანი გარანტია. ამ მანძილის გავლის შემდეგ ძრავა გასარემონტებელი იყო. ასეთ დროს „კოლიცოები", „ცკლადიშები" იცვლება. იაპონურ და ევროპულ მანქანებს რესურსი და გარანტია 500 ათასი მაინც აქვთ. არის მოდელები, რომლებსაც მილიონი კილომეტრიც კი აქვთ გავლილი, რასაც ავტომობილი მხოლოდ და მხოლოდ ზეთის დროულად შეცვლით ახერხებს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

---

ფაბრიკა შევარქვი, რადგან მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – ყველა მეთოდით აეძულებინათ დაპატიმრებული, ხელი აეღო თავის ქონებასა თუ ბიზნესზე, ხშირად სინდის-ნამუსსა და კაცობაზე... სიგარეტს გვირიგებდნენ და არ გვაძლევდნენ ასანთს, ესეც წვალების ერთგვარი მეთოდი იყო. სტაჟიანი პატიმრები საბნიდან გამოაცლიდნენ ბამბას, პატარა ქაღალდს რადიოს წვრილ მავთულს დაახვევდნენ და შეყოფდნენ „შტეპსელში". უცებ იბუთქებდა, წაეკიდებოდა ცეცხლი ბამბას და მაშინვე უნდა მოგეკიდებინა სიგარეტისთვის. ასჯერ რომ იფეთქა ამ „შტეპსელმა," რა თქმა უნდა, გაფუჭდა და ქსელიც გათიშა. ამისთვის, სხვადასხვა საკანში სცემეს პატიმრები, მაგრამ ბოლოს მაინც დაგვირიგეს ასანთები. დავხატეთ შაში და ისე ვთამაშობდით, რომ დრო გაგვეყვანა, თორემ არც წიგნი გვქონდა და არც პრესა შემოგვდიოდა. საბოლოოდ, აღმოვჩნდი რუსთავის ციხეში, სადაც ვწერდი სტატიებს. ჩემი მეუღლის დახმარებით შევქმენი პოლიტპატიმრების საიტი, ინტერნეტ-გაზეთი და გამოვეცით ბეჭდვითი გაზეთიც. ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც პოლიტპატიმრების არსებობა ქვეყნის გარეთ გავიტანეთ. 2008 წლის მარტში, როდესაც ოპოზიცია შიმშილობდა რუსთაველზე, მეც დავიწყე უვადო შიმშილობა ციხეში, რომლის შემდეგაც სამედიცინო დაწესებულებაში აღმოვჩნდი. შიმშილობა მხოლოდ მას შემდეგ შევწყვიტე, რაც ზუგდიდი-ცაიშის ეპისკოპოსი, მეუფე გერასიმე მესტუმრა ციხეში და პატრიარქის თხოვნა გადმომცა, შიმშილობა შემეწყვიტა.

2010 წელს ციხეში მოვამზადე და შევიტანე სარჩელი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალში სააკაშვილისა და მისი ბანდის წინააღმდეგ, რომლებმაც ჩაიდინეს მრავალი დანაშაული საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, მათ შორის სამხედრო დანაშაული, და დანაშაული კაცობრიობის წინაშე. სწორედ ამ დროს გადავწყვიტე, ოდესღაც ახალგაზრდობაში მიტოვებულ ლიტერატურულ საქმიანობას დავბრუნებოდი, რასაც დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ძალიან დავშორდი, ახლა კი ამის დრო ნამდვილად მქონდა. დავწერე სამი რომანი ხუთ წიგნად, ასევე ლექსებისა და მოთხრობების კრებული. ჯერ კიდევ ციხეში ვიყავი, როცა ჩემი რომანები ითარგმნა რამდენიმე ენაზე.

**– თქვენს შვილზეც მინდა, მიამბოთ. ძალიან უცნაურია, რომ თქვენ პუტინის რუსეთის ჯაშუშობას გაბრალებდნენ და ამ დროს თქვენი შვილი ყველაზე ოპოზიციური არხის, „დოჟდ ტევეს" სათავეებთან იდგა.**

– კი, გია ერთ-ერთი მათგანია, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ არხს და ჰქონდა საავტორო გადაცემებიც. აღებული ჰქონდა ფსევდონიმი გია მევარ. პირველად რომ მითხრეს, გია მევარ შენი შვილიაო, ძალიან გავოცდი (იცნის). გიაც ძალიან პრინციპული ბიჭია, არასდროს მიდის დათმობებზე. ახლა ბიზნესშია და სხვა გეგმები აქვს. მისთვის ჩემი ამბავი შოკი იყო. ჯერ ჩემი „ნარკომანობა" და მერე „ჯაშუშობა." ამას ჩემი ოჯახის წევრები როგორ დაიჯერებდნენ?! ოჯახის მთელი სიმძიმე იმ წლებში გიას დააწვა მხრებზე და ყველაფერს ღირსეულად გაუძლვა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ გაგიგიათ და ამ სიტუაციამ ისე იმოქმედა მასზე, რომ გამოვედი, ვერ ვიცანი, ძალიან შეცვლილი დამხვდა ამ ხუთ წელიწადში. ტელევიზიის საკითხი რომ წამოიჭრა, ვთხოვე, დაანებე თავი ამ წამოწყებას, ოჯახს ახალ პრობლემებს ნუ შეუქმნი, ერთი პოლიტპატიმარიც ეყოფა-მეთქი. მაგრამ, სიძნელეებს არ შეუშინდა და ასე მიპასუხა: რა ვქნა მამა, ალბათ, ეს ჩვენი ბედიაო.

**– აგრძელებთ ლიტერატურულ საქმიანობას?**

– დიახ, ვაგრძელებ მუშაობას. ახლა ვწერ ახალ რომანს, თუმცა სხვა რეჟიმში ვარ და უფრო ნაკლები დრო მრჩება წერისთვის. ამ ზაფხულს, ჰოლივუდისთვის გავაკეთეთ ჩემი რომანის სცენარი „თეთრი ლამა", ნიკა ხომასურიძესთან ერთად. ეს იქნება 6-საათიანი ფილმი სამ სერიად. ასევე, აქტიურად ვმუშაობ, რომ ჩემი წიგნები გამოიცეს ევროპასა და ამერიკაში.

**სალომე გველესიანი**

ყურის ანთება
სახლის ზემოთაა / კვამლი / ანდაზა
დიდი თეფში / ქაშნიკი
იტალიის კუნძული / რუსი მხატვარი
წვერის სალე-ბავი
სასოება
ვეფხვის ნაშიერი
ევროპის „დიდი“ სახელმწიფო
გერმან. მწერალი / ჭიდაობის ილეთი
სანიმუშო, სასახელო / არის ასეთი ხე
აფრიკის სახელ-მწიფო
ცივი იარაღი
ლიტ. მცოდნე
იტალიე-ლი მს-ახიობი მონიკა
მშობელი
(.......) და აბედი
ტროას მეორე სახელი



(.......) და ბერი
საწინ-ააღმდეგო
სიგრძის საზომი
რა არის ქიქარტი თავის არსით?
ქალაქი ავსტრა-ლიაში
ხორც-იანი სადილი
რა ერქვა ზიჩის? / მდიდარი კაცი
დათე-სილი მინდორი
წმინ-დანის გამოსა-ხულება
იაპო-ნელი მწერალი
ძველი ჩოგბუ-რთელი ანდრე...
სოფელი თბი-ლისთან
თავმდები
ჩვენი ჰიმნის ტექსტის ავტორი
ისრის წვერი
ფსევ-დონიმი ინტერ-ნეტში
იგივეა, რაც ზამში
წინან-დელი
იხილე ფოტო - სახელი
სასამ-ართლო ასეთიც არის
თანმხ-ლები პირები
ქანაობა
გრამა-ტიკული კავშირი
ადამ-იანის „სასუქი“
სპორ-ტული სამოსი
ყველაზე ცნობილი ნორვეგიელი კომპოზიტორი
ტიციან ტაბიძის ქალი-შვილი
პუგა-ჩოვა
....დე ფიუნესი / დავით VI
წყალკურთხევა
ანტი-ლოპის სახეობა
ჯართის ხმა / ერთად
თელავის სოფელი / გველის ენა
დერე-ფანი
„მთვარის მოტაცების“ პერსონ. ქალი
რუსული სახლი
უბედ-ურების სიგნალი
დიდი აკაკი
სამხრეთ საქარ-თველოს ქედი
პოჟარსკის კოლ-ეგა რუსეთის ისტორიაში / პატარა მაია
მიწაში შენახული
ვაზირის კოლეგა / არბიტრი
ეკატ-ერინე ძველად ჩვენში
ფირ-ოსმანი
(.....) გრანელი
ვოკალუ-რი ხელო-ვნების სახეობა
მე-19 საუკუნის ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი
მაუგლის გრძელი მეგო-ბარი
ცირკის ასპარეზი
ძველი სომხეთი
გაუშ-ლელი ყვავილი
შუა აზიის ქვეყანა
თან-ხმობა / დაბლობი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 1 | | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | | 2 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 4 | 2 | 3 | 5 | 4 | 3 | 1 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 3 | 2 | 6 | 11 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 4 | 12 | 8 | 2 | 1 | 4 | 2 | | | | | | |
| | | | | | | 3 | 2 | 1 | 4 | 7 | 2 | 3 | 2 | 4 | 4 | 4 | 3 | 4 | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 8 | 6 | 1 | 2 | 7 | 7 | 7 | 5 | | |
| | | | | | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 2 |
| | | | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 4 | 4 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 4 | 5 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 2 | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 5 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 2 | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 2 | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 4 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | 2 | 3 | 7 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 3 | 9 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | 3 | 5 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 8 | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | 2 | 5 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 3 | 3 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 1 | 2 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 2 | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 28 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 2 | | 3 | | 7 | | 8 |
| | 7 | 3 | 4 | 2 | 6 | 9 | 1 | |
| 1 | 5 | | 7 | | | | 4 | 2 |
| | 2 | | 3 | 5 | 8 | | | 7 |
| | | 9 | | 6 | | 5 | 3 | 4 |
| 3 | 1 | | 9 | 4 | | 2 | | 6 |
| | 3 | | | | 2 | | 5 | 1 |
| 2 | 6 | 8 | | 1 | | 4 | 7 | |
| 5 | | 1 | 6 | 7 | 4 | 8 | 2 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 9 | | | 3 | |
| 9 | | | 5 | | 6 | 8 | | 2 |
| | 7 | | 8 | | | | | 9 |
| 3 | | | | | | | 1 | |
| | | | 1 | | | 9 | | 7 |
| | 8 | | | 7 | 5 | | 4 | |
| | 9 | | 4 | | 8 | | | 6 |
| 5 | | 4 | | 6 | | 7 | | |
| | 2 | | | 5 | | | 9 | |

# ისწავლეთ ხატვა ზაალ სულაკაურთან ერთად



1. ორ წრეში ჩახატული წერტილებით დაიწყეთ გომერ სიმპსონის თვალების ხატვა

2. მიახატეთ თავის ნაწილი

3. მიახატეთ ყური და კბილები

4. დაასრულეთ სიმპსონის თავი

5. მიახატეთ მხარი და საყელო

6. მიახატეთ ტანი

7. მეორე ხელიც არ დაგავიწყდეთ

8. დაასრულეთ ნახატი

9. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება





## როგორ მივა ზღარბი სოკოებთან



## იპოვე შესაბამისი ჩრდილი



## ქათამი, რომელიც ოქროს კვერცხს დებდა

### (იგავ-არაკი)

ერთ კაცს ქათამი ჰყავდა – ოქროს კვერცხებსა დებდა. პატრონმა იფიქრა: ამ ქათამს, ეტყობა, ბევრი ოქროს კვერცხი აქვს. დავკლავ, გავჭრი და ერთბაშად ამოვიღებო. მართლაც, დაკლა და ნახა – ერთი ჩვეულებრივი ქათამი იყო. კაცი უთვალავ ოქროზე ოცნებობდა და რაც ჰქონდა, ისიც დაკარგა.

კაცი გაუმაძღარი არ უნდა იყოს. რაც აქვს, იმას უნდა დასჯერდესო.

## რიცხვრებუსი

10,, ,,0, 10,, ,,,7 0,,, + ი



# ვეტერინარის რჩევები



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ბოლო დროს ჩემს ძაღლს ხშირად უწითლდება თვალები. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი**: როგორც ადამიანისთვის, ასევე ცხოველებისთვის, თვალი გარესამყაროს აღქმის ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. მხედველობის შენარჩუნება დიდად არის დამოკიდებული ცხოველის მოვლა-შენახვის პირობებზე, კვების, ჰიგიენური თუ სხვა სახის ვეტერინარულ საკითხებზე. ძაღლის თვალები ძალიან მგრძნობიარე და საოცრად ძლიერია. იმისთვის, რომ დავიცვათ ძაღლის თვალები ინფექციური დაავადებებისგან და ტრავმებისგან, არსებობს ძაღლის თვალების მოვლის რამდენიმე მეთოდი. თქვენი ცხოველის თვალების რეგულარული დათვალიერებით, თქვენ დროულად შეამჩნევთ რაიმე პრობლემას და დროულად შეძლებთ მის თავიდან აცილებას. ყველაზე გავრცელებული და ხშირი სიმპტომი და პრობლემა, რომელიც გვხვდება, არის თვალის სიწითლე, რაც, როგორც წესი, მიუთითებს ინფექციურ პროცესებზე, რაც გამოწვეულია ბაქტერიებით. თვალის ინფექციების მკურნალობა ხდება თვალის ანტიბიოტიკური წვეთებითა და მალამოებით. ყველაზე გავრცელებული და ადვილად შესამჩნევი თვალის ინფექციაა კონიუნქტივიტი, რომლის სიმპტომებია თვალის ლორწოვანი გარსისა (კონიუნქტივის) და თვალის გარშემო კანის გაწითლება; თვალის კუთხეში ჩირქის დაგროვება, ღრმა პროცესების დროს – თვალის მთლიანად ჩირქით ამოვსება, ასევე, ქუთუთოების ერთმანეთზე მიწებება. სხვა დაავადებები გამოწვეულია ტრავმებით, თვალში უცხო სხეულების ჩავარდნითა და წამწამების პრობლემებით. წამწამების გამო წარმოქმნილი პრობლემები, როგორც წესი, გენეტიკურია და იწვევს თვალის მექანიკურ გაღიზიანებას, წყლულებსა და ინფექციებს. თვალის ინფექციის წარმოშობის თავიდან აცილება მარტივად არის შესაძლებელი, თუ რეგულარულად მოუვლით ძაღლის თვალებს და უზრუნველყოფთ მათ სისუფთავეს. ძაღლის თვალების მოვლაში იგულისხმება შემდეგი: უნდა შეინარჩუნოთ ცხოველის თვალის სისუფთავე; თუ ის გრძელბეწვიანია, თვალის გარშემო რეგულარულად უნდა შეაჭრათ თმა – ამით თავიდან ააშორებთ ძაღლს თვალში ბაქტერიების მოხვედრას.

**კითხვა: ძალიან ხშირად პატარა ლეკვები კბენენ პატრონებს ხელებზე, ეკიდებიან ტანსაცმელზე, ან, ეთამაშებიან ფეხებზე და ამ თამაშს კბენით გამოხატავენ, რაც, რა თქმა უნდა, აწუხებთ პატრონებს, განსაკუთრებით კი გამოუცდელებს – მათ აშინებთ ის ფაქტი, თუ როგორი ძაღლი გაიზრდება ასეთი ლეკვისგან. მაინტერესებს, რა ასაკამდეა ლეკვის მსგავსი საქციელი დასაშვები? როგორც ამბობენ, ლეკვის ასეთი ქცევა ასაკის ბრალია და ამით მხოლოდ სიყვარულსა და გართობის სურვილს გამოხატავს. მსგავს შემთხვევაში ღირს თუ არა სათანადო ზომების მიღება?**

**პასუხი**: მსგავს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საჭიროა დროული ადეკვატური ჩარევა, რადგან, ასეთი ლეკვისგან მივიღებთ ძალიან აგრესიულ და გაუწონასწორებელ ძაღლს, რომელიც აგრესიას გამოავლენს არა მარტო გარშემომყოფების, არამედ, საკუთარი პატრონის მიმართაც. ამ დროს ცხოველი ხდება პატრონის მფლობელი. ასეთი საქციელი დასაშვებია მხოლოდ 2 თვემდე ასაკის ლეკვებში, მერე კი სასურველია, გადავაჩვიოთ ის ამგვარ მოქცევას, რადგან, უკვე 3 თვის ასაკიდან ლეკვს ეცვლება კბილები და უფრო ინტენსიურად იწყებს სათამაშოებისა და სხვა ნივთების ღრღნას. აღნიშნული საქციელი, განსაკუთრებით ადამიანის მიმართ, აუცილებლად უნდა დაუშალოთ ლეკვს სახლში მოყვანის პირველივე დღიდანვე. უფრო მეტად ჰუმანურია, თუ პატარა მეგობარს მივაჩვევთ სათამაშოებით გართობას. ხელზე კბენის ყოველი მცდელობა ლეკვის დასჯით უნდა დამთავრდეს. გაითვალისწინეთ, რომ, მიუხედავად ამისა, ის მაინც შეეცდება, ხელზე კვლავ გიკბინოთ, ამიტომ არ მიუშვათ თავის ნებაზე.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ალოკაზიას, რომელსაც ფოთლები უხმება?**

**პასუხი:** ალოკაზია არის ტროპიკული მცენარე, რომელსაც ესაჭიროება განსაკუთრებული, ანუ, ტროპიკული გარემოს შექმნა. ის საერთოდ ვერ იტანს ვერც მზის მცხუნვარე სხივებს და ვერც უშუქობას. მას უყვარს გაფანტული მზის სხივები, თანაც, მხოლოდ რამდენიმე საათით. აუცილებელია, ალოკაზია გედგათ მყუდრო გარემოში და არ აწუხებდეს ორპირი ქარი. მისი ნიადაგი უნდა იყოს ყოველთვის ნოტიო, ასევე, ყოველ ორ თვეში ერთხელ უნდა მიაწოდოთ მინერალები, რათა მან კარგად ისაზრდოოს და ზრდაც ნორმირებული ჰქონდეს. ალოკაზია ყვავის თითქმის მთელი წელიწადი. შესაძლებელია, ის ამრავლოთ ამონაყარით ან მისი თესლით. მცენარე არ არის ძალიან რთული მოსავლელი. ის ყოველი ახალი ფოთლის წამოღებისას ყრის ძველ ფოთლებს, ამიტომ არ აქვს რთული პროცესი ფოთლის გამოცვლისას. ეცადეთ, რომ მას არასდროს შეატეხოთ ფოთოლი. მას ფოთლები მხოლოდ მაშინ უყვითლდება, როდესაც არ ჰყოფნის საკვები ელემენტები ნიადაგზე ან ორპირ ქარში დგას.

**კითხვა: როგორ გავახარო ფილოდენდრონი?**

**პასუხი:** ფილოდენდრონი ძალიან ლამაზი და იშვიათი სახეობის მცენარეა. მის ოჯახში რამდენიმე ათეული ჯიში შედის. ფილოდენდრომი არასდროს დატოვოთ უწყლოდ. აუცილებელია თითქმის ყოველ მეორე დღეს მორწყვა, რადგან, ეს მცენარე ტროპიკებიდან არის და არ უყვარს, როდესაც ძალიან მცხუნვარე მზის გულზე დგას. ზამთრის ცივ დღეებში ფილოდენდრონი აუცილებლად შეიტანეთ ბინაში ან სათბურში და იქ გამოაზამთრეთ. დანამეთ ის თითქმის ყოველდღე. ეს მცენარე კარგი გასამრავლებელია მაშინაც კი თუ, გადაჭრით და ამონაყარებს გაიკეთებს. ამონაყარები, შესაძლოა, თავად დაფესვიანდეს და შემდეგ გადაიტანეთ სხვა ქოთანში.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ ეონიუმს და რამდენად პრეტენზიული მოსავლელია ის ბინაში?**

**პასუხი:** ეს მცენარე იოლად იზრდება, უყვარს სინათლე. სინათლის ნაკლებობა ფოთლების წაგრძელებასა და გამწვანებას იწვევს, როზეტები კი გადაიხსნება და ფორმას დაკარგავს. ეონიუმი მცხუნვარე მზესაც იტანს, ამიტომ, შეგიძლიათ, ზაფხულში გარეთ გაიტანოთ. მაღალი მცენარე მყარად რომ იდგეს, მოზრდილ და მძიმე ქოთანში ჩარგეთ. მთელი წლის განმავლობაში სინათლე სჭირდება, ზამთარშიც კი, როცა ის „იძინებს". ზამთარში სიგრილე უფრო მოსწონს, დაახლოებით 8-10 გრადუსი. ზაფხულში კი 18-24 გრადუსიც ჰყოფნის. ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, თორემ, ფოთლები მოეჭმუჭნება. თვეში ერთხელ მორწყეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქით. წყალს ფოთლებზე ნუ მოახვედრებთ – თეთრ, უშნო ნაკვალევს დატოვებს. ზამთარში მორწყეთ მხოლოდ მაშინ, თუ ფოთლები სცვივა ან სიხასხასეს კარგავს. ამ დროს დამატებითი კვება არ სჭირდება. ძველი ფოთლები ჭკნება და ცვივა. მაღალი, შიშველღეროიანი ეონიუმი შეგიძლიათ ძირში გადაჭრათ – ასე მცენარე უფრო ლამაზი ფორმის გაიზრდება. გასამრავლებლად როზეტები მოაცილეთ და ტენიან, ქვიშიან ნიადაგში ჩარგეთ. ფოლადის ან მინის ზედაპირზე შემოდგმული ეონიუმი განსაკუთრებით ლამაზია. ზაფხულის დასაწყისში ის მომცრო ზომის ყვითელ ყვავილებს გამოიღებს და კიდევ უფრო ეფექტური გახდება. ეონიუმი დაახლოებით 50 სანტიმეტრი სიმაღლის იზრდება და მისთვის მინიმალისტური ინტერიერიც საკმარისია.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# რატომ შესთავაზა ახალგაზრდამ მეგობრებს ვალის გადახდის სანაცვლოდ, მშობლების დაყაჩაღება



72 წლის ლამზირა კ-შვილი საავადმყოფოში თავის არეში მიყენებული დაზიანებით მოათავსეს. მოხუც ქალს თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანება ჰქონდა მიყენებული. ქირურგიული ჩარევისა და ექიმთა მცდელობის მიუხედავად, ლამზირა კ-შვილის გადარჩენა ვერ მოხერხდა – ის საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

საავადმყოფოდან მომხდარის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია დაფიქსირდა პოლიციაში. პირველადი სამედიცინო დასკვნით, მოხუცი ქალი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი იყო. საავადმყოფოში მისულმა სამართალდამცველებმა უპირველესად დაკითხეს მოქალაქე – 43 წლის მალხაზ ბ-უა, რომელიც გარდაცვლილი ქალბატონის მეზობელი იყო. სწორედ მან მიიყვანა ქალი საავადმყოფოში. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „გვიანი საღამო იყო, როცა სამსახურიდან სახლში დავბრუნდი. ჩვენი სახლი სამსართულიანია, მეორე სართულზე კ-შვილები ცხოვრობენ, მე მათ ზემოთ, მესამე სართულზე მაქვს ბინა. სადარბაზო ჩაბნელებული იყო, კიბეს ტელეფონით ვინათებდი. სიბნელეში ვერ შევნიშნე კიბის საფეხურზე დაგდებული ქალი, რომელსაც შემთხვევით დავადგი ფეხი. ტელეფონი მივანათე და მხოლოდ მას შემდეგ დავინახე, რომ კიბეზე ლამზირა დეიდა იწვა. გადმოვატრიალე, ქალი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ცოლს დავუძახე, ხმაურზე მეზობლებიც გამოცვივდნენ ეზოში. ქალი საკუთარი ხელით ჩავიყვანე ეზოში, მანქანაში ჩავსი და საავადმყოფოში წამოვიყვანე. რა მოხდა მის ბინაში და ვინ დაესხა თავს მოხუცს, ამის შესახებ არაფერი ვიცი."

როგორც წინასწარი მოკვლევით დადგინდა, ლამზირა კ-შვილი ბინაში შვილთან, რძალთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა. მისი შვილი და რძალი პირად საქმეებზე იმ დღეს რაიონში იყვნენ წასულები, რაც შეეხება 20 წლის შვილიშვილს, ის ინციდენტის დროს სახლში არ იმყოფებოდა. შესაბამისად, რა მოხდა კ-შვილების ბინაში, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ინციდენტიდან რამდენიმე საათში, სამართალდამცველებმა შეძლეს, როგორც ბინის დათვალიერება, ასევე, გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრებთან გასაუბრება. როგორც გაირკვა, შვილი და რძალი ავადმყოფ მოხუცს მარტოს თითქმის არასდროს ტოვებდნენ, მაგრამ იმ დღეს, გამოუვალი სიტუაციის გამო, მარტო ერთი ღამით მოუხდათ მისი დატოვება. უცნობი თავდამსხმელი. თუ თავდამსხმელები კ-შვილების ბინაში სწორედ იმ დღეს აღმოჩნდნენ, რაც შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ გახდა ცნობილი. როგორც დაზარალებულთა დაკითხვიდან გაირკვა, სახლიდან არაფერი არ იყო გატაცებული. თუმცა, ცხადი იყო, რომ დამნაშავე ბინაში საგულდაგულოდ ეძებდა იმას, რაც გამოძიებისთვის უცნობი, დაზარალებულთათვის კი კარგად ცნობილი გახლდათ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაიწყო გამოძიება. სამართალდამცველებმა საკუთარი წყაროებით დაადგინეს, რომ ცოლ-ქმარი კ-შვილები ოქროს ნივთების რეალიზაციას ეწეოდნენ, შესაბამისად, მათ მიერ მიცემული ჩვენება, რომ სახლიდან არაფერია წაღებულიო, შესაძლოა სიმართლე არ ყოფილიყო. ამ ეჭვს ის ფაქტი უფრო ამყარებდა, რომ სანდო წყაროს ინფორმაციით, ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, ცოლ-ქმარი, სავარაუდოდ, სომხეთში იყო წასული, ეს კი მიუთითებდა, რომ მათ ბინაში ოქროს ნივთები აუცილებლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცოლ-ქმარი ამის შესახებ გამოძიებასთან არაფერს ამბობდა. გამოძიებამ დაკითხა კ-შვილების შვილი, 20 წლის ვაჟი – მამუკა. მან განაცხდა, რომ იმ დღეს, როცა მისი ოჯახის წევრს თავს დაესხნენ, მეგობართან იყო სტუმრად და მომხდარის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. დაკითხვის დროს მამუკა კ-შვილს სახეზე დაზიანებები აღენიშნებოდა, რომელიც კოსმეტიკის საშუალებით ჰქონდა დაფარული. თუმცა, კვალი ბოლომდე ვერ წაეშალა. მან განაცხადა, რომ დაზიანება დაცემის შედეგად მიიღო – ღამით ნასვამი მივდიოდი ქუჩაში, წავიქეცი და სახე დამიზიანდაო, განაცხადა მან სამართალდამცველებთან. თუმცა, როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, 20 წლის ახალგაზრდა, რომელიც ნარკოტიკის აქტიური მომხმარებელი გახლდათ, სავარაუდოდ, ნაცემი უნდა ყოფილიყო და სახეზე „დამალული" იარებიც, შესაძლო ცემის კვალი ყოფილიყო. მოგვიანებით ეს თავად მამუკა კ-შვილმაც აღიარა. ქუჩაში უცნობმა ახალგაზრდამ სიგარეტი მთხოვა, არ ვეწევი და ამის გამო ჩხუბი მოგვივიდაო, – განაცხადა მან.

გამოძიებისთვის ნათელი იყო, რომ დაზარალებული ოჯახის ყველა წევრი ცრუ ჩვენებას იძლეოდა – ცოლ-ქმარი საგულდაგულოდ მალავდნენ, რომ ბინიდან ოქროს სამკაულები იყო წაღებული. ძალიან საეჭვოდ ემთხვეოდა მოხუცზე უცნაური თავდასხმის ამბავი მათი ვაჟის ცემის ფაქტს, რასაც მამუკას სახეზე არსებული დაზიანებები ადასტურებდა. პირველი, ვინც გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყო და აღიარა, რომ ცრუ ჩვენება მისცა, გარდაცვლილი ქალბატონის შვილი, რამაზ კ-შვილი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ბინიდან 5 ათასი დოლარის ღირებულების ოქროს სამკაულები იყო გატაცებული. ამის შესახებ კი მხოლოდ იმიტომ არ განაცხადა, რომ ოქრო კონტრაბანდული გზით იყო შემოტანილი. ამის შემდეგ გამოძიება უკვე სხვა კვალს გაჰყვა. მათ გატაცებული ოქროს ძიება 20 წლის მამუკა კ-შვილის საახლობლო წრის გადამოწმებით დაიწყეს – ვერსია, რომ ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმაში მამუკაც მონაწილეობდა, სარწმუნო მას შემდეგ გახდა, რაც გამოძიებამ დაადგინა, რომ მას ვალის გადაუხდელობის გამო, ფიზიკურად გაუსწორდნენ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით ცნობილი გახდა, რომ მამუკა კ-შვილს წაგებული თანხა ჰქონდა გადასახდელი, რის გამოც, ყოფილი თანაკლასელი და მისი ბიძაშვილი დაუპირისპირდნენ. გამოძიება კვალში ჩაუდგა ორ ახალგაზრდას, რომლებიც როგორც დადგინდა, კრიმინალურ საქმიანობაში იყვნენ. როგორც გამოძიებით დადგინდა, 20 წლის ზაზა კ-ძე, რომელიც წარსულში ნარკოტიკების მოხმარებისთვის იყო ნასამართლევი, იმ დღეს, როცა კ-შვილების ოჯახზე თავდასხმა მოხდა, მათი ბინის სიახლოვეს რამდენჯერმე ნახეს. სამართალდამცველებმა ზაზა კ-ძის შემდეგ მისი ბიძაშვილის, ბექა ფ-ძის „შესწავლა" დაიწყეს. როგორც დადგინდა, მას ასევე ჰქონდა ურთიერთობა მამუკა კ-შვილთან, რომელიც მისგან დროდადრო ნარკოტიკულ საშუალება – მარიხუანას იღებდა.

> **მოხუცი ქალის მკვლელობა ჩვენს გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ ქალი ისეთი მაგარი გამოდგა, ყველაფერი აგვირ-დაგვირია**

სამართალდამცველებმა დაადგინეს იმ ადამიანის ვინაობაც, ვისთანაც კ-შვილების ოჯახიდან გატაცებული ოქრო მოხვდა. ამის შემდეგ გამოძიებამ დააკავა ზაზა კ-ძე და ბექა ფ-ძე, რომელთაც ჩადენილ დანაშაულთან კავშირი უარყვეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოძიებამ მათ წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები გამოიყენა, ბიჭებმა ჩადენილი ყაჩაღობა აღიარეს. ამონაწერი ბექა ფ-ძის აღიარებითი ჩვენებიდან: „მამუკა კ-შვილს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი ბიძაშვილის კლასელია. ბოლო წლებში უფრო ახლო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ მამუკა ძალიან ხშირად გვიქმნიდა პრობლემებს. რამდენჯერმე თავისი წილი თანხა არ გადაიხადა, რის გამოც პრობლემები მე შემექმნა. საბოლოოდ, მას ჩემი 1 700 ლარი დაუგროვდა. როცა თანხის გადახდა მოვთხოვე, იუარა, მე ფული არ მაქვს, მაგრამ ისეთ „ნაკოლს" მოგცემთ, ათჯერ მეტ ფულს ამოიღებთო. არც კი ვიცოდი, რომ მისი მშობლები ოქროთი ვაჭრობდნენ. ჩვენი საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ, მამუკა თვითონ დამიკავშირდა და მითხრა, რომ მის ბინაში ინახებოდა 5 ათასი დოლარის ღირებულების ოქროული. მამუკამ შემომთავაზა, დამეყაჩაღებინა მისი ბინა და ამისთვის თვითონ მოაწყობდა ყველაფერს. მე დავუკავშირდი ჩემს ბიძაშვილს, ზაზა კ-ძეს, მის გარდა ვერავის ვენდობოდი და ვუთხარი, რომ მამუკამ თავის თავზე აიღო ყველა დეტალი-მეთქი. მან ისე მოაწყო, რომ მშობლები ერთი დღით სოფელში გაგზავნა. ვიცოდით, რომ ბინაში დაგვხვდებოდა მამუკას ბებია, მაგრამ მან გვითხრა: ისეთი ქალია წინააღმდეგობას არ გაგიწევთო. ჩვენ მაინც თავი დავიზღვიეთ, წინასწარ დაგეგმილ დროს ნიღბებით მივედით კ-შვილების ბინაში. ვიცოდით ადგილი, სადაც ინახებოდა ოქროს სამკაულები, მაგრამ სახლში მაინც ყველაფერი გადმოვყარეთ, რომ მამუკაზე ეჭვი არავის აეღო. ბინა, შეთანხმებისამებრ, ღია დაგვხვდა. ჩვენდა გასაკვირად, მოულოდნელად ბებიამ ისეთი წინააღმდეგობა გაგვიწია, ვერ წარმოვიდგენდით. სასტუმრო ოთახში დაბალ მაგიდაზე რკინის სუვენირი დავინახე, ავიღე და მოხუცს თავში ჩავარტყი, რომ როგორმე მომეშორებინა. ამის შემდეგ ავიღეთ ოქროს ნივთები და დავტოვეთ სახლი. მეორე დღეს მამუკამ გვითხრა, რომ ბებია ხოხვით გამოსულა სადარბაზოში, სადაც ის მეზობელმა იპოვა და საავადმყოფოში წაიყვანა. მე და ზაზას ოქროს გაყიდვა არც გვიცდია, ორი დღით მეგობარს მივაბარეთ, სიტუაციის დაწყნარებას ველოდებოდით, რადგან მოვლენები ისე განვითარდა, რასაც არ ველოდით. მოხუცი ქალის მკვლელობა ჩვენს გეგმაში არ შედიოდა, მაგრამ ქალი ისეთი მაგარი გამოდგა, ყველაფერი აგვირ-დაგვირია."

როგორც დაზარალებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა, ისინი მალევე მიხვდნენ, რომ დანაშაულში მათი შვილიც იყო გარეული და გადაწყვიტეს, საერთოდ არ გაეხმაურებინათ ოქროს სამკაულების გატაცების ფაქტი. ამას ისიც დაერთო, რომ ოქროს სამკაულები კონტრაბანდული გზით ჰქონდათ შემოტანილი. ცრუ ჩვენებებმა, რაც მათ გამოძიებას მისცეს, დაზარალებული ცოლ-ქმარი დამნაშავეებად აქცია.

სასამართლომ 20 წლის ზაზა კ-ძე და 23 წლის ბექა ფ-ძე დამნაშავედ ცნო ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდებით და ზაზა კ-ძეს – 10, ბექა ფ-ძეს კი – 11 წლით პატიმრობა მიესაჯა.

სასამართლომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა დაზარალებული კ-შვილების ოჯახის ყველა წევრს – მამუკა კ-შვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მისი მშობლებს კი, ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით, სამ-სამწლიანი პირობითი სასჯელის მოხდა დაეკისრათ.

**ეკა ბარაბაძე**

ნიკა ლაშაური

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-41 (667)**

– რაღა ჩვენ და რაღა არსენა ოძელაშვილი, – მივუგე ბერძენას.

– არსენა ყაჩაღი იყო, ჩვენ კი ქურდები ვართ, – სერიოზულად მითხრა ბერძენამ, რაზეც ღიმილით ვუპასუხე:

– მე გაჭირვებულის დახმარებას და „ვაზვრატებს“ ვგულისხმობდი.

– მაგაში გეთანხმები, – კვლავ სრული სერიოზულობით მითხრა ბერძენამ, – გაჭირვებული და საწყალი კაცის დახმარება სუფთა ქურდული საქმეა.

მე და ბერძენა, რა თქმა უნდა, ფრთიანი ანგელოზები არ ვყოფილვართ და შეცდომებიც დაგვიშვია, მაგრამ, კაცობაში არასდროს ჩავჭრილვართ და ერთ წესიერ ადამიანსაც ვერავინ იპოვიდა, რომელიც ჩვენზე იტყოდა – კობრამ და ბერძენამ დამჩაგრესო.

ნადაშელების ბაითის „დაბომბვას“ თბილისში დიდი რეზონანსი მოჰყვა და მთელი ბობოლა „ძაღლობა“ ფეხზე დადგა. ჩემი გათვლები სწორი აღმოჩნდა: მილიციამ „ჭამა“ – ახალბედა, უცნობი ქურდების ძებნა დაიწყო, ძველები კი მეტი აღარავის შეუწუხებია და არც ბერძენა დაუბარებიათ მილიციის სამმართველოში. „ძაღლებმა,“ რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ჩვენ დაგირავებული ნივთები პატრონებს ინკოგნიტოდ დავუბრუნეთ. ამიტომ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ ნივთებს გადამყიდველებთან იპოვიდნენ, ამიტომ, სამმართველოში ყველა ცნობილი ბარიგა დაიბარეს და გააფრთხილეს. დაბარებულთა შორის იყო ვერცხლისქუჩელი ანზორაც. სწორედ მეორე დღეს ვეწვიე მას სახლში დანარჩენი ფულის წამოსაღებად და, თანხა რომ მომცა, მითხრა:

– „ძაღლები“ ნადაშელის ბაითიდან წაღებულ ძვირფასეულობას ეძებენ. გუშინ დამიბარეს და გამაფრთხილეს, რომ, თუ გასაყიდად მომიტანს ვინმე ამ ნივთებს, მაშინვე მილიციას შევატყობინო. დურაკები! მნახეს, რა, ბოზი! – ანზორამ თავი გააქნია და დაამატა: ისე, ჯობია, ჩემთან მოიტანონ ეს ნივთები, თორემ, სხვა აუცილებლად ჩაუშვებს ქურდებს.

ანზორას სიტყვების ჭეშმარიტი შინაარსის გაგება არ გამჭირვებია. ვერცხლისქუჩელი მიხვდა, რომ ნადაშელების ბაითი ჩემი და ბერძენას გატანილი იყო და ირიბად მითხრა: „მომიტანე და მე გაგიყიდითო“. მე კი, არც ვაციე, არც ვაცხელე და ანზორას პირდაპირ ვუთხარი:

– იმ ნივთებს გასაყიდად არავინ მოგიტანს. ისინი უკვე კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდათ.

– რაო?! – გაუკვირდა ანზორას.

– რა და, დაგირავებული ნივთები პატრონებს დაუბრუნდათ, თან, გაფრთხილებულებიც არიან, რომ კარგა ხანს არსად გამოაჩინონ, – ვუთხარი ვერცხლისქუჩელ ანზორას, რომელმაც, ხელები გაშალა და თქვა:

– არა, ძმაო, ასეთ რამეს არსენა ოძელაშვილიც კი არ აკეთებდა.

მე გამეცინა და ანზორას ნახევრად ხუმრობით ვუთხარი:

– არსენა ყაჩაღი იყო, ჩვენ კი ქურდები ვართ!

ანზორამ ხელები გაასავსავა, შემდეგ საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიდო, რაც იმას ნიშნავდა: „კრინტს არავისთან დავძრავო.“

იმ დღეებში სამხედრო კომისარიატში ვიყავი გამოძახებული, რადგან, ჯარში წასვლა მიწევდა, მაგრამ, მე ქურდობა მინდოდა და ჯარში რა წამიყვანდა?! ამიტომ, ჩემი წილიდან ორასი მანეთი ავიღე და სოხუმში გავემგზავრე. სამი დღის შემდეგ კი მილიციამ ერთ-ერთი სოხუმელის ბინის ქურდობაზე იმ მომენტში დამაკავა, როდესაც ბინიდან პატარა ჩემოდნით გამოვედი, რომელშიც ორიოდე ბროლის ლარნაკი, ვერცხლის პორტსიგარი, ტანსაცმელი და ანტიკვარული მაგიდის საათი მქონდა ჩალაგებული. მორიგე ოპერჯგუფი რომ მომიახლოვდა, გაქცევა არც კი მიცდია. პირიქით, წითურ კაპიტანს გავუღიმე და ვუთხარი:



– ასანთი გამომელია და, ხომ ვერ მომიკიდებთ, უფროსო?

აგრესიულად განწყობილი მილიციელი ჩემმა სიტყვებმა წამით დააბნია და ჯიბისკენაც კი წაიღო ხელი ასანთის ამოსაღებად, მაგრამ, მალევე მოეგო გონს, კოპები შეკრა და ირონიულად მიპასუხა:

– სპიჩკას არა, ქალს მოგიყვან კიდო, არ გინდა?

– ქალი მერე იყოს, ახლა კი სიგარეტზე მომიკიდეთ, თუ შეიძლება, – მშვიდად ვუთხარი წითურ კაპიტანს, თან სიგარეტი მოვსრისე თითებით.

– უყურე ამას, რა ნაგლია... სპიჩკა მინდაო, – თქვა მილიციელმა.

– რა მოხდა, უფროსო, ასანთი გთხოვეთ, ფული ხომ არა. თუ არ მაძლევ, ნუ მაძლევ, წავედი, – ვთქვი მე და ასფალტზე დადებულ ჩემოდანს დავწვდი.

– „ნაგლოსტ ვტოროე სჩასტიე“ (თავხედობა მეორე ბედნიერებაა), – რუსულად თქვა წითურმა მილიციელმა და მკითხა: ფული ხომ არ გინდა? მითხარი, არ მოგერიდოს. მოგცემ, რამდენი გინდა? სპიჩკა კი, ბოდიში და, არა მაქვს, არ ვეწევი.

– ფული არ მინდა, უფროსო, მაქვს.

– ბევრი გაქვს?

– ას ოცი მანეთი.

– ას ოცი რაა, ბიჭო, ათას ორასი მაინც გეთქვა.

– ამდენი არ მაქვს. აბა, კარგად, წავედი...

– სად წახვედი? აბა, სტოპ! – მითხრა მილიციის წითურმა კაპიტანმა და მკითხა: ჩემოდანში რა გაქვს?

– პირადი ნივთები და ტანსაცმელი, – ისე მშვიდად და თავდაჯერებულად მივუგე კაპიტანს, რომ შევატყვე, ლამის ეჭვიც კი შეეპარა, ხომ არაფერი მეშლებაო და იფიქრა: პატიოსანი ბიჭია და არ ტყუისო, მაგრამ გამოცდილი საბჭოთა მილიციელი იყო, თანაც – სოხუმელი, ამიტომ, მითხრა:

– მოდი აქ და კაპოტზე გახსენი ჩემოდანი, ვნახოთ შენი პირადი ნივთები და ტანსაცმელი.

მე მილიციის მანქანის კაპოტზე დავდე ჩემოდანი, გავხსენი და წითურს ვუთხარი:

– ნახეთ, უფროსო, საეჭვო არაფერი მიდევს ჩემოდანში.

მილიციის მანქანა აბრდღვიალებული ლამპიონის ქვეშ იდგა და ყველაფერი კარგად ჩანდა. წითურმა კაპიტანმა ჩემოდნიდან ანტიკვარული მაგიდის საათი ამოიღო, შეათვალიერა და მკითხა:

– რად გინდა, ბიჭო, ამხელა პირადი ნივთი, მაჯის საათი არ გაქვს?

– სახლიდან შემთხვევით წამომყვა, უფროსო...

– რომელი სახლიდან? – თქვა მილიციელმა, ჩემოდნიდან უზარმაზარი პიჯაკი ამოიღო, რომელშიც სამი ჩემნაირი ჩაეტეოდა და მკითხა, – დესანტნიკი ხომ არ ხარ შენ, დესანტნიკი?

– არა. რატომ მეკითხებით, უფროსო?

– იმიტომ, ბიჭო, რომ ამხელა პიჯაკი პარაშუტად თუ გამოგადგება და, ვიფიქრე დესანტნიკია-მეთქი.

– დიდი ბაბუა მყავს და ეგ პიჯაკი იმისია. სიჩქარეში შემთხვევით ჩავდე ჩემოდანში.–

– აჰა, გასაგებია. ყალიჩავა, დაადე მაგ დაბნეულს ბრასლეტები და ჩასვი ფაეტონში! – უბრძანა წითურმა ერთ-ერთ ხელქვეითს და სიგარეტი გააბოლა.

ზემდეგმა ყალიჩავამ ხელბორკილები დამადო და, მანქანაში რომ ვჯდებოდი, წითურ კაპიტანს ვუსაყვედურე:

– აბა, არ ვეწევიო უფროსო? ასანთიც გქონიათ და სიგარეტიც.

– ისე განვიცადე შენი ტყუილები, რომ ძალიან გავნერვიულდი და მოწევა დავიწყე.

– თავს გაუფრთხილდი უფროსო, ნერვებს ნუ აჰყვები, – ვუთხარი კაპიტანს, რომელსაც გაეცინა და მკითხა:

– სიგარეტის მოწევა გინდა?

– მინდა.

– ყალიჩავა, მოხსენი ბრასლეტები, – უბრძანა წითურმა ხელქვეითს. ხელბორკილები რომ მომხსნეს, წართმეული სიგარეტი დამიბრუნა, ასანთი აანთო და მითხრა:

– მოუკიდე და მოწიე.

სოხუმის მილიციის სამმართველოში რომ მივედით, ყოველგვარი დაძალების გარეშე, საკუთარი ნებით დავწერე აღიარებითი ჩვენება ბინის გაქურდვის შესახებ და ერთი საათიც არ იყო გასული, რომ წინასწარი დაკავების საკანში, ეგრეთ წოდებულ „კაპეზეში“ მომათავსეს. წითურმა კაპიტანმა პირადად მიმაცილა საკნამდე და, სანამ ზედამხედველი კარს გამიღებდა, მილიციელმა მითხრა:

– არ გეწყინოს, ძმაო. რას იზამ, ასეთი სამუშაო მაქვს. შენ იპარავ, მე კი ქურდებს ვიჭერ. არა მგონია, დიდი სროკი მოგცენ. ცოტა ფულს თუ გადაიხდი, შეიძლება, გარეთაც კი გამოგაგდონ. აბა, კარგად იყავი.

– კარგად, უფროსო, – მივუგე წითურ მილიციელს და ოთხადგილიან საკანში შევედი, სადაც სამი ადამიანი დამხვდა.

საკნის მობინადრეებიდან ორი გალელი იყო, ერთი კი – ოჩამჩირელი. გალელები მატარებლებში მოჩალიჩე ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც კუპეებს ძარცვავდნენ და რკინიგზის მილიციამ იმ დროს დააკავა, როდესაც „ესვეს“ კუპედან ვიღაც პარტიულ ბობოლას, რომელიც თბილისიდან სოჭში მიემგზავრებოდა საყვარელთან ერთად, დიდი ტყავის ჩემოდანი მოჰპარეს. ოჩამჩირელი კი სამოც წელს მიტანებული ჯიბგირი იყო: ის დაზარალებულმა პირადად დააკავა და მილიციაში მიიყვანა. დაზარალებული მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსი აღმოჩნდა და ჯიბგირი მას სასადილოს რიგში საფულეს ჰპარავდა.

– რა გქვია და რისთვის დაგიჭირეს? – მკითხა ოჩამჩირელმა ჯიბგირმა და ნარზე წამოჯდა.

– კობრა მქვია და ბინის ქურდობაზე დამიჭირეს, – მივუგე ჯიბგირს.

– აქაური არ უნდა იყო. სად ცხოვრობ?

– თბილისელი ვარ.

– რომელუბნელი ხარ?

– მთაწმინდელი.

– ოო, მთაწმინდა, მთაწმინდა... მაგარი ქურდული უბანია, ბევრი ჩვენიანი ცხოვრობს იქ და ჩემი პაკალენიის ხალხს ყველას ვიცნობ, – მითხრა ოჩამჩირელმა ჯიბგირმა და მთაწმინდელი ქურდებისა და შავების სახელები ჩამომითვალა, რაზეც მე ვუთხარი, ყველას ვიცნობ-მეთქი. ჯიბგირმა კი ნარიდან იატაკზე ჩამოდგა ფეხები, ადგა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:



– ჯოტო ვარ მე, კემულარია და „პორტმანაა“ ჩემი კლიჩკა.

– სასიამოვნოა, ჯოტო ბიძია, – მივუგე პორტმანას, მან კი გალელები იხმო და გამაცნო:

– ეს ჭიჭიკოა, ეს კი – ზარქუა.

ჭიჭიკომ და ზარქუამ ხელი ჩამომართვეს, იქვე, უხმოდ ჩამოსხდნენ ნარზე და პორტმანას მოსმენა განაგრძეს, რომელიც საკუთარ თავგადასავალს ყვებოდა, თან აბოლებდა და ჩეფირს სვამდა. უცებ პორტმანამ შუბლზე იტკიცა ხელი და მითხრა:

– კინაღამ გამოვშტერდი კაცი! კობრა, ძმაო, ჩეფირს ხომ დალევ?

მიუხედავად იმისა, რომ ქურდული კანონები კარგად მქონდა ათვისებული, დონისა და ციხეების ცხოვრებას თეორიულად ვიცნობდი და ჩემ ირგვლივ მყოფნიც საკმაოდ ხშირად სვამდნენ ჩეფირს, მე ის სულ ორჯერ მქონდა გასინჯული და არ მომეწონა, მაგრამ, ჯოტო კემულარიას უარს როგორ ვეტყოდი და მივუგე:

– კი, დავლევ.

– ზარქუა, მიდი ერთი კაი ჩეფირი მოგვიხარშე! – უთხრა ერთ-ერთ გალელს პორტმანამ და თხრობა განაგრძო.

ზარქუას მოდუღებული ჩეფირი რის ვაივაგლახით დავლიე და ვცდილობდი, არ შემემჩნია, რომ ეს სასმელი არ მიყვარდა, რაც კარგად გამომივიდა. ჭიქა რომ დავცალე, პორტმანამ შემომთავაზა, კიდევ ხომ არ გაიმეორებდიო, რაზეც ვუთხარი:

– არა. გმადლობთ. მეტი არ მინდა, მეყოფა.

პორტმანა დილამდე გვიყვებოდა თავის ამბებს და ლაპარაკში ჩაეძინა. მე კი ჯერ გამომძიებელთან მიმიყვანეს, რომელმაც ბრალი წამიყენა და პირდაპირ დრანდის ციხეში გამგზავნა. იქ მე სულ რაღაც ერთი კვირა ვიჯექი და, როცა სოხუმის სასამართლომ ოთხწლიანი პატიმრობა მომისაჯა, მეორე დღესვე ეტაპით გამომგზავნეს თბილისში და „გუბერნსკში“ გამომამწყვდიეს, რომ ზონაში ეტაპირებისთვის მოვემზადებინეთ. ეტაპირების წინა დღეს ბერძენამ მომინახულა. პაემნების ოთახში რომ შევედი, გადამეხვია, მომიკითხა, მოზრდილი ცელოფნის პარკი მაგიდაზე დადო და მითხრა:

– გრევები არსად მოგაკლდება. ახლა მითხარი, როგორ ხარ, ხომ არ გიჭირს ჯდომა?

– არა, რა მიჭირს, სულ ჩვენიანები არიან და მაგრად ვართ. ჩემები როგორ არიან?

– ნერვიულობენ. დედაშენი ამბობს, ნეტავ მოესწრო და ჯარში წასულიყო, ციხეში ხომ არ მოხვდებოდაო...

– ჯარი რომ არ მინდოდა, სროოკზე იმიტომ წავედი, თორემ, ასე ტუფტაზე ჩავვარდებოდი?! – გამეცინა მე. ბერძენამ კი მისაყვედურა:

– კობრა, ძმაო, არ ჯობდა, რომ დავთესილიყავით და რუსეთში გვეჩალიჩა? შენ კი არაფერი მითხარი, სოხუმში წახვედი და სროკი აიკიდე.

– რომ დავთესილიყავი, დეზერტირობისთვის გამოაცხადებდნენ ჩემზე ძებნას თუ დამიჭერდნენ, ჯარში ძალით წამიყვანდნენ და ყველაფერი ჩამეშლებოდა, ასე კი დაზღვეული ვარ – ჯარში უკვე აღარ გამიწვევენ და, შემიძლია, მშვიდად ვიყო. ეს საკითხი მოგვარებული მაქვს.

– ხვალ ზონაში გიშვებენ, ხომ?

– კი, წულუკიძეში.

– იქ სულ ჩვენიანები არიან. დღესვე ქსივას გავუშვებ და დაგხვდებიან, – მითხრა ბერძენამ და დაამატა: ბოლო ორი საქმიდან შენი წილი შენახული მაქვს და, რომ გამოხვალ, მიიღებ. თუ მანამდე გამსროკეს, გეტყვი, სად ვინახავ და შენ თვითონ აიღე.

– რას ამბობ, ბერძენ?! ათასი მანეთი ჩემებს მიეცი, დანარჩენი კი შენ გამოიყენე და ჩვენიანებს გაუნაწილე, – ვუთხარი ბერძენას.

– კარგი, მასე ვიზამ. ახლა კი წავედი. ზონაშიც ჩამოგაკითხავ და, საერთოდაც, არაფერი მოგაკლდება, – მითხრა ბერძენამ, გადამეხვია და წავიდა.

წულუკიძის შრომა-გასწორების კოლონია, როგორც ცხონებული „ცალხელა“ ამბობდა, სხვა საპყრობილეებთან შედარებით სამოთხე იყო და ყველა იქ მოხვედრას ცდილობდა. ზონაში რომ შევედი, იქ თორმეტი ქურდი დამხვდა, რომელთაგან ორი თბილისელი იყო და ორივეს კარგად ვიცნობდი, დანარჩენები კი დასავლეთ საქართველოდან იყვნენ და „სტოსი“ მათ მიჰყავდათ. ზონას ერთი არათბილისელი ქურ-



დი უყურებდა, რომლის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ. მისი საქციელი თავიდანვე არ მომეწონა და მის ქმედებებში ბესპრედელშჩიკის მნიშვნელოვანი დოზა შევნიშნე. ის პატიმრებს მუშაობას აძალებდა, რომ გეგმა გადაჭარბებით შესრულებულიყო და ქურდებისთვის მუშადღეები დაეწერათ, რათა ზონის ადმინისტრაციას რეჟიმი არ გაემკაცრებინა. არადა, ქურდული კანონების თანახმად, ქურდს არანაირი უფლება არ აქვს, სხვა პატიმარს მუშაობა დააძალოს, მით უმეტეს, ქურდის ტიტულის მაძიებელს.

ზემოხსენებული ზონის მაყურებელ ქურდს შევატყვე, რომ თავიდანვე არ მოვუვედი თვალში. მაგრამ, მან იცოდა, რომ ქურდის ტიტულის მაძიებელი ვიყავი, თანაც ზურა ქართველიშვილის მეზობელი, ფაქტობრივად, მისი ხელდასხმული და სწორედ ეს ფაქტორები აკავებდა და ვერ მიშარდებოდა. მთელ ზონაში ქურდების გარდა ერთადერთი არაქურდი პატიმარი ვიყავი, რომელიც არ მუშაობდა და ჩაის არ კრეფდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ზონაში რუსი ეროვნების ოციოდე წლის ბიჭი მოიყვანეს. ბიჭს ვასილი მიშკინი ერქვა, წარმოშობით როსტოვიდან იყო და ოთხწლიანი სროკი ქუთაისში ჩადენილი ქურდობისთვის მისცეს. ის პირველივე დღეს დაიბარა ზონის მაყურებელმა, ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა და უთხრა:

– ხვალ დილით სამუშაოდ გახვალ – ჩაის საკრეფად.

– არ გავალ, – ბიჭმა კატეგორიული უარი სტკიცა ქურდს, რომელმაც ის ამრეზით შეათვალიერა და ჰკითხა:

– რატომ?

– იმიტომ, რომ ქურდობა მინდა, ქურდული კანონებით კი მუშაობა არ მოსულა და მე ამ კანონებს ვიცავ, – მშვიდად და გასაგებად მიუგო ბიჭმა.

– ქურდული კანონებით თუ ცხოვრობ, მაშინ უნდა იცოდე, რომ ქურდის სიტყვას უნდა დაემორჩილო. მე ქურდი ვარ და გეუბნები, რომ უნდა იმუშაო – ასეა საჭირო, რადგან, პალაჟენია გვიფუჭდება.

– ჩემი უმუშევრობით თქვენ რა პალაჟენია გიფუჭდებათ? მე ოფიციალურად ვაცხადებ უარს და პასუხიც მე მომეთხოვება ადმინისტრაციისგან, თქვენ რა შუაში ხართ?

ზონის მაყურებელს რომ ჭკუა ჰქონოდა, ბაზარს იქვე მოკლავდა და ბიჭს დაიახლოვებდა. მან კი შეპასუხება ვერ აიტანა და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ვასილი მიშკინს უთხრა:

– ეი, ვასია, მომისმინე! შენ რა, ქურდულ სიტყვას არ ემორჩილები?

– მე თქვენი ვასია არ ვარ, თანაც, სიტყვას გააჩნია. არ ვიმუშავებ.

ვასილი მიშკინმა საკმაოდ დიპლომატიური პასუხი გასცა თავგასულ ზონის მაყურებელს, თუმცა, ამ უკანასკნელმა თავი უკიდურესად დამცირებულად იგრძნო, ბიჭს სილა გააწნა და უთხრა:

– შენი დედაც... იმუშავებ, რომ გეუბნები, არადა დაიტკეპნები!

– სულიც რომ ამომხადოთ, არ ვიმუშავებ, ხელს კი იმიტომ არ გიბრუნებთ, რომ ქურდი ხართ და არ მოსულა, რომ არაქურდმა ქურდს დაარტყას, – მიუგო ქურდს ვასილი მიშკინმა, რომელსაც თვალებზე ცრემლები მოაწვა.

– უყურე ამ ნაგლს! ქუთაისში, ჩვენს ტერიტორიაზე ჩალიჩობდა და მებლატავება! – უთხრა ქურდმა თავის კოლეგებს ქართულად და დაამატა: ხელს არ გიბრუნებო, ესე იგი, ხელის დარტყმა უნდოდა? მოდი, ერთი გავიფინოთ ფეხქვეშ და ჭკუა ვასწავლოთ!

– მე ნაგლი არა ვარ! – მხოლოდ ამ ფრაზის წარმოთქმა მოასწრო ბიჭმა, რომ ზონის მაყურებელი კოლეგის მიერ გაბრიყვებულმა ქურდებმა ბიჭი ძირს დააგდეს, წიხლებით შესდგნენ და გინებით გამოაგდეს ბარაკიდან...

ვასილი მიშკინი ჩემს ბარაკში შემოვიყვანე, ჩემ გვერდით დავაწვინე და ყველაფერი დაწვრილებით მოვაყოლე, ბოლოს კი ვანუგეშე და ვუთხარი:

– ახლა შენ დასვენება გჭირდება და კარგად უნდა გამოიძინო, დილით კი ვნახოთ, რა მოხდება.

– მე ვიცი, რასაც ვიზამ. შენ კი, ძმაო, დიდი მადლობა, რომ პადძერჟკა მომეცი.

– ეს რა პადძერჟკაა, გცემეს და ხმაც კი არ ამოგილია.

– არ მაქვს უფლება, რომ ქურდს შეურაცხყოფა მივაყენო. მაგრამ, ამ უსამართლობას უპასუხოდ ნამდვილად არ დავტოვებ, – მითხრა ვასილი მიშკინმა.

მეორე დღეს მიშკინმა როსტოვში ქსივა გაგზავნა. ქურდებს კი ვასილი აღარ შეუწუხებიათ და არც სამუშაოდ გასვლა მოუთხოვიათ მისთვის. ზონის მაყურებელი შორიდან აკვირდებოდა ვითარებას და, როგ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კ | ა | კ | ო | | ო | ა | მ | ა | ს |
| | | | | | | | რ | | ბ | ი | ლ | ი | ნ | ა |
| | | | | | გ | რ | ა | ნ | ა | დ | ა | | ე | |
| | | | | | ი | | მ | | რ | ა | ნ | ტ | ი | ე |
| | | | | | ვ | ა | ი | მ | ა | რ | ი | | | გ |
| | | | | | ი | | ტ | | ბ | | ა | კ | უ | ა |
| | | | | | კ | ა | ი | ს | ა | | | ა | | ბ |
| | | | | | ო | | | ი | ს | ქ | ე | ს | ე | |
| ქ | | ხ | მ | ა | | ხ | ო | ნ | ი | | | ა | | ბ |
| რ | ი | | უ | რ | ბ | ა | | დ | | რ | ა | ნ | დ | ა |
| ი | რ | უ | რ | | | ს | ტ | ი | პ | ე | ნ | დ | ი | ა |
| ს | ა | ნ | ტ | ა | | ა | | | | ტ | ა | რ | ა | ს |
| | კ | ი | ა | ზ | ო | | ნ | ა | ნ | ი | ნ | ა | | ი |
| | ლ | ო | ლ | ა | შ | ვ | ი | ლ | ი | | ი | | ა | |
| კ | ი | ნ | ო | | ი | | ა | | ბ | რ | ა | ი | ლ | ი |
| ა | | ი | | გ | | ა | ბ | ე | ლ | | შ | | ო | მ |
| ლ | ი | | ტ | ა | ე | პ | ი | | ი | ა | ვ | ა | | რ |
| ი | | ი | | რ | ვ | ა | | ს | ა | მ | ი | ზ | ნ | ე |
| დ | ო | რ | ტ | მ | უ | ნ | დ | ი | | ა | ლ | ი | ა | |
| ა | | ი | ბ | ო | | ა | | დ | | ნ | ი | ა | ვ | ი |
| ს | ე | დ | ა | ნ | ი | | ბ | რ | ე | დ | | ტ | ი | პ |
| ა | | ა | | ი | ნ | ტ | რ | ი | გ | ა | ნ | ი | | ო |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 7 | 5 | 8 | 6 | 1 | 2 | 9 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 8 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 2 | 3 | 8 | 1 | 5 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 7 | 1 | 4 | 6 | 3 | 8 | 5 | 2 |
| 5 | 8 | 4 | 9 | 7 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 7 | 1 | 8 | 3 | 2 | 9 | 4 | 6 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 4 | 8 | 7 | 1 | 3 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 5 | 7 | 2 | 9 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 2 | 7 | 1 | 3 | 6 | 5 | 8 |
| 1 | 6 | 8 | 5 | 2 | 9 | 4 | 3 | 7 |
| 7 | 3 | 5 | 8 | 6 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 8 | 3 | 6 | 9 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 7 | 8 | 9 | 2 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 4 | 5 | 8 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 | 9 | 4 |
| 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 1 | 3 | 7 | 2 |
| 3 | 2 | 4 | 9 | 5 | 7 | 1 | 8 | 6 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ვენეციის გონდოლა. 2. თამბაქოს (სიგარეტს). 3. იფიქრებდნენ, რომ ეს მესამე სერიაა და პირველი ორი გამოვტოვეთო. 4. შექსპირის პიესების. 5. მარქსს. 6. სხვადასხვა ტკივილის გამოხატვის სიმულაცია. 7. სხვა ქვეყნის ფული. 8. „პეპსი“ – „სევენ აფის“ რეკლამა. 9. რომ დედოფალი ფეხმძიმედ იყო. 10. რკინის ნახევარმთვარე.**

ორც შევატყვე, შეშფოთებული იყო. ჩემი აზრით, მას რაღაც ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა და არც შემცდარა: ვასილი მიშკინის უსამართლო ეგზეკუციიდან შვიდი დღის შემდეგ, წულუკიძის ზონაში ზურა ქართველიშვილი შემოვიდა. ის იმ პერიოდში რუსეთში იხდიდა სასჯელს და, იმის გამო, რომ მას არც ერთი ზონა არ იღებდა თითქმის სამი თვე ეტაპებში გაატარა, სროკი მატარებელში დაუმთავრდა და, ჯერ სახლშიც კი არ იყო ნამყოფი, რომ პირდაპირ წულუკიძეში ჩამოვიდა. ადმინისტრაციას მან მაყუთი გაუმაზა, ზონაში შემოვიდა და პირდაპირ ჩვენს ბარაკს ეწვია. ზურას ვიზიტი ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პირი დავაღე. მან კი კოპებშეკრულმა გამიცინა და მითხრა:

– რამ გაგაშეშა, ბიჭო, მოდი, განახო.

– ზურა, როგორ ხარ? – ვთქვი მე და გადავეხვიე მას.

– ჯერ სახლშიც არ ვყოფილვარ, – მითხრა ზურამ, შემდეგ ვასილი მიშკინზე მიმითითა და მკითხა: ალბათ, ეს ბიჭია „ვასია მეჩენი“ (ნიშნიანი), ხომ?

– ეს ვასილი მიშკინია, – მივუგე ზურას, რომელმაც მითხრა:

– კი. ეგაა, – შემდეგ ყურადღებით შეათვალიერა ყმაწვილი, გადაეხვია და უთხრა:

– ვასია ბრილიანტისგან მოკითხვა. მე ზურა ქართველიშვილი ვარ.

– გამარჯობა, ძია ზურა, – უთხრა მიშკინმა ქართველიშვილს, – როგორ ბრძანდებით?

– ცოტა ხანში უფრო კარგად ვიქნები, – კოპები შეიკრა ზურამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე ვიღაცას მისი რისხვა უნდა დასტყდომოდა თავს, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

– მიდი, ერთი, პოლიტბიურო მომირეკე აქ!

– „პოლიტბიუროს“ ზურა ქურდულ ბარაკში შეკრებილ ქურდებს ეძახდა. მე ბარაკიდან გავედი, ქურდებთან მივედი და ზონის მაყურებელს ვუთხარი:

– ზურა ქართველიშვილი გიბარებთ ქურდებს.

– ვაა, რას ამბობ, ზურა შემოიყვანეს? – მითხრა გაფითრებულმა ზონის მაყურებელმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა ყველაფერი.

– ჩვენთან გელოდებათ, – არ ავყევი გაფითრებულ ქურდს, მასავით ნირწამხდარი მისი კოლეგები შევათვალიერე და უკან დავბრუნდი.

– რა ქენი? – მკითხა ზურამ, როცა ბარაკში დავბრუნდი.

– ვუთხარი, – მივუგე ზურას და ათიოდე წამში ბარაკს თორმეტი ქურდი მოადგა, რომლებსაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, ადამიანი იფიქრებდა, საკუთარ პანაშვიდზე მოვიდნენო, რაც, არც ისე შორს იყო სიმართლისგან.

– ზურას სიცოცხლე! – რაც შეეძლო მხნედ თქვა ზონის მაყურებელმა, ქართველიშვილმა კი მიუგო:

– გარეთ დამელოდეთ, გამოვალ.

ქურდები გავიდნენ, ზურამ კი მე და ვასია მეჩენის გვანიშნა, გამომყევითო და სამივე გარეთ გავედით. ქურდები მწკრივში იდგნენ და ზურას ელოდნენ, რომელმაც ისინი შეათვალიერა, ორი თბილისელი ქურდი მწკრივიდან გამოიხმო და უთხრა:

– ხომ ხვდებით, რისთვის ვარ აქ?

– კი, ვხვდებით, – ერთდროულად მიუგეს ქურდებმა და თავები ჩაღუნეს.

– მერე, რატომ მიიყვანეთ აქამდე საქმე? მიპასუხეთ!

– შუმოკს მოვერიდეთ, – კვლავ ერთხმად თქვეს თბილისელმა ქურდებმა ისე, რომ თავი არ აუწევიათ.

– ერთი ეგ გამართლებთ და, მეორე ის, რომ ამ პატიოსანი კაცისთვის ხელი არ დაგირტყამთ, – ზურამ ვასილზე მიუთითა თბილისელებს და დაამატა: განზე გადექით!

თბილისელი ქურდები განზე დადგნენ. ზურამ კი თქვა:

– შუმოკი კი მაინც ატყდა. მთელმა საიუზმა შეიტყო ეს ამბავი და ქართველ ქურდებს თავი მოგვეჭრა. ვასია ბრილიანტმა ქსივა გამომიგზავნა და ამ საქმეში გარკვევა მთხოვა. აბა, თქვი, რა პრეტენზიები გაქვთ ამ კაცთან, – ზურამ ვასია მეჩენიზე მიანიშნა ზონის მაყურებელს და მწვეული მზერა შეავლო.

– ისეთი არაფერი, ზურა, პატარა გაუგებრობა მოხდა, – თავის მართლება და ზურას რისხვის განეიტრალება სცადა ზონის მაყურებელმა.

– შენ პატარა გაუგებრობა გგონია ის დიდი შუმოკი, რომელიც შენ გამო მოხდა და პატიოსან ხალხს ცუდად შეეხო?

– ბოდიში, რა, ზურა, მართლა არ მეგონა, თუ ასე მოხდებოდა.

– ბიჭო! შენ ვინა ხარ, რომ კაცს მუშაობას აძალებ, თანაც, დედას აგინებ, წიხლებს ურტყამ და ამას აკეთებინებ სხვებსაც?

– იზვინი, რა, ზურა, ბოდიში, – გაფუჭებული პატეფონივით იმეორებდა ზონის მაყურებელი.

– რა იზვინი, რის ბოდიში, ბიჭო?! ბარემ პიონერული სიტყვაც მომეცი, რომ მეტს აღარ იზამ. ქაქი ჭამე და ახლა სუფთად გინდა ამ საქმიდან გამოძვრე?!

– იზვინი რა, ზურა, იზვინი... – ლამის ატირდა ზონის მაყურებელი.

– რის იზვინი, შე ფუცანა, – კბილებში გამოსცრა ზურამ და ზონის მაყურებელს ხელისგულები შემოჰკრა ყურებში. იგივე უქნა ზურამ დანარჩენ ცხრა ქურდსაც და ეგზეკუცია რომ დაასრულა, თქვა:

– ამჯერად, ამას გაკმარებთ, მაგრამ, თუ კიდევ მიჰქარავს რომელიმე თქვენგანი მცირედსაც კი, უკვე აღარავის დავინდობ. ახლა კი თავისუფლები ხართ!..

ზურა კვლავ ჩვენს ბარაკში დაბრუნდა ჩვენთან ერთად და ორიოდე საათი დაყო.



– კობრა, ძმაო, რას იტყვი, იქნებ გადაიფიქრო ქურდობა და პროფესორი გახდე? – მითხრა ზურამ.

– შაყირობ?

– რატომ? რა, პროფესორობა ცუდია?

– ცუდი არაა, მაგრამ, ქურდობა მინდა.

– ხომ ნახე, როგორი „პა უშამ“ მოხვდათ მაგ ქურდებს, – ღიმილით მითხრა ზურამ და დაამატა, – პროფესორი კი მშვიდად, სუფთად ზის კაბინეტში თავისთვის და არც „პა უშამ“ ურტყამს ვინმე. ჰა, რას იტყვი, არ გინდა პროფესორობა?

– არა, ქურდობა მინდა.

– გინდა და გინდოდეს, – ხელი ჩაიქნია ზურამ, – მაგრამ ყოველთვის კარგად დაფიქრდი, რომ იალიში არ მოგივიდეს, თორემ, ხომ იცი, ტრუპი ვარ.

– შენ როგორ ხარ ტრუპი?

ზურა ვერ მიხვდა, რომ ვეხუმრებოდი და აღშფოთდა:

– რა „რატომ,“ შე მამაძაღლო! შენ რომ იალიში მოგივიდეს, მე სადღა გამოვყო თავი?

– გეხუმრები, ზურა-ჯან, რა იალიში, მე შენ შეგარცხვენ?

– კარგი, კარგი, ავვარდი. მოკლედ, წავედი. რას დამაბარებ შენებთან?

– უთხარი, კარგად არის-თქო, მეტი რა უნდა დაგაბარო?

– წერილს არ მისწერ?

– არა.

– კარგი, აბა, წავედი, – თქვა ზურამ, მე და ვასია მეჩენის გადაგვეხვია და ზონიდან წავიდა.

მე და ვასილ მეჩენმა ოთხი წელი ერთად, ერთ ჭერქვეშ გავატარეთ... ერთად ვჭამდით და ვსვამდით, ყველა სიხარულსა და გაჭირვებას ერთად ვიზიარებდით და ერთად გავთავისუფლდით. უფრო სწორად, ვასია მეჩენი ჩემზე ათი დღით გვიან გათავისუფლდა, სახლში მეწვია და ჩემთან მხოლოდ სამი დღე დაყო, შემდეგ კი როსტოვში გაემგზავრა... მას მერე კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ხელახლა შევხვდით ერთმანეთს და ესეც ცუდი ამბით იყო გამოწვეული...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-41(667)

### „ძვირფასი" რჩევები

მამაკაცების უმრავლესობისთვის, თუ ყველასთვის არა, გამოცანად რჩება, რატომ დადიან ქალები ტუალეტში ჯგუფურად. ისინი ამას ვერც ვერასოდეს მიხვდებიან, რადგან, ძლიერი სქესისთვის სრულიად უცხოა ამ ორიგინალურ ადგილას ჭორაობის ხიბლი. აბა, როგორ უნდა აუხსნა კაცს, რას ნიშნავს დაქალთან ერთად ტუალეტში განმარტოება და გულის მოოხება. ესეც ბუნებრივ მოთხოვნილებად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, მაშინ, როცა სათქმელი შენს შიგნით „ზობოქრობს" და ბოთლში ჩამწყვდეული ჯინივით თავის დახსნას ცდილობს...

***

ლიზამ სიგარეტს მოუკიდა, სარკეში ჩაიხედა და ტუჩთან შერჩენილი თამბაქოს ფერფლი ფრჩხილით ფაქიზად მოიშორა.

– ესე იგი, ჩემი რჩევა გჭირდება... – გაიმეორა ჩაფიქრებულმა.

ქეთიმ თავი დაუქნია:

– ბევრი პრობლემა მაქვს, ლიზა. შენ თუ მიშველი... ჩემს ნაცნობ-მეგობრებში ყველაზე კომპეტენტური შენ ხარ.

– ჰო, მართალი ხარ, ამ საქმეში რაღაც გამეგება, მაგრამ, რატომ აჩქარდი? სახლიდან კაცის გაგდებას ყოველთვის მოასწრებ. ხომ ხედავ, ნანობ და არ იცი, უკან როგორ დაიბრუნო. დარწმუნებული ხარ, რომ გინდა მისი დაბრუნება?

– რა თქმა უნდა! რაც დრო გადის, სულ უფრო მეტს ვდარდობ და ვნერვიულობ.

– ხედავ? მაგაშია საქმე. საკუთარი თავი დააზარალე. ხომ გეუბნებოდი ჯერ კიდევ პარიზში, კაცთან ურთიერთობაში ემოციებს არ უნდა აჰყვე-მეთქი.

ქეთიმ ამოიოხრა:

– რა ვიცი, ვერ შევძელი. გამოცდილება არ მეყო.

– არა უშავს, მოვიფიქრებთ რაღაცას... მოვწევ და გავიდეთ. დრო მაქვს. ლევანს ვუთხარი, მაღაზიებში გავივლი-მეთქი და, შეიძლია, საღამომდე შენთან ერთად ვიყო. მანამდე კი ყველაფერი მომიყევი.

მოგიყვები... მართლა ვერ წარმოვიდგენდი, ასე ადვილად თუ შემელეოდა.

ლიზას გაეღიმა:

– როგორი გულუბრყვილო ხარ. რას ნიშნავს „შემელეოდა"? ვინ გითხრა, რომ შეგელია, საიდან მოიტანე?! უბრალოდ, გაბრაზებულია შენზე და გსჯის.

– ფაქტია, რომ ჩემი ნახვა არ უნდა და არც სახლში დაბრუნებას ცდილობს.

– ვაიმე, ქეთ, რა გეშველება ასეთ მიამიტს... ეგ შენი ვახო ჩვეულებრივი მამრია – არაფერი განსაკუთრებული. ჰოდა, ჩვეულებრივი მამრივით აზროვნებს და იქცევა. დარწმუნებული ვარ, გული გაუსკდა, როცა წასვლაში ხელი არ შეუშალე.

– რა ვიცი... მე მსგავსი ვერაფერი შევამჩნიე. ისეთი მონდომებით ალაგებდა თავის ნივთებს...

– მოსაჩვენებლად აკეთებდა ამას, რომ დაგეთმო. შენ კი ვერ მიხვდი.

– გუშინწინ ჩუმად მოსულა და თავისი პერანგები წაუღია. ძიძამ მითხრა.



– აჰა, ესე იგი, შენ როცა არ ხარ სახლში, მაშინ მობრძანდება ხოლმე? – თვალები მოჭუტა ლიზამ, – ორიგინალურობის არაფერი სცხიათ ამ კაცებს... ყველა ერთნაირად აზროვნებს – პრიმიტიულად.

– ანუ, შენი ქმარიც მოქცეულა ასე?

– ჰმ, ვინ მისცა საშუალება და გასაქანი, თორემ, უარს ნამდვილად არ იტყოდა... – გადაიკისკისა ლიზამ, – პრინციპში, მცდელობა ჰქონდა – ბოდავდა რაღაცეებს... ლამის შემომთავაზა, ცალ-ცალკე ვიცხოვროთო, მაგრამ ვერ მივართვი: ეგრევე, საკონტროლო გასროლით მოვცელე – დავორსულდი და ახლა თავდაყირა დადის...

ქეთის თვალები გაუფართოვდა:

– რა გინდა ამით თქვა, უნდა დავფეხმძიმდე?! რანაირად? ხომ გითხარი, წასულია-მეთქი. თანაც...

– მოიცა, ბოლომდე არ მითქვამს. გავიდეთ აქედან და მწვანე ჩაი დავლიოთ. ეს ჩემი ქმრის კაფეა და დარბაზში ვერ ვეწევი... ისე, თავი უნდა დავანებო მოწევას, ბავშვზე მართლა არ იმოქმედოს. შენ ეწეოდი ორსული?

– რა ვიცი, ახლა ისე ვნერვიულობ, არ მახსოვს, სამი წლის წინ რას ვაკეთებდი... მგონი არა... შენ რა, მართლა ფეხმძიმედ ხარ?

– ჰო, აბა?! გეგონა, ვხუმრობდი? ერთი თვის ვიქნები, ალბათ. ტესტმა დამიდასტურა.

ქეთიმ ეჭვით შეხედა.

– ჰა, ჰა, ჰა... – გულწრფელად გადაიხარხარა ლიზამ, – ვიცი, რაც გაინტერესებს – ქმრისგან ვარ ფეხმძიმედ თუ არა?! რა სასაცილო ხარ... ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ შვილი მეყოლება და ლევანიც ჩემს ფეხებთან იქნება მოკუნტული. ჯერ ვითომ არ უნდოდა, ახლა კი დღეებსა და საათებს ითვლის. გიჟი მამა იქნება.

– ვახოც გიჟი მამა იყო და ახლაც კი მოდის ბავშვის სანახავად, მაგრამ...

– ქეთი, ტყუილად ნერვიულობ. ვიპოვი გამოსავალს, თანაც, სულ ადვილად.

– ვითომ? მე იმედი გადავიწურე.

– რატომ უფრო ადრე არ მითხარი? ისე, მაინც რაზე იჩხუბეთ?

– აბა, რა გითხრა? წვრილმანებზე ყოველთვის ვჩხუბობდით. ახლაც სერიოზული არაფერი ყოფილა... ბოლოს რომ მაწყენინა, პარიზში წამიყვანა... ჩამოვედით, ვიფიქრე: მორჩა, ახლა ყველაფერი ძველებურად იქნება-მეთქი, მაგრამ, გადაირია – მე რატომ არ მეკითხები ყველაფერსო. გაჭედა... მეც აღარ დავუთმე და...

– ო, ჩხუბი არ უყვართ კაცებს. ყველაფერს გაპატიებენ, თუ მიეფერები და აუკრუტუნდები.

– ვახო ასეთი არ არის, ეტყობა, გამონაკლისია.

– მამაკაცებში გამონაკლისები მარტო გეები არიან. რა, არ იცოდი? დანარჩენები ერთ ყალიბში არიან ჩამოსხმულები. ქეთი, შენ ხომ არ დაგირეკავს?

– რაც წასულია? არა...

– უნდა შეხვდე.

– არა, არა, ვერ დავურეკავ... მით უმეტეს, ვერ ვთხოვ, შემხვდეს...

– მაგას არც გეუბნები. შემთხვევით უნდა შეხვდე... ვითომ შემთხვევით, ხვდები?

– ვერა. უფრო სწორად... ვხვდები, მაგრამ, ვერ წარმომიდგენია, ეს როგორ უნდა მოვახერხო.

– მოვიფიქრებთ. გადაკვეთის წერტილები უნდა მოვძებნოთ, – ლიზამ თვალები მოჭუტა, – სად მუშაობს შენი ვახო?

– სარეკლამო კომპანია აქვს... ხომ იცოდი?

– დამავიწყდა. იცი, რა ვიფიქრე? ჩემს ქმარს უნდოდა რაღაც სარეკლამო აქსესუარების დამზადება. რომელიღაც ფირმის წარმომადგენელსაც შეხვდა... ვეტყვი, რომ შენს ქმართან მივიდეს. რას იტყვი? მომეცი შენი ქმრის ტელეფონის ნომერი.

ქეთი შეყოყმანდა.

– არა მგონია, კარგი აზრი იყოს. რა მნიშვნელობა აქვს, ვახო შენს ქმარს გაიცნობს

თუ არა. მგონი, პირიქით, უარესი იქნება.
– არა, შენ ვერ გამიგე. მე და შენ მივიდეთ... ან, შეკვეთის მისაცემად ლევანთან დავიბარებ და შენც დახვდები.
– გაგიჟდი? არა! – ქეთიმ წარმოიდგინა ვახოს სახის გამომეტყველება, ცოლი ლიზასთან ერთად რესტორანში რომ დაენახა და შეაჟრჟოლა. შერიგებაზე, ალბათ, აღარც უნდა ეფიქრა.
– ლიზა, რამე სხვა მოიფიქრე, რა...
ლიზამ მხრები აიჩეჩა:
– არ ვიცი. მაშინ, მისი მეგობრებიც უნდა დავიხმაროთ. გაწყობს?
– არა, გამორიცხულია. შეიძლება, ერთმანეთთან ათევს ღამეს და, საერთოდაც, ხომ გაგიგია, კაცი კაცის ტყავს არ დახევსო... არც ეგ ვარიანტი გამოგვადგება.
– იფიქრე... – ლიზამ ჩაი მოსვა, – მანამდე განვიხილოთ ვარიანტები, როგორ შეიძლება მოიქცეს ვახო დაბრუნების შემდეგ.
– მოიცა, როგორ უნდა მოიქცეს?
– აა, შენ მაგაზე არ გიფიქრია? საყვარელო, ფიქრობ, მარტო მისი დაბრუნებაა პრობლემა? როგორ მოიქცევა ის და როგორ მოიქცევი შენ? წარმოიდგინე, მიდიხარ სახლში და გვხვდება ვახო... რას იზამ?
ქეთი შეიჭმუხნა.
– ვაიმე, მინიმუმ, დავიბნევი და, გამორიცხული არ არის, კიდევ ვიჩხუბოთ.
– ხედავ? – ნიშნისმოგებით გაიცინა ლიზამ, – რას აკეთებენ მამაკაცები, როცა ერთმანეთს დიდი ხნის განშორების შემდეგ შეხვდებიან ხოლმე?
– არ ვიცი...
– ხელს ჩამოართმევენ და მხარზე ხელს უტყაპუნებენ – მათ მეტი სიახლოვე არ სჭირდებათ. ქალები კი ერთმანეთს ვეხვევით და ვეხუტებით. ანუ, რა გამოდის? ისინი ჩვენზე ცივები არიან?! არა! უბრალოდ, კომპლექსი არ აძლევთ ემოციებისგან დაცლის საშუალებას.
– აჰა, მგონი, მივხვდი, რისი თქმაც გინდა: ვახოს კომპლექსი აქვს ჩემთან შერიგების?
– ასეა. ვითომ გსჯის, მაგრამ, სინამდვილეში, სახლში მოსვლის ეშინია.
– ვითომ?
– დამიჯერე... მოკლედ, შემთხვევით უნდა შეხვდეთ, რა! იმისთვის შემთხვევით, თორემ, შენთვის წინასწარ უნდა იყოს ყველაფერი გარკვეული.
– მე მაგას ვერ მოვახერხებ.
ლიზამ საათს დახედა:
– უი, რა დრო გასულა... იცი, რა ვქნათ? შენ მოიფიქრე, ვისგან შეგიძლია საჭირო ინფორმაციის მოპოვება და დამირეკე. არ მოგერიდოს. ნუ ინერვიულებ, დალაგდება ყველაფერი. მთავარია, შენ გინდა მისი დაბრუნება, დანარჩენი ტექნიკის საქმეა...

***

ვახომ თავი ასწია:
– რა ხდება?
– არაფერი, – გიგიმ სკამი გამოსწია და მოწყვეტით დაეშვა, – ვიყავი კლიენტთან.
– კარგია. რაღაც დაღლილი ჩანხარ. ბევრი საქმე იყო?
– ისეთი არაფერი. იცი შენ ლევანი – რესტორნებისა და კაფეების ქსელი რომ აქვს... ერთხელ დაგვპატიჟა კიდეც...



– ჰო, მახსოვს... თუმცა, რესტორანში მაშინ არ ვყოფილვარ. პარიზში ვიყავი ქეთისთან ერთად, – ვახომ ამოიოხრა... – რა მნიშვნელობა აქვს, მახსოვს თუ არა. შეკვეთა მოიტანე?
– კი. თავისი ცოლიც გამაცნო.
– ეგ ნაკლებად მაინტერესებს, – მოიღუშა ვახო, – კლიენტების ცოლების გაცნობაღა მაკლდა...
– მეც რომ გითხრა, გული გამინათდა-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ, რა მექნა? დამპატიჟა და ახალი კერძი გამასინჯა. თავისი ფეხმძიმე ცოლისთვის მოუფიქრებია რეცეპტი, საგანგებოდ.
ვახომ ისე ახედა გიგის, როგორც შეშლილს.
– გიგი, შენ რა, მთვრალი ხარ?
– არა, საიდან მოიტანე? მხოლოდ ვისადილეთ. ერთი წვეთიც არ ჩამიკარებია პირში.
– აბა, რა სისულელეებს მელაპარაკები? არ იცი, რა პრობლემა მაქვს? ამ სიტუაციაში ყველაზე ნაკლებად ჩვენი კლიენტის, ვიღაც ლევანის ცოლის ორსულობა მაინტერესებს, ისეთ საშინელ დღეში ვარ... დავიჯერო, ქეთიმ ვერ შენიშნა პერანგები რომ წამოვიღე?
გიგიმ მხრები აიჩეჩა:
– აბა, რა გითხრა? კარადა თუ დაათვალიერა, წესით, უნდა მიმხვდარიყო. ქალებს ეგეთი რაღაცეები არ ეშლებათ ხოლმე.
– ესე იგი, ფეხებზე ვკიდივარ.
– ამას რატომ ამბობ?
– იმიტომ, რომ, თუ ნახა და ამის მერეც არ დარეკა, არ უნდა ჩემთან შერიგება და ეგ არის.
– ნერვიულობ?
– ძალიან... არ მეგონა, ასე თუ ვინერვიულებდი. რა ვქნა, არ მინდა ოჯახის დანგრევა... ქეთი მაინც მიყვარს, მიუხედავად ყველაფრისა.
– ჰო, მესმის.
– არა, არ გესმის. რომ გესმოდეს, მაშინ კლიენტის ცოლის ფეხმძიმობაზე ლაპარაკით არ ამატკიებდი თავს.
– ეჰ, სულ არ ამოვიღებდი ხმას. ნეტავი, მეც არ მაინტერესებდეს, – წამოსცდა გიგის.
ვახომ გაოცებით შეხედა:
– ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდა.
– არაფერი, დაივიწყე... ქეთისთან როგორ შეგარიგო? მოდი, ერთად ვიფიქროთ.
– შენ რას მიშველი? – ხელი ჩაიქნია ვახომ, – ეჰ, არ უნდა წამოვსულიყავი, დღითი დღე რთულდება ყველაფერი, ხომ ხედავ? მგონი, უჩემოდაც კარგად გრძნობს თავს.
– შემთხვევით უნდა შეხვდეთ – ეს არის გამოსავალი! – წამოიძახა გიგიმ და თვალები გაუბრწყინდა.
– მაინც, როგორ წარმოგიდგენია ჩვენი შემთხვევითი შეხვედრა? – გამოაჯავრა ვახომ, – საიდან მოგდის ასეთი ორიგინალური აზრები?
– როგორ და... ქეთი ხომ სტომატოლოგია?
– არ მითხრა ახლა, რომ მასთან უნდა მივიდე და კბილი დავიპლომბო... – გაცხარდა ვახო, – შენ დღეს არაადეკვატური ხარ. წადი, იმუშავე. დღეს დედაჩემთან უნდა გავიდე, ორი დღეა ისტერიულად მირეკავს. იქ დავრჩები, ალბათ.
– მოიცადე, მართლა მინდა, დაგეხმარო. შენ არა, მე წამიყვანე კლინიკაში. მის გარდა სხვა ექიმიც ხომ ჰყავთ იქ? ვითომ უცებ, ძალიან ამტკივდა კბილი და საერთოდ არ ვიცი, რომ ქეთისთან ნაჩხუბარი ხარ. ვთხოვე, გამყევი-მეთქი და შენც წამიყვანე. ჰა, როგორი ვარიანტია? ვცადოთ.
ვახო ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე თავი გააქნია:
– არ გამოვა. იდიოტურ სიტუაციაში ჩავიგდებ თავს.
– აბა, რა გინდა? ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს ეს კოშმარი?
– აუცილებლად, თორემ, მეტს ვეღარ გავუძლებ. დასრულებით კი, ალბათ, სასამართლოში დასრულდება.
– გაგიჟდი? მაგაზე არც იფიქრო. ბავშვს რას უშვრებით? ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ქეთის შეურიგდე.
– შენ მეუბნები მაგას?
– ჰო, მე გეუბნები. ვნანობ, ნინი რომ დავკარგე. ჭკუა რატომ არავინ დამარიგეთ? მით უმეტეს, რომ ნინი ჩემი ცოლი არ იყო. წარმომიდგენია, ერთად რომ გვეცხოვრა და შვილიც გვყოლოდა, როგორ განვიცდიდი ამ ამბავს. მოკლედ, აჯობე რა, შენს თავმოყვარეობას. კარგ ვარიანტს გთავაზობ. ხვალ დილითვე წამიყვანე და ნახავ, თუ არ გამოგვივა.
– არ ვიცი, არ ვიცი... კარგი, დილამდე შევხედოთ კიდევ...
ვახოს კაბინეტიდან გამოსულ გიგის დერეფანში ზუკა შეხვდა. ღიღინ-ღიღინით იცვამდა პიჯაკს.
– ვა, გიგი... იცი, რა მაგარ გუნებაზე ვარ? წეღან წარმოვიდგინე, როგორ შევხვდები ლიზას და მაგრად ჩავიხუტებ. ლამის დავარღვიო პირობა და დავურეკო.
გიგი გაშრა.
– რა გეშველება, შე უბედურო! – წამოსცდა შეწუხებული ხმით და ამოიოხრა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# დამოკიდებული ხართ ყოფით წვრილმანებზე?

*თუ ნერვებს აჰყვებით, ყოველდღიურობამ შეიძლება სრულ დეპრესიამდე მიგიყვანოთ. შეიძლება, ვერც ხვდებით, როგორ გაღიზიანებთ ის წვრილმანები, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება და თავსაც ვერ აარიდებთ.*

**გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს და ნახეთ ცხრილი:**

**1. გაღიზიანებთ გადაუწმენდავი მაგიდის ზედაპირი?! მაგალითად, პურის ნამცეცები მასზე:**



ა) არა. ვერც ვამჩნევ;

ბ) არა. გადავწმენდ და მორჩა;

გ). ძალიან. მაცოფებს.

**2. დღის რეჟიმი გაქვთ მკაცრად განერილი?**

ა) რა თქმა უნდა;

ბ) მკაცრად გაწერილი არ მაქვს;

გ) რისთვის არის ეგ საჭირო.

**3. სტუმრები რომ მიდიან უპირველესად რას აკეთებთ?**

ა) სამზარეულოს ვალაგებ და ჭურჭელს ვრეცხავ;

ბ) ტუალეტს ვაწესრიგებ;

გ) ვწვები და ვიძინებ.

**4. შუქი თუ ჩაქრება, შეძლებთ სასურველი ნივთის ოთახში ადვილად პოვნას?**

ა) რა სისულელეა, ვერა;

ბ) გამიჭირდება, მაგრამ ვიპოვი;

გ) რა თქმა უნდა. უპრობლემოდ.

**5. ზუსტად იცით, რამდენი ფული გაქვთ საფულეში?**

ა) ყოველთვის;

ბ) თითქმის. იმიტომ, რომ ბევრი არ მიდევს;

გ) არასოდეს.

**6. ამჩნევთ ნაგავს სადარბაზოში, ლიფტში?**

ა) თუ პირდაპირ ფეხებთან მიყრია, ვამჩნევ;

ბ) კი და ვცოფდები;

გ) არა. ძირს რატომ უნდა ვიყურებოდე?

**7. შემთხვევით, ახალშეღებილ სკამზე დაჯექით. თქვენი ფიქრები...**

ა) ტანსაცმელი გავაფუჭე, არა უშავს;

ბ) ისტერიკას მოვაწყობ;

გ) ვეცდები, გადავარჩინო სამოსი, არ ვინერვიულებ.

**8. საოჯახო საქმეების გეგმა გაქვთ?**

ა) დიახ, მაქვს. ყველაზე მინიმალური გეგმა;

ბ) აუცილებლად. ისე როგორ შეიძლება;

გ) არანაირი გეგმა არ მაქვს არასდროს.

**9. ოჯახის წევრები თავიდან ირიდებენ, დაგეხმარონ...**

ა) შავ დღეს დავაყრი. სულაც წავალ სახლიდან, სტუმრად;

ბ) რა ვქნა, მე დავალაგებ;

გ) ვიჩხუბებ საშინლად.

**10. იცავთ ოჯახურ ტრადიციებს?**

ა) დიახ და ძალიან მკაცრად;

ბ) ზოგჯერ – კი;

გ) არასოდეს. მოსაწყენია.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ბ | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| გ | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |

*10 ქულამდე: ყოფითი წვრილმანებით თავს არ იტვირთავთ. არეულობა არც სახლში გაღიზიანებთ, არც ცხოვრებაში. გესმით, რომ ყოველი წუთით უნდა მიიღოთ სიამოვნება. ეს კარგია. თუმცა, ცოტა წესრიგიც არ გაწყენდათ.*

*11-15 ქულა: ამბობთ, რომ ყოფიერების მონა არ ხართ. თუმცა ღიზიანდებით, როცა რამეს ვერ ასწრებთ. წესრიგისადმი ნორმალური დამოკიდებულება გაქვთ. პრინციპში, სწორი პოზიციაა. ნერვებს უფრთხილდებით.*

*16-20 ქულა: თქვენ თუ ასე გააგრძელებთ, გაგიჟდებით. მეტისმეტი წესრიგი არანორმალურია და დამღლელი, როგორც თქვენთვის, ისე ოჯახის წევრებისთვის. სასწრაფოდ მოჰკიდეთ ხელი რამე საინტერესო საქმეს, თორემ ყოფითი წვრილმანები გადაგყლაპავთ.*

## მშვენიერი ისტორია

სამკაულების ისტორია თითქმის იმავე ასაკისაა, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია. ჩვენ, ადამიანები, სანამ ტანსაცმლით შევიმოსებოდით, ვირთვებ-ვიკაზმებოდიათ და ამის დადასტურება ფაქტებითაც შეიძლება.

პირველი სამკაული ამულეტი და ავგაროზი იყო. თავიდან მას ავი თვალის „განეიტრალების" ფუნქცია ჰქონდა, მერე სამაგრის მაგივრობას სწევდა – ამით იკრავდნენ ტანსაცმელსაც და ფეხსაცმელსაც, თმასაც და ქამარსაც... სამკაულს სასიამოვნო, უფრო სწორად, სიამოვნების მომნიჭებელი ნივთის ფუნქცია ფრანგებმა მიანიჭეს.



ძველი ეგვიპტელების სამკაული მხოლოდ ოქროსგან მზადდებოდა. მათ ინკუსტრირების სფეროში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და ისეთ დონეზე აიყვანეს, რომ მთელ მსოფლიოს ასწავლეს ნატიფი სამკაულების შექმნა.

სამკაულების ძვირფასი ქვებით შემკობა დაიწყეს ძველ ინდოეთში. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ფართო მასშტაბები შეიძინა ალმასისა და ლალის მერე, ფირუზისა და ზურმუხტის იმიტირებული თვლებით სამკაულების დამზადებამ. ინგლისის მანუფაქტურებსა და ქარხნებში შუშას უკვე იშვიათი ოსტატობით ამუშავებდნენ. მოდაში შემოვიდა ყალბი ბრილიანტებიც. ახლა უკვე ნაკეთობასაც დიდი ყურადღება ექცეოდა.

საფრანგეთში სამკაულების დამზადებაში სახელი გაითქვა მეტრ გეორგ ფრედერიკ სტრაზმა. მისი უბრალო ლითონებისა და შუშისგან დამზადებული სამკაულები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სტრაზი პირველი ბრენდი იყო იმიტირებული ძვირფასეულობის დამზადების სფეროში. მერე გაჩნდა ისეთი სახელები, როგორებიცაა: „ტიფანი" – ამერიკაში, „კარტიე" – საფრანგეთში და „ბულგარი" – იტალიაში. იქმნებოდა შედევრები: დიდმა ბენვენუტო ჩელინიმ – აღორძინების ეპოქის მოქანდაკემ და იუველირმა მოიფიქრა ძვირფასი ქვისთვის ბუდეში ფოლგის ნაჭერი ჩაეფინა. ეს ქვას რამდენჯერმე მატებდა ბრწყინვალებას და სამკაულის ფასს მაღლა სწევდა.

სიტყვა „ბიჟუტერია" ფრანგულია. „ბიჟუ" ფრანგულად „იაფფასიანს" ნიშნავს, თუმცა, ბრენდების ბიჟუტერია, სულაც არ გახლავთ იაფი.

## პურზე წასასმელი

ნაღების კარაქის მოსამზადებლად აუცილებელია ნაღები – ნაღები და კიდევ ერთხელ ნაღები.

მეცხრამეტე საუკუნეში ნაღების კარაქი ძალიან ძვირი ღირდა. ის დელიკატესად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც შამპანური, შავი ხიზილალა და მოლუსკები. უბრალო ხალხს ამ პროდუქტზე ხელი არ მიუწვდებოდა. მაშინ მაცივრებიც არ იყო და კარაქი სწრაფად ფუჭდებოდა... ნაღებს ხელით თქვეფდნენ და ერთი მუჭა კარაქის დამზადებას მთელი დღე სჭირდებოდა... იყო დრო, როცა ფრანგები ამბობდნენ: კარაქი საყოველთაო მოხმარების პროდუქტი ვერასოდეს გახდებაო.

სხვათა შორის, ვიტამინები და სასარგებლო ნივთიერებები კარაქში ბევრად ნაკლებია, ვიდრე ყველში, იოგურტში ან თავად რძეში. სამაგიეროდ, კალორიები და ქოლესტერინია ჭარბად. მაშ, რატომ უნდა ვჭამოთ?! – იმიტომ, რომ ის თქვენი და თქვენი კანის სილამაზისთვის არის საჭირო. კარაქს თუ არ შეჭამთ, კანი სწრაფად დაგიბერდებათ. ის მალე დაკარგავს ელასტიკურობას. კარაქი, ასევე, აუცილებელია ჯანმრთელი კბილებისა და ძლიერი ძვლებისთვის. კარაქი სჭირდება თმასაც.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# დაცვა ფხიზლობს

## ლეინ მარში

პიტ ბრონქსი ბანკის დაცვის უფროსად იმ დღიდან მუშაობდა, რა დღიდანაც „ფერმერ-ბანკმა“ მათ ქალაქში დღის სინათლე იხილა. გამოცდილებამ ასწავლა, რომ სიფხიზლე ერთი წუთითაც არ უნდა მოედუნებინა. ლაჟლაჟა ფერის მანქანას მაშინვე ეჭვის თვალით შეხედა. მით უმეტეს, რომ ჩიკაგოს ნომრებიც ამშვენებდა... დაიძაბა და ხელი ტელეფონისკენ გაიპარა... შერიფი გრინი იქვე, ოთხი სახლის იქით ცხოვრობდა და განყოფილებაც არ იყო შორს... მაგრამ, ავტომობილიდან ისეთი თავაზიანი ყმაწვილი გადმოვიდა, პიტს გაეღიმა. ახალგაზრდას იდეალურად შეკერილი კოსტიუმი ეცვა და, სუფთად გაპარსულს, სუნამოს სურნელიც ასდიოდა.

– ბანკის პრეზიდენტის კაბინეტს მიმასწავლით?

– მიგაცილებთ კიდეც, – ზრდილობის ნიმუშად იქცა პიტი, – ძალიან მოეწონა თავაზიანი ახალგაზრდა. დაუზარებლად მიაცილა „ფერმერ-ბანკის“ პრეზიდენტის კაბინეტის კარამდე და პოსტზე დაბრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბანკის სიახლოვეს კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა ჩიკაგოს ნომრებით... საჭესთან გაუპარსავი, ჩასუქებული, უსიმპათიო ტიპი იჯდა. პიტ ბრონქსს ცუდად ენიშნა ასეთი დამთხვევა. ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ, არასდროს ღალატობდა პრინციპს: იყავი ფხიზლად, როცა შეიძლება სხვას ეძინოს! ორი მანქანა ჩიკაგოს ნომრებით... პიტი ისე დაიძაბა... შერიფისთვის უნდა დაერეკა – ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ბანკს რომ გაძარცვავდა ვინმე, ამაზე არ ნერვიულობდა. უბრალოდ, ერთი წუთით დაუშვა, რომ წვერგაუპარსავი იმ თავაზიან ყმაწვილს უთვალთვალებდა. „შეიძლება, ფული უნდა გამოიტანოს – ჩვენთან ხომ კარგი ჯიშის საქონელია... თუმცა, შესაძლოა, ანგარიშის გასახსნელად იყოს მოსული... ნებისმიერ შემთხვევაში, შერიფი საქმის კურსში უნდა ჩავაყენო...“ – გადაწყვეტილება კი მიიღო, მაგრამ, განზრახვა სისრულეში მაშინვე ვერ მოიყვანა. ბანკის შესასვლელში თავაზიანი ახალგაზრდა გამოჩნდა.

– მოგეწონათ ჩვენი პრეზიდენტი? – ღიმილით ჰკითხა პიტმა.

– ძალიან. საქმის კაცი ჩანს.

– ანგარიში გინდათ გახსნათ ჩვენს ბანკში?

– არა. კრედიტი უნდა ავიღო.

– ალბათ, ჯიშიანი პირუტყვის შესაძენად...

ახალგაზრდამ ღიმილით დაუქნია თავი:

– დიახ, რა თქმა უნდა, რომელ სასტუმროს მირჩევდით? ვატყობ, ღამის გათენება აქ მომიწევს.

– ოტელი „კოლორადო“, სერ, მეთოთხმეტე ავენიუზე. თქვენთვის ზედგამოჭრილი იქნება.

– დიდი მადლობა რჩევისთვის, – ზრდილობიანი ყმაწვილი მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. პიტმა ღიმილით გააცილა, მერე მობილური ამოიღო და დარეკა. შერიფი რონ გრინი ხუთ წუთში მასთან იყო.

– იქნებ, უბრალო დამთხვევაა? – ჰკითხა პიტს, როცა მან თავისი ეჭვების შესახებ მოუყვა.

– მე ასეთი დამთხვევების არ მჯერა. რაღაც ისე ვერ არის, – კატეგორიულად განაცხადა პიტმა.

შერიფმა ამოიოხრა:

– არც მე. შენ ახლა რა გინდა, დავაპატიმრო? რანაირად? მხოლოდ შენი ეჭვის საფუძველზე ვერ მივეკარები. მიჩივლებს და იმხელა ჯარიმას დამაკისრებენ, ჩემი ექვსი თვის ხელფასი არ ეყოფა.

– აბა, როგორ მოვიქცეთ?

– არ ვიცი.

– მოდი, მივყვეთ და რაღაცის აუცილებლად გააფუჭებს.

შერიფმა თავი გადააქნია:

– ძალიან მოუსვენარი ვინმე ხარ. კარგი, მივყვეთ, მაგრამ, შენ პოსტზე არ უნდა იყო?

– დავტოვებ შემცვლელს და მოვბრუნდები.

შერიფი და ბანკის დაცვის უფროსი მანქანაში ჩასხდნენ და მეთოთხმეტე ავენიუსკენ გაემართნენ. როგორც კი ოტელ „კოლორადოს“ მიუახლოვდნენ, მაშინვე დაინახეს წვერგაუპარსავი – იქვე იდგა და რაღაცას დაჟინებით მისჩერებოდა.

– პიტ, იქნებ თანამზრახველია? – თქვა შერიფმა, – ჩვენს ყურადღებას ადუნებს. ამასობაში, ის შენი ზრდილობიანი ყმაწვილი ბანკს გაძარცვავს.

– – შეუძლებელია, ეგეთი ყმაწვილები მძარცველები არ არიან. გამორიცხულია. მაგდენი გამოცდილება კი მაქვს. ახალგაზრდა სესხის ასაღებად არის ჩამოსული ჩვენს ბანკში. ჯიშიანი პირუტყვი უნდა შეიძინოს. ფულს გამოიტანს თუ არა, მაშინვე გაძარცვავს. ვერ ხედავ, ფეხდაფეხ რომ დაჰყვება?! უნდა დააპატიმრო.

– უკვე გითხარი, რომ მარტო ეჭვით ვერ დავაპატიმრებ.

პიტი დაიძაბა და უცებ ხელი ხელს შემოჰკრა.

– შეხედე, სად დგას? იქ ნიშანია – მანქანის გაჩერება აკრძალულია! იმოქმედე!

შერიფმა ამოიოხრა და წვერგაუპარსავისკენ წავიდა.

– გადმოდით მანქანიდან! – ბრძანა მანქანასთან მისულმა.

წვერგაუპარსავმა ირონიულად შეხედა:

– დაიკარგე აქედან, ბიძაჩემო, გაქრი!

– მე ამ ოლქის შერიფი ვარ და უხეშობისთვის გაპატიმრებთ...

პიტი მოუთმენლად ელოდა, რას ეტყოდა უკან დაბრუნებული შერიფი.

– რაო?

– მეც შერიფი ვარ ჩიკაგოდან და დამნაშავეს დავდევო.

პიტი შეიჭმუხნა:

– რამე საბუთი აქვს?

– არანაირი. ხელბორკილი დავადე და ოთახში დავტოვე. რევოლვერიც აღმოაჩნდა – მსხვილკალიბრიანი... ამბობს, გზაში ვილაცამ საბუთები მომპარაო. ის ყმაწვილი კი დასავლეთში ყველაზე ცნობილი ბანკების მძარცველიაო.

– რას აპირებ?

– უნდა წავიდე და ის ბიჭი მაინც შევამოწმო.

უცებ სირენის გამაყრუებელი ხმა გაისმა. შერიფმა და პიტმა ერთმანეთს შეხედეს და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ ბანკისკენ. შენობასთან რომ მივიდნენ, ზრდილი ყმაწვილი უკვე შენობიდან გამოდიოდა. მოზრდილი ჩანთით ერთ ხელში, მეორეში კი – მომარჯვებული რევოლვერით... სანამ შერიფი იარაღის ამოღებას მოასწრებდა, მძარცველის რევოლვერმა გაისროლა და ტყვია მას მხარში მოხვდა. შერიფმა იყვირა და მუხლზე ჩაჩოქილმა ხელი ჭრილობაზე მიიდო, საიდანაც სისხლმა იფეთქა. პიტი მეგობარს მივარდა. თან მძარცველს უყურებდა... დაინახა, თავაზიანმა ახალგაზრდამ როგორ შემართა იარაღი ხელახლა და დაუმიზნა... შველა არსაიდან იყო, პიტმა თვალებიც კი დახუჭა და მორჩილად დაელოდა სიკვდილს. იარალი გავარდა... პიტმა ვერაფერი იგრძნო და გაიფიქრა: „ნუთუ ასეთი უმტკივნეულოა სიკვდილი?!“ მაგრამ, მალევე მიხვდა, რომ ტყვია არ მოხვედრია. მკლავზე დაჭრილი შერიფი ებლაუჭებოდა და კვნესოდა... პიტმა თვალი გაახილა... მძარცველი ათი ნაბიჯის მოშორებით ეგდო და იკრუნჩხებოდა. ტყვია სწორედ მას მოხვდა, მაგრამ, ვინ გაისროლა?!

... წვერგაუპარსავი დაჭრილ შერიფთან მივიდა და ჩაიმუხლა:

– აბა, როგორ ხართ? ახლაც არ გჯერათ, რომ მე თქვენი კოლეგა ვარ?

– კი, მაგრამ, ხელბორკილი როგორ გაიხსენით, მე ხომ ოთახში დაგტოვეთ ბორკილებით, მაგიდაზე მიბმული?

– ჰო, ასე იყო, მაგრამ, მაგიდაზე ჩემი ჯიბიდან ამოღებული ხელბორკილების გასაღებიც დატოვე... შერიფო, ეს სერიოზული შეცდომაა – დაგავიწყდა, რომ ამერიკის ნებისმიერ შტატში ყველა ხელბორკილს ერთი გასაღები აღებს? რა გეშველებოდათ, მართლაც ამ ნაძირალას თანამზრახველი რომ ვყოფილიყავი? ეს „უმნიშვნელო“ შეცდომა სიცოცხლის ფასად დაგიჯდებოდათ...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-41(667)

პროკურატურიდან გასვლისას ანას უკვე ხელთ ჰქონდა ყველა იმ აფთიაქის ჩამონათვალი, რომლებშიც ფსიქოტროპიული პრეპარატები იყიდებოდა. თბილისში ოცამდე ასეთი აფთიაქი აღმოჩნდა. მათი ძირითადი ნაწილი სავადმყოფოების სიახლოვეს მდებარეობდა და ეს ამოცანას უმარტივებდა ანას – მას აღარ დასჭირდებოდა აფთიაქების ძებნა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. პროკურატურიდან ყველაზე ახლოს პირველი კლინიკური სავადმყოფო მდებარეობდა. ანას სიის თანახმად, სავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ექვსი სპეციალიზებული აფთიაქი იყო განთავსებული და, ამიტომ, ბევრი აღარ უფიქრია – პროკურატურიდან გამოსული მანქანაში ჩაჯდა და პირდაპირ პირველ კლინიკურ სავადმყოფოს მიაშურა.

პირველმა აფთიაქმა ანას იმედი გაუწბილა. აღმოჩნდა, რომ აფთიაქი საერთოდ არ ვაჭრობდა ბელგიური წარმოების ტრუქსალით. იგივე განმეორდა მეორე აფთიაქში, მესამეში, მეოთხეში...

– რატომ? – დაინტერესდა ანა, – ტრუქსალი ასეთი დეფიციტური წამალია?

– დეფიციტური არ არის, – აუხსნა ფარმაცევტმა, – საბითუმო ბაზარზე თავისუფლად შეიძლება მისი შეძენა, მაგრამ, ტრუქსალზე დიდი მოთხოვნა არ არის. საბითუმო ბაზარზე ერთ ან ორ ქილას ხომ ვერ ვიყიდით, უნდა შევიძინოთ მსხვილი პარტია, შემდეგ კი, შესაძლოა, მის რეალიზაციას ძალიან დიდი ხანი დასჭირდეს. მარტივად რომ აგიხსნათ, ტრუქსალით ვაჭრობა კომერციულად წამგებიანია. აფთიაქს ურჩევნია, ივაჭროს მედიკამენტებით, რომლებზეც მეტი მოთხოვნაა.

– ესე იგი, ტრუქსალს არავინ ყიდულობს?– განაგრძო ანამ.

– ყიდულობენ, მაგრამ, სხვა მედიკამენტებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად.

– რა არის ამის მიზეზი, არაეფექტური საშუალებაა?

– არა, საკმაოდ ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ძლიერმოქმედია. საერთოდ, ექიმები თავს იკავებენ პაციენტებისთვის მისი დანიშვნისგან, უპირატესობას შედარებით სუსტ პრეპარატებს ანიჭებენ. სამკურნალო კურსისთვის და პაციენტისთვისაც უკეთესია შედარებით სუსტი პრეპარატის ხანგრძლივი დროით გამოყენება, ვიდრე იმავე ეფექტის ძლიერმოქმედი პრეპარატის. ტრუქსალს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებენ – მაშინ, როცა სხვა გამოსავალი აღარ რჩება.

– სწრაფ დამამშვიდებელ საშუალებად, – თქვა ანამ.

– დიახ, ძლიერი ნერვული აღგზნებისას. ხედავთ? თქვენც გცოდნიათ, – გაუღიმა ფარმაცევტმა.

– ხომ ვერ მიმასწავლით აფთიაქს, რომელიც ამ მედიკამენტით ვაჭრობს?

– ასე ზეპირად ვერაფერს გეტყვით, შეიძლია, სხვა აფთიაქებს დავუკავშირდე... – ფარმაცევტი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ დაამატა: ერთ რჩევას მოგცემთ – ასათიანის ქუჩაზე წადით. იქ, ფსიქიატრიული სავადმყოფოს სიახლოვეს, რამდენიმე აფთიაქი ფუნქციონირებს. როგორც წესი, მათ უფრო დიდი ასორტიმენტი აქვთ. დარწმუნებული ვარ, ტრუქსალიც ექნებათ.

– რჩევისთვის მადლობას გიხდით. კარგად ბრძანდებოდეთ, – უპასუხა ანამ და აფთიაქიდან გავიდა.

პირველი აფთიაქი, რომელიც ანამ შენიშნა, ფსიქიატრიული სავადმყოფოს ეზოს შესასვლელის გვერდით მდებარეობდა. აფთიაქი არაფრით ჰგავდა ტრადიციულ სავაჭრო დაწესებულებას: იქ არსად ჩანდა სუფთა და კარგად განათებული შუშის დახლები, კარადები და თეთრ ხალათებში გამოწყობილი ფარმაცევტები. ვიწრო დერეფნის ბოლოში მდებარე ტიხარს მცირე ზომის ფანჯარა ჰქონდა დატანებული, რომლის მიღმაც ორმოცდაათიოდე წლის ქალი იჯდა.

– გამარჯობა, – მიესალმა ანა.

– გამარჯობა, – უპასუხა მან, – რა გნებავთ?

– ტრუქსალი გაქვთ? – ჰკითხა ანამ.

– რეცეპტი, – მოკლედ მოსჭრა ქალმა.



რეცეპტის მაგივრად ანამ პროკურატურის გამომძიებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა უჩვენა.

ქალმა ყურადღებით დაათვალიერა მოწმობა, გაოცებული მზერა მიაპყრო ანას და კითხვა გაუმეორა:

– რა გნებავთ?

– როგორც ჩემთვის ცნობილია, ტრუქსალი მხოლოდ სპეციალური რეცეპტითა და მკაცრი აღრიცხვის პირობებში იყიდება.

– დიახ. ჩვენ არასოდეს ვარღვევთ მედიკამენტების რეალიზაციის წესებს, – სწრაფად თქვა ქალმა.

– ძალიან კარგი. მე მაინტერესებს ყველა იმ პიროვნების ვინაობა, რომლებმაც ბოლო ორი თვის განმავლობაში შეიძინეს ტრუქსალი. გაქვთ ასეთი მონაცემები?

– რა თქმა უნდა, მაგრამ, აფთიაქის მფლობელის გარეშე სააღრიცხვო ჟურნალს ვერ გიჩვენებთ.

– ქალბატონო, მე რომელიმე ზედამხედველი სამსახურის წარმომადგენელი კი არა, მთავარი პროკურატურის გამომძიებელი ვარ! – შუბლი შეიკრა ანამ.

– მესმის, მაგრამ... – ქალმა, არ დაასრულა. ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და სასწრაფოდ დაუკავშირდა აფთიაქის მეპატრონეს.

საბედნიეროდ, ის იქვე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში სათავსოში უკანა კარიდან შევიდა და ფარმაცევტ ქალთან ჩურჩული გამართა. მათი საუბარიდან ანას მხოლოდ წყვეტილი ფრაზები ესმოდა:

– მთავარი პროკურატურიდანაა?! რა აინტერესებს? – დაინტერესდა აფთიაქის მეპატრონე.

– არ ვიცი... სააღრიცხვო ჟურნალი მოითხოვა, – უპასუხა ფარმაცევტმა.

– იცოდე, რამე შარში თუ გამხვიე, ცოცხალი ვერ გადამირჩები! – მუქარით თქვა აფთიაქის მეპატრონემ.

– ურეცეპტოდ არაფერი გამიყიდია. სააღრიცხვო ჟურნალში ყველაფერი ზუსტადაა აღრიცხული, – თავი იმართლა ფარმაცევტმა.

– მე გაგაფრთხილე... – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა აფთიაქის მეპატრონემ, შემდეგ სააღრიცხვო ჟურნალი აიღო, დერეფანში გავიდა და ანას მიმართა: რა გნებავთ?

– მე მგონი, თქვენმა თანამშრომელმა უკვე გითხრათ, რომ თქვენი სააღრიცხვო ჟურნალი მაინტერესებს, – უპასუხა მან.

– ეს გასაგებია, მაგრამ რისთვის გჭირდებათ ჩვენი სააღრიცხვო ჟურნალი, ჩვენ რამე დავაშავეთ?

– რატომ ღელავთ? – გაუკვირდა ანას, – მე თქვენგან გარკვეული ინფორმაციის მიღება მსურს და მეტი არაფერი.

აფთიაქის მეპატრონემ უნდობლად შეათვალიერა და შემდეგ თქვა:

– კეთილი... ჩემს კაბინეტში წამობრძანდით.

კაბინეტი დერეფნის საპირისპირო მხარეს მდებარეობდა. ეს იყო ძალიან პატარა სათავსო, რომელშიც მაგიდა, ორიოდე სკამი და ადამისჟამინდელი უშველებელი სეიფი იდგა. აფთიაქის მეპატრონემ სკამი შესთავაზა ანას, თავად მის პირისპირ ჩამოჯდა, ჟურნალი წინ დაიდო და მოლოდინით შეაჩერდა.

– მე მაინტერესებს პრეპარატ ტრუქსალთან დაკავშირებული მონაცემები, უფრო ზუსტად კი, ყველა იმ პიროვნების ვინაობა, რომლებმაც ეს პრეპარატი ბოლო ორი-სამი თვის განმავლობაში შეიძინეს. თქვენ ხომ აწარმოებთ მედიკამენტების აღრიცხვას? – თქვა ანამ.

– რა თქმა უნდა, – აფთიაქის მეპატრონემ ჟურნალი გადაშალა და სააღრიცხვო ჩანაწერებს თითი გააყოლა, თან იმეორებდა: ტრუქსალი... ტრუქსალი... ტრუქსალი.... არის! ბოლო ორი თვის განმავლობაში მხოლოდ სამმა პიროვნებამ შეიძინა ტრუქსალი: ორმა ერთი

თვის წინ, მესამემ კი – ერთი კვირის წინ. იმ ორს ვიცნობ, მუდმივი მომხმარებლები არიან. ეს მესამე კი ახალია. ჩვენგან პირველად შეიძინა ეს პრეპარატი. შეიძლება ადრე სხვა აფთიაქის მომსახურებით სარგებლობდა.

– ჟურნალი მაჩვენეთ, – სთხოვა ანამ.

აფთიაქის მეპატრონემ ჟურნალი წინ დაუდო და საჭირო ადგილი თითით მიანიშნა.

ანამ სწრაფად მოძებნა ჩანაწერი. მედიკამენტის გასწვრივ საафთიაქო სიზუსტით იყო მითითებული გაცემის თარიღი და ექიმის ვინაობა, რომელმაც გამოწერა რეცეპტი. სამივე შემთხვევაში ის ერთი და იმავე ექიმის გაცემული იყო. ფარმაცევტს იქვე ჰქონდა მითითებული, რომ ექიმი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობდა.

ანამ ყველა საჭირო მონაცემი უბის წიგნაკში ამოიწერა და აფთიაქის მეპატრონეს მიუბრუნდა:

– მედიკამენტის პარტიის ნომრის მიხედვით მყიდველის ვინაობის დადგენა შესაძლებელია?

– ასპროცენტიან გარანტიას ვერ მოგცემთ, მაგრამ, მაინც ვცადოთ.

ანამ ბლოკნოტს ჩახედა და ტრუქსალის ქილიდან ამოწერილი ნომერი უკარნახა.

ამასობაში აფთიაქის მეპატრონემ სააღრიცხვო ჟურნალში შესაბამისი გრაფა მოძებნა, შემდეგ მედიკამენტების გაცემის განყოფილებას დაუბრუნდა და უპასუხა:

– ამ სერიის ტრუქსალი ერთი თვის წინ ვაჟა ირემაძემ შეიძინა.

– შეცდომა გამორიცხულია? – ჰკითხა ანამ.

– გამორიცხულია. ირემაძეს პირადად ვიცნობ. ის დაახლოებით სამი წელია ჩვენგან ყიდულობს მედიკამენტებს. ჩვენ დაახლოებით ვიცით მისი რეჟიმი და, ტრუქსალის გარეშე რომ არ დარჩეს, მისთვის ერთი ქილა მედიკამენტი ყოველთვის გადანახული გვაქვს. როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ეს ქილა ძველი პარტიიდან იყო შემორჩენილი. ჟურნალში აღრიცხულმა სხვა კლიენტებმა მოგვიანებით შემოტანილი პარტიიდან შეიძინეს ტრუქსალი.

– თქვენს მეზობლად მდებარე აფთაქებიც ყიდიან ამ მედიკამენტს? – განაგრძო ანამ.

– მხოლოდ ერთი აფთიაქი ვაჭრობდა, მაგრამ, უკვე მესამე თვეა, რაღაც პრობლემები შეექმნა და მუშაობა შეწყვიტა. ისე, ტრუქსალის შეძენის მსურველები ძირითადად ჩვენთან მოდიან.

– რატომ? – დაინტერესდა ანა.

– ჩვენ ყველაზე იაფად ვყიდით ამ მედიკამენტს. ეს ექიმებმაც იციან და რეცეპტის გამოწერისას თავადვე ურჩევენ პაციენტებს ტრუქსალის ჩვენთან შეძენას.

– რეცეპტის გამომწერ ექიმს თუ იცნობთ? – ანამ ჟურნალს ჩახედა, – კეკელიძეს...

– ანდროს? რა თქმა უნდა, – სწრაფად უპასუხა აფთიაქის მეპატრონემ, – ათი-თორმეტი წელი იქნება, რაც აქ მუშაობს, ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია.

ამით საუბარი დამთავრდა. ანამ ყველაფერი გაარკვია, რაც აინტერესებდა. საუბრის დასასრულს მასპინძელს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და პირდაპირ ფსიქიატრიულ კლინიკას მიაშურა.

* * *

ანდრო კეკელიძე საორდინატოროში დახვდა ანას. ის ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ტანმაღალი, ოდნავ შეჭაღარავებული მამაკაცი აღმოჩნდა. როდესაც შეიტყო, რომ სტუმარი პროკურატურიდან იყო, მხოლოდ ერთი რამ იკითხა:

– თქვენი სტუმრობა მე მიკავშირდება თუ რომელიმე ჩემს პაციენტს?

– თქვენს პაციენტს, – უპასუხა ანამ.

– რომელს? – დაინტერესდა კეკელიძე.

– მე თქვენი სამი პაციენტის შესახებ მაქვს გარკვეული მონაცემები, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ვაჟა ირემაძე მაინტერესებს.

– ისევ რამე დააშავა? – მოიღრუბლა კეკელიძე.

– ადრეც დაუშავებია რამე? – ჰკითხა ანამ.

– როგორც ჩანს, მის დოსიეს არ იცნობთ.

– ჯერჯერობით არა.

– დაუშავებია. სულ მცირე, ორჯერ მაინც გადაურჩა პატიმრობას და, მხოლოდ იმიტომ, რომ, დაზარალებულებმა შეიბრალეს როგორც ავადმყოფი

– შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით მიამბოთ იმ შემთხვევების შესახებ?

– შემიძლია. დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ირემაძე მეზობელს დაესხა თავს. მიზეზი ერთობ ბანალური იყო: გვიან ღამით გვარიანად შეზარხოშებულმა მეზობელმა მისი სახლის წინ გააჩერა მანქანა, მაგნიტოფონი მთელ ხმაზე ჩართო და თითქმის ერთი საათის განმავლობაში უსმენდა მუსიკას. მოთმინებიდან გამოსულმა ირემაძემ ლანძღვაგინებით მოსთხოვა მაგნიტოფონის გამორთვა, პასუხად კი იგივე ლანძღვა-გინება მიიღო. ამან ირემაძეს საერთოდ დააკარგვინა წონასწორობა და ის ხის კეტით შეიარაღებული დაესხა თავს მეზობელს. შეხლა-შემოხლისას მეზობელმა საკმაოდ მძიმე დაზიანებები მიიღო. როგორც მახსოვს, მას გაუტყდა თავი, მიიღო ტვინის შერყევა და გაბზარული ჰქონდა ორი ნეკნი. ჩემთვის, როგორც მკურნალი ექიმისთვის, სრულიად გასაგები იყო ირემაძის ასეთი საქციელის მიზეზი. იმ პერიოდში მას თავის საშინელი ტკივილები და ქრონიკული უძილობა ტანჯავდა. ბუნებრივია, რომ ის ვერ მოითმენდა ღამით, მისი საძინებლის ფანჯარასთან გამართულ კონცერტს და, აქედან – შედეგიც... სხვათა შორის, ამას დაზარალებულიც ხვდებოდა. ის თავისებურ შეფასებას აძლევდა მომხდარს: მისი აზრით, ირემაძეს მისთვის რომ არ შეეგინებინა და მშვიდად მოეთხოვა მაგნიტოფონის გამორთვა, მაშინვე შეასრულებდა თხოვნას და იქაურობასაც გაეცლებოდა.



– მაგრამ, მან მაინც არ უჩივლა ირემაძეს? – ჰკითხა ანამ.

– არ უჩივლა. გარკვეულწილად, თვითონაც დამნაშავედ მიაჩნდა თავი და, ისიც იცოდა, რომ ირემაძე ავადმყოფი იყო.

– მეორე შემთხვევაზე რას მეტყვით?

– მეორე შემთხვევა დაახლოებით ექვსი თვის წინ მოხდა – ირემაძემ ამჯერადაც მეზობელი სცემა. ამ შემთხვევაში კი ჩხუბის მიზეზი ძაღლი გახდა.

– ძაღლი?! – გაუკვირდა ანას.

– დიახ, ჩვეულებრივი ძაღლი, – განაგრძო კეკელიძემ, – ძაღლი მეზობლის იყო. ღობესთან ჩავლისას ის გააფთრებით უყეფდა ირემაძეს, რაც მას ძალიან აღიზიანებდა. ერთ დღეს კი ძაღლმა როგორღაც გამოაღწია ღობიდან და ირემაძეს საკბენად ეცა. მასაც


## კოლხი წინასწარმეტყველი – მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი

***კოლხი ნათია ბავშვობიდან გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით. ეს საკუთარ თავზეც გამოვცადე – კურნავს შიშებს, ნევროზს, უძილობას, უშვილობას, უბარაქობას, ხსნის ჯადოს და ბევრ პრობლემას ლოცვით შველის.***

**– ქალბატონო ნათია, ადამიანი ბედნიერი და ჯანმრთელი რომ იყოს, რა უნდა ქნას ამისთვის?**



– აუცილებლად ყველას სჭირდება დამცავი თილისმა, რაშიც შედის: 1) ჯანმრთელობა, 2) ბედი, 3) ბარაქა, 4) ყველანაირი გზის გახსნა და ასე შემდეგ. ის მუდმივია. ბებიაჩემიც, ფაფალა დადიანი, მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ხალხს და ეს ნიჭი გენეტიკურად მეც გადმომცა. ცივილიზაციის განვითარებამ ბოროტი ძალის გაძლიერება გამოიწვია. დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება დაცვა ამ შავი ძალებისგან. არც ფულია მუდმივი – უამრავი გაკოტრებული მილიონერი მოდის ჩემთან საშველად. გახსოვთ, ალბათ, როგორ განვკურნე უკრაინის პრეზიდენტი, რომელიც მოწამლული იყო; აგრეთვე, დავეხმარე შროდერსაც...

**– რედაქციაში დარეკა ქალბატონმა, რომელმაც მიამბო, რომ 38 წლის ასაკში გაუთხოვარი იყო და დახმარებიხართ, შემდეგ უშვილობის პრობლემაც მოგიგვარებიათ მისთვის, არადა, ამ ასაკში ადამიანს გაუჭირდებოდა შვილის გაჩენა. ახლა ახლობლის მოყვანა უნდოდა თქვენთან.**

– დიახ, იყო ასეთი ქალბატონი ჩემთან, თან, არაერთი. ბევრი ჩავარდნილი ბიზნესმენი გადავარჩინე გაკოტრებას.

***... მას უამრავი ადამიანი აკითხავს, ურეკავენ უცხოეთიდანაც. ქალბატონი ნათია ნებისმიერ პრობლემას მოგიგვარებთ, მათ შორის – ფინანსურსაც. აუცილებლად დროულად მიმართეთ, რომ შედეგი ეფექტური იყოს.***

*ჩაწერა ხდება წინასწარ,*
*ტელეფონებზე: 599-98-74-25;*
*514-45-18-18.*
*Skype bulvarzelioni*



ბევრი არ უფიქრია: უმალ წამოავლო ხელი ლითონის მილს, რომელიც გზის პირას, ბალახში ეგდო და ძაღლს რამდენჯერმე ჩაარტყა. მის წკმუტუნზე სახლიდან მეზობელი გამოვიდა. ცხოველის გადასარჩენად მან ირემაძისთვის მილის წართმევა სცადა. მაგრამ... მოკლედ რომ ვთქვა, ეს შეხლა-შემოხლაც გატეხილი თავითა და ტვინის შერყევით დამთავრდა. მაგრამ, როგორც პირველ შემთხვევაში, დაზარალებულმა ისევ არ უჩივლა.

– რადგან, გარკვეულწილად, თავადაც დამნაშავედ გრძნობდა თავს? – ექიმის მიერ ნათქვამი ფრაზით ისარგებლა ანამ.

– მართალი ბრძანდებით. მას მიაჩნდა, რომ ღობე უკეთ უნდა გაემაგრებინა, – დაუდასტურა კეკელიძემ.

– როგორც სპეციალისტი, როგორ შეაფასებდით ამ შემთხვევებს. დაზარალებულებს რომ ეჩივლათ, ირემაძეს პასუხისგებაში მისცემდნენ?

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე უყოყმანოდ გავცემდი დასკვნას, რომ ის შეურაცხადია. ირემაძე აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავის საქციელზე პასუხს არ აგებდა. მისი დიაგნოზით, საპატიმროში არა, მაგრამ, ფსიქიატრიულ კლინიკაში მაინც გამოამწყვდევდნენ, – უპასუხა კეკელიძემ.

– ერთი რამ ამიხსენით: რატომ იმყოფება ეს პიროვნება კლინიკის კედლებს მიღმა? თქვენი ნაამბობი იმაზე მიუთითებს, რომ ის საშიშია გარშემო მყოფთათვის.

– ამას რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს.

– მაინც, რა მიზეზები?

– ერთი შეხედვით, ირემაძე მართლაც საშიშია გარშემომყოფთათვის, მაგრამ ორივე შემთხვევაში არსებობდა გამაღიზიანებელი ფაქტორი.. ის ჩვენგან მხოლოდ ერთი რამით – რადიკალიზმით განსხვავდება. სიმშვიდის დამრღვევ თავხედ მეზობელს ჩვენ, სხვანაირად მოვუწოდებდით – ვეტყოდით, რომ მოეცა ძილის საშუალება. ირემაძე კი რადიკალური მეთოდებით ცდილობს ასეთი საკითხების მოგვარებას.

– მე მაინც მიმაჩნია, რომ მისი ადგილი კლინიკის პალატაშია, – ჩაილაპარაკა ანამ.

– ეს არც ისე მარტივია. როგორ მოვიქცეთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კლინიკას, უბრალოდ, არ გააჩნია საამისო სახსრები და არც ოჯახის წევრებს აქვთ პაციენტის კლინიკაში შენახვის საშუალება?! ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად შევამციროთ ასეთი პაციენტების რაოდენობა და, როგორც კი შესაძლებლობა გვეძლევა, პაციენტს ოჯახში ვაბრუნებთ, – უპასუხა კეკელიძემ.

– თავად ირემაძის დიაგნოზზე რას იტყვით?

– ოთხი წლის წინ ირემაძე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ცხოვრობდა ისევე, როგორც მე, თქვენ და მილიონობით ნორმალური ადამიანი. შემდეგ მან ავტოკატასტროფაში მიიღო თავის ტვინის მძიმე ტრავმა. იმ პერიოდში მკურნალ ექიმებს იმედიც კი არ ჰქონდათ, რომ ოდესმე ფეხზე წამოდგომას შეძლებდა, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, მან გამოჯანმრთელება დაიწყო. თუმცა, ტრავმას მაინც არ ჩაუვლია უკვალოდ – თავის ტვინი სრულად მაინც ვეღარ აღდგა. მაგრამ, მისი მდგომარეობისთვის ეს მაქსიმალური შედეგი იყო. რაც შეეხება მის ამჟამინდელ მდგომარეობას, მას მკვეთრად გამოხატული დეპრესიის ნიშნები აქვს, პერიოდულად ემართება ნერვიული შეტევები, ტანჯავს თავის ტკივილი და უძილობა. ერთობლიობაში, ყოველივე ეს არ იკურნება, ჩვენ მისთვის მხოლოდ პროფილაქტიკური კურსის დანიშვნა შეგვიძლია.

– ამისთვის იყენებთ პრეპარატ ტრუქსალს? – ჰკითხა ანამ.

– თქვენ იმაზე მეტი გცოდნიათ, ვიდრე მეგონა, – გაეღიმა კეკელიძეს, – დიახ, ტრუქსალი მე დავუნიშნე ირემაძეს. ეს ძლიერმოქმედი პრეპარატია. სხვა ვითარებაში ასე არ მოვიქცეოდი, მაგრამ, ამჟამად ეს საუკეთესო გამოსავალი იყო – ტრუქსალი საკმაოდ ეფექტურია ნერვიული შეტევის დროს.

– კიდევ ერთი რამ მაინტერესებს: ახასიათებს თუ არა ირემაძეს ძალადობისადმი მიდრეკილება?

– თუ ძალადობაში გულისხმობთ გაღიზიანების შემთხვევაში ვინმეზე თავდასხმას, გიპასუხებთ, რომ ახასიათებს, – უპასუხა კეკელიძემ.

– შეუძლია თუ არა ქალზე ძალადობა ან მკვლელობის მცდელობა?

კეკელიძემ დაძაბული მზერა შეავლო ანას და შემდეგ ჰკითხა:

– არ გამიმხელთ რა დააშავა?

– მე გამომძიებელი ვარ და არა მოსამართლე, – შენიშნა ანამ, – დაუზუსტებელი ფაქტებით ვერ ვისაუბრებ, ვერსიები კი თქვენთვის საინტერესო არ იქნება.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ექიმმა, – რა გითხრათ... როგორც ნათქვამია, ყოველ ადამიანში ცხოვრობს მტაცებელი და მოძალადე. საკმარისია გარკვეული პირობების შექმნა, რომ ჩვენში მიმალულმა მოძალადემ გაიღვიძოს. მე უამრავი პაციენტი მყოლია და მათგან ზოგიერთს მართლაც ჰქონია სერიოზული ფსიქიკური გადახრები, მაგრამ, ნამდვილ გიჟებს იმ ადამიანებს შორის უფრო შევხვედრივარ, რომლებსაც ნებისმიერი სამედიცინო კომისია ნორმალურ ადამიანად ჩათვლიდა. თქვენ გაინტერესებთ, შეუძლია თუ არა ირემაძეს ქალზე ძალადობა. ამაში, ალბათ, გაუპატიურებას გულისხმობთ!

– დიახ, – დაუდასტურა ანამ.

– მაშინ, ასე გიპასუხებთ: თქვენ ჩხუბზე და სხეულის მძიმე დაზიანებებზე რომ ჩამოგეგდოთ სიტყვა, არ გამიკვირდებოდა, ასეთი ქმედება ირემაძისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა – ასე ებრძვის ის ყოველ გამაღიზიანებელ ფაქტორს, მაგრამ, გაუპატიურება არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. დავუშვათ, ირემაძის რისხვა ქალმა დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაშიც ის ჩვეულებრივად მოიქცეოდა: მოიმარჯვებდა კეტს და ტრადიციული მეთოდით გაუსწორებდა ანგარიშს. მაგრამ, როგორი გაღიზიანებულიც არ უნდა იყოს, არავითარ შემთხვევაში არ დააპირებს მის გაუპატიურებას – ეს გამორიცხულია!

– ესე იგი, თქვენ გამორიცხავთ ქალზე მის ძალადობას?

– არა, თქვენ ვერ გამიგეთ... მე იმის თქმა მინდა, რომ, თუ მან ასეთი რამ ჩაიდინა, ეს არ მოხდებოდა ნერვიული აშლილობის ან გაღიზიანების მიზეზით. ასეთ შემთხვევაში, მის შეურაცხადობაზე საუბარიც კი ზედმეტი იქნებოდა, პირიქით, ირემაძე ამას სრულიად გააზრებულად ჩაიდენდა!

– მისი კოორდინატები თუ გაქვთ?

– მისამართს გულისხმობთ?

– დიახ, – თავი დაუქნია ანამ.

– რა თქმა უნდა. ახლავე მოგიძებნით, – უპასუხა კეკელიძემ, შემდეგ ადგა და თაროზე ვაჟა ირემაძის ანკეტის ძებნას შეუდგა.

* * *

დღის მეორე ნახევარში მირიანს საშვთა ბიუროდან დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ დევიძის ადვოკატი თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.

– არ დააყოვნოთ, ახლავე გაეცით საშვი და ჩემთან გამოგზავნეთ, – საშვთა ბიუროს თანამშრომელს სთხოვა მირიანმა.

ათიოდ წუთში სამუშაო კაბინეტში მისმა ძველმა ნაცნობმა, ადვოკატმა ერეკლე სვანიძემ შემოაბიჯა.

– ესე იგი, შენ შეგარჩიეს ამ საქმისთვის? – მირიანმა ღიმილით ჩამოართვა ხელი და სკამი ახლოს მიუწია.

– როგორც ხედავ, – უპასუხა მან.

– ახლა, არ მითხრა, რომ ეს შემთხვევით მოხდა.


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– არა, შემთხვევით არ მომხდარა.

– მაინც, რატომ შეგარჩიეს შენ? – განაგრძო მირიანმა.

– თბილისი პატარა ქალაქია, აქ ხომ ყველამ ყველაფერი იცის. ვიდრე რამაზი შენთან დაკითხვაზე იმყოფებოდა, პროკურატურასთან რამდენიმე მეგობარი ელოდა.

– ასე ეშინოდა პროკურატურის, რომ მარტოომ მოსვლა ვერ გაბედა?

– არა... უბრალოდ, სხვა გეგმები ჰქონდათ. რამაზს იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ შენთან სტუმრობის შემდეგ „კაპეზეში" ამოყოფდა თავს. მას ეგონა, რომ საუბარი საათი – საათ-ნახევარი გაგრძელდებოდა, ამის შემდეგ კი თავის მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლა ჰქონდა დაგეგმილი. ასე რომ, მისმა მეგობრებმა პირველებმა შეიტყვეს მისი დაკავების შესახებ და დროც აღარ დაუკარგავთ: დაფაცურდნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს და გამონახეს ადვოკატი, რომელსაც მირიან დუმბაძესთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებოდა, – უპასუხა ერეკლემ.

– მერედა, შენ ხარ ასეთი ადამიანი?

– ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ჰგონიათ.

– ისე, უნდა გითხრა, რომ ამოდ გაისარჯნენ, – თქვა მირიანმა.

– ამაოდ?! – შუბლი შეიკრა ერეკლემ, – რატომ? იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ მის გაყვანას ვერ შევძლებ?!

– თუ გასაშვებია, შენი ჩარევის გარეშეც წავა სახლში; თუ არა, შენ კი არა, მამაზეციერიც ვერ უშველის!

– მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ. სად არის მისი დაკავების ოქმი და მისი ჩვენება?

– რად გინდა ოქმი და ჩვენება, ისედაც გეტყვი ყველაფერს. თუ, სიტყვაზე აღარ მენდობი?

– ეს ჩემი, როგორც ადვოკატის ინტერესებში არ შედის, მაგრამ, როგორც ახლობელს, მაინც უნდა გითხრა: ფრთხილად იყავი, მირიან, რამაზი ხელწამოსაკრავი კაცი არ არის. სანათესაოც კარგი ჰყავს და სამეგობრო წრეც. თბილისში კარგად იცნობენ და პატივსაც სცემენ. არავინ დაიჯერებს, რომ მან არასრულწლოვანი გააუპატიურა და შემდეგ მის მოკვლას ცდილობდა. სიტყვაზე მენდე: ის არც მანიაკია და არც ქალებთან აქვს რაიმე პრობლემები, – სწრაფად თქვა ერეკლემ, – მის საქმეში რამე შეცდომა რომ დაუშვა, ბოლომდე მოგაწვებიან. ხომ იცი, რაცაა თბილისური ჭორი. ბევრი არ დაიჯერებს, რომ ეს საქმე მისი ჩადენილია, მაგრამ, ვიღაც ხომ დაიჯერებს?! რა გინდა, რისთვის უქმნი იმ კაცს პრობლემებს?

– ისე მელაპარაკები, თითქოს მისი მოსისხლე მტერი ვიყო და ასე ვცდილობდე სამაგიეროს გადახდას.

– არა, მე სულ სხვა რამე ვიგულისხმე. მესმის, რომ მძიმე საქმეა... მძიმე კი არა, ძალიან მურტალი. ისიც მესმის, რომ რამაზის წინააღმდეგ გარკვეული ფაქტები გაგაჩნია, მაგრამ, რა საჭიროა მისი საკანში გამოკეტვა? დაგეტოვებინა თავდებში, ან, ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოგერთმია... თუნდაც, გირაოთი გაგეთავისუფლებინა. არ დაგიმალავ, მე ამისთვის ვიბრძოლებ სასამართლოზე!

– არა მგონია, ეს მოხდეს, – მშვიდად ჩაილაპარაკა მირიანმა.

– არა გგონია?! – დაიბნა ერეკლე, – სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გამოკეტავ საკანში?! რომელი წელი გგონია, მირიან?!

– თარიღები არ მეშლება და უდანაშაულო კაცი არც „იმ დროს" გამომიკეტავს საკანში! – ხაზგასმით წარმოთქვა მირიანმა, – უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ საქმე სასამართლომდე არ მივა.

– შენ მე გამაგიჟებ, – ხელები გაშალა ერეკლემ, – ვერ ვხვდები, რა გაქვს ჩაფიქრებული?

– შენი დაცვის ქვეშ მყოფს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა დაზარალებულ გოგონასთან. სიმართლე გითხრა, მე უცნაურად მეჩვენება მათი ურთიერთობა, მაგრამ, სისხლის სამართლის კოდექსი ამას არ კრძალავს. ამასთან ერთად, მან გარკვეული მოვლენები აღწერა. თუ ის, რაზეც რამაზი თავის ჩვენებაში საუბრობდა, მართალია, ულაპარაკოდ გავათავისუფლებ, მაგრამ, მისი ნალაპარაკევი ფაქტებად უნდა იქცეს, ყოველი სიტყვა უნდა დადასტურდეს. ამჟამად ამ საკითხზე ჩემი კოლეგა, გიორგი ავალიანი მუშაობს, ამას კი დრო სჭირდება.

– რა მოვლენებზეა საუბარი? – დაინტერესდა ერეკლე.

– რამაზის ალიბზე. ის აცხადებს, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს თბილისში არ იმყოფებოდა!

– შენ არ გჯერა მისი?

– მჯერა! – მოკლედ უპასუხა მირიანმა.

– გჯერა და მაინც გამოკეტე საკანში?! – გაუკვირდა ერეკლეს.

– სისხლის სამართლის საქმეში ვერ ჩავწერ – მჯერა-მეთქი. რამაზს მხოლოდ მოწმეების ჩვენებებით გამყარებული, უტყუარი ფაქტების საფუძველზე გავათავისუფლებ. ეს შენთვისაც კარგია. შენ ხომ იმისთვის დაგიქირავეს, რომ ჩემთან საერთო ენის გამონახვა შეგიძლია, ჰოდა, რამაზის გათავისუფლების შემდეგ, შეგიძლია, მის ნაცნობ-მეგობრებს განუცხადო, რომ სწორედ ეს იყო მათი მეგობრის სახლში დაბრუნების ერთადერთი მიზეზი!

– ხუმრობის ხასიათზე ყოფილხარ! – ერეკლემ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

– მე ჩემი გითხარი, შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი.

– რამდენი ხანი დაგჭირდება იმ მოწმეების დასაკითხად? – ჰკითხა ერეკლემ.

– სამი მიმართულებით ვმუშაობ. ამ წუთებში გიორგი იმ სასწრაფო დახმარების ბრიგადას ჰკითხავს, რომელმაც ავატოავარიისას დაშავებული რამაზის მეგობარი გურჯაანიდან თბილისში გადმოიყვანა. გურჯაანის პროკურატურას უკვე გავუგზავნე მოთხოვნა, დაკითხონ საავადმყოფოს თანამშრომლები. შენც შეგიძლია ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. დაკითხე რამაზის მეგობრები, რომლებთან ერთადაც იმყოფებოდა გურჯაანში. დარწმუნებული იყავი, რომ სიამოვნებით დავურთავ იმ ოქმებს სისხლის სამართლის საქმეს.

– ამის გაკეთება საღამომდეც შეიძლება, – შემპარავი ხმით თქვა ერეკლემ.

– შეიძლება... – დაეთანხმა მირიანი, – მაგრამ ჩემს განკარგულებაში ორმოცდარვა საათია. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ეჭვმიტანილს ან ბრალი უნდა წავუყენო, ან გავათავისუფლო. ახლავე შემიძლია, გითხრა, რომ ხვალ საღამოს რამაზი შინ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე დაბრუნდება.



– შენ მე გამაგიჟებ! დარწმუნებული ხარ, რომ გაათავისუფლებ, მაგრამ, ერთი ან ორი ღამე მაინც საკანში უნდა გაატარებინო?!

– ეს მისთვის კარგი გაკვეთილი იქნება. მომავალში უფრო ფრთხილად მოეკიდება არასრულწლოვან გოგონებთან ურთიერთობას! – ცივად შენიშნა მირიანმა.

– ბოლოს და ბოლოს, რა დააშავა იმ კაცმა?! – აღშფოთდა ერეკლე, – მხატვარია... გეთანხმები, რომ თავისებურად „უბერავს" კიდეც, მაგრამ, ამისთვის ვინ გამოუმწყვდევიათ საკანში?!

– დააშავა და თუ შენ ვერ ხვდები, მე აგიხსნი, რაც დააშავა: მასთან შეხვედრის მიზნით, ნონამ დედის მოტყუება დაიწყო და რამაზმა მისაღები გახადა გოგანასთვის ასეთი რამ. ისევ და ისევ რამაზმა გახადა მისაღები არასრულწლოვანი გოგონასთვის პრაქტიკულად სრულიად უცხო ადამიანის საზოგადოებაში საღამოს რესტორანში გატარება და შემდეგ ქალაქგარეთ მანქანით სეირნობა. მე მართლაც მჯერა, რომ მას არაფერი დაუშავებია გოგონასთვის და, დამიჯერე, რომ სიამოვნებით მოვაწერ ხელს მისი გათავისუფლების დადგენილებას, მაგრამ, ვშიშობ, რომ გოგონა ისევე ენდო სხვას, როგორც ენდობოდა რამაზს – დაიჯერა, რომ ეს ნორმა იყო და გამოუწორებელი შეცდომა დაუშვა!.. შენ მართალი ხარ, რესტორანში ვახშმობისთვის და მანქანით სეირნობისთვის კოდექსი სასჯელს არ ითვალისწინებს, მაგრამ, კოდექსის გარდა, არსებობს უბრალო ადამიანური პასუხისმგებლობა, რომლიდანაც არც მე, არც შენ და არც რამაზი არავის გაუთავისუფლებივართ!.. ამიტომაც გაატარებს ის ორ დღეღამეს საკანში! – ამ სიტყვებთან ერთად, მირიანმა საშვს, რომელიც ერეკლეს პროკურატურიდან გასვლისას მცველებისთვის უნდა წარედგინა, ხელი მოაწერა და დაამატა: შენ კი, რამაზის დახმარება თუ გინდა, მის მეგობრებს ჩვენებები ჩამოართვი. ხვალ ამ დროს გელი, საშვი ბიუროში დაგხვდება. დანარჩენზე შემდეგ ვისაუბრებთ!... გასაგებია?

– გასაგებია, – ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ერეკლემ, შემდეგ ხელმოწერილი საშვი ჩამოართვა და კარს მიაშურა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ალექსანდრ არუთინოვი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მოსკოვის მოდურ წრეებში. „ინსტაგრამზე“ ათასობით მიმდევარი ჰყავს და სოციალური მედიის საშუალებით, მისი გაყიდვები ყოველდღიურად იზრდება. ასევე, „ინსტაგრამზე“ დადებულმა ფოტომ, რომელზეც დიზაინერი მომღერალ ქეთა თოფურიასთან ერთად არის აღბეჭდილი ქორწილის დღეს, გააჩინა ეჭვი, რომ ქეთას ულამაზესი საქორწილო კაბა სწორედ მისი ფანტაზიის შედეგია. მართალია, ეს ეჭვი არ გამართლდა, მაგრამ როგორც თავად გვიყვება, არჩევნის გაკეთებაში ქეთას გვერდით იყო და მისი რჩევებიც იქნა გათვალისწინებული.**

# საიდ ჰყავს ათასობით მიმდევარი ალექსანდრ არუთინოვს და რა ჭორები ააგორა მისი და ქეთა თოფურიას ერთობლივმა ფოტომ

**ალექსანდრ არუთინოვი**: სასტუმროში გადაღებულმა ფოტომ გამოიწვია ალბათ ის ჭორები, რომ ქეთას საქორწილო კაბა მე მეკუთვნოდა. ამას დაემატა ისიც, რომ პარიზში ამ კაბის ასარჩევად ერთად ვიყავით. თან, ხშირად აცვია ჩემი გაკეთებული სამოსი.

**– სინამდვილეში ვისი კაბა ეცვა?**

– ორი კაბა ეცვა – „სტეფან როლანდისა“ და „ლანვინის.“ ორივე საოცრად ლამაზი. „სტეფან როლანდის“ ბუმი დაიწყო ევროპაში, ძალიან მოდურ დიზაინერად იქცა, საოცარ საქორწილო კაბებს ქმნის.

**– ძალიან აქტიურად იყენებ სოციალურ ქსელს.**

– კი და მინდა აღვნიშნო, რომ „ინსტაგრამი“ ამაში ძალიან დამეხმარა. დიდი ხანია, მოსკოვში ვმუშაობ, მაგრამ მაინც მიჭირდა ჩემს მომხმარებელზე გასვლა, პიარის გაკეთება. ახლა კი, ძალიან კარგად მიდის ჩემი საქმეები და ეს მხოლოდ „ინსტაგრამის“ დამსახურებაა. რაღაცას რომ გავაკეთებ და „ინსტაგრამზე“ გამოვდებ, ჩემი თხუთმეტი ათასი მიმდევარი ნახულობს, რაც ძალიან დიდი სეგმენტია. მით უმეტეს, რომ ამ თხუთმეტი ათასი მიმდევარიდან, დიდი ნაწილი ჩემი მომხმარებელია ან იმ წრეში ტრიალებს, რომელიც მე მაინტერესებს. ამის წყალობით სულ სხვადასხვა ქალაქიდან მომდის შეკვეთები. მიკავშირდებიან სარატოვიდან, პეტერბურგიდან, პარიზიდან, მილანიდან, ამერიკის სხვადასხვა ქალაქიდან, ნოვოსიბირსკიდან, კიევიდან და სხვა. სრულიად სხვადასხვა ტიპის ქალაქებია, რაც იმას ნიშნავს, რომ უამრავ ადამიანზე გადის. ამდენი წელი რომ ვმუშაობდი და მეგონა, არაფერი გამომდიოდა, თურმე ასე არ ყოფილა და პრობლემა პრომოუშენში იყო. ამისთვის კი ხალხის აყვანა და მათთვის ფულის გადახდა სულ არ გახდა საჭირო, „ინსტაგრამმა“ ყველაფერი თვითონ გააკეთა.



**ყველამ იცის, რომ ჩემი მთავარი შთაგონება თბილისია და ეს მოსკოვშიც ძალიან მოსწონთ**

**– შენც არ გეზარება, რომ იქ დაუღალავად გამოფინო შენი ნამუშევრები.**

– არანაირად. დილა იწყება ყავით, სიგარეტით და „ინსტაგრამით.“ „ფეისბუქს“ მხოლოდ საქმისთვის ვიყენებ.

**– საშა, როგორია ვარსკვლავებთან მუშაობა? მაშინაც კი, როცა ვარსკვლავისა და დიზაინერის გემოვნება ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა, მგონია, რომ ეს გარკვეულ უხერხულობას მაინც ქმნის. მათ უწევთ წითელ ხალიჩაზე დგომა, ამა თუ იმ სამოსის გამო კრიტიკის ატანა.**

– სტილისტი სხვაა და დიზაინერი კიდევ სხვა. სტილისტი ხშირად მთლიანად იმიჯზე ზრუნავს და დიზაინერთან ერთად მუშაობს. რაც შეეხება ქეთას, მასთან მუშაობა მიიოლდება, რადგან ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ, ვმეგობრობთ ოჯახებით. ზუსტად ვიცი, მას რა მოსწონს და რა მოეწონება. მან კი იცის, რისი გამკეთებელი ვარ მე. ქეთასთან არასდროს მქონია პრობლემა და არც სხვებთან. ქეთას გარდა, ჩემთან ბევრი ისეთი გოგო იცვამს, რომელთა ჩაცმულობას ბევრი აქცევს ყურადღებას და ითვალისწინებს. რადგან ჩემამდე მოვიდნენ, მენდობიან და მოსწონთ, იციან რომ მე არ ვთავაზობ უბრალოდ სამოსს, აქ მთელი ფილოსოფიაა – გაფორმებული ნახატებით და ხელით ნამუშევარი დეტალებით. სხვა დიზაინერებთან მიდიან, ერთ კაბას ყიდულობენ და წავლენ, ჩემთან მოსვლით კი, უფრო სხვა ურთიერთობა ყალიბდება, რაც უბრალოდ კაბის ყიდვას სცდება. თან, იციან, რომ თბილისიდან ვარ და ეს ხასიათი სამოსშიც იგრძნობა. ყველამ იცის, რომ ჩემი მთავარი შთაგონება თბილისია და ეს მოსკოვშიც ძალიან მოსწონთ. არც ერთი ინტერვიუ არ დაბეჭდილა ისეთი, სადაც არ ვამბობ, თუ საიდან ვარ, საიდან მოდის ინსპირაცია და როგორ მიყვარს ჩემი ქალაქი. მე შემეძლო მეთქვა, რომ ვარ „ფეშენ“ დიზაინერი და ვაკეთებ ევროპულ „პაკაზებს“, მაგრამ ასე არ არის. ჩემი თემები ყოველთვის საქართველოს უკავშირდება – გავაკეთე „ფარაჯანოვი“, „ქართველი მოცეკვავეები“ და ეს ბევრად მოსწონთ, რადგან ასეთ სამოსში ჩაცმულები თვითონაც ძალიან ინდივიდუალურად გამოიყურებიან და არავის ჰგვანან. ცნობილ „ფეშენ ივენთებზე“ ჩასულებს შეუძლიათ გარანტია ჰქონდეთ, რომ მათნაირად ჩაცმული იქ არავინ იქნება

**– დაუმსახურებია ვინმეს კრიტიკა შენი სამოსის გამო?**

– ერთადერთი იყო ამ ზაფხულს, „იურმალაზე“, როდესაც ქეთას შავი, თეთრწინსაფრიანი კაბა ეცვა და თეთრი გვირგვინი ედგა. ამას დიდი ხმაური მოჰყვა, დამლაგებელს ჰგავდაო. თან, ეს კრიტიკა წამოვიდა ჩვეულებრივი ადამიანებისგან, რომლებიც სოციალურ ქსელებში პოსტავდნენ. რეალურად, ეს იმ ადამიანებისგან მოდიოდა, ვისი აზრიც საერთოდ არ მაინტერესებს, მაგრამ ასეთი ლანძღვა, ძალიან მეწყინა. ულამაზესი კაბა ეცვა და რატომ უნდა დაგენახა მასში დამლაგებელი?! ქეთა გაგიჟდა, რა განერვიულებს, ვინც მნახა და ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია, ყველას მოეწონაო. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ჩემამდეც მოვიდა. შეიძლება არის კრიტიკა, მაგრამ ჩემს ყურამდე არ მოსულა. საერთოდ, კრიტიკას კარგად ვიღებ, ოღონდ იმ ადამიანებისგან, ვისი აზრიც მაინტერესებს და მჯერა, რომ ამას არგუმენტირებულად აკეთებს. „უბრალოდ,“ ვილანძღები, ამას მოუსმინე და გაითვალისწინე, - არ მაინტერესებს. რუსული მოდური ჟურნალების თითქმის ყველა რედაქტორი ჩემთან იცვამს. „ჰარპერ ბაზრის“ რუსული გამოცემის რედაქტორი პარიზის მოდის კვირეულზე ჩემი ქვედაბოლოთი და პერანგით წარდგა.

**– რას იტყვი რუსულ ესტრადაზე, არ ფიქრობ, რომ არცთუ ისე კარგად იცვამენ?**

– მე არ ვაცმევ რუს მომღერლებს, ქეთას თუ არ ჩავთვლით. არავინ მომწონს ჩვენს ესტრადაზე და ეს ყველამ იცის. უფრო იმ ქალებს ვაცმევ, ვინც მოდის ინდუსტრიაშია, შოუ-ბიზნესი საერთოდ არ მაინტერესებს. ეს არ არის ჩემი ხაზი და ჩემი მიმართულება. მათთან ვთანამშრომლობდი, როდესაც რუსეთში მუშაობას ვიწყებდი. ახლა ეს აღარ მაინტერესებს. თუ უნდათ, იყიდონ და ჩაიცვან. ის, რომ მათ ვიზუალზე ვიზრუნო, ვინერვიულო, ნერვები და ენერგია ვხარჯო – ეს არ მაინტერესებს. კატეგორიულად არ მომწონს, რა არის ამაში დასამალი. მოსკოვში, ინტერვიუებშიც ყოველთვის მეკითხებიან, თუ ვისი ჩაცმულობა მომწონს, რას ვფიქრობ მასაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იცვამს მასა, ნაკლებად დავდივარ ქუჩაში და არ ვხვდები ისეთ ადგილებში, სადაც ხალხს ცუდად აცვია. ბევრად მირჩევნია ჩვენი გოგოების ჩაცმულობა, პარიზის, მილანის მოდის კვირეულებზე რომ დადიან, იქაური მოდის მიმდევართა ჩაცმულობას. სხვანაირად აცვიათ, ეს არ არის არც „გუჩი“, არც „ჟივანში“. ისინი განსაკუთრებულად გამოიყურებიან. საერთოდ, რუს დიზაინერებზე ევროპაში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, უამრავი ბაერია დაინტერესებული რუსი დიზაინერებით.

**– რამდენად ხელმისაწვდომია შენი სამოსი?**

– საკმაოდ. მართალია, როცა თბილისიდან მწერენ, რომ რაიმე ნივთის შეძენა სურთ და ფასს იგებენ, უკვირთ, ძალიან ძვირიაო. მაგრამ, მე მსოფლიოს ერთ-ერთ უძვირეს ქალაქში ვცხოვრობ, სადაც ბინის ქირიდან დაწყებული ქსოვილით დამთავრებული, ყველაფერი ძალიან ძვირია და შესაბამისად, სამოსის ფასიც აქედან გამომდინარეობს. თხუთმეტი ათასი მანეთი, ანუ ხუთასი დოლარი ერთ პერანგში, თბილისისთვის ძვირია, მაგრამ მოსკოვში ძალიან მცირე თანხაა. მილიონერი ნამდვილად არ ვარ, ნორმალურად ვცხოვრობ.



**დილა იწყება ყავით, სიგარეტით და „ინსტაგრამით.“ „ფეისბუქს“ მხოლოდ საქმისთვის ვიყენებ**

**– თბილისის მოდის კვირეულზე არ აპირებ მონაწილეობის მიღებას?**

– თაკო ჩხეიძისგან ჯერ არანაირი შემოთავაზება არ მიმიღია, მაგრამ თუ შემომთავაზეს, სიამოვნებით ჩამოვალ. არ ვარ, როგორც სხვა დიზაინერები, რომლებიც ჩამოსვლასა და მონაწილეობაში ფულს ითხოვენ. ადრე მაკა მეტრეველმა რომ დამპატიჟა, საერთოდ არაფერი გამომირთმევია, ჩემი ქალაქია და ღამის გასათევი ნამდვილად არ მიჭირს-მეთქი. კოლექციაც მაქვს და ყველაფერი, ასე რომ ჩამოსვლა ჩემთვის მხოლოდ დიდი სიამოვნება იქნება. თბილისში ისედაც ჩამოვდივარ და ჩვენების გამართვა ძალიან გამიხარდება.

**სალომე გველესიანი**

# მოსკოვმა „გვირილებს" უმასპინძლა

წლევანდელი ზაფხული ანსამბლ „გვირილასათვის" ღირსშესანიშნავი იყო. სტუდიამ მოიპოვა გრანპრი საერთაშორისო ფესტივალზე, ასახელა საქართველო და აღაფრთოვანა უცხოელი მაყურებელი. პარალელურად, უცხოეთში გადაიღეს ფილმი ანსამბლ „გვირილას" შესახებ. აღსანიშნავია, რომ გადაღებები დაემთხვა ბულგარეთის ერთ-ერთი ქალაქის საიუბილეო თარიღს.



ნესებრში საოცარი საზეიმო საიუბილეო ატმოსფერო იყო, რამაც ხელი შეუწყო პატარებისა და დიდების საუკეთესო განწყობას და ფილმის გადაღებებს.

7 ოქტომბერს თბილისში Party Club Moscou-მ უმასპინძლა პატარა „გვირილებსა" და მის საიუბილეო საღამოზე მისულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ქართული ბომონდის სახეები: მომღერალი ნუგზარ კვაშალი, მსახიობი გივი სიხარულიძე, პოეტი დავით ივანიშვილი, მომღერალი მამუკა მესხი, ნანა ცინცაძე, გიორგი ბერიძე, თეა წიკლაური, ლიზა ვადაჭკორია, კომპანიების „საფილოს", „ნარცისისა" და „მარიგოლდის" წარმომადგენლები, მომღერალი მარკუს მეტრეველი, ტელესახე ლელა ნინუა, ქორეოგრაფი გელოდი ფოცხიშვილი და კიდევ ბევრი სხვა სტუმარი.

გრანპრის მფლობელი „გვირილები" ფესტივალის სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო დუეტი – ანი ჩაგუნავა და გიორგი ღოღობერიძე, ნომინაცია საუკეთესო ტრიო – ელენე ფარფალია, ანი ტოგონიძე და ანი გოდუაძე, ნომინაცია მაყურებლის სიმპათია – მარი მელიქიძე, ნომინაცია საუკეთესო არტისტიზმი – მარი ყვენწაშვილი, ნომინაცია საუკეთესო რეტროსიმღერის შესრულება – თიკა ზურაბიშვილი, ნომინაცია საუკეთესო კოსტიუმი – სალომე ჭიკაძე, ნომინაცია მსოფლიო ჰიტის საუკეთესო შერულება – ნანუკა მელუა, ნომინაცია საუკეთესო დეფილირება – ინა ბაგდასაროვა, ნომინაცია სახასიათო სიმღერის საუკეთესო შესრულება – ნიკა გურასპაშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე, სადაც პატარებს საფესტივალო აქტივობებისა და მოპოვებული მთავარი პრიზისთვის დამატებით გადაეცათ სერტიფიკატები. ასევე, სტუდია „გვირილას" კურსდამთავრებულებს: მარიამ აფციაურს, ნინი დვალიძეს, სალომე ხერკელაძეს გადაეცა სტუდიის დამთავრების სერტიფიკატები. საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ: დავით ივანიშვილი, გივი სიხარულიძე, ნანა ცინცაძე და მარკუს მეტრეველი.

ცერემონიალის შემდეგ შედგა უცხოეთში გადაღებული ფილმის პრეზენტაცია. ფილმი საზოგადოებას წარუდგინა, ფილმის ავტორმა, რეჟისორმა ბექა მიქაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა პატარების მონდომებისა და შრომისმოყვარეობის შესახებ გადაღებების პროცესში. ფილმის დასასრულს მას წილად ხვდა მხურვალე აპლოდისმენტები. ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელმა და დამფუძნებელმა, ქალბატონმა ერნა წიფურიამ საიუბილეო ტორტი საზეიმოდ გაჭრა ფოიერვერკების თანხლებით. საიუბილეო საღამო მიჰყავდათ ახალი თეატრის მსახიობს: გიგო გამთენაძესა და სტუდია „გვირილას" არტ-მენეჯერს, ნინო ჩიხლაძეს, რომელსაც საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კომპოზიტორმა ზურა მანაგაძემ თავისი სიმღერა გადასცა საჩუქრად. საღამოზე აღსანიშნავი იყო პოეტების პაექრობა, გივი სიხარულიძის, ლელა ნინუას, ნანა ცინცაძის და დავით ივანიშვილის საუცხოო მჭევრმეტყველება და სიტყვის ხელოვნება. იუბილეზე გაჟღერდა ასევე, სენტიმენტალური ტანგო, რომელიც ანსამბლს თამარ ნადირაძემ და გივი სიხარულიძემ მიუძღვნეს. ნანა ცინცაძის ულამაზესი ლექსი ედო საფუძვლად სიმღერას, რომელიც „ქართველ ლუჩანო პავაროტად" წოდებულმა მომღერალმა, მამუკა მესხმა შეასრულა. სტუდიას იუბილე მიულოცა ანსამბლის უფროსი თაობის წარმომადგენელმა თათია ბააკაშვილმა თავისი რამდენიმე სიმღერით. საინტერესო ამპლუა მოირგეს ლელა ნინუამ და გელოდი ფოცხიშვილმა მათ სტუდიას ბოშური დუეტი უძღვნეს.

კომპოზიტორ ზურა მანაგაძის მიერ ნაჩუქარი სიმღერა კი დუეტ-სიურპრიზად გაჟღერდა საიუბილეო საღამოზე. სიმღერას ასრულებდნენ ნინო ჩიხლაძე და ნუგზარ კვაშალი. საიუბილეო საღამო თბილ და ლამაზ გარემოში ჩატარდა. წარმატებები „გვირილებს"!

# ნატა ღეჩუაშვილის წიგნის პრეზენტაცია





10 ოქტომბერს, სამედიცინო უნივერსიტეტის წითელ დარბაზში, ექიმისა და პოეტის, ნატა ღეჩუაშვილის ლექსების რიგით მესამე კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული, სახელწოდებით „ფოთლის აღსარება," გამომცემლობა „საუნჯემ" გამოსცა.

პრეზენტაციამ ისეთივე ემოციურ და ამაღელვებელ ვითარებაში ჩაიარა, როგორიც ქალბატონი ნატას ლექსებია. ქალბატონი ნატა ნიჭიერი და ლამაზი ტელეწამყვანის, გვანცა დარასელიას დედაა, ამიტომ, გვანცა ამ დღეს განსაკუთრებით ღელავდა და დედას გვერდში ედგა. კრებულის წარდგენის შემდეგ კონცერტი გაიმართა, რომელზეც ცნობილმა ქართველმა შემსრულებლებმა ნატა ღეჩუაშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები და საავტორო კომპოზიციები შეასრულეს. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: გია მაჭარაშვილმა, მიშა გელაშვილმა, ოთარ ტატიშვილმა, ნოდიკო ტატიშვილმა, სალომე ბაკურაძემ, ნათია დუმბაძემ, თიკა მახალდიანმა, ია ჩანტლაძემ, თაკო მელიქიშვილმა, ჯონი ჯანაშიამ, გვანცა დარასელიამ, ვანიკო დარასელიამ, თინათინ მოსულიშვილმა და ანსამბლმა „ერთამ." კონცერტზე რამდენიმე სიმღერის პრემიერაც შედგა, რომელიც პუბლიკამ ძალიან კარგად მიიღო.



დავით ტატიშვილის სამედიცილო ცენტრის ექიმ-რადიოლოგის, სიმღერების ავტორ-შემსრულებლის, ნატა ღეჩუაშვილის ორასგვერდიან კრებულში ახალ ლექსებთან ერთად შევიდა საუკეთესო ლექსები წინამორბედი ორი წიგნიდან - „ვაგროვებ ფერებს" და „ნეტავ ისევ ვიყო პატარა".

ნატა ღეჩუაშვილის ლექსების საოცარ სიმღერებად გარდაქმნაში ლომის წილი მიუძღვით უნიჭიერეს კომპოზიტორებს: გიორგი ცაბაძეს, გია მაჭარაშვილს, ჯემალ სეფიაშვილს, ზურა მანაგაძეს, მაია გოქსაძეს, ოთარ ტატიშვილსა და მიშა გელაშვილს.

საღამო ისეთივე პოეტური, რომანტიკული და ემოციური გამოვიდა, როგორიც თავად პოეტი და მისი ლექსებია.

მოამზადა სალომე გველესიანმა

# როგორ აკონტროლებდა რუსი რეზიდენტი ერეკლე მეორის დიპლომატიურ მიმოწერას და საიდან დასტურდება ეს

რუსული დაზვერვა საქართველოში გააქტიურდა მეთვრამეტე საუკუნის შუახნებიდან. ხოლო განსაკუთრებით აქტიური გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, 1783 წლიდან. ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით.

რუსი მზვერავები საქართველოს მოევლინნენ დიპლომატების (ელჩების), მოგზაურების, მწერლების, მხატვრების სახით. სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებას რუსეთის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და მასზე დიდ ფულს ხარჯავდა. მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან საქართველოში რუსი მზვერავის გამომგზავრებამდე, გუბერნატორები, დიდი ქალაქის სამხედრო კომენდანტები, იღებდნენ საიდუმლო ბრძანებებსა და ცირკულარებს. მათში მითითებული იყო, რა სახის დახმარება უნდა აღმოეჩინათ მზვერავისთვის. რუსი მზვერავების შეჩერების ბოლო პუნქტი იყო ყიზლარის სიმაგრე ჩრდილოეთ კავკასიაში. ყიზლარის კომენდანტი ვალდებული იყო, ფულით მოემარაგებინა მზვერავი, გამოეყო მისთვის გამცილებელთა რაზმი, რათა მშვიდობიანად გადასულიყო ის საქართველოს ტერიტორიაზე. რამდენად გამორჩეული იყო მზვერავი და მნიშვნელოვანი იყო მისი მისია, იმდენად მკაცრ ტონს შეიცავდა პეტერბურგიდან მიღებული საიდუმლო ბრძანებები და ცირკულარები. ყიზლარის კომენდანტი პირადად აგებდა პასუხს მზვერავის უსაფრთხო მგზავრობაზე თბილისამდე.



საქართველოში ჩამოსული რუსი მზვერავები აგროვებდნენ ყოველგვარ ინფორმაციას. ინფორმაციის ნაწილი, შესაძლოა, ერთი შეხედვით, არცთუ ისე მნიშვნელოვანი ყოფილიყო, თუმცა, ეს ასე არ იყო. საბოლოოდ პეტერბურგში თავს იყრიდა საქართველოდან გაგზავნილი ძვირფასი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, პეტერბურგში ზუსტად იცოდნენ: რა დამოკიდებულება იყო ქართლ-კახეთის სამეფო კარის წევრებს შორის – ერეკლე მეფეს, დედოფალს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს შორის; რა გეგმები ჰქონდა ერეკლე მეორის ოპოზიციას; როგორი იყო ქართლ-კახეთის ლაშქრის რაოდენობა და მისი აღჭურვილობა; როგორი იყო ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფეს ქართველ მეფე-მთავრებთან, თურქეთთან, ირანთან და სხვა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფის კარზე ოფიციალურად დაინიშნა რუსეთის წარმომადგენელი (მინისტრი) – სერგეი ბურნაშოვი. პოლკოვნიკი სერგეი ბურნაშოვი, პრაქტიკულად, წარმოადგენდა რუსეთის დაზვერვის რეზიდენტს საქართველოში. მალე რუსეთის მზვერავების რაოდენობამ ისე იმატა, რომ თბილისის სამეფო სასახლეში ერეკლე მეორე საიდუმლო თათბირსაც ველარ ატარებდა. ერთხელ ასეთი თათბირი საგარეჯოს რეზიდენციაში გაუმართავს მეფეს.

სერგეი ბურნაშოვი აკონტროლებდა ერეკლე მეორის საიდუმლო დიპლომატიურ მიმოწერასაც კი. რა გზით და რა საშუალებით? ეს დღეს ზუსტად დადგენილი არ არის. ერთ-ერთ მოხსენებაში სერგეი ბურნაშოვი პეტერბურგს აცნობებს, რომ მართალია, ქართლ-კახეთის სამეფო გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, რუსეთის მფარველობაში შევიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერეკლე მეორე ავსტრიის იმპერატორთან ფარულ მიმოწერას აწარმოებსო. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში მყოფ სერგეი ბურნაშოვს ხელი მიუწვდებოდა უაღრესად საიდუმლო ინფორმაციაზე.

**რუსეთის დაზვერვა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ერეკლეს მრავალრიცხოვანი შვილები და შვილიშვილები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა, ხოლო ყველანი ერთად დარეჯან დედოფლის წინააღმდეგ დაერაზმა**

კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ (1798 წელი). ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი მეთორმეტის კარზე რუსული დიპლომატიური და სამხედრო დაზვერვა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ღიად მოქმედებდა. გიორგი მეთორმეტის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ხშირად არ იცოდნენ დედოფალმა და ტახტის მემკვიდრემ, მაგრამ იცოდნენ რუსმა მზვერავებმა. პრაქტიკულად, ავადმყოფი მეფის საწოლს იშვიათად თუ ტოვებდნენ რუსი მზვერავები. ავადმყოფ მეფეს ისინი გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ, რომ მისი ძმები არ დაუშვებდნენ ტახტის მემკვიდრის, დავითის გამეფებას. მაგრამ თუ გიორგი მეთორმეტე რუსეთთან ურთიერთობაში გარკვეულ დათმობაზე წავიდოდა, რუსეთი მხოლოდ ამ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს დავითის ტახტზე ასვლას. იმავდროულად, რუსეთის დაზვერვა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ერეკლეს მრავალრიცხოვანი შვილები და შვილიშვილები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. ყველანი ერთად კი დარეჯან დედოფლის წინააღმდეგ დაერაზმა.

საინტერესოა რუსი მზვერავების დამოკიდებულება ერეკლეს ოპოზიციასთან. ცნობილია, რომ ქართლის თავადები ერეკლეს ქართლის სამეფო ტახტის მიმტაცებლად მიიჩნევდნენ და არ აღიარებდნენ მის ძალაუფლებას ქართლზე. ეს კარგად გამოიყენეს რუსმა მზვერავებმა და ქართლის თავადები დაარწმუნეს, რომ თუ ისინი პრორუსულ ორიენტაციას დაიკავებდნენ, ქართლს ცალკე სამეფოდ გამოყოფდნენ და მეფედ ვახტანგ მეექვსის შთამომავალს დასვამდნენ. ქართლ-კახეთში შიდაპოლიტიკური ვითარების დაძაბვის მიზნით, პეტერბურგიდან ერეკლეს უგზავნიდნენ ქართლის თავადების მოღალატური საქციელის დამამტკიცებელ დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების საერთო აზრი კი იყო ქართლის თავადების მოთხოვნა ერეკლესთვის ქართლის ტახტის წართმევის შესახებ. ცხადია, ამით რუსეთს იმის მიღწევა უნდოდა, რომ ერეკლე უფრო მორჩილი და დამთმობი გამხდარიყო რუსეთთან ურთიერთობაში.

რუსმა მზვერავებმა შეძლეს ის, რომ ერეკლეს ოპოზიცია რუსეთის გეგმების განხორციელებაში ჩაებეს. მაგალითად: 1770 წელს გენერალ ტოტლებენის საექსპედიციო კორპუსის ქართლ-კახეთში შემოსვლისას, რუსულმა დაზვერვამ მთელი სიმძლავრით აამოქმედა ერეკლეს ოპოზიცია. მასალის სიმცირის გამო დაწვრილებით არ არის ყველაფერი ცნობილი, მაგრამ დადგენილია, რომ დავით ქსნის ერისთავი და ზაალ ორბელიანი გენერალ ტოტლებენის ავანტიურაში ერივნენ და მზად იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ ერეკლე მეორის ტახტიდან ჩამოგდებაში. ეს ბინძური ისტორია, იმდენად სამარცხვინოა, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ერეკლეს საქმის გამოძიება ბოლომდე არ მიეყვანა. სწორედ ამის გამო დარჩა უცნობი რუსი მზვერავებისა და მათი ქართველი თანამზრახველების მოღვაწეობის ბევრი დეტალი.

**ეკა სალაღაია**

# მარნეულის მწნილის ფესტივალი „თბილისობის“ დღესასწაულზე

*„მარგებელმა ჰოლდ-ინგმა“ „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით 5-6 ოქტომბერს, „მარნეულის მწნილის ფესტივალი“ გამართა. მწნილის ფესტივალზე მისულ სტუმარს შესაძლებლობა ჰქონდა, დაეგემოვნებინა „მარგებელი პროდუქცია“: „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული მწნილი და საწებელი; „მარნეული აგროს“*









*ქართულ მიწაზე მოყვანილი კიტრი და პომიდორი; თელეთის „ფერმა მარგებელის“ ნატურალური რძისგან დამზადებული სხვადასხვა სახეობის ყველი. გარდა ამისა, მწნილის ფესტივალზე „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ პროდუქცია პეციალურ ფასად გაიყიდა.*

**ირინა გაფრინდაშვილი** *(„მარნეულის სასურსათო ქარხნის” დირექტორი):* ჩვენი პროდუქცია 100 პროცენტით ქართულია და მთლიანად საქართველოში მოყვანილ ნედლეულზეა დამზადებული. „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, რომ ჩაგვეტარებინა „მწნილის ფესტივალი“ და ასეთი სახით გაგვეცნო მომხმარებლისთვის „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ სხვადასხვა სახის პროდუქტთა ფართო ასორტიმენტი, რაც ვფიქრობთ, უფრო სახალისო და მიმზიდველია.





ფესტივალი ფოლკლორულმა ანსამბლმა „მოძახილმა“ გახსნა. გარდა ამისა, პირველ დღეს ყველა მსურველს ჰქონდა შანსი, მონაწილეობა მიეღო „სახალხო დამწნილებაში“.

დაბოლოს, „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ქარხანა, რომელიც ევროპული სტანდარტების შესაბამისი დანადგარებითაა აღჭურვილი, 50-ზე მეტ დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს.

ქარხანას ნედლეულით ჰოლდინგში შემავალი კომპანია „მარნეული აგრო“ და ადგილობრივი მცირე სასოფლო მეურნეობები ამარაგებენ. საწარმოს ტექნიკური შესაძლებლობა, ადგილობრივი ნედლეულის მაღალ ხარისხთან ერთად, ქართულ ბაზარს უალტერნატივო პროდუქტს სთავაზობს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100 პროცენტით ქართულია. შესაბამისად, „M“ ნიშანი საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვების სინონიმად იქცა.

**გიორგი ჯაჯანიძეს ახალ სატელევიზიო სეზონზე ტაიმაუტი აქვს – სიურპრიზად ინახავს სამომავლო გეგმებს. თუმცა, არ მალავს, რომ სამომავლოდ ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება. ცხოვრების აქტიურ რეჟიმს შეჩვეულს დროებით ტელეეკრანიდან გაქრობა სულ არ ეტყობა – მისი თბილისში დაჭერა იოლი არ არის, მაგრამ როგორც ყოველთვის კომუნიკაციითა და გახსნილობით ცნობილი ტელესახე, ამჯერადაც გულწრფელად საუბრობს იმაზე, რამაც ბოლო დროს ყველაზე მეტად აუფორიაქა ცხოვრება.**

# როგორ მიაგნო გიორგი ჯაჯანიძემ უკვდავების რეცეპტს და ვინ აუფორიაქა მას ცხოვრება

**– გიორგი ახალ სატელევიზიო სეზონზე ჯერჯერობით არსად ჩანხარ. რომელ ტელევიზიაში ვიხილავთ გიორგი ჯაჯანიძეს?**

– მაქვს მოლაპარაკებები ორ ტელევიზიასთან „იმედთან" და „TV3"-თან, არ ვიცი, სად და როგორ დავბრუნდები, მაგრამ ეს ალბათ, უახლოეს მომავალში გადაწყდება. ამის გარდა ასევე ვმუშაობ სკანდალურ პროექტზე, რომელიც წლის ბოლომდე უნდა განვახორციელო. ქართველი და უცხოელი მოდის ექსპერტები წარსდგებიან საზოგადოების წინაშე. საოცარი სანახაობა გელით. „ტანსაცმლის დიზაინი - ლელვის ფოთლიდან დღემდე"; „სამკერვალოები თუ მოდის სახლები"; „ნამდვილი დიზაინერები თუ ბიზნესმენები"; „გემოვნება და ხარისხი" – მეტს აღარ მოვყვები. ბევრი სანახაობა გელით. განსაკუთრებით საინტერესო იქნება ფინალი – „უშვი ქოჩორს ხელი". რაც შეეხება სატელევიზიო სფეროს, ძალიან მინდა, გავაკეთო შემეცნებით-გასართობი შოუ, რომელიც იქნება დიდი აუდიტორიისთვის. ჩემი ყველა ნაბიჯი, ინტერვიუ, სტატია, პუბლიკაცია თუ წიგნი, უკავშირდება ადამიანებს, მათ, ვისაც გვერდში დგომა სჭირდება. უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორგანულად ველარ ვიტან ეგრეთ წოდებულ „პერო" საზოგადოებას. სნობიზმის მწვერვალებზე ვართ ასული. წაგვლეკეს ერთი მხრივ სნობებმა, მეორე მხრივ კი, მართლმადიდებლობას ამოფარებულმა ეშმაკებმა. ხალხს რა? არც არაფერი. ბოლო პერიოდში იმდენ არაპროფესიონალთან მომიხდა შეხება, ჩემს გაოცებას საზღვარი აღარ აქვს. ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ ერთ რამეში დავრწმუნდი – დღეს „სამადელკა" პროდიუსერების დროა. ეს გასაკვირი არც არის, ჩვენ არ გვქონია საპროდიუსერო სკოლა და ძალიან ბევრი ხელმოცარული ჟურნალისტი წავიდა პროდიუსინგში.


ქვის ხანისთვის ვემზადები

**– ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ.**

– გაბრაზებული ვარ, მაგრამ არა ყველაზე და ყველაფერზე. ამ ბოლო დროს ძალიან ამიფორიაქა ცხოვრება იმან, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება. 51 წლის ვარ, არასდროს დამიმალავს ჩემი ასაკი და პირიქით, მიხარია კიდეც, რომ ამ ასაკშიც ასე კარგად ვარ. ჩემთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ რას იტყვის ჩემზე იმ საზოგადოების ნაწილიდან, ვისაც პატივს აღარ ვცემ. ბაზარსა და ავტოსადგურში ყველაზე კარგად ვხვდები, რომ ჩვეულებრივ ხალხს ვუყვარვარ. ისინი ამას არც მალავენ და ხშირად სიყვარულსაც მიხსნიან. მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ერთდროულად სამ-ოთხ სამსახურშიც კი მიმუშავია, ახლაც ორ ადგილზე ვმუშაობ. ყველაფრის ფასი ვიცი, „ა" კლასშიც ვყოფილვარ და პოზიციებიც დამითმია, მაგრამ ვიცი, რომ ეს არის ცხოვრება. როცა ჭიათურიდან ჩამოვედი და ამ ქალაქში კაციშვილი ნაცნობიც კი არ მყავდა, მაშინ დავდექი ფეხზე. ძალიან კარგად მახსოვს, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდი. კინოსარეჟისოროზე თუ სწავლობდი, აუცილებლად რომელიმე „კლანის" წევრი უნდა ყოფილიყავი. ეს კლანები იყოფოდა წარმომავლობის, გვარიშვილობის, სიმდიდრისა და რა ვიცი, ათასი უბედური ნიშნით. მე ვიყავი მუშურ-გლეხური კლანის წევრი, მგონი, მარტო მე ვიყავი კურსზე ასეთი *(იცინის).* ისეთ რამეებს ვხედავდი ირგვლივ, ცხოვრებაში რომ არ მენახა. პერანგის საყელო გადამიტრიალებია, ისეთი გახეხილი მქონდა. ორი პერანგი მქონდა, ერთი შავი, მეორე – თეთრი. ერთ დღესაც შუაზე გავჭერი ორივე პერანგი და ერთმანეთზე მივაკერე. პირველად მაშინ ჩავიცვი ასე ორიგინალურად *(იცინის).* უფრო მეტსაც გეტყვით, მაშინ ინსტიტუტში ხუთმანეთიან ტალონებს გვირიგებდნენ, ბუფეტში რომ გვეჭამა. ჩემს კურსელებს რაში სჭირდებოდათ კვების ტალონები, ყველას ჰქონდა საჭმელ-სასმელი. თვის დადგომა მიხაროდა, რადგან ყველა მე მაძლევდა თავის ტალონს და იმდენი მიგროვდებოდა, იმ ტალონებით ტომატს ვყიდულობდი და ჭიათურაში მიმქონდა დედაჩემისთვის. აი, ასეთი ბიზნესი მქონდა. დღეს ჩემი ბიზნესი ჩემი ტვინია, რომელსაც ვყიდი, ვყიდი, მაგრამ იმდენია, არა და არ დაილია *(იცინის).* ის იყო ერთადერთი პერიოდი, როცა ფულს „ლევად" ვაკეთებდი. მე ისეთი კანონმორჩილი ვარ, ათი ლარი რომ ვიპოვო ქუჩაში, პოლიციაში ჩავაბარებ *(იცინის).*

**– ამ მდგომარეობიდან წარმატებამდე რთული გზა იყო?**

– აბა, რა იყო, მაგრამ კეთილი ადამიანებისა და ჩემი შრომისმოყვარე ხასიათის წყალობით, ყველაფერს ჩემით მივაღწიე. ტრანსპორტის ფული რომ არ მქონდა, ქალაქის ცენტრიდან მუხიანამდე ფეხითაც კი გავსულვარ. ტაქსი რა იყო არ ვიცოდი. ავტობუსს ჩამოვეკიდებოდი ხოლმე და გზები რომ არ ვიცოდი, ხან სად ვხვდებოდი, ხან – სად. გაჩერებაზე რა ნომერი ავტობუსიც მოდიოდა, იმაში ავდიოდი. სახლში მე არავინ მელოდებოდა, რომ მეჩქარა, ამიტომაც დავდიოდი აქეთ-იქით გზააბნეულივით. ასე გზებიც კი ვისწავლე. მახსოვს ემოცია, რომელიც მქონდა, როცა თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ვხვდებოდი. პეკინზე რომ გავივლიდი, საწყლად ავხედავდი ხოლმე კორპუსებს, იმ ადამიანებს, ვინც ამ კორპუსების სადარბაზოებში შედიოდნენ. გავიდა დრო და ჩემი ერთ-ერთი კეთილი მეგობრის წყალობით, მეც ამ ქუჩაზე მელირსა ბინა. ბინას თუ მაჩუქებდა ვინმე, ეს იყო აბსოლუტურად წარმოუდგენელი ჩემთვის.

**– ბოლო დროს ძალიან გააქტიურდი სოციალურ ქსელში, რომელსაც ადრე არ წყალობდი. გულს ამით იოხებ?**

– ეკა ბერიძემ დამღუპა და ჩამაგდო ამ დღეში *(იცინის).* მან განმაახლებინა ჩემი მიძინებული „ფეისბუქი." მას შემდეგ ველარ გავჩერდი, დღეში ორი-სამი საათი დოპინგივით მაქვს გამოწერილი. ჩემი პროფესიის ადამიანს „ფეისბუქი" საინტერესო მასალას გაძლევს ადამიანებზე. „ფეისბუქით" მშვენივრად ხვდები ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რაც ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, საინტერესოა. მაგრამ, ზოგიერთის მაინც ვერაფერი გავიგე. არ მესმის რატომ უნდა დადო „ფეისბუქზე" ხატი წარწერით: „მე მიყვარს ჩემი პატრიარქი," რომლის ქვემოთ შეიძლება იდოს შიშველი ქალის ვიდეო, რომელიც ძუძუებს ატანტალებს. ეს არ არის აღმაშფოთებელი? ჩემი აზრით, ამაზრზენია. მეგობრები მეხუმრებიან, ნამდვილად დაბერდიო, მაგრამ ასეც არაა საქმე. იმას ვაღიარებ, რომ ცოტა გულჩვილი გავხდი და ადამიანების უბედურებაზე ცრემლს ველარ ვიკავებ, მაგრამ სიბერემდე ჯერ შორია.

**– ჩამორჩი ცხოვრებას?**

– ცხოვრებას არ ჩამოვრჩი, ყველაფერი მესმის. გავიგებ ნებისმიერ ემოციას, რაც შეიძლება, ჰქონდეს ადამიანს, პირიქით, მე ვარ 22-ე საუკუნის მოქალაქე. იმის მიუხედავად, რომ ტექნიკურ პროგრესთან მწყრალად ვარ და ჩემი ტექნიკური განვითარება ჯერ კიდევ არ გასცდენია პულტს, ნამდვილად არ ვარ ჩამორჩენილი. მაგრამ მეორედ მოსვლა რომ დაიწყო, ფაქტია. ოცდამეორე საუკუნეში იქნება ქვის ხანა, სწორედ ამ ხანისთვის ვემზადები. ისეთი კატაკლიზმებია მოსალოდნელი, აღარც მობილური იქნება საჭირო და აღარც სხვა ტექნიკა. დავბრუნდები იმ ჩემს ჭიათურაში, ავიღებ თოხს, ბარს, წალდს და ვიცხოვრებ მშვიდად. უფრო მეტსაც გეტყვი, მე ძალიან დიდხანს უნდა ვიცოცხლო. უკვდავების რეცეპტი მაქვს ნაპოვნი, როგორც იქნა მივაგენი.

**– მოხარშული ყვავი არის მაგ რეცეპტში?**

– ამ რეცეპტში მოხარშული ყვავი არაა. ათ-ათი ცალი ალუბლის, ბლის, კომშის, ატმის, თუთის, დაფნის, მარწყვის, ასკილის ფოთოლი უნდა მოხარშოთ და მიირთვათ დღეში ერთი ლიტრის ოდენობით. აი, ესაა ჯანმრთელი ცხოვრების ყველაზე კარგი სტიმულატორი. თუმცა, 51 წლის ასაკში უკვე დამარწმუნა ცხოვრებამ, რომ უკვდავების მთავარი რეცეპტი სიკეთე და გულმოწყალებაა, რომელიც უნდა გასცე და მიიღო. დაუმსახურებლად მიღებული ყველაფერი ქარს მიაქვს, ამიტომაც ცხოვრების ამ ეტაპზე ამ ყველაფერზე ძალიან ბევრს ვფიქრობ.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მშვენიერმა ტელეწამყვანმა ნინო თოლორდავამ ამპლუა შეიცვალა – მას ტელეკომპანია „მაესტროს“ ღამის ეთერში პოლიტიკური თოქ-შოუ „არგუმენტები“ მიჰყავს. ამბობს, რომ კონკურენციის არ ეშინია, თუმცა, ქართულ ტელესივრცეში თოქ-შოუების ნამდვილი ბუმი რომაა, ამაში მკითხველი ნამდვილად დამეთანხმება. ნინო, ამპლუასთან ერთად, იმიჯის შეცვლას არ აპირებს. ამბობს, რომ უკმაყოფილო არ არის საკუთარი გარეგნობით და ბოტოქსის ინიექციებს, შეიძლება, მხოლოდ წლების მერე მიმართოს.**

# რა დარტყმა და შოკი მიიღო ნინო თოლორდავამ პირდაპირ ეთერში და როდის გადის ის ბეწვის ხიდზე

**– ნინო, ქართულ ტელესივრცეში თოქ-შოუების ნამდვილი პროფიციტია. არ გეშინია ამხელა კონკურენციის.**

– კი, პროფიციტი ნამდვილად არის. ძალიან ბევრი თოქ-შოუა და მიმაჩნია, რომ კონკურენცია ძალიან კარგია – არ გეძლევა იმის საშუალება, ყური მოუყრუო, მოდუნდე, რაღაცაზე სრული დატვირთვით არ იმუშავო. მუდმივად დაძაბულობის რეჟიმში ვარ და ვცდილობ, გავუძლო. რას იზამ, კონკურენციის გარეშე, როგორც პროფესიონალი, ვერ გაიზრდები. შიშით კი არ მეშინია, მაგრამ სულ დაჭიმული ვარ – ჩემთვის ეს დიდი აზარტი და „დრაივია“. თუ ეთერში უხერხულობა, მარცხი არ განიცადე, ხელიდან სადავეები არ გაგექცა, ისე არ გამოვა. რამდენიმე თემამ მასწავლა ეს, როცა ეთერში პირველი შოკი და დარტყმა მივიღე. მაგრამ, რაც ხდება, ყველაფერი უკეთესობისთვის ხდება. ყველას საკუთარ ნიშა გვაქვს. ჩემი თოქ-შოუ იწყება თერთმეტ საათზე და ვიტყვი, რომ „მაესტროს“ ჰყავს ერთგული მაყურებელი, რომელიც უყურებს ჩვენს გადაცემებს და არ გადართავს მეგაპროექტებზეც კი – მან იცის, რომ ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ვიყოთ დაბალანსებული და ნეიტრალურები... ყოველ შემთხვევაში, მე პირადად, ინფორმაციას ძალიან ბევრჯერ ვამოწმებ, მაგრამ შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული. ადამიანური რესურსია მაინც, კომპიუტერი ხომ არ არის... რაღაც ყველას ეშლება და ეპარება. დიდი ხანია, შევეგუე იმას, რომ სულ ზღვარზე, ბეწვის ხიდზე გადიხარ – ჩვენ ამას წლების განმავლობაში მივეჩვიეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ „არგუმენტები“ წარმატებული პროექტი იქნება. მართლა დილიდან საღამომდე ვშრომობთ გადაბმულად, სხვა ვერაფერზე ვფიქრობ...

**– არ იყო თოქ-შოუს პირველი ეთერი დაძაბული და ძალიან სანერვიულო?**

– რა თქმა უნდა... გამახსენდა 2008 წლის ჩემი პირველი ეთერი „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“. საინფორმაციოს ვგულისხმობ, თორემ, ისე, პირველად ცამეტი წლის ასაკში დავჯექი ეთერში. ანალოგიური განცდა მქონდა, რომ ვიყავი დაუცველი და უმწეო, მარტო – სირთულეების პირისპირ. ამ ხუთი წლის განმავლობაში, ალბათ, ათასობით ეთერი მქონია და ყოველთვის ისე საშინლად ვნერვიულობდი... მე არ მჯერა იმ წამყვანების, რომლებიც ამბობენ, რომ ეთერში არ ღელავენ. თუ ასეა, ძალიან ცუდია. სულმოუთქმელად ველოდები ეთერს, რომ ყველა კითხვაზე პასუხი მივიღო, რაც მე მაწუხებს და საზოგადოებასაც. არ მინდა, იყოს ფორმალობა და ეთერი – ეთერისთვის.

**– ბეწვის ხიდზე ცხოვრებაშიც მოგიწია გასვლა?**

– რიტორიკული შეკითხვაა ***(იცინის).*** სულ... მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე სიარული არ არის? მით უმეტეს, ჩვენს პროფესიაში. სულ რისკზე და კომპრომისებზე წასვლა გიწევს ადამიანებთან ურთიერთობებში. არ იცი რადიკალური გადაწყვეტილებები გაამართლებს თუ არა. ფაქტობრივად, სულ ასეა... ძალიან რისკიანი ვარ...

**– „საზმაუზე“ საკმაოდ დიდხანს მუშაობდი. როგორ ფიქრობ, სარედაქციო დამოუკიდებლობაში თუ არის სხვაობა „საზმაუსა“ და „მაესტროს“ შორის?**

– არის და ძალიან დიდი. ხშირად მეკითხებიან და უკვე აღარ მინდა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება. ახლა არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ, იქ რომ ვმუშაობდი, იმდენად დიდი იყო ჩარევა სულ ვფიქრობდი: „ღმერთო, ნუთუ თავისუფალი მედია ამქვეყნად სადმე არსებობს-მეთქი.“ „მაესტრო“ ის სივრცეა, სადაც, ამ მხრივ, უდიდესი კომფორტი გაქვს – ნამდვილი ფუფუნებაა, რომ შეიძლება იყო დამოუკიდებელი და მოახდინო საკუთარი თავის რეალიზება. შენ არავინ გეუბნება – ეს სტუმარი მოიყვანე, ეს არ მოიყვანო...

**– ესე იგი, ხელისუფლებას არ ვეფერებით...**

– თუ უყურებთ, დაინახავთ, რომ ხელისუფლებას ნამდვილად არ ვეფერებით და ბალანსის თვალსაზრისით, მართლა ზღვარზე გავდივართ...



**სულ ვფიქრობდი, იქ რომ ვმუშაობდი, იმდენად დიდი იყო ჩარევა: ღმერთო, ნუთუ თავისუფალი მედია ამქვეყნად სადმე არსებობს-მეთქი?**

**– ჟურნალისტი შეიძლება იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური?**

– მე ვემხრობი, რომ საკუთარ ეთერში პოზიციის გამჟღავნების უფლება არ გაქვს. თუ სტუმარი ხარ სხვაგან – მეორე საკითხია. როგორ შეიძლება, სამოქალაქო პოზიცია არ გქონდეს?! სულ ვცდილობ, რამე არ გამეპაროს ეთერში...

**– ცოტა რთული ხასიათი არ გაგიხდა ბოლო დროს, სამსახურიდან გამომდინარე?**

– კი. ხასიათში გადამივიდა უკვე ***(იცინის).*** ბოლო პერიოდში საქმის გარდა, ვერაფერზე ვფიქრობ, ასევე, ოჯახზეც, სულ ვაკონტროლებ – ბავშვი სად არის და რას აკეთებს. მაგრამ, მადლობა, ღმერთს, არჩევნის წინაშე არასოდეს დავმდგარვარ – ოჯახი თუ სამსახური. უბრალოდ, ზედმეტად დაძაბული ვარ და საქმეზე ორიენტირებული. რთული ხასიათის არ ვარ, მაგრამ ძალიან ხშირად მაქვს ემოციური აფეთქებები. ძალიან ვებრძვი თავს, რომ ემოციები დავთრგუნო მაქსიმალურად – ვცდილობ, ყველაფერი გულთან არ მივიტანო. არის რაღაცეები, რაც არ მომწონს საკუთარ თავში, მაგრამ პრეტენზიული და კონფლიქტური არ ვარ, თუ ადამიანი თვითონ არ გადმოდის შეტევაზე და არ მებრძვის. ყოფილა ასეთი შემთხვევებიც, როცა არ გიცნობს ადამიანი და „ფეისბუქზე“ სულელურ კომენტარს გიწერს. ამ შემთხვევაშიც კი ვცდილობ, განზე გავდგე და ცივი გონებით ვიმოქმედო. ძირითადად, იმისგან უფრო მტკივა და მწყინს, ვინც მიყვარს. უსამართლობა ძალიან მიშლის ნერვებს, მაგრამ თავს არ ვიგდებ ისეთ მდგომარეობაში, რომ დავიზიანო, ვუფრთხილდები ***(იცინის).***

**– თოქ-შოუს წამყვანობა ბევრად უფრო რთულია...**

– კი, რა თქმა უნდა და ხშირად რესპონდენტები მწვავე შეკითხვებს გაურბიან ***(იცინის).*** ისეთი დაცლილი და დაღლილი გამოვდივარ სტუდიიდან... თუ არ დაიღალე, ესე იგი, არ გიმუშავია. რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავ, ეთერი არ დამთავრდეს-მეთქი, ისეთ აზარტში შევსულვარ.

**– ხშირად წარმატებულ ჟურნალისტებს არ აქვთ ხოლმე ოჯახი...**

– მე – პირიქით, ზაზაც და ჩემი შვილიც, ამიკოც, ძალიან მიდგანან გვერდში. ზაზა სულ სტიმულს მაძლევს და მეუბნება: შენ ყველაფერს შეძლებ, მიდი, ეს ის არის, რაც გინდა და სადაც შენ უნდა იყოო. ამიკოც მწერს ხოლმე, როცა გვიანაა: დე, მაპატიე, გვიანაა ვიძინებ და ვერ გიყურებო ***(იცინის).*** ოჯახის წევრების აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია.

**– ამიკოსაც ხომ არ უნდა ჟურნალისტობა?**

– არა, არანაირიად. თუმცა, ძალიან კარგად სწავლობს, აქტიურად ემზადება ინგლისურსა და რუსულში. ძალიან დატვირთული რეჟიმი აქვს. მიუხედავად ამისა, ახერხებს, აქტიურად ითამაშოს კალათბურთი და ოცნებობს „მაიამიში“ თამაშზე ***(იცინის).*** არის საკალათბურთო კლუბი „აკადემია“ და იქ ვარჯიშობს. სულ ერთმანეთის დეფიციტი გვაქვს, უერთმანეთობას ვუჩივით. კვირა ჩვენთვის არის წმინდა და ხელშეუხებელი.

**– ჰო, მაგრამ, ასეთი გრაფიკის პირობებში ბზარები არ ჩნდება ხოლმე ურთიერთობაში?**

– არა. როდესაც ოჯახში ყველას თავისი საქმე აქვს, – არა. მე ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიმიღია, მეუღლე დამიდგა გვერდში. თოთხმეტი წელია, ერთად ვართ და ძალიან დიდ სითბოს ვგრძნობ მისგან.

**– იმიჯს არ იცვლი?**

– არავითარი ცვლილება არ შემიტანია იმიჯში. ერთადერთი, თმა გამეზარდა და ვიკრავ – რადიკალურ ცვლილებებს არ მივმართავ. ვცდილობ, გადაცემაში ყურადღება არ მივიქციო გარეგნობით. შეიძლება, ადრე მსიამოვნებდა კომპლიმენტები, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. არ მინდა, ხალხმა ცუდად იფიქროს, მაგრამ არ მაქვს განსაკუთრებული პრეტენზიები საკუთარ გარეგნობასთან, მომწონს საკუთარი თავი. დროც არ მაქვს იმის, ამ ყველაფერზე ვიფიქრო. შეიძლება, 10 წლის მერე დამჭირდეს ბოტოქსი და გავიკეთო, ამ ეტაპზე ნამდვილად არ მჭირდება. გამომწვევად ჩაცმა მაინცდამაინც არ მიყვარს, მინიმალიზმის მომხრე ვარ. ვარ ასეთი, როგორიც ვარ.

**– რესპონდენტებს წურავ?**

– ვცდილობ ხოლმე. მინდა, რომ ძალიან გავწურო. თუმცა, ჯერ ისე კარგად ვერ ვახერხებ. ძალიან ბევრ მოთხოვნას ვუყენებ საკუთარ თავს – ვჩქარობ ნელა ***(იცინის).*** იცი, რა, დემაგოგიას ვერ ვიტან და ვცდილობ, ვებრძოლო და გავუძლო.

**– მეგრული არ იცი?**

– სამწუხაროდ, არა. ზაზაა მეგრელი და უფრო მისი მხრიდან მაქვს შეხება. ზაზა ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ესმის. დედამთილი მყავს მეგრელი და მეგრული გემრიელობებით მანებივრებს ხოლმე ***(იცინის).***

**ქეთი დიდებულიძე**

# ბრძნული აზრები

**რეიგანი**: ხანდახან ვფიქრობ, როგორი იქნებოდა ათი მცნება, მოსეს კონგრესისთვის რომ გაეტანა დასამტკიცებლად.

**ლიხტენბერგი**: ძალიან საწყენია, რომ ადამიანთა მისწრაფება – შეამცირონ ბოროტება, ბევრ ახალ ბოროტებას იწვევს.

**ვაშინგტონი**: ომისთვის მზადება მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო გზაა.

**ბრუნო**: ცოცხალი ჭკუის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მცირეს დანახვა და გაგონებაც კი, საკმარისია მისთვის ხანგრძლივად განსჯისა და ბევრის გასაგებად

**ბრეჰტი**: ყველაზე მთავარია, ადამიანს აზროვნება ვასწავლოთ.

**კენედი**: შეუნდეთ მტრებს, მაგრამ არასოდეს დაივიწყოთ მათი სახელები.

**ლინკოლნი**: ჯობია, გაჩუმდე და ყველამ იფიქროს, რომ სულელი ხარ, ვიდრე ხმა ამოიღო და ყველა ეჭვი გააქარწყლო.

**ბუასტი**: განათლება მხოლოდ მაშინ მიაღწევს სრულყოფას, როცა ადამიანებს ადამიანთა დახოცვის შესაძლებლობა მართლმსაჯულებისთვისაც კი აღარ ექნებათ.

**კულიჯი**: ამ სამყაროში ვერაფერი შეედრება სიჯიუტეს; ვერც ნიჭი, რადგან ნიჭიერი და წარუმატებელი ადამიანი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა; ვერც გენიალობა, რადგან გენიოსების უმრავლესობა არაღიარებულია; ვერც განათლება, რადგან მსოფლიო სავსეა განათლებული სულელებით. მხოლოდ სიჯიუტესა და მიზანდასახულობას გააჩნია ყოვლისშემძლე პოტენციალი.

**პუბლიციუსი**: როცა ჯანმრთელნი ვართ, ადვილად ვიძლევით კარგ რჩევებს.

**ჰიპოკრატე**: უმიზეზო დაღლილობა ავადმყოფობას მოასწავებს.

**კანეტი**: ცნობილი აფორიზმები ისე იკითხება, თითქოს მათი ავტორები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

**ნიცშე**: ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ უახლოვდები. როცა შორდები და ადიხარ მაღლა, მაშინ იწყებენ ქვის დაშენას.

**ლაბრიუიერი**: ადამიანებს სურთ, ერთგან მონები იყვნენ, რათა სხვაგან ბატონებად იგრძნონ თავი.

**ებნერ-ეშენბახი**: ცუდია ის აღმზრდელი, რომელსაც საკუთარი ბავშვობა არ ახსოვს.

**ბეკონი**: ბავშვები ართულებენ ჩვენს ცხოვრებისეულ საზრუნავს მაგრამ, იმავდროულად, მათი წყალობით სიკვდილი ისეთი საშინელი აღარ გვეჩვენება.

**მონტენი**: არ დაელოდო ბედნიერებას, თავად მოიპოვე ის.

**სპინოზა**. გაგება თანხმობის დასაწყისია.

**შპენგლერი**: სხვა სიცოცხლის ფორმების ხედვის შემდეგ, შეიძლება, შეიმეცნო საკუთარი.

**ბაშლარი**: ორი ადამიანი, რომლებიც ისწრაფიან, ერთმანეთს გაუგონ, თავიდან უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.

**გრინი**: თუ მამაკაცი ქალს მატერიალურად არ უწყობს ხელს, ქალი მას ადრე თუ გვიან შეცვლის.

**ვოლტერი**: გოგონები უფრო მალე სწავლობენ განცდას, ვიდრე ბიჭები აზროვნებას.

# თუ გამოიცნობთ

1. ამით მხოლოდ ერთი ქალაქია ცნობილი და სწორედ აქ არის ორი ქარხანა, სადაც ამას განსაკუთრებული ჯიშის ხისგან ამზადებენ. სალებავის რეცეპტი კი მხოლოდ მწარმოებლებმა იციან და ცოდნას მემკვიდრეობით გადასცემენ. ერთის დამზადება რამდენიმე ძვირფას ავტომობილზე ძვირი ჯდება. 500 წლის წინათ 10 000 იყო, ახლა მხოლოდ 400-ია. **დაასახელეთ ის.**

2. ინდიელები მას დიდად აფასებდნენ და სხვადასხვა დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მაგალითად, სამედიცინო (ანტიბიოტიკის ნაცვლად), სანიტარული მიზნით (მოსკიტების გასანადგურებლად)... ტრადიციული რიტუალების ჩასატარებლად. ახლა მას ჯანმრთელობისთვის მავნედ მიიჩნევენ. **რას?**

3. ცნობილმა პროდიუსერმა დენიელ გოლდმენმა დაიჟინა, რომ ჰოლივუდური პროდუქციის მაყურებელთა ჩვევებიდან გამომდინარე, ფილმის სათაურში – „მეფე გიორგი მესამის სიგიჟეები“ – ამოეღოთ სიტყვა „მესამე“. ის ამბობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ფილმის სანახავად სერიალების არც ერთი მოყვარული არ შევაო. **რატომ?**

4. როჯერ მენერსი, გრაფი დერბი, გრაფი სოლსბერი, ფრენსის ბეკონი, ფილიპ მარლო და იეზუიტთა ორდენიც კი... **რომელი ცნობილი მწერლის ნაწარმოებების ავტორობას მიაწერდნენ მათ?**

5. „ეტყობა, მე ღმერთი ვხდები!“ – თქვა ვესპასიანემ სიკვდილის წინ. მაო ძედუნმა მსგავს სიტუაციაში ივარაუდა, რომ შეხვედბოდა... **ვის?**

6. გასული საუკუნის ბოლოს ბუენოს-აირესში გაიხსნა აქტიორული ოსტატობის კურსები პროფესიონალი სპორტსმენებისთვის. როგორც კურსების ხელმძღვანელი, ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი ამბობს, ყველა სპორტსმენი, რომელიც კარიერისკენ მიისწრაფის, ცოტა მსახიობიც უნდა იყოს. **რა უნდა განასახიეროს მან?**

7. რომში, მსოფლიოში სახელგანთქმული ტრევის შადრევნის აუზში ტურისტების მიერ ჩაყრილი ფული ამ ქალაქის ბიუჯეტს ავსებს, მაგრამ ნაწილი „საერთაშორისო წითელ ჯვარში“ მიდის. **რა ნაწილი?**

8. რეკლამის მიზნით, ერთმა ცნობილმა ამერიკულმა ფირმამ ამერიკის ნაკრების ფეხბურთელს, ტულიოს დიდი თანხა გადაუხადა, რათა მაისურზე ნომერი 9 შეეცვალა 7-ით. **დაასახელეთ ფირმა.**

9. მარია-ანტუანეტამ ერთხელ თავის მეუღლეს, ლუდოვიკო მეთექვსმეტეს მიმართა, რომ განესაჯა ერთი ადამიანი, რომელმაც შეურაცხყო იგი – მუცელზე ფეხი მიარტყა. მაგრამ, მეფემ არავინ დასაჯა, რადგან ასეთი თავისებური ფორმით, მან მეფეს სასიხარულო ამბავი შეატყობინა... **რა?**

10. 1914 წელს გერმანიის ერთ-ერთმა მოკავშირე სახელმწიფომ, თურქეთმა დააარსა ორდენი გერმანიის უმაღლესი ორდენის ნიმუშის მიხედვით, ოღონდ ნაციონალური სიმბოლიკით. **რა სიმბოლიკა იყო ეს?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* გამოქვაბულის კლდის პირველყოფილი „ფერწერა“ – ცნობილი „ხარები“ ესპანელი მეცნიერის, საუტუოლის რვა წლის გოგონამ აღმოაჩინა.

* კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი, მუსიკის შექმნას რომ დააპირებდა, როიალს მიუჯდებოდა და კლავიშებს ქაოტურად ურტყამდა თითებს, ქმნიდა უაზრო ხმაურს. როგორც ამბობდა, ის ამით თავიდან სხვების მუსიკას აძევებდა.

* ამერიკაში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა უცნაური შედეგით დამთავრდა: გამოკითხულ დედათა 85-მა პროცენტმა კატეგორიული უარი განაცხადა, შვილის პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, მაგრამ, შემდეგ კითხვაზე: „გინდათ, თქვენი შვილი პრეზიდენტი გახდეს?“ – 95 პროცენტის პასუხი იყო: „რა თქმა უნდა!“.

* ცნობილმა მეცნიერმა დალტონმა თავისი თვალები, სიკვდილის შემდეგ, ანდერძით ლონდონის საზოგადოებას დაუტოვა. ამით სურდა, ბოლო მოეღებოდა თომას იუნგთან წარმოშობილ კამათს ფერების სიბრმავის წარმოშობის მიზეზების შესახებ.

* გაზეთმა „რაბოჩაია ტრიბუნამ“ გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები. კითხვაზე – „ვინ იყო დანტე ალიგიერი?“ – ყველაზე პოპულარული პასუხი იყო: „არ ვიცი“. მეორე ადგილზე გავიდა: „ირინა ალეგროვას მამა“.

* ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში არის კუნძული სანქტა კრუზი, რომელიც შიშის ზარს სცემს მეზღვაურებს. მას შეარქვეს: „ათასი ხომალდის დამღუპველი კუნძული“, „ხომალდების მყლაპავი“, „სიკვდილის მატარებელი“, „მოჩვენებათა კუნძული“... ეს კუნძული მუდმივად მოძრაობს, იცვლის ფორმასა და ზომას.

* დალტონიკები ხედავენ იმას, რაც ჩვეულებრივი კარგი მხედველობის ადამიანისთვის შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ, დიდ ბრიტანეთში, მეორე მსოფლიო ომის დროს, მათ მეძიებებად, მოთვალთვალეებად, ბომბდამშენების მაკორექტირებლებად ნიშნავდნენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa3-e7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ტიპი ბარში შედის და ბარმენს ეუბნება:




– დამისხი ასი გრამი გამბედაობისთვის!

დალია.

– ცოტაა, კიდევ....

მესამეზე ბარმენი ეკითხება:

– გამბედაობა რისთვის გჭირდება?

– რომ გითხრა, ფული არ მაქვს-მეთქი...

***

– დღეს რას აკეთებ?

– არაფერს.

– კი მაგრამ, გუშინაც ხომ მაგას აკეთებდი?

– ჰო, მაგრამ, ვერ დავამთავრე.

***

ვაგონის „SW" კუპეში მამაკაცი და ქალი მოხვდნენ ერთად. დაიძრა თუ არა მატარებელი, ქალმა სიმღერა დაიწყო, მთელი ხმით მღერის...

– უკაცრავად, როდის დაამთავრებთ?

– იცით, მე გასტროლებზე მივდივარ, ხვალ კონცერტზე უნდა გამოვიდე და რეპეტიციას გავდივარ...

კაცი დაფიქრდა და გახდა დაიწყო.

– მაპატიეთ, უნდა დამეხმაროთ – მე საყვარელთან მივემგზავრები და რეპეტიცია მჭირდება...

***

მაღალჩინოსანმა ჩინოვნიკმა ორი ადამიანი გაიტანა გადასასვლელზე.

– ახლა რა იქნება? – ეკითხება მოსამართლეს.

– იმას, ვინც საქარე მინას შეასკდა, თავდასხმისთვის ხუთ წელს მივუსჯით, მეორეს კი, რომელიც ბუჩქებში გადავარდა, შეიძლება რვა წელიც მივცეთ – შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მცდელობისთვის.

***

მოძრაობის წესების დარღვევისთვის მძღოლს ქალი პატრული აჩერებს:

– რამდენი? – ეკითხება მძღოლი.

– 100 ლარი...

– კარგი, დაჯექი...

***

მამაკაცი პოლიციელთან მივარდა და ეუბნება:

– დამიჭირეთ, თორემ, სიდედრი შემომაკვდება ხელში...

– მიდი, ჩემიც მოკალი და დაგეხმარები, ცოტა რომ მოგისაჯონ...

კაცმა ხელი ჩაიქნია და პროკურორთან მივიდა.

– დამიჭირეთ, თორემ ჩემს სიდედრს მოვკლავ.

– ჩემიც მოკალი და მე გიშველი – ძალიან ცოტას მოგისჯიან.

მიდის სასამართლო სხდომა.

– სამი ქალის – თავისი, მილიციელის და პროკურორის სიდედრების მკვლელობისთვის, მიესაჯოს ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, – გამოაცხადა მოსამართლემ, შემდეგ ბრალდებულს მიუბრუნდა და ჩასჩურჩულა: ჩემიც რომ მოგეკლა, სასამართლოს დარბაზიდან გაგათავისუფლებდი...

***

კორპორაციულ საღამოზე ტიპმა ცოლი მიიყვანა. სტუმრები ნელ-ნელა მოდიან.

– ეს ქალი ვინ არის, წითელ კაბაში?

– ჩვენი შეფის საყვარელია.

– ეს ქერათმიანი მსუქანი?

– მოადგილის საყვარელი.

– ეს მსუქანი შავთმიანი?

– ბუღალტრის.

– ეს სიმპათიური ქალი?

კაცი როლშია შეჭრილი და ეუბნება ცოლს:

– ჩემი საყვარელი.

– ჩვენი ყველას სჯობია, – ამაყად თქვა ქალმა.

***

ქმარი სამსახურში წავიდა. მოდის ცოლის საყვარელი და ქალს ეუბნება.

– გაიხადე, ახალი პოზა მოვიგონე...




– არა, არ შემიძლია, ქმარმა მოლაპარაკე თუთიყუში იყიდა, ყველაფერს მოყვება...

– ნუ გეშინია, გალიას სქელი ქსოვილი გადავაფაროთ, ვერაფერსაც ვერ დაინახავს...

– ჯობია, ენა ამომგლიჯოთ... ეს აუცილებლად უნდა ვნახო! – იყვირა თუთიყუშმა.

***

გაერთე: გაიკეთე შავი სათვალე, ადი „მარშრუტკაში", დიდხანს და ყურადღებით ათვალიერე ყველა, ისე, რომ შეგამჩნიონ... შემდეგ ამოიღე მობილური და ხმამაღლა წარმოთქვი: „შეფ, მე ის ვიპოვე".

***

მოვიყვანე კატა. ახლა გაოცებული ვარ: ხშირად მაცივართანაა დასკუპული, დივანზე კი საქმიანი გამოხედვით წამოგორდება ხოლმე; ქალებში დადის, ვერ იტანს ჩემს დაქალებს, ხან ისეთ ხმას ამოუშვებს... მოკლედ, მგონია, რომ მეორედ დავქორწინდი...

***

ღამეა. მიწისქვეშა გადასასვლელში გოგონა მიდის და ხედავს, მის შესახვედრად უზარმაზარი მამაკაცი მოემართება გაშლილი ხელ-




ებით... აიღო აგური და ესროლა. გაისმა შუშის მტვრევის საშინელი ხმა.

– ამის დედა ვატირე, მესამე შუშა გამიტეხეს, სახლამდე ვერ მიმიტანია...

***

– ბიჭო, მაგრა დავიღალე, წუხელ მთელი ღამე კარტოფილს ვთხრიდი...

– კი მაგრამ, რატომ ღამით, დღისით ამოგეღო?!

– დღისით ჩემი უნდა ამოვიღო....

***

თუ კარგად დაფიქრდებით, რუსეთის ორი მთავარი სიმბოლო – „მატრიოშკა" და „ვოდკა" ერთი და იმავე არსის მატარებელია: გახსნი ერთს და მას მოჰყვება მეორე, მესამე, მეოთხე...

***

– ეჰ, ადრე მალაზიაში 3 მანეთით რომ შევიდოდი, მომქონდა ორი პური, ერთი ქილა მჟავე კიტრი, ორი ცალი თევზის კონსერვი, ორი ბოთლი ლუდიც კი... ახლა...

– ყველაფერი გაძვირდა, არა?

– არა, ყველგან ვიდეოთვალი დაამონტაჟეს....

***

– გუშინ ჩემი სიდედრი გველების გამოფენაზე წავიდა და... მედლით დაბრუნდა.

***

– თავში სულ ფული და ქალები მიტრიალებს...

– ჯობია, მათ ხელში ატრიალებდე, თავში კი ტვინი გქონდეს...

***

– მამა, როცა არ უჯერებდი, ბაბუა გცემდა?

– კი, რა თქმა უნდა.

– ბაბუას სცემდა მისი მამა, როცა არ დაუჯერებდა?

– კი, სცემდა.

– არადა, შენი დახმარებით ჩვენ შეგვეძლო, უარი გვეთქვა ამ მემკვიდრეობით სადიზმზე.

***

– ბავშვებო, რომელიმეს გადაგირჩენიათ ვინმეს სიცოცხლე?

– მე, მასწ... ჩემი დისშვილი გადავარჩინე!

– საინტერესოა... აბა, მოყევი, როგორ...

– ჩემს დას ჩასახვის საწინააღმდეგო აბები შევუცვალე.

# როგორ შეირცხვინა თავი „ნაპახმელიარმა“ ცეკვის მასწავლებელმა მოცეკვავე გოგო-ბიჭებთან

საესტრადო სკოლის მესამე კურსზე ვსწავლობდი. მართალია, სიმღერის განხრით ვიყავი, მაგრამ ქართულ-ევროპულ და აღმოსავლურ ცეკვებსაც გავდიოდით და ამ ჟანრს ხელმძღვანელობდა უაღრესად დიდებული პიროვნება და ცეკვის დიდოსტატი, გივი ო-ძე.

– ერთი და, ორი და, სამი დააა – დოლი!

მედოლე, გოჩა ფხაკაძე, მუდამ აკურატულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

– ერთიი დაა... დოლი! – დაიძახა ერთხელაც ო-ძემ.

ატყდა დოლის რიტმული ბრაგაბრუგი.

– წიწრიაშვილო, რავა ინდაურივით დაჩერჩეტობ, კაცო, შენ?! – დაამუნათა ქორეოგრაფმა ჩემი ძმაკაცი, მომღერალი გოგი წიწრიაშვილი.

– ვცეკვავ, რა, მასწ, შენ რა გითხარი...

– ქუჩურ გამოთქმებს ვერ ვიტან... თავიდან:

– ეეერთი დაა, ორი დაა, სამი და – დოლი!

ერთმანეთში არეული გოგო-ბიჭები უნიათოდ დაბრუცალობდნენ დარბაზში.

გივი ქორეოგრაფს გული მოუვიდა:

– მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენგან რაიმე გამოვიდეს... ასე გასწავლეთ? ბიჭო, ბუქნი, ბუქნი! – რატომღაც, ისევ გოგი წიწრიაშვილს დაასო თვალი.

– ვბუქნავ, გივი ძია და, მეტი რა ვქნა?! აი, ბუქ... – ჩაიმუხლა ნაპახმელიარმა და ძლივს წამოდგა ფეხზე.

– შენ ვის უნდა უჯიკო, თვითონ საჯიკებ-




ელო! – მწარედ ჩაიცინა ქორეოგრაფმა.

ტანად დიდი არ გახლავთ გივი ბატონი, ცოტათი მუცელიც წამობზიკოდა, მაგრამ ნიმუშად რომ წაიცეკვებდა, ჰოი, სასწაულო! – არც მუცელი ჩანდა არც ასაკი – პროფესიონალიზმი თავისას შვრებოდა.

– ეერთი და ორიიი... ბუქნი, ბიჭო... ბუქნი! წიწრიაშვილს მეტი აღარ შეეძლო:

– ერთიც და... გამასვენეთ აქედან, ბატონო გივი...

– აი გიდი, აბასთუმააან! – ტანი შეწკიპა ოდესღაც ცეკვის ვირტუოზმა და... – მიყურე, როგორ უნდა ბუქნი! დოლი!

აბრაგუნდა დოლი და გივიმ „ოდესღაცი“ გაიხსენა: შეხტა, შებზრიალდა, ორმაგი პირუეტი (ჰაერში ბრუნი) ჩაახვია და ჩაბუქნა... ჩაბუქნა და, გაოცებულ, აღტაცებულ და აღფრთოვანებულ მედოლეს დოლი იმ დროს გაუვარდა ხელიდან, გივი რომ მესამე ღრმა ბუქნს ასრულებდა.

– პრრუწ! – სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ჩაბუქნული ქორეოგრაფის უკან, წელს ქვემოთ.

უხერხული სიჩუმეა...

– გაგიხმეთ თავი! გუშინ ნაყიდი შარვალი გამისკდა უკან, თქვენი გადამკიდე... არ შემხედოთ... გაიმეორეთ ბუქნი!

გავარდა გივი გასახდელში და სათადარიგო სარკეში შარვალს დააკვირდა – შარვალი... მთელი იყო.

– ეჰ, დრო... დრო... მე კი შარვალი მეგონა, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – რაღა დროს შენი ბუქნია, გივიიი!

გული დასწყდა და... ყურებამდე გაწითლდა.

– გაკვეთილი დამთავრებულია! – გამოაცხადა და ორ კვირაში პენსიაზე გავიდა.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ დაასაჩუქრეს ჩინელი ბიჭი დაბადების დღეზე ქართველებმა

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. ვიცოდი, რომ არ დაგავიწყდებოდა ჩემი დაბადების დღე და წერილს გამომიგზავნიდი. წერილში რომ ფული ჩამიდე, იმ ფულით ისეთ შარვალს ვიყიდი, არც ფერი გადასდის და არც ერთ კვირაში იხევა. დიდი მადლობა, დედა. მე კი ჩემს დაბადების დღეზე მოგიყვები ცოტას.

ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს დღესასწაული, აუცილებლად საჩუქრები მიაქვთ იუბილარისთვის, ქალები კაცებსაც, ბავშვებსაც და მოხუცებსაც უძღვნიან საჩუქრებს, ქართველი კაცები კი მარტო ქალებსა და ბავშვებს. მე არ მინახავს ჯერ, რომ კაცს კაცისთვის ეჩუქებინოს რამე დაბადების დღეზე. რატომ ხდება ასე, არ ვიცი.

დაბადების დღე პირველად კობამ მომილოცა. რა დაავიწყებს, ერთი კვირით ადრე ემზადებოდა, მაგრად უნდა დავთვრეო. მერე ჩემმა მეორე ნათლიამ, ჩემმა ძველმა დიასახლისმა ნანამ მომილოცა, რა თქმა უნდა, ისიც დავპატიჟე. მერე რიგრიგობით მომილოცეს ჩემი ცოლის ნათესავებმა და ისეთი სიტყვები მითხრეს, მეგონა, მართლა ძალიან შევყვარებივარ ამათ-მეთქი. მაგრამ, ქართველები, როგორც წესი, ერთს ამბობენ და მეორეს ფიქრობენ. ლამზირამ დილასვე გამომართვა ასი ლარი და სადღაც წავიდა, ერთ საათში დაბრუნდა და ექვსი იმხელა თეფში მოიტანა, თითო ჩემი ძველი საწოლის ტოლი




მაინც იქნებოდა. მერე მითხრა, ახლა ასეთები მოდაშია და შენ გიყიდე დაბადების დღეზეო. მერე ისევ შეახვია და კარადაში შეინახა. მე, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ვუთხარი, მაგისი წყევლის თავი არ მქონდა. საღამოს გვეწვივნენ სტუმრები და საჩუქრებიც მომიტანეს. ჩემმა სიდედრმა ძალიან ლამაზი სვიტერი მაჩუქა და სტუმრებთან ერთად ნაზი ღიმილით გამომიცხადა, შენი ზომა არსად არაფერი იყო და ბოლოს ბავშვების მაღაზიაში ძლივს ვიშოვეო.

ჩემმა სიმამრმა ხუთლიტრიანით ისევ ის ღვინო მომიტანა, ორი თვის წინ რომ მომწამლა. დიდი ზარ-ზეიმით გადმომცა „თავისი მარჯვენით დაწურული ღვინო“ - მერე სუფრაზე ისევ სულ თვითონ დალია.

ლამზირას დეიდებმა საწოლის გადასაფარებლები და ყვავილებიანი პირსახოცები მაჩუქეს. ლამზირას ძალიან მოეწონა.

ჩემმა ნათლიამ ნანამ, სუნამო და შოტლანდიური ვისკი მაჩუქა. ვისკი, რა თქმა უნდა, მაშინვე გავხსენით და დავლიეთ. სუნამო კი გასვლისას დაისხეს ლამზირას ნათესვებმა გასინჯვის მიზნით და იმდენი დარჩა, მეორე დღეს დასასხმელად მეყო.

ჩემი დაბადების დღე, რა თქმა უნდა, დიდი ქეიფით დამთავრდა. მე და ლამზირას ნათესავები სულ ძალით ვუცინოდით ერთმანეთს, ვსვამდით და ვმხიარულობდით. რა თქმა უნდა, კობა მაგრად დათვრა და ლამზირას ბიძაშვილს აგინა. ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**